საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულიუნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

ბესიკ გაფრინდაშვილი

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები

(გელათი,ხონი,ნიკორწმინდა)

1529-1820 წწ.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

„საქართველოს ისტორია“

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: როინ მეტრეველი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

აკადემიკოსი

თბილისი

2014

შინაარსი

1. ანოტაციაქართულად 3-4
2. ანოტაცია ინგლისურად 5
3. შესავალი 6
4. წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა 7-14
5. თავი I. საქართველოს სამოციქულო ეკლესია და მასში შემავალი საეპისკოპოსოებიდასაბამიდან XVI საუკუნემდე 15-28
6. თავი II. ახალი საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) დაარსება იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის თაოსნობით XVI – საუკუნის პირველ ნახევარში. 29-55
   1. § ახალი საეპისკოპოსოების დაარსების მოტივი და მიზანი 29-32
   2. § გელათის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები 32-44
   3.§ ხონის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები 44-47
   4.§ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები 47-55
7. თავი III. საეპისკოპოსოების მართვა–გამგეობა XVI–XVIII საუკუნეების დასავლეთსაქართველოში და ეპისკოპოსების უფლება – ვალდებულებანი 56-62
8. თავი IV. რაჭა – იმერეთის საეპისკოპოსოების(გელათი, ხონის, ნიკორწმინდა) სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობა 63-78
9. თავი V. გენათელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი(1529 – 1820 წწ.) 79-155
10. თავიVI. ხონელიეპისკოპოსებისმოღვაწეობადამათიქრონოლოგიურირიგი(1529-1820) 156-187
11. თავი VII. ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი (1534 – 1820) 188-211
12. დასკვნა 212-217
13. გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია 218-227

ანოტაცია

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ასახავს რაჭა-იმერეთის, კერძოდ გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების ისტორიას XVI ს-ის 20-იანი წლებიდან XIX-ს-ის 20- იანი წლების ჩათვლით,(მათი დაარსებიდან გაუქმებამდე).

XVI ს-ის პირველ ნახევარში (1529) იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510 – 1565) ინიციატივით, ქუთაისის საეპისკოპოსოს გელათისა და ხონის საეპისკოპოსოები გამოეყო, რამდენიმე წლის შემდეგ (1534) მეფე ბაგრატმა საეპისკოპოსო კათედრა დააარსა ნიკორწმინდაშიც.ბაგრატ III-ის მიერ დაარსებულმა გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოებმა სამი საუკუნე იარსება.XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმებას, მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა.1811 წელს გაუქმდა მცხეთის (ქართლის) საკათალიკოსო,1814 წელს კი აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო.რუსეთის ხელისუფლების დავალებით ახლად შექმნილმა საქართველოს საეგზარქოსომ, ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვის თაოსნობით, 1817 წლიდან დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარება დაიწყო, რაც მიზნად ისახავდა ქართული ეკლესიის რუსული ეკლესიის ყაიდაზე მოწყობას. რეფორმის ძალით 1820-22 წლებში გაუქმდა რაჭა-იმერეთის ოთხივე საეპისკოპოსო კათედრა (ქუთაისი, გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) და იმერეთის ეპარქიაში გაერთიანდა.

ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვლია გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების ყოფა 1529–1820 წლების ქრონოლოგიურ ჩარჩოში. აღნიშნული საეპისკოპოსოები აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოში შემავალ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ, რომლებსაც ჰქონდათ კარგად გამართული მმართველობის სამეურნეო მექანიზმი და საგანმანათლებლო სისტემა. ამ კათედრაზე მსხდომი ეპისკოპოსები გარდა სასულიერო მოღვაწეობისა, აქტიურად იყვნენ ჩართული საერო ცხოვრებაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში.

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილი და დაზუსტებულია გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების დაარსებისთარიღები და საზღვრები. გამოკვლეულია გენათელი, ხონელი და ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების მრავალმხრივი მოღვაწეობა და შედგენილია მათი ქრონოლოგიური რიგები. აგრეთვე გამოკვლეულია შუა საუკუნეების

დასავლეთ საქართველოში არსებული საეპისკოპოსოების მართვა გამგეობის წესები და ეპისკოპოსების უფლება-ვალდებულებანი.

ჩვენს სადისერტაციო ნაშრომშიყურადღება გამახვილებულია რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზეც. გამოკვლეულია თუ რა სახის მეურნეობა იყო განვითარებული აღნიშნულ საეპისკოპოსოებში. როგორი იყო საგადასახადო სისტემა და რა რაოდენობის გადასახადები ჰქონდათ დაკისრებული საეკლესიო გლეხებს.როგორი იყო საეპისკოპოსოში შემავალი სხვადასხვა სოციალური ფენების უფლება ვალდებულებანი და სხვა.

ჩვენს მიერ მოძიებულ დოკუმენტებში მრავალ საგულისხმო ცნობებს ვხვდებით საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკურიისტორიიდან. ამიტომ რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების ისტორიის შესწავლა, საეკლესიო ისტორიასთან ერთად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის შესწავლის კუთხითაც არის მნიშვნელოვანი.

ANNOTATION

This dissertation reflects the history of Racha and Imereti Episcopacies from their foundation up to abolishment, namely the history of Gelati, Khoni and Nikortsminda Episcopacies in the twenties of the XVIth and XIXth centuries.

On the initiative of Bagrat III (1510-1565), the king of Imereti, the Episcopacies of Gelati and Khoni separated from the Episcopacy of Kutaisi in the first half of the XVIth century (1529). In some years (1534) king Bagrat founded the Nikortsminda Cathedra as well. Although there were hypotheses that the Episcopal Cathedrae had existed in Gelati and Nikortsminda before the XVIth century, they ceased to exist for some period, because of the severity of the epoch, and were restored in the first half of the XVIth century.

Gelati, Khoni and Nikortsminda Episcopacies founded by Bagrat III existed for three centuries. At the beginning of the XIXth century the abolishment of Kartli-Kakheti and Imereti Kingdoms by the Russian Empire caused the abolishment of the age-old autocephaly of the Georgian church. In 1811 there was abolished the Catholicity of Mtskheta (East Georgian) and in 1814 – the Catholicity of Abkhazia (West Georgia). From 1817 on the instructions of the Russian authorities under the leadership of the exarch Theophilact Rusanov a newly created Georgian Exarchate started the russification of the Georgian church by holding the church reform in Western Georgia. In 1820-22 in force of the reform the four Episcopal Cathedrae of Racha-Imereti (Kutaisi, Gelati, Khoni and Nikortsminda) were abolished and united to the Imereti Eparchy.

We tried to investigate in chronological order the way of life of Gelati, Khoni and Nikortsminda Episcopacies within the period of 1529-1820. The given episcopacies were the separate administrative units of the Abkhaz Catholicity (West Georgia), having well-established economic mechanism and educational system. The bishops of this cathedra, besides their ecclesiastical work, were actively involved in public life, and made a valuable contribution to the political and cultural activities.

This dissertation determines the date of the foundation of Gelati, Khoni and Nikortsminda Episcopacies as well as their boundaries. Here are examined multilateral activities of the bishops of Gelati, Khoni and Nikortsminda and formulated their chronological rows as well as the rules of governing medieval episcopacies of West Georgia, bishops' rights and duties.

In this work a great attention is paid to the social and economic issues of Racha and Imereti Episcopacies. Here are investigated the types of the economy developed in the given episcopacies, their tax system and taxes that the church peasants had to pay, rights and duties of different social sectors of these episcopacies and etc.

We found out many significant references from the Georgian church and civil history. Besides the Georgian church history, it is rather important to study the history of Racha and Imreti Episcopacies from the viewpoint of the Georgian civil history.

შესავალი

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას და მის დაქვემდებარებაში მყოფ საეპისკოპოსოებს, მრავალსაუკოვანი ისტორია გააჩნიათ. საეპისკოპოსო, საკათალიკოსოში შემავალ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა და მისი მართვა – გამგეობა საკათალიკოსოს მართვის მსგავსად ხდებოდა, რაც კრებითობას, არჩევითობასა და დემოკრატიულობას ემყარებოდა (კელენჯერიძე 1918: 137). დრო და ჟამის ვითარებიდან გამომდინარე ზოგიერთი საეპისკოპოსო კათედრა უქმდებოდა და მათ ნაცვლად ჩნდებოდა ახალი საეპისკოპოსოები, ან გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდებოდა გაუქმებული საეპისკოპოსოების აღდგენა. საზოგადოებრივი ყოფა–ცხოვრების განვითარების პარალელურად იცვლებოდა საეპისკოპოსოების სისტემური მოწყობაც. ადრექრისტიანულ ხანაში დაარსებული საეპისკოპოსოები, სტრუქტურულად განსხვავდებოდნენ განვითარებულ და გვიანფეოდალური ხანის საეპისკოპოსო კათედრებისგან.

რაჭა-იმერეთის, კერძოდ გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოებს სხვა უძველეს ქართულ ეპარქიებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში.საქართველოსეკლესიის ისტორიის შესწავლა წარმოუდგენელია მასში შემავალი ცალკეული ეპარქიების ისტორიის შესწავლის გარეშე. ვფიქრობთ, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი მცირეოდენ წვლილს შეიტანს როგორც რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების, აგრეთვე ზოგადად ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) შესახებ, მწირი, მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობები მოგვეპოვება ქართულ და უცხოურ ნარატიულ წყაროებში. გელათისა და ხონის საეპისკოპოსოების დაარსების შესახებ ქართული ნარატიული წყაროებიდან ცნობები დაცულია ახალი ქართლის ცხოვრებასა და ეგრეთ წოდებულ „პარიზის ქრონიკაში.“ რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოებსა და მათ საზღვრებზე საუბრობს ვახუშტი ბატონიშვილიც. მისი საისტორიო თხზულების ცალკეულ მონაკვეთებში, სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე გენათელი ეპისკოპოსების შესახებაც ვხვდებით ცნობებს. აღნიშნულ საკითხებზე ცნობებს ვხვდებით ფარსადან გორგიჯანიძის, პაპუნა ორბელიანის, ნიკო დადიანის და დავით ბატონიშვილის ისტორიულ გადმოცემებშიც.

დოკუმენტური წყაროებიდან ამ მხრივ მნიშვნელოვანია გენათელი, ხონელი და ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების მიერ გაცემული ან დამოწმებული საბუთები, აგრეთვე იმერეთის მეფეთა, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა, დიდგვაროვან ფეოდალთა შეწირულობის წიგნები და სიგელ-გუჯრები, საეკლესიო გლეხების საბეგრო ნუსხები და სხვა. აღნიშნული საბუთები ინახება საქართველოს ცენტრალური არქივის, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქუთაისის ცენტრალური არქივისა და ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის საცავებში. ამ საბუთების დიდი ნაწილი სხვადასხვა გამოცემებში გამოქვეყნებული აქვთ: ე. თაყაიშვილს, ს. კაკაბაძეს, ნ. ბერძენიშვილს, შ. ბურჯანაძეს, ი. დოლიძეს და სხვებს. ნაწილი ამ დოკუმენტებისა დღემდე გამოუქვეყნებელია და მათი მნიშვნელობა რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების ისტორიის შესწავლის დროს ძალიან დიდია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უცნობი ავტორის მიერ XIX ს-ის 30-იან წლებში აღწერილი უკანასკნელი ხონელი ეპისკოპოსის ანტონ ჩიჯავაძის (1771–1820) ცხოვრება, რომელიც ხელნაწერის სახით ინახება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდში, ნომრით 2784. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხელნაწერი წიგნი სრული სახით დღემდე გამოუქვეყნებელი იყო და მისი ძირითადი ნაწილი სულ ეხლახანს ჩვენს მიერ გამოქვეყნდა ჟურნალი „მაცნეს“ 2013 წლის I ნომერში, სტატიაში - „ხონელი მღვდელმთავრების ვინაობის დადგენისათვის.“ „ანტონის ცხოვრებაში“ დაცული მნიშვნელოვანი ცნობები ასახულია ჩვენს სადისერტაციო ნაშრომშიც.

მნიშვნელოვანიაXIXს-ის 10-20-ინი წლების საქართველოს მთავარმმართებლებისა და იმერეთში მივლინებული რუსი ოფიცრების მიმოწერები, რომლებიც რაჭა-იმერეთის

საეპისკოპოსოებში არსებულ ვითარებას შეეხება. აღნიშნული წერილები გამოქვეყნებულია კრებულში: „Акты Кавказскою археографическою коммиссию,“ რომელიც რამდენიმე ტომად გამოიცაXIXს-ის 60-70-იან წლებში. ნაწილი აღნიშნული წერილებისა გამოქვეყნებულია ს. კაკაბაძის წიგნში -„იმერეთის სამეფოს გაუქმება,“ რომელიც გამოიცა 1956 წელს.

საყურადღებოა 1819-20 წლებში დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში და მათ შორის რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოებში ჩატარებული საეკლესიო რეფორმის შესახებ არსებული დოკუმენტები, რომელთა ნაწილი თავმოყრილია ნ. მახარაძის ნაშრომში „Восстание в Имеретии.“ (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის ნაკვეთი III თბ. 1942).

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების შესახებ არსებულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს ავსებს ქრონიკები და ანდერძ-მინაწერები, რომლებიც დართულია სხვადასხვა მონასტრებში გადაწერილ სახარებებსა თუ წმინდანთა ცხოვრებებზე. მათი დიდი ნაწილი გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ, ნაშრომში: „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.“ ნაშრომი სამი ტომისგან შედგება.

ჩვენთვის საგულისხმო ცნობებს ვხვდებით ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, ფრესკებსა და ჯვარ-ხატებზე შესრულებულ წარწერებშიც. რაჭა-იმერეთის ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ფრესკული წარწერების დიდი ნაწილი შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვთ მ. ბროსეს, ა. მურავიოვს, დ. ბაქრაძეს, გ. წერეთელს, გ. ბოჭორიძეს, ექვთიმე თაყაიშვილსა და სხვებს.

აღნიშნული საკითხების შესწავლის დროს დიდ დახმარებას გვიწევს უცხოელი მისიონერებისა და მოგზაურების ცნობები. მათ შორის, თეათინელი ბერის კრისტოფორო კასტელის, ანტიოქიელი პატრიარქის მაკარიოსის, ფრანგი იუველირის ჟან შარდენის, გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის, კაპუცინი მისიონერის ლეონისა და სხვათა გადმოცემები. მნიშვნელოვანია რუსი ელჩების ალექსი იევლევისა და ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობის ანგარიშები, რომლებშიაც ხშირად არიან ნახსენები იმ პერიოდში მოღვაწე (1650–1652 წწ.) გენათელი, ხონელი და ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები. რუს ელჩებს აღწერილი აქვთ გელათის სამონასტრო კომპლექსი და იქ დაცული სიწმინდეებიც. ისინი ცნობებსგვაწვდიან ნიკორწმინდის ტაძრისა და მის მახლობლად მდებარე ნიკორწმინდელი ეპისკოპოსებისრეზიდენციის შესახებაც.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის მეცნიერული შესწავლა XIX ს-ის ბოლო ხანებიდან დაიწყო. ამსაქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ივ. ჯავახიშვილს.

დიდი მეცნიერი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ წლების მანძილზე სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული ქართული საეკლესიო ისტორია, რომელიც საქართველოს სამოქალაქო ისტორიის შესასწავლად, მრავალ საგულისხმო და გამოსადეგ ცნობებს ინახავდა (ჯავახიშვილი: 1977: 26). ივ. ჯავახიშვილმა ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“ ცალკე თავი მიუძღვნა ეკლესიას, სადაც გამოკვლეულია ძველი ქართული საეკლესიო წეს-წყობილება და სასულიერო პირთა უფლება-ვალდებულებანი (ჯავახიშვილი 1984: 13-85).

სხვადასხვა დროს ქართული საეკლესიო ისტორიის შესწავლის საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს: მ. ბროსემ, ნ. მარმა, დ. ბაქრაძემ, ნ. კონდაკოვმა, მ. საბინინმა, მ. ჯანაშვილმა, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა, კ. კეკელიძემ, ს. კაკაბაძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, მ. ლორთქიფანიძემ და სხვა მეცნიერებმა. მათ გამოიკვლიეს არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი და გამოთქვეს საინტერესო მოსაზრებები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მ. თამარაშვილის შრომები: „ქართული ეკლესია დასაბამითგან დღემდე“ და „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,“ სადაც მრავალი საინტერესო საკითხია გამოკვლეული ქართული ეკლესიის ისტორიიდან.

აღსანიშნავია ეპისკოპოს კირიონის მიერ 1901 წელს გამოქვეყნებული წიგნი: „Краткий очерк истории Грузиской церкви и екзархата за XIX столетие.“

1918 წელს მ. კელენჯერიძემ გამოაქვყნა „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია.“

საბჭოთა ეპოქაში ქართული ეკლესიის ისტორიას,ქვეყანაში გაბატონებული ათეისტური იდეოლოგიის გამო, ნაკლები ყურადღება ექცეოდა და შესაბამისად მცირე იყო ამ საკითხებზე მომუშავე მეცნიერთა რიცხვი. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ნ. ბერძენიშვილი. ჩვენთვის საგულისხმოა მისი ნაშრომი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წეს-წყობილების შესახებ(ბერძენიშვილი 1971:).

ნიშანდობლივია ბ. ლომინაძის შრომები. მათ შორის მისი კვლევა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) საკათალიკოსო ტახტის ბიჭვინთიდან გელათში გადმოტანასთანდაკავშირებით, აგრეთვე შუა საუკუნეებში არსებულ საეკლესიო მიწათმფლობელობის ფორმებზე და სხვა(ლომინაძე 1966:).

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ქართული ეკლესიის ისტორიის კუთხით კვლევა გაფართოვდა და მრავალი სამეცნიერო ნაშრომი შეიქმნა. მათ შორის არის მეუფე ა. ჯაფარიძის მიერ ოთხ ტომად გამოცემული „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის

ისტორია.“[1] აღსანიშნავია რ. მეტრეველის რედაქტორობით 2000 წელს გამოცემული ნაშრომი „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები,“ სადაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის გადმოცემული საქართველოს კათოლიკოსთა და კათოლიკოს-პატრიარქთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, საქართველოში კათოლიკოსობის დაწესებიდან დღევანდელობამდე. 2010 წელს რ. მეტრეველის ავტორობით გამოიცა მეორე ნაშრომი - „საქართველოს მეფეები და პატრიარქები.“ აღნიშნულ შრომებში ჩვენთვის მრავალ საგულისხმო ცნობებს ვხვდებით.

საეკლესიო ისტორიის კუთხით უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევების შედეგად საინტერესო შრომები დადეს: ვ. გოილაძემ, გ. მამულიამ, ბ. კუდავამ, თ. ქორიძემ, ბ. დიასამიძემ, ს. ვარდოსანიძემ, ე. ბუბულაშვილმა, გ. კალანდიამ, თ. ქართველიშვილმა, პ. გაბისონიამ და სხვა მეცნიერებმა.

უშუალოდ რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების შესახებ ცალკეული სამეცნიერო ნაშრომები არსებობს, მაგრამ ეს თემა სრულყოფილად დღემდე არ შესწავლილა და აღნიშნული საეპისკოპოსოების ისტორია ერთიან ჭრილში არ განხილულა.

გელათის მონასტრის ისტორიის შესახებპირველად 1888 წელს გამოქვეყნდა დ. ღამბაშიძის ნაშრომი- „გაენათის მონასტერი“ (ღამბაშიძე 1888:), გენათელი ეპისკოპოსების ქრონოლოგიური რიგის შედგენის პირველი მცდელობა კი ჰქონდა პ. ცხვილოელს (კარბელაშვილს). მის მიერ 1892 წელს ჟურნალ „მწყემსის“ ოცდამეორე ნომერში გამოქვეყნებულ გენათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგს (მწყემსი 1892: ნომ. 22, 11), ბევრი უზუსტობა ახლავს თან, რასაც მომდევნო თავებში შევეხებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, პ. ცხვილოელის აღნიშნული მცდელობა დასაფასებელია.

გელათის საეპისკოპოსოს დაარსების საკითხს შეეხო ექვთიმე თაყაიშვილი და გამოთქვა ვარაუდი, რომ გელათში XVI სუკუნემდეც არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა (თაყაიშვილი 1920: 32). ეს მოსაზრება გაიზიარა ს. კაკაბაძემ, როდესაც აფხაზეთის კათალიკოსის - მალაქია აბაშიძის მიერ გელათის საეპისკოპოსოს დაარსების დამადასტურებელი სიგელი გამოაქვეყნა (კაკაბაძე1921ა: 10).[2]

გელათის, როგორც უდიდესი სასულიერო ცენტრისა და ამავე დროს ერთ-ერთი პირველი ქართული საგანმანათლებლო კერის შესახებ, მრავალი სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა მომდევნო ხანებში. მათ შორის არის ს. ყაუხჩიშვილის მიერ 1948 წელს გამოცემული „გელათის აკადემია,“ სადაც მოთხრობილია დავით აღმაშენებლის მიერ გელათში დაარსებული სასწავლო ცენტრის - გელათის აკადემიისა და იქ მოღვაწე მოძღვრების (ლექტორების) შესახებ (ყაუხჩიშვილი 1948:). 1958 წელს ამავე

[1]ა. ჯაფარიძემ ხსენებული ოთხტომეული, მოგვიანებით ერთ წიგნად გააერთიანა
[2]იხ. ახალ საეპისკოპოსოების დაარსება...

სახელწოდებით (გელათის აკადემია) გამოსცა ნაშრომი ვ. ჩაკვეტაძემ და უფრო ფართოდ განიხილა გელათის აკადემიის იმდროინდელი ყოფა (ჩაკვეტაძე 1958:).

გელათის სამონასტრო კომპლექსის ისტორიას ასახავს 1948 წელს გამოცემული მ. გოგსაძის წიგნი „ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან“ (გოგსაძე 1948:).

გელათის მონასტრის ისტორია წარმოდგენილია ბ. ლომინაძის წიგნში - „გელათი,“ რომელიც 1955 წელს გამოიცა (ლომინაძე 1955:). წიგნში მონასტრის ისტორიასთან ერთად აღწერილია გელათის სამონასტრო კომპლექსის შენობა-ნაგებობანი. გადმოცემულია გენათელი ეპისკოპოსების მოღვაწეობისა და მათ მიერ გელათში ჩატარებული აღმშენებლობითი სამუშაოების შესახებ. განსაზღვრულია რამდენიმე გენათელი ეპისკოპოსის მოღვაწეობის წლებიც.

გელათის სამონასტრო კომპლექსის არქიტექტურის, ფრესკებისა და მოზაიკის მოკლე აღწერილობა წარმოდგენილია რ. მემფისაშვილისა და თ. ვირსალაძის მიერ 1982 წელს გამოცემულ ნაშრომში „გელათი, არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები“ (მემფისაშვილი... 1982:)

უკანასკნელ ხანებში გელათის შესახებ შექმინილი სამეცნიერო შრომების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 2006 წელს გელათის მონასტრის მშენებლობის დაწყებიდან 900 წლისთავთან დაკავშირებით, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომების XVI კრებულში შესული სამეცნიერო სტატიები, მთლიანად გელათის თემას მიეძღვნა (ქ. ი. მ. შრომები 2006:).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ამავე 2006 წელს რ. მეტრეველის მიერ გამოცემული მონოგრაფია - „გელათი, მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა,“ რომელიც გელათის ისტორიას ასახავს(მეტრეველი 2006:).

2007 წელს გამოიცა ლ. ტყეშელაშვილის წიგნი - „გელათი, მეორე იერუსალიმი და სხვა ათინა“ (ტყეშელაშვილი 2007:). აღნიშნულ წიგნში ერთი თავი ეძღვნება გელათის საეპისკოპოსოს და იქ მოღვაწე გენათელ ეპისკოპოსებს. შედგენილია გენათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგიც.

ლ. ტყეშელაშვილმა ცალკე წიგნად გამოსცა დოსითეოს ქუთათელისა და ეფთვიმე გენათელის ცხოვრება (ტყეშელაშვილი 2005:), სადაც ძირითადად ასახულია ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტების მოღვაწეობის უკანასკნელი წლები და მათი მოწამეობრივი აღსასრული.

2008 წელს გ. მჭედლიძემ და მ. კეზევაძემ, ქუთაისისა და გელათის საეპისკოპოსოებს ვრცელი ნაშრომი მიუძღვნეს, სათაურით - „ქუთაის-გაენათის ეპარქია.

ნაშრომი მოიცავს პერიოდს ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსებიდან (დაახლოებით X-XI საუკუნეთა მიჯნა) დღევანდელობამდე. მასში სხვა საკითხებთან ერთად განხილულია გელათის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი, აღწერილია გენათელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და სხვა. თუმცა ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება გელათის საეპისკოპოსოს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე (გ. მჭედლიძე... 2008:). ნაშრომი საკმაოდ მრავლისმომცველი და საინტერესოა.

2012 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თაოსნობით გამოიცა „გელათური ხელნაწერები“, სადაც აღწერილია სხვადასხვა დროს გელათში გადაწერილი წიგნები, რომლებიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში ინახება (გელათური ხელნაწერები 2012:).

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი შრომების სიუხვისა, გელათის თემა ამოუწურავი რჩება და იმედია მომავალშიც მის შესახებ მრავალი საინტერესო ნაშრომი შეიქმნება.

გელათისგან განსხვავებით მცირე რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომები არსებობს ხონის საეპისკოპოსოსა და მისი ცენტრალური ტაძრისხონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შესახებ. ხონის წმინდა გიორგის ეკლესიის და მის კედლებზე შესრულებული ლაპიდარული წარწერების შესწავლა XIX ს-ის მეორე ნახევარიდან დაიწყო. პირველად ხონის ეკლესიის ლაპიდარული წარწერები გამოაქვეყნა მ. ბროსემ, შემდეგ ა. მურავიოვმა, დ. ბაქრაძემ და გ. ბოჭორიძემ.

ხონის ეკლესიასა და მასში დაცულ რელიქვიებს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ე. თაყაიშვილმა, სახელწოდებით„ხონის ეკლესია და მისი სიძველენი“ (ძველი საქართველო 1913–14:). ავტორს აღწერილი აქვს ხონის საყდრის ლაპიდარული წარწერები და ტაძრის მოხატულობა, ხონის ეკლესიისთვის შეწირულ ნივთებსა და ჯვარ-ხატებზე შესრულებული წარწერები, იქ არსებულ წიგნთსაცავში დაცული ხელნაწერები და სხვა. ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ხონის ეპარქიის ისტორიის შესწავლით თითქმის არავინ დაინტერესებულა.

1977 წელს პ. ვაჭრიძის მიერ გამოქვეყნდა ნაშრომი „ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან,“ სადაც ხონის ისტორიულ წარსულზე თხრობის დროს, ავტორი ხონის წმინდა გიორგის ეკლესიასაც ეხება. მოგვიანებით 1998 წელს პ. ვაჭრიძემ გამოსცა მეორე ნაშრომი „ხონის ისტორიიდან,“ ხოლო 2000 წელს „ხონის სამასწავლებლო სემინარია.“

ხონის წარსულის შესახებ მოგვითხრობს ა. ფაილოძის - „მატიანე ხონისა,“ რომელიც ავტორმა ორ წიგნად გამოსცა (ფაილოძე 1997: ფაილოძე 2003:) აღნიშნულ ნაშრომში ხონის ისტორიის პარალელურად მოთხრობილია ხონელი

მღვდელმთავრებისა და ხონის სამწყსოს შესახებ. ავტორი ეხება ხონის საეპისკოპოსოს ეკონომიკურ მდგომარეობასაც.

მწირია შრომები ნიკორწმინდის შესახებ. რაჭის ისტორიული ძეგლები, მათ შორის ნიკორწმინდის ტაძარი და მისი ლაპიდარული წარწერები, აღწერილი აქვს გ. ბოჭორიძესა და ე. თაყაიშვილს (ბოჭორიძე: 1994: თაყაიშვილი1963:). მათ მიერ აღწერილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში და ჯვარ-ხატებსა თუ სხვა ნივთებზე შესრულებულ წარწერებში, ჩვენთვის მრავალ საგულისხმო ცნობებს ვხვდებით.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა ს. კაკაბაძემ წიგნში „სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი“ (კაკაბაძე 1912: 6–8). თუმცა მისი მოსაზრება სამეცნიერო წრეებში არ იქნა გაზიარებული.[3]

XI ს-ში დაწერილი ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვრის სიგელი, შეისწავლა, კომენტარები დაურთო და გამოსცა მ. ბერძნიშვილმა (ბერძნიშვილი 1979:). სიგელს მეორე მხარეს ახლავს XVI ს-ის ნუსხურით დაწერილი მანოელ ნიკორწმინდელის ცნობა, რომელიც გვაუწყებს იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების ფაქტს.

ზოგადად რაჭის ისტორიასა და რაჭის ისტორიული ძეგლების შესახებ მოგვითხრობს თ. ბერაძის წიგნი„რაჭა“ (ბერაძე 2004:). აგრეთვე რაჭის ისტორიაა ასახული რ. მეტრეველის მიერ სულ ახლახანს გამოცემულ წიგნში სახელწოდებით „რაჭა“ (მეტრეველი 2013:).

რაჭის ისტორიასა და ნიკორწმინდის ეპარქიას მიუძღვნა სტატია გ. გუგუშვილმა (ჟურ. „ორნატი“ 2003:), სადაც მოკლედ არის აღწერილი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა. ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების ქრონოლოგიური რიგი შეადგინა მ. მურუსიძემაც (ქ. ი. მ. შრომები 2008:).

ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ ზემოთ ჩამოთვლილ შრომებში არსებული ხარვეზები შეგვევსო. გამოქვეყნებულ დოკუმენტებთან ერთად მოვიძიეთ, შევისწავლეთ და გავაანალიზეთ ამ თემების ირგვლივ დღემდე გამოუქვეყნებელი წყაროები და ახლებური კუთხით წარმოვაჩინეთ რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების ისტორია. არ გამოვრიცხავთ, რომ სრულყოფილი არც ჩვენი ნაშრომი იქნება და მასში შეიძლება გარკვეული ნაკლოვანებები აღმოჩნდეს, მაგრამ ვფიქრობთ, ის საქართველოს ეკლესიის და კერძოდ დასავლეთ საქართველოს ეპარქიების ისტორიის მკვლევართ, მცირეოდენ დახმარებას გაუწევს და წაადგება მათ შემდგომი კვლევა-ძიების საქმეში.

[3]იხ. ახალი საეპისკოპოსოების დაარსება...

თავი I

საქართველოს სამოციქულო ეკლესია და მასში შემავალი საეპისკოპოსოები

დასაბამიდან XVI საუკუნემდე

(მოკლე მიმოხილვა)

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია I საუკუნიდან იღებს სათავეს.„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობის მიხედვით, ქართული ეკლესია დაამყარა წმინდა

მოციქულმა ანდრიამ, რადგანაც მან ხელი დაასხა საქართველოს პირველ ეპისკოპოსს აწყურში და დაუარსა მას საეპისკოპოსო კათედრა, რომელშიც მღვდლები და დიაკვნები ჰყავდა (ჯაფარიძე1996: 42). ანდრია მოციქულს მოუნათლავს ადგილობრივი მოსახლეობა და აწყურის ღვთისმშობლის სახელზე აგებულ ტაძარში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაუბრძანებია (იქვე, 45).

საქართველოში ქრისტიანობა პირველ საუკუნეში თვით ქრისტეს მოციქულებმა (ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, მატათამ) რომ იქადაგეს, „ქართლის ცხოვრების“ გარდა სხვა ქართული და უცხოური ისტორიული წყაროებიც ადასტურებენ(„ძეგლის წერაი რუის–ურბნისისა კრებისაი“, ეფთვიმე მთაწმინდელის, ეფრემ მცირესა და გიორგი მცირეს თხზულებები, ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, ეპიფანე კვიპრელი და სხვ.). მაგრამ როგორც ჩანს მომდევნო ხანებში იბერიაში კვლავ წარმართობამ იძალა და საჭირო გახდა ახალი მოციქულის მოვლინება. ეს მისია IV საუკუნის პირველ ნახევარში კაპადოკიელმა ქალწულმა ნინომ ითავა.

ნინოს შთაგონებით გაქრისტიანებულმა ქართლის მეფე მირიანმა, რომის იმპერატორ კონსტანტინეს (306–337) ქართლში სასულიერო პირების გამოგზავნა თხოვა. მირიანის გაქრისტიანებით გახარებულმა იმპერატორმა წარმოგზავნა: „მღდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსი, და მის თანა მღდელნი ორნი და დიაკონნი სამნი“ (ქართლის ცხოვრება 2008: 130). ამ დროისათვის მცხეთაში დასრულებული იყო ეკლესიის მშენებლობა, (იქ სადაც დღეს სვეტიცხოვლის ტაძარი დგას). ქართლში მოსულმა იოვანე ეპისკოპოსმა მონათლა მირიან მეფე, დედოფალი ნანა, მათი შვილები და სამეფო სახლის წევრები. მასობრივად ინათლებოდა ადგილობრივი მოსახლეობაც. იმპერატორმა კონსტანტინემ მირიანს მძევლად წაყვანილი შვილი ბაქარიც დაუბრუნა: „მაშინ მირიან მეფემან განასრულა ეკლესიაი საეპისკოპოსოი და აღასრულა სატფურებაი მისი მრავლითა დიდებითა....“ (ქართლის ცხოვრება 2008: 143). ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და მცხეთის პირველი ეპისკოპოსი ბიზანტიიდან მოვლინებული იოვანე გახდა.

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღთან დაკავშირებით. რადგან ეს საკითხი ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს, ამაზედ დიდხანს არ შევჩერდებით. არსებული წყაროების მიხედვით, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება IV საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა და ის, ცხადია, უკავშირდებოდა კაპადოკიელი ქალწულის ნინოს საქართველოში მოღვაწეობას.

ქრისტიანობის ოფიციალური აღიარება ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებამდე (325 წ.) უნდა მომხდარიყო ეგრისშიც (გოილაძე 1991: 112). აღნიშნულ კრებას

318 ეპისკოპოსი დაესწრო და მათ შორის იყო ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე. სტრატოფილეს მონაწილეობა ნიკეის საეკლესიო კრებაზე დასტურია იმისა რომ, არა უგვიანეს IV საუკუნის პირველ ნახევარში, დასავლეთ საქართველოში უკვე არსებობდა ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრა. იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოში სხვა საეპისკოპოსო კათედრების არსებობაცაა სავარაუდებელი. ვ. გოილაძეს მოყავს სომეხი ისტორიკოსისაგათანგელოსის თხზულების ბერძნულ და არაბულ ვერსიებში დაცული ცნობა, სადაც საუბარია პეტრე სებასტიელის მიერ იბირ–ბ–ზხუას მიტროპოლიტად კურთხევაზე, რომელსაც მთელი საქართველოსთვის ეპისკოპოსები უნდა დაენიშნა. აფხაზთა ქვეყანაში კაპადოკიელი მღვდლის სოფრონის გაგზავნა, ბასიანში ევთალიუსის და ალანეთში (სავარაუდოდ ალბანეთში) თომას ეპისკოპოსებად დანიშვნაც, კაპადოკიის კესარიაში მომხდარა, ლეონტი კესარიელის თაოსნობით ნიკეის კრების დაწყებამდე (იქვე, 117 – 121).

იბირ–ბ–ზხუას ნ. მარი იბერის–ძედ მიიჩნევდა და დასძენდა, რომ აგათანგელოსის ცნობაში, სადაც საუბარი იყო მთელ საქართველოზე, მხოლოდ დასავლეთ საქართველო იგულისხმებოდა. ვ. გოილაძე იზიარებს ნ. მარის მოსაზრებას და თავის მხრივ გამოთქვამს ვარაუდს, რომ პეტრე სებასტიელის მიერ იბირ–ბ–ზხუას ეგრისის ეპისკოპოსად ხელდასხმის შემდეგ, ამ უკანასკნელს უნდა დაენიშნა ეპისკოპოსები ეგრისის სხვადასხვა პუნქტებში (იქვე,118). აღნიშნული ავტორი იბირ–ბ– ზხუას ეგრისის პირველ ეპისკოპოსად მიიჩნევს და სახელი იბერიდან გამომდინარე თვლის, რომ იგი ეთნიკურად ქართველი იყო. მას აფხაზეთის პირველ ეპისკოპოსად დანიშნული სოფრონიუსი და ბასიანის ეპისკოპოსი ევთალიოსიც ქართველებად მიაჩნია. ეგრისის პირველი ეპისკოპოსის რეზიდენცია ეგრისის სამეფო დედაქალაქ ციხე–გოჯში უნდა ყოფილიყო განთავსებული (გოილაძე 1991: 121).

აღნიშნული ცნობების მიხედვით დასავლეთ საქართველოში 325 წლამდე უკვე რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა, მაგრამ, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ორგანიზაცია 325 წლისათვის იმდენად ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, რომ მას მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ცალკე წარმომადგენელი ჰყოლოდა და ამიტომ სტრატოფილე, როგორც ამ რეგიონის ეპარქთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, ნიკეაში მიიწვიეს (მჭედლიძე... 2008: 30).

შემდგომ პერიოდში დასავლეთ საქართველოში არსებული ეპარქიები, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაექვემდებარა. ბასილი სოფენელის მიერ IXს-ის პირველ მესამედში შედგენილი ნოტაციების მიხედვით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შედიოდა: ფაზისის სამიტროპოლიტო, ნიკოფსიისა და სებასტოპოლისის(სოხუმის) საარქიეპისკოპოსოები. თავის მხრივ ფაზისის

სამიტროპოლიტო აერთიანებდა როდოპოლისის, საისენეს (ცაიშის), პეტრასა და ზიგანევის საეპისკოპოსოებს.

ქართლის მეფის ვახტანგ გორგასლის (442–502) ინიციატივით, ქართლის ეკლესიაში კათოლიკოსობის დაწესების შემდეგ (V ს–ის II ნახევარში), საეპისკოპოსოების რიცხვი გაიზარდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. იმხანადქართლის ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს ემორჩილებოდა, ამიტომ: „ანტიოქიელმან პატრიარქმან.... (ქართლში გამოსაგზავნად ბ. გ.) აკურთხნა ათორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე – კათალიკოსად.... ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესიაი მოციქულთაი სუეტი ცხოველი..... და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ – ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა“ (ქართლის ცხოვრება 2008: 215). ანტიოქიის პატრიარქი რომელმაც ხელი დაასხა ქართლის კათალიკოსს, პეტრე მკაწრვალი (484–488) უნდა ყოფილიყო (მამულია 1992: 26).

მეფე ვახტანგმა ბიზანტიიდან მოსულ თორმეტ ეპისკოპოსსაც თავის სამეფოს სხვადასხვა მხარეში გაუჩინა „სამწყსონი“ და დაადგინა ეპისკოპოსებად. მათ შორის: კლარჯეთში (ახიზის), არტაანში (ერუშეთის), ჯავახეთში (წუნდის), ქვემო ქართლში (მანგლისის, ბოლნისის), კუხეთში (რუსთავის), სუჯეთში (ნინოწმინდის), ჰერეთში (ჭერემის), კახეთში (ჩელეთის), კამბეჩანში (ხორნაბუჯის), გარდაბანში (აგარაკის) და შიდა ქრთლში (ნიქოზის) (ქართლის ცხოვრება 2008: 215).

სავარაუდოდ ვახტანგ მეფემ საბერძნეთიდან მოსული ეპისკოპოსების ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში მანამდე არსებულ საეპისკოპოსოებში განაწესა, ნაწილი კი ახლად შექმნილ კათედრებზე დაადგინა.

VII–IX საუკუნეებში ტაო–კლარჯეთის სამთავროში, ძველი საეპისკოპოსოების გვერდით ახალი საეპისკოპოსო კათედრები გაჩნდა, რომლებიც სამეფო და სამთავრო სახლის წევრების პოლიტიკური დასაყრდენი ობიექტები გახდნენ.

ადარნასე ქართველთა მეფემ (888 – 923) IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისში ტაოში, ტაოს ბაგრატიონთა ძირითად სამფლობელოში იშხნის გვერდით, ბანაში დააარსა ახალი საეპისკოპოსო.

დაახლოებით იმ ხანებში, როდესაც ადარნასე ბანას კათედრას აარსებს, არტანუჯელი–კლარჯი მფლობელები ტაოს ბაგრატიონთა საპირისპიროდ შავშეთში აარსებენ ტბეთის ახალ საეპისკოპოსო კათედრას (ნარკვევები 1973ა: 461).

სამეფო ხელისუფლებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის მხარდაჭერას ქვეყნის შიდა და გარე მოწინააღმდეგე ძალებთან საბრძოლველად. მნიშვნელოვანი იყო ეპისკოპოსების როლი ამ ბრძოლაში. იყო შემთხვევები როდესაც

ნაწილი ეპისკოპოსებისა მეფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და გარე ძალას უწევდნენ დახმარებას. მაგრამ იყვნენ ეპისკოპოსები რომლებიც მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მეფეს ერთგულებდნენ და ქვეყნის საერთო ინტერესებს იცავდნენ. ერთ–ერთი ასეთი ფაქტის ნათელი დადასტურებაა „მატიანე ქართლისას“ ცნობა. როდესაც ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი I (1014–1027) გარდაიცვალა, ტახტზე ავიდა მისი ცხრა წლის ვაჟი ბაგრატ IV (1027–1072). ბაგრატის მცირეწლოვანებით ისარგებლეს ტაოელმა აზნაურებმა და ბანელმა ეპისკოპოსმა იოანემ, ისინი გადაუდგნენ მეფეს და ბიზანტიის იმპერატორს მიემხრნენ: „მასვე ჟამსა წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“ (ქართლის ცხოვრება 2008: 278). მათ მიბაძეს ჩანჩახი ფალელმა და არჯევან ჰოლოლას ძემან, რომლებმაც 1028 წელს საქართველოს დასალაშქრად იმპერატორ კონსტანტინეს (1025–1028) მიერ გამოგზავნილ ბიზანტიის ჯარს, გარყლობისა და წერეფთის ციხეები გადასცეს (იქვე, 279). ბანელი ეპისკოპოსი იოანესგან განსხვავებით, მეფე ბაგრატს ერთგულება გამოუცხადეს ტბეთისა და ანჩის ეპისკოპოსებმა. „რაჟამს იხილა საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუაი ღონე, ააგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიჭირა ქუეყანაი შავშეთისაი, ქმნა დიდი ერთგულებაი ბაგრატ აფხაზთა მეფისათვის. პატივ–სცა ღმერთმან და ვერ წარუღეს ქვეყანაი მტერთა... შემოვიდა მასვე ციხესა შინა ეზრა ანჩელი, და რომელნი აზნაურნი გამოჩნდეს ერთგულად, შეუდგეს მასვე ციხესა შინა და გამაგრდეს ფრიად“ (ქართლის ცხოვრება 2008: 279).

საქართველოს ისტორიაში არსებობს სხვა ფაქტებიც როდესაც უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში ეპისკოპოსები უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას. 1625 წელს მარაბდის ველზე ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში, ათიათასამდე დაღუპულ ქართველ მეომარს შორის იყვნენ რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები (ნარკვევები 1973ბ: 285).

VIII ს–ის ბოლოს აფხაზთა ერისთავმა ლეონ II–მ (790–798) დასავლეთ საქართველოს გაერთიანება შეძლო და ეგრის–აფხაზეთის სამეფო შექმნა, რომლის დედაქალაქი ქუთაისი გახდა, ამ სამეფოს შემქმნელ ლეონ II–ს კი „აფხაზთა მეფე“ ეწოდა.

ლეონ II–ის მემკვიდრეები ბიზანტიის იმპერიისგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ. მათ ინტერესში შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან ეგრის–აფხაზეთის ეპარქიების განთავისუფლება და დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ცენტრალიზაცია, ანუ დამოუკიდებელი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის - აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნა.

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა თუ როდის შეიქმნა აფხაზეთის საკათალიკოსო. ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს მ. ბროსემ, ივ. ჯავახიშვილამა, თ. ჟორდანიამ, ნ. მარმა, ს. კაკაბაძემ, ნ. ბერძენიშვილმა, კ. კეკელიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, პ. ინგოროყვამ, მ. ლორთქიფანიძემ, თ. ბერაძემ, ვ. გოილაძემ და სხვ. უკანასკნელ წლებში ეს საკითხი შეისწავლეს ბ. დიასამიძემ, თ. ქორიძემ, ბ. კუდავამ. მკვლევართა მოსაზრებები აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების შესახებ VIII–XIII საუკუნეებით იფარგლება.

მეცნიერები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან დასავლეთ საქართველოს ეპარქიების განთავისუფლების პერიოდის განსასაზღვრად, აღნიშნულ საპატრიარქოში შემავალი საეკლესიო კათედრების ნუსხებს იყენებენ.

ამ საკითხის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნუსხათა ორ ჯგუფს. პირველი ჯგუფის ნუსხები მოიცავს VII–IX საუკუნეებს. ამ ნუსხებში იმ ხანად დასავლეთ საქართველოში არსებული ყველა კათედრის მწყემსმთავარია მოხსენიებული, რაც მათი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებას ნიშნავს. აღნიშნულ ნუსხებში იხსენიებიან: ლაზეთში ფაზისის მიტროპოლიტი და მის დაქვემდებარებაში მყოფი როდოპოლისის, საისენეს, პეტრასა და ძიგანევის ეპისკოპოსები. აქვე მოხსენიებული არიან აფხაზეთის სებასტოპოლის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი და ჯიქეთში ნიკოფსიის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი. მეორე ჯგუფის პირველ ნუსხაში დასავლეთ საქართველოს კათედრების ხელმძღვანელებიდან, მხოლოდ სებასტოპოლისის არქიეპისკოპოსი იხსენიება, ხოლო 927–940 წლებში შედგენილ მეორე ნუსხაში, არცერთი დასავლეთქართული კათედრა აღარ ჩანს, რაც იმას ნიშნავს რომ ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოვიდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან. პირველი ჯგუფის ნუსხების ყველაზე გვიანდელი ნუსხა 820–829 წლებშია შედგენილი, ხოლო მეორე ჯგუფის პირველი ნუსხა 901–907 წლებში (გეორგიკა 1952: 184-185). აღნიშნული ცნობების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან დასავლეთ საქართველოს ეპარქიების განთავისუფლება IX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა.

X საუკუნეში ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის პოლიტიკური გაერთიანებისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა. ამ ბრძოლაში აქტიურად იყო ჩართული „აფხაზთა სამეფო.“ აფხაზთა მეფეები ცდილობდნენ თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროები და ერთიანი ქართული სახელმწიფოსთვის ჩაეყარათ საფუძველი. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად აფხაზთა მეფეებს ძლიერი მოკავშირე ჭირდებოდათ. ესეთი მოკავშირე გახლდათ მცხეთის (ქართლის) საკათალიკოსო.

მცხეთის (ქართლის) საკათალიკოსოსა და დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთ–იმერეთის კულტურულ–რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისთვის მიიწევდა, აფხაზთ მეფეები კი იმერეთ–ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს(ბერძენიშვილი 1966: 50).

ეგრის–აფხაზეთის ხელისუფლება მზად იყო, ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების საქმეში მხარდაჭერის სანაცვლოდ ეგრის–აფხაზეთის ეკლესია დაექვემდებარებინა მცხეთის საკათალიკოსოსადმი, რაც ეგრის–აფხაზეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლების დაპირისპირების მიზეზი გახდა. ამან განაპირობა X საუკუნის დასაწყისიდან ძველი საეკლესიო ცენტრების გაუქმება და ახალი საეპისკოპოსოების დაფუძნება (დიასამიძე 1999: 27).

X საუკუნის მანძილზე მოიშალა გუდაყვის (ძიღანევის) კათედრა, ფოთის კათედრა, ხოლო აშენდა ჭყონდიდის, მოქვის, ბედიისა და სხვა საყდრები, სადაც შეიქმნა ახალი, ქართული საეპისკოპოსო კათედრები (ნარკვევები 1973ა: 425).

დასავლეთ საქართველოს ეკლესია ქართლის საკათალიკოსოს X საუკუნის II ნახევარში უნდა დაქვემდებარებოდა, მაგრამ როგორც ჩანს აფხაზეთის კათალიკოსს, კათალიკოსის ტიტული შეუნარჩუნდა. დასავლეთ საქართველოში არსებული საეპისკოპოსოები ქართლის საკათალიკოსოს სამწყსოში შევიდა.

ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III–მ (978–1014), ბედიაში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების პარალელურად, ქუთაისში საკათედრო ტაძრის მშენებლობა დაიწყო. „...ამანვე აკურთხა ეკლესიაი ქუთათისაი განგებითა დიდითა და მიუწდომელითა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი და ყოველნი დიდებულნი – ზემონი და ქუემონი, მამულსა და სამეფოსა მისსა მყოფნი, და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი“ (ქართლის ცხოვრება 2008: 273).

ბაგრატ III–ის თაოსნობით აშენებული ქუთაისის საკათედრო ტაძარი გახდა სიმბოლო საქართველოს ერთიანობისა. დაახლოებით ამავე პერიოდში უნდა დაარსებულიყო ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაც.

გ. მჭედლიძის ვარაუდით, როდოპოლისის–ვარდციხის საეპისკოპოსო კათედრა, ქუთაისში მონაცვლებული იქნა X საუკუნის 80–იანი წლების II ნახევარში და მისი პირველი მთავარეპისკოპოსი იყო ანტონ ქუთათელი (მჭედლიძე... 2008: 78).

ქუთაისის სამწყსოს საზღვრებში მოქცეული იყო მთელი იმერეთი, გურია, ქვემო აჭარა და საფიქრებელია რაჭაც. საეპისკოპოსოს აღმოსავლეთი ნაწილი ლიხის ქედზე

გადიოდა, სამხრეთით ფერსათის მთაზე, დასავლეთით ცხენისწყალი და ჩრდილოეთით ცაგერის საეპისკოპოსო ესაზღვრებოდა. XV საუკუნის II ნახევრიდან გურია და ქვემო აჭარა ქუთაისის საეპისკოპოსოს დაქვემდებარებიდან გამოვიდა (გაბისონია 2006: 11–13).

XII საუკუნის პირველ მეოთხედში მეფე დავით IV–მ (1089-1125) საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება დაასრულა. მან ქვეყანაში გატარებული ძირეული რეფორმების პარალელურად, ყურადღება მიაქცია ეკლესიის შიგნით არსებულ პრობლემებს და 1104 წელს (არსებობს ამ ფაქტის სხვა დათარიღებაც – 1103, 1105 წლები) მოიწვია საეკლესიო კრება, რომელიც რუის-ურბნისის კრების სახელით არის ცნობილი. მსგავსი კრების ჩატარება XI საუკუნის შუა ხანებში დავით IV-ის ბაბუამ, საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ (1027–1072) სცადა. ამ მიზნით მან საქართველოში ათონის მთაზე მოღვაწე წმინდა მამაგიორგი მთაწმინდელი მოიწვია, მაგრამ როგორც ჩანს ბაგრატმა დასახული მიზნის განხორციელება ვერ შეძლო.

„წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს; და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროის, ვიდრე ღირსებით, დაეპყრნეს უფროისნი საეპისკოპოსონი, – არა კარით მწყემსებრ შესრულთა, არამედ ავაზაკებრ ერდოით; და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს,რომელნი, ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა პყრობისა, უსჯულოებასა აწურთიდეს მათქუეშეთა“ (ქართლის ცხოვრება 2008: 310). ასე გადმოგვცემს XII საუკუნის დასაწყისში ქართულ ეკლესიაში არსებულ ვითარებას დავთ IV-ის ისტორიკოსი.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით კრებას თვით მეფე დავითიც დასწრებია როგორც რიგითი წევრი (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 156).

კრებამ სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად დააკანონა სამღვდელო პირთა ხელდასხმის წესი. განისაზღვრა სასულიერო პირების ასაკი საეკლესიო თანამდებობებზე დასადგენად. „განვაწესეთ, რაითა ამიერითგან არღარა-ვინ იკადროს ქმნად, თვინიერ ვითარ – იგი განაწესებს კანონი. რამეთუ ეპისკოპოსი ოცდაათხუთმეტისა წლისაი, მღდელი ოცდაათისა წლისაი, დიაკონი ოცდახუთისა წლისაი და წიგნის მკითხველი რვისა წლისაი ხელთდასხმულ იქმნებოდინ“ (ქ. ს. ძ. 1970: 115).უღირსი სასულიერო პირები გადაყენებულ იქნენ საეკლესიო თანამდებობებიდან, მათი ადგილი მეფის ერთგულმა სამღვდელოებამ დაიკავა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩატარება პოლიტიკური ინტერესებითაც იყო გამოწვეული. მეფე დავითმა ამ კრების საშუალებით, ეკლესიაში წესრიგის აღდგენასთან ერთად, გზიდან ჩამოიშორა მისი პოლიტიკით უკმაყოფილო სასულიერო პირები და ეკლესიაზე სახელისუფლებო კონტროლი დაამყარა. მნიშვნელოვანი იყო დავით მეფის მიერ მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობათა ერთი პირის

ხელშიმოქცევა. პირველი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მეფე დავითის აღმზრდელი და მრჩეველი - გიორგი გახდა.

„…კუალად მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა განგებისა საეკლესიოისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“ (ქართლის ცხოვრება 2008: 336), აღნიშნავს დავით მეფის ისტორიკოსი.

მეფე დავით IV ხელს უწყობდა ეკლესიის გაძლიერებას. მისი მეფობის დროს გაიზარდა ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობა. გაფართოვდა საეპისკოპოსოები. გაძლიერდა ეპისკოპოსების გავლენა. იყო შემთხვევები როდესაც სხვადასხვა მხარეში არსებულ საეპისკოპოსოებს, ერთი სასულიერო პირი ედგა სათავეში. ერთერთი მათგანი გახლდათ გიორგი მწიგნობართუხუცესის დისწულისვიმონ ჭყონდიდელ-ბედიელ–ალავერდელი. ჭყონდიდელ-ბედიელ–ალავერდელის პატივი, როგორც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს უძლიერესი საეპისკოპოსოების საჭეთმპყრობელისა, საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს ქმნიდა.

მეფე დავითმა ეკლესია-მონასტრები ყოველგვარი სახის გადასახადებისაგან გაანთავისუფლა და ამ მხრივაც ხელი შეუწყო ეკლესიის ეკონომიკურ გაძლიერებას. „განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგვეთა მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ბეგარისა და ჭირისაგან, რაითა თავისუფალთა საღმრთოი მსახურებაი მიუპყრან ღმერთსა“ (ქართლის ცხოვრება 2008: 337).

ეკლესიის საგადასახადო შეუვალობა როგორც ჩანს სახელმწიფოს მძიმე ტვირთად დააწვა დავით IV-ის მემკვიდრეების მეფობის დროს. ამის გამო მეფე გიორგი III-მ (1156-1184) ეკლესიას საგადასახადო შეუვალობა მოუხსნა, რამაც ბუნებრივია სამღვდელოების უკმაყოფილება გამოიწვია.

1177-78 წლებში გიორგი III-ის წინააღმდეგ ამირსპასალარ ივანე ორბელის თაოსნობით მოწყობილი აჯანყების დროს, მეფე გიორგის, ეკლესიამ ერთგულება გამოუცხადა. მეფემ აჯანყება ჩაახშო და მისი ორგანიზატორები სასტიკად დასაჯა. სამღვდელოებამ მეფეს გამარჯვება მიულოცა და ამასთანავე შესაძლებლად ჩათვალა საგადასახადო შეუვალობის მოთხოვნა. ეკლესიის მესვეურებმა დრო ძალიან მოხერხებულად შეარჩიეს. გიორგიმ, მართალია, გაიმარჯვა, მაგრამ ეს გამარჯვება მას იოლად არ მოუპოვებია. ამიტომ მისთვის არ იყო ხელსაყრელი ეკლესიასთან ურთიერთობის გამწვავება და მისი მოთხოვნა დაუყონებლივ შეასრულა–საგანგებო

სიგელით დაამტკიცა ეკლესიის მამულების საგადასახადო შეუვალობა (ნარკვევები 1979: 294).

ძლიერი იყო ეკლესია თამარის მეფობის (1179/84 –1213) პერიოდშიც. მეფე თამარი ზრუნავდა ქართული ეკლესია – მონასტრების გაძლიერებაზე არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. „არა ოდენ საქართველოსა მონასტერნი ააშენა, არამედ პალესტინეს იერუსალემს ააშენა პირველად მონასტერი; და კუალად კვიპრეს ღალია შეამკო და უყიდნა შესავალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვლითა წესითა პატიოსნისა მონასტრისათა. და კუალად კონსტანტინეპოლის აღაშენა მეტოქი მათი..... და საქართველოსა მცირითგან მონასტერ–საყდარ–ეკლესიად არა დაუტევა, რომელ არა წყალობითა აღავსო“ (ქართლის ცხოვრება 2008: 462).

თამარს გამეფების პირველსავე წლებში დიდგვაროვანი ფეოდალური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუპირისპირდა და სცადა ახალგაზრდა მეფე–ქალი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. დიდგვაროვნების მსგავსად თავისი უფლებრივი მდგომარეობის გაზრდა მოინდომა ქართლის კათალიკოსმა მიქაელმაც (1178 – 1187). მან თამარს მწიგნობართუხუცეს–ჭყონდიდელის თანამდებობა მოსთხოვა, რომელიც მეფე თამარის ერთგულ პირს, ანტონ გნოლისთავისძეს ეკავა. თამარი იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო. კათალიკოს მიქაელს, გარდა მწიგნობართუხუცეს–ჭყონდიდელის თანამდებობისა, სამთავისისა და აწყურის ეპარქიებიც ეჭირა.

თამარი ვერ ურიგდებოდა კათალიკოს მიქაელის ესოდენ გაძლიერებას. მეფემ თავისი პოზიციების განმტკიცების შემდეგ სეკლესიო კრება მოიწვია, რომელსაც მიქაელი კათალიკოსობიდან უნდა გადაეყენებინა. ამ კრების ჩასატარებლად თამარმა იერუსალიმიდან სპეციალურად ჩამოიყვანა ქართლის ყოფილი კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე.

კრებას მეფე თამარიც დაესწრო როგორც რიგითი წევრი. კრება მიჰყავდათ ნიკოლოზ გულაბერისძეს და ქუთათელ ანტონ საღირისძეს. ისინი დარწმუნებული იყვნენ რომ მიქაელის კათალიკოსობიდან გადაყენებას შეძლებდნენ და არც კი ისურვეს მისი დასწრება კრებაზე, მაგრამ თავიანთი ჩანაფიქრი სისრულეში ვერ მოიყვანეს. საეკლესიო კრებამ ვერ შეძლო მიქაელის კათალიკოსობიდან გადაყენება. როგორც ჩანს კათალიკოსს მაღალ სამღვდელოებაში მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა.

„ხოლო წინამძღუართა კრებისათა ნიკოლაოს და ანტონი, რომელნი, ვითარ პირმეტყუელნი მთიებნი უძღოდეს მომრგუალებასა ცაებრისა მის ვარსკულავთა კრებულისასა, არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი, რამეთუ წინაუკმო რამე ეწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელ–მაწყუერელობა და მწიგნობართუხუცესობა მოევერაგა ჟამისაგან. არამედ ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად

იღუაწეს, რომელი ადრე თვით განაყენა სასჯელმან ღმრთისამან“ (ქართლის ცხოვრება 2008: 486).

თამარმა მიქაელის კათალიკოსობიდან ჩამოცილება ვერ მოახერხა, მაგრამ მოწვეული კრების საშუალებით მან ეკლესიაში თავისი პოზიციები განიმტკიცა. არასასურველი ეპისკოპოსები გადაყენებული იქნენ და მათი ადგილი მეფის ერთგულმა სასულიერო პირებმა დაიკავეს: „ხოლო სხუანი ვინმე ეპისკოპოსნი შეიცვალნეს და მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს; და სხუანი საეკლესიონი წესნი განმართნეს, უდებთა მიერ დახსნილნი“ (ქართლის ცხოვრება 2008: 486).

XIII ს–ის II ნახევარში მონღოლთა ბატონობის დროს, ერთიანი საქართველოს პოლიტიკური რღვევის პირველი ბზარი გაჩნდა, რაც XV ს–ის II ნახევარში ერთიანი საქართველოს ცალკეულ სამეფო–სამთავროებად დაშლით დასრულდა. შეიქმნა სამი ქართული სამეფო: ქართლის, კახეთის და იმერეთის. პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა სამცხე–საათაბაგომაც.

იმერეთის სამეფო ფორმალურად მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა. თუმცა სამეგრელოსა და გურიის მთავრების მორჩილება იმერეთის მეფისადმი, მხოლოდ მეფის მიერ მოწყობილ ლაშქრობებში მონაწილეობის მიღებით იფარგლებოდა. მთავრები განთავისუფლებული იყვნენ სხვა ვალდებულებებისაგან. მოგვიანებით სამეგრელოს გამოეყო აფხაზეთის სამთავრო. შეიქმნა სვანეთის სამთავროც.

ქვეყნის პოლიტიკურ დაშლასთან ერთად სეპარატისტული მოძრაობა დაიწყო ეკლესიაშიც. სამცხის ათაბაგმა ყვარყვარე ჯაყელმა (1451–1498) მცხეთის საკათალიკოსოს დაქვემდებარებიდან სამცხის ეპარქიების გამოყოფა სცადა. ამ მიზნის განმახორციელებელ საუკეთესო საშუალებად ყუარყუარე ათაბაგს, როგორც ჩანს, მაწყვერელი ეპისკოპოსის ამაღლება და მესხეთის საეპისკოპოსო საყდრების უფროსად ქცევა მიუჩნევია (ჯავახიშვილი 1982: 278).

სამცხის ათაბაგის ყვარყვარეს და სამცხელი სასულიერო პირების სეპარატისტულ ქმედებებს წინ აღუდგა საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი დავით ჭავჭავაძე (1443/47–1459). პატრიარქის მტკიცე პოზიციამ უკან დაახევინა ვარძიელ და საფარელ ბერებს, რომლებიც განუდგნენ მცხეთას(მეტრეველი 2010: 72).

ივ. ჯავახიშვილის თქმით: „კათალიკოზი დავითი... განხეთქილებისა და განკერძოების მომხრე მესხეთის ეპისკოპოსებს გასწყრომია და მათ მოსარჯულებლად უკიდურესი საშუალებისთვისაც კი მიუმართავს და შეუჩვენებია ისე, რომ მისგან „მაწყუერელი და სამცხის ეპისკოპოსნი.... უჯარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა“ (ჯავახიშვილი 1982: 279).

სამცხის ათაბაგისა და მესხი სასულიერო პირების განზრახვა არ განხორციელდა, თუმცა საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნება მაინც ვერ მოხერხდა. XV ს–ის 70–იან წლებში, ერთიან ქართულ ეკლესიას გამოეყო აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო. ეს ფაქტი შემონახულია დოკუმენტში „მცნებაი სარჯულო“.

„...მოვივლინე ღვთისა მიერ მე ყოველთა ნარჩევმან იერუსალიმისა და ანტიოქიისა პატრიარქი: მიხაეილ: მოვიწიე დიდსა მას ქრისტეს სამწყსოსა მაზებელსა იერუსალიმისა საქართველოს.... ღვთივ გვირგვინოსანმან ბაგრატ და დიდმან ერისთავთერისთავმან დადიან გურიელმან შამადავლა მისთა თავადთა თანადგომითა და დიდად ღვთისგან სათნოდ გამორჩეულისა..... ცაიშელ–ბედიელისა იოვაკიმისა, იქნა გამოძიება და მოკითხუა..... ვითარ იგი ხ–ლდ (ხელდასხმულნი ბ. გ.), ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი, ანდიოშისა პატრიარქთაგან იკურთხეოდიან და ჟამთა სიძუელისგან და სოფლისა სივერაგეთაგან იყუნეს მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევი..... ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ. მარჯუენაი იერუსალიმისა აფხაზეთისა კათალიკოზი: და კურთხეულმცა არის და დავაყენეთ და დავსვით აფხაზეთს“ (კაკაბაძე 1913დ: 4, ჟორდანია 1897: 294).

ამ დოკუმენტიდა ჩანს რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს ერთიანი ქართული ეკლესიიდან გამოყოფის ინიციატორები, ქართლ–იმერეთის მეფე ბაგრატ VI (1466 – 1478) და დადიან–გურიელი შამადავლა ყოფილან. მათ საქართველოში ჩამოსულ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქ მიხაილს (1470/74 – 1480) აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხევინეს ცაიშელ–ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოავკიმე, რაც საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის საქმეებში უხეშ ჩარევას ნიშნავდა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უფლებებს ლახავდა.

„მცნებაი სარჯულოს“ შედგენის თარიღად 1470–74 წლებია მიჩნეული, რადგან ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ამ დოკუმენტში მოხსენიებული შამადავლა, ბედიანი 1470 წელს გახდა და 1474 წელს გარდაიცვალა(კაკაბაძე 1913დ: 3, ქორიძე 2003: 20).

ანტიოქიელი პატრიარქები ყოველთვის გამოთქვამდნენ თავიანთ პრეტენზიებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ (ასეთი ფაქტები იყო ჯერ კიდევ VIII-XI სს– ში) და ცდილობდნენ მასზე თავიანთი უფლებების გავრცელებას. ბუნებრივია მოცემულ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქი მიხაილი და სიხარულით დაასხავდა ხელს აფხაზეთის კათალიკოსს რომელიც მას დაექვემდებარებოდა.

ნ. ბერძენიშვილის შეფასებით: „მიქაელ პატრიარქი „შეემთხვა“ სწორედ ისეთ დროსა და პირობებს, როცა მისი კურთხევა და მადლი საჭირო და ნაყოფიერი იყო

მთლიანი საქართველოს მესაფლავეთათვის. მან შეასრულა უკანასკნელთა ნანატრი: აფხაზეთის კათალიკოზი მცხეთის ტახტის მორჩილებისგან განათავისუფლა და „იერუსალიმის მარჯვუენაი“-ს მაღალი სახელი მიანიჭა. სამაგიეროდ მოკარდაკარე პატრიარქმა შემოსავლის წყარო გაიჩინა“ (ბერძენიშვილი 1971: 103).

ივ. ჯავახიშვილის თქმით: „პატრიარქმა მიხეილმა, ბაგრატ მეფემ და დადიან–გურიელმა შამადავლამ ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი, ქართული ეკლესიის თავისუფლება მოსპეს და გაანადგურეს“ (ჯავახიშვილი1982: 338)!

პატრიარქ მიქაელის მიერ აფხაზეთის კათალიკოსის კურთხევა მხოლოდ ერთი კონკრეტული ფაქტი აღმოჩნდა. ამის შემდეგ არც ანტიოქიელ და არც სხვა რომელიმე პატრიარქს აფხაზეთის კათალიკოსი აღარ უკურთხებია.

აფხაზეთის საკათალიკოსო რომ დამოუკიდებელი ეკლესია იყო ამას ცხადყოფს ცნობები აფხაზეთის კათალიკოსთა მიერ მირონის ხარშვის შესახებ, (ძამპი, შარდენი). მირონის ხარშვის(შეზავების) უფლება კი მხოლოდ ავტოკეფალური ეკლესიის მწყემსმთავრებს ჰქონდათ.

აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთაში განთავსდა. აფხაზეთის კათალიკოსს დაემორჩილა დასავლეთ საქართველოში არსებული ყველა საეპისკოპოსო კათედრა.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიას„აფხაზეთის საკათალიკოსო“ ისტორიული ფაქტორის გამო ეწოდა. (თვით „აფხაზთა სამეფო“ დასავლეთ ქართული პოლიტიკური ერთეული იყო) მას ლიხთ-იმერეთის საკათალიკოსოდაც იხსენიებდნენ. აფხაზეთის კათალიკოსები ეთნიკურად ქართველები იყვნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის საერო და სასულიერო ცხოვრებაში. ქვეყანაში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს, აფხაზეთის კათალიკოსები ქართლის კათალიკოსებთან ერთად განიხილავდნენ. ამას მოწმობს ისტორიული დოკუმენტი „სამართალი კათალიკოზისა“. ჩვენს ხელთ არსებულ არც ერთ დოკუმენტში არ ფიქსირდება აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსებს შორის კონფლიქტი და უთანხმოება, თუმცა აფხაზეთის საკათალიკოსოს ერთიანი ქართული ეკლესიიდან გამოყოფა, ბუნებრივია არასაურველი ფაქტი იყო.

XV საუკუნეში ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას და ერთიანი ქართული სამეფოს დაშლას, ფეოდალების გაძლიერება მოჰყვა. მათ დროებით მფლობელობაში არსებული მიწები სამემკვიდრეოდ გაიხადეს და თავიანთ მამულებში სრული შეუვალობისათვის დაიწყეს ბრძოლა. ასე შეიქმნა სათავადოები.

„აქა არღარა იცვალებოდა ერისთავნი და არცა თავადნი, ყოველნივე ხევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკვიდრ ქმნილიყვნენ, და ვისცა მამულსა მისცემდა, მკვიდრად მიეცემოდა. და ყოველნივე ძლიერ იყვნეს: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი“ (ყაუხჩიშვილი 1959: 3448).

თითოეული სათავადო თავის საზღვრებში დამოუკიდებელ სამეურნეო–ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მას ჰქონდა თავისი გამაგრების სისტემა და თავისი ეკლესია–მონასტრები. სათავადოს სათავეში ედგა დიდებული თავადი, რომელსაც ემორჩილებოდნენ საერო საგვარეულო სახლის წევრები.

სათავადოების გვერდით არსებობდა საუფლისწულოებიც, რომლებიც სამეფო სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ. XV ს-ის II ნახევრიდან თავადების მსგავსად უფლისწულებმაც კუთვნილ მამულებში მდგომარეობა განიმტკიცეს და თავიანთი უფლებების გაზრდაზე დაიწყეს ზრუნვა. ისინი ხშირად უპირისპირდებოდნენ ხელისუფლებას სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში.

სათავადოებისა და საუფლისწულოების გაძლიერებამ კიდევ უფრო დაასუსტა სამეფო ხელისუფლება და ხელი შეუშალა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

XVI ს-ის დასაწყისში ქართულ სამეფოებს შორის ბრძოლა გრძელდებოდა. ქართლის, კახეთის და იმერეთის მეფეები ვერ ურიგდებოდნენ ქვეყნის დაშლის ფაქტს და თითოეული მათგანი ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ საქართველოს გაერთიანებას. 1509 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე ბაგრატის ძე (1484–1510) ქართლში შეიჭრა და ქალაქი გორი აიღო. ქართლის მეფე დავით X-მ (1505–1525) წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა იმერლებმა გორის შენარჩუნება ვერ მოახერხეს.

1510 წლის პირველ აპრილს იმერეთის მეფე ალექსანდრე გარდაიცვალა და ტახტზე მისი 15 წლის ვაჟიბაგრატ III ავიდა, რომელმაც დასუსტებული დასავლეთქართული ეკლესიის გაძლიერება დაისახა მიზნად და საფუძველი ჩაუყარა გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების დაარსებას.

თავი II

ახალი საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) დაარსება იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის თაოსნობით XVI – საუკუნის პირველ ნახევარში

§ 1

ახალი საეპისკოპოსოების დაარსების მოტივი და მიზანი

ბაგრატის III–ის (1510–1565) გამეფების პირველსავე წელს, იმერეთში ოსმალთა ჯარი შემოიჭრა ტრაპიზონის ფაშა სელიმის მეთაურობით. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ოსმალებს დახმარება სამცხის ათაბაგმა მზეჭაბუკმა (1500–1515) გაუწია და ისინი სამცხიდან იმერეთში ზეკარის უღელტეხილის გავლით გადაიყვანა. ვახუშტი ბატონიშვილი ოსმალების იმერეთში შეჭრას 1512 წლით ათარიღებს: „წელსა ქ˜ს (ქორონიკონსა) ჩ. ფ. ი. ბ. (1512) მეფობასა ბაგრატისასა მეორესა, გამოვიდა სპასპეტი სულტან სელიმისა სპითა უამრავითა და მოადგა სამცხეს. ამას მიეგება ათაბაგი მზეჭაბუკ, მოუძღუა და ჩამოიყვანა ფერსათსა ზედა იმერეთს. გარნა მოსრულთა ოსმალთა დაწუეს ქუთათისი და გელათი. მერმე მოაოხრნეს, მოწუეს, მოსრნეს და მოსტყუევნნეს, სად ვინ ჰპოვნნეს იმერეთსა შინა და უკუნიქცნენ მასვე გზასა ზედა და წარვიდნენ“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 810).

ამავე ფაქტს 1514 წლით ათარიღებს ბერი ეგნატაშვილი (ყაუხჩიშვილი 1959: 350). ზოგიერთი ცნობით აღნიშნულიფაქტი 1508 და 1509 წლებით თარიღდება(ჟორდანია 1897: 326).

სამი უძველესი ქრონიკის მიხედვით ოსმალების იმერეთში შემოჭრა 1510 წელსმოხდა. ყველაზე სანდო ეს ცნობები უნდა იყოს. მათ შორის არის გელათური წმინდა გიორგის XVI საუკუნის ხელნაწერი გულანი, სადაც ნათქვამია: „ქკ˜ს :რჟდ:ამა ქორონიკონს (1510) მოვიდა თათარი ნოემბერსა :კგ: (23) და დაწუეს საყდარი ქუთათისა და გელათი“ (იქვე, 327).

ეს გახლდათ ოსმალების პირველი თავდასხმა იმერეთის სამეფოზე. გაცილებით უფრო ადრე 1451 წელს, ოსმალები 50 კატარღით ზღვიდან აფხაზეთს დაეცნენ და სოხუმი დაარბიეს (ჟორდანია 1897: 61). ოსმალების გამოჩენა ბაგრატ III–ისთვის

საგანგაშო სიგნალი იყო. ახალგაზრდა მეფემ მოახლოებულისაფრთხისგანთავის დასაცავად საჭირო ზომების მიღება დაიწყო.

XVI საუკუნეში ოსმალეთის იმპერია საგრძნობლად გაძლიერდა. მისი სახით სამცხესა და დასავლეთ საქართველოს აგრესიული მოწინააღმდეგე გაუჩნდა. აღმოსავლეთ საქართველოს კი დასაპყრობად ყიზილბაშური ირანის ძლიერი სახელმწიფო ემუქრებოდა.

ოსმალებმა საქართველოს დაპყრობა სამცხიდან დაიწყეს. მათი გავლენის ქვეშ მოქცეული ჩრდილო შავიზღვისპირეთელი ჯიქები, პარალელურად სამეგრელო–გურიისა და აფხაზეთის ზღვისპირა ზოლს არბევდნენ.

ბაგრატ III ცდილობდა დასავლეთ საქართველოს ერთიანობა შეენარჩუნებინა და მოახლოებული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ორგანიზებულად გამოსულიყო. ამ მხრივ საჭირო იყო დასავლეთით შავი ზღვის ზოლის გამაგრება და ჯიქთა თავდასხმების აღკვეთა, ხოლო სამხრეთით სამცხე–საათაბაგოს დამორჩილება და იმერეთში გადასასვლელი გზების ჩაკეტვა. (ყველაზე დიდი საფრთხე იმერეთის სამეფოს ოსმალების თავდასხმისა, სამცხე – საათაბაგოდან ემუქრებოდა).

დასახულ მიზნებს ბაგრატ III ეტაპობრივად ახორციელებდა. პირველ რიგში მან სამეფოს შიგნით არსებული პრობლემების მოგვარება დაიწყო. ბაგრატს, გამეფებიდან მესამე წელს თავისი ძმა – ვახტანგი დაუპირისპირდა და მეფობას შეეცილა. 1512 წელს ბაგრატი მოულოდნელად თავს დაესხა მოხისს დაბანაკებულ უფლისწულს.... ვახტანგი დამარცხდა. ამის შემდეგ ქართლის მეფის „შუამდგომლობით“ ძმებმა „ზავ–ჰყვეს“. ვახტანგი, ბაგრატთან ერთად იმერეთში ჩამოვიდა და მათ შორის მშვიდობა დამყარდა (სოსელია 1990: 26).

მეფე ბაგრატის მორჩილებისაგან თავის დაღწევას ცდილობდნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები. მეფესხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაშიწინ ეღობებოდნენ ახლადაღმოცენებული სათავადოებიც. იმ ხანად (XVI ს–ის პირველ ნახევარში) იმერეთის სამეფოში არსებობდა ჩიჯავაძეების, ღოღობერიძეების, წულუკიძეების (რაჭა – იმერეთში) და ნიჟარაძეების ძლიერი სათავადოები (სოსელია 1981: 7–149). მოგვიანებით გაძლიერდნენ წერეთლების, აბაშიძეების და ჩხეიძეების ფეოდალური სახლები.

მეფე ბაგრატს გაძლიერებული მთავრებისა და თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირე ესაჭიროებოდა. ეს მოკავშირე ეკლესია იყო. ეკლესიას დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში. ამიტომ ძლიერი მონარქები ყოველთვის ცდილობდნენ ეკლესია თავისი კონტროლის ქვეშ მოექციათ. საქართველოს ეკლესიის

მწყემსმთავრები ქვეყნის ერთიანობის პრინციპს იცავდნენ და პოლიტიკური დაქუცმაცებულობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამ მხრივ მეფისა და ეკლესიის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. მაღალი სასულიერო პირები „ღვთივ–გვირგვინოსანი“ მეფის გვერდით დგებოდნენ სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს სამეფო–სამთავროებად დაშლის შემდეგ, ეკლესიამ მეტ–ნაკლებად ერთიანობა შეინარჩუნა.[4] ეკლესიის ერთიანობა კი საფუძველს ქმნიდა და იმედს უსახავდა საქართველოს გაერთიანების მოსურნეთ. ეკლესია დიდი ყმა–მამულის მფლობელი იყო. საერო ფეოდალებს მისი მამულის დატაცებაზე ეჭირათ თვალი. მეფე კი ეკლესიის მიწებს იცავდა (რეხვიაშვილი 1989: 45).

არსებული წყაროების მიხედვით XVI საუკუნის პირველ მეოთხედში, იმერეთის მხარეში მხოლოდ ქუთაისის საეპისკოპოსო იყო. ჩანს, ქუთათელი ეპისკოპოსი ჟამთა ვითარების გამო ვეღარ ახერხებდა მომძლავრებული ფეოდალებისაგან საქუთათლო ყმა–მამულის დაცვას. ფეოდალების მიერ საეკლესიო მიწების მიტაცება და სამემკვიდრეოდ დასაკუთრება, სამეფო ხელისუფლების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მეფე ბაგრატმა ეკლესიის მფლობელობაში არსებული მიწების გადარჩენისა და თავისთვის პოლიტიკური დასაყრდენის გაჩენის მიზნით, აფხაზეთის კათალიკოს მალაქია აბაშიძესთან (დაახლოებით 1519-1540 წწ.) შეთანხმების შემდეგ, გადაწყვიტა, იმერეთში ახალი საეპისკოპოსო კათედრები დაეარსებინა.

ზოგიერთი მოსაზრებით, მეფე ბაგრატ III–ის მიერ იმერეთში ახალი საეპისკოპოსოების დაარსება, ქუთათელი მღვდელმთავრებისთვის გავლენის სფეროს შეზღუდვის გამო მოხდა, რაც აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსების ინტერესებშიც შედიოდა (გაბისონია 2008: 129). თუმცა ნაკლებად დასაჯერებელია, რომ XVI ს-ის I ნახევარში ქუთათელ ეპისკოპოსს ისეთივე გავლენა ჰქონოდა, როგორც XI–XIII საუკუნეებში და ის თავისი გავლენის სფეროებით იმერეთის მეფეს ან აფხაზეთის კათალიკოსს რაიმე პრობლემებს უქმნიდა. როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისის საეპისკოპოსოსაგან გელათისა და ხონის საეპისკოპოსოების გამოყოფა, ეკლესიის ყმა-მამულის დაცვისა და მეფისათვის პოლიტიკური დასაყრდენის შექმნით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

ეპისკოპოსის პატივს ფეოდალურ საქართველოში დიდგვაროვანი წრიდან გამოსული სასულიერო პირები იღებდნენ, ამიტომ საეპისკოპოსოების დაარსებით მეფე თავის ერთგულ ფეოდალთა დასს ქმნიდა (რეხვიაშვილი 1989: 45).

[4]თუ არ ჩავთვლით აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოყოფას ერთიანი ქართული ეკლესიისგან XV ს – ის 70 – იანი წლებში.

ეპისკოპოსი ბერ–მონაზონიიყო, ამიტომ ის მიწებისსამემკვიდრეოდ დასაკუთრებაზე არ ზრუნავდა და ამ მხრივ სამეფო ხელისუფლებას პრობლემებს არ უქმნიდა. პირიქით, როგორც აღვნიშნეთ ეპისკოპოსები ძირითადათ მეფის ერთგულნი იყვნენ და მხარში ედგნენ სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

§ 2

გელათის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები

იმერეთის სამეფოში ახალი საეპისკოპოსოების დაარსების შესახებ ცნობა შემონახულია „ქართლის ცხოვრების გაგრძელებაში:“ „ქორონიკონსა :ს ი ზ: (218) – 1529 წ. – მიიცვალა ქუთათელი გერასიმე, იანვარსა ი. (10)

ამასვე წელიწადსა დაჯდა მათი ძმისწული სვიმონ, და წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინტისასა.

ამასვე ქორონიკონსა მეფეთ–მეფემან ბაგრატ განყო ლიხთ–იმერი სამ საეპისკოპოზოდ, ბრძანებითა აფხაზეთისა კათალიკოზისა აბაშიძისათა. ინება ღვთივ–გვირგვინოსანმან მეფეთ–მეფემან ბაგრატ და დედოფალთა დედოფალმან ელენე დიდისა და ცათა მობაძავისა საყდრისა, ახლისა იერუსალიმისა, გენათისა ეპისკოპოზისა მელქისედეკისა საყუარელის ძისა, საუკუნომცა არს ხსენება მათი.

ამასავე დროსა იმავე პატრონმან გააჩინა ხონელ ეპისკოპოზად მჩეტის–ძე (ჩხეტიძე) მანოელ მისვე აფხაზეთისა კათალიკოზისა ხელითა საყდართა შიგან ბიჭვინტისათა, ქორონიკონი იყო :ს ი ზ: (218) – 1529 წ. წარვედით აფხაზეთს საკურთხევლად ივნისსა კ, (20) და მოვედით ივლისსა კ. (20)“ (ყაუხჩიშვილი 1959: 493).

ანალოგიური ცნობაა დაცული იმერეთში ახალი საეპისკოპოსოების დაარსების შესახებ მატიანეში „ცხოვრება საქართველოისა,“ ეგრეთ წოდებული „პარიზის ქრონიკა“ (პარიზის ქრონიკა: 1980 41).

ზოგიერთი ცნობის მიხედვით გელათში საეპისკოპოსო კათედრა 1519 წელსდაარსდა: „ ქკ˜ ს (ქორონიკონსა) :ს ზ: (1519) გელათს ეპისკოპოსი დამჯდარა.“ – „ქკ˜ ს (ქორონიკონსა) :ს ზ: გელათი საეპისკოპოზოდ ჰყვეს, საყვარელიძე მელქისედეკ დასვეს:“ (ჟორდანია 1897: 336).

1519 წლით ათარიღებს გელათის საეპისკოპოსოს დაარსებას ვახუშტი ბატონიშვილიც: „შემოიკრიბნა კათალიკოზ–ეპისკოპოზნი იმერეთისანი ბაგრატ მეფემან და ჰყო გელათი საეპისკოპოსოდ და დასუა საყუარელიძე მელქისედეკ, ქ ~ ს (ქორონიკონსა) ჩ. ფ. ი. თ. (1519)“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 810).

შემოქმედის გულანში გელათის საეპისკოპოსოს დაარსება 1525 წლით თარიღდება (ჟორდანია 1897: 336).

გელათის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებგანსხვავებულითარიღების არსებობამ, მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თ. ჟორდანიას ვარაუდით გელათში საეპისკოპოსო კათედრა 1519 წელსშეიქმნა. თავდაპირველად ასევე ფიქრობდნენ ს. კაკაბაძე და ბ. ლომინაძეც, თუმცა მოგვიანებით მათ აზრი შეიცვალეს და გელათის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღად 1529 წელი მიიჩნიეს სწორად. აღნიშნული ფაქტის თარიღად 1529 წელი გაიზიარეს ი. დოლიძემ, მ. რეხვიაშვილმა, ო. სოსელიამ, ლ. ტყეშელაშვილმა, გ. მჭედლიძემ, პ. გაბისონიამ და სხვებმა, ხოლო მ. გოგსაძემ და თ. ქორიძემ 1519 წელი. ამ უკანასკნელის ვარაუდით „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში დაცული ცნობის მიხედვით, ავტორს ხელთ ჰქონდა აღნიშნული მოვლენის ამსახველი ძველი ხელნაწერი და შესაძლებელია, თარიღის გადმოტანისას უნებლიე შეცდომა მოსვლოდა, კერძოდ კი „ს ზ“–ს (რაც აღნიშნავს 207–ს და 1519 წელს შეესაბამება) ნაცვლად „ს ი ზ“ (რაც აღნიშნავს 217–ს და 1529 წელს შეესაბამება) დაეწერა, ანუ 10–ის აღმნიშვნელი „ი“ ასო გაკრული ხელით წერისას ძალაუნებურად ჩაემატებინა. ან შესაძლოა მას ხელთ ჰქონდა უკვე შეცდომით დათარიღებული ამ მოვლენის ამსახველი ხელნაწერი (კ ლ ი ო - 15 2002: 14). ეს ვარაუდი ნაკლებ დამაჯერებელია, რადგან არსებობს სხვა მინაწერებიც, სადაც სვიმეონის ქუთათელად ხელდასხმა, „ახალი ქართლის ცხოვრებისა“ და „პარიზის ქრონიკაში“ დაცული ცნობების მსგავსად, 1529 წლით თარიღდება (ჟორდანია 1897: 372). ზემოთ მოყვანილი ვარაუდის მიხედვით კი გამოდის, რომ გენათელ მელქისედეკ საყვარელიძესთან ერთად, ქუთათელი სვიმეონისა და ხონელი მანოელის ხელდასხმაც 1519 წელს მომხდარა, რაც როგორც აღვნიშნეთ სხვა წყაროებით არ დასტურდება. ამგვარად „ქართლის ცხოვრების გაგრძელებასა“ და „პარიზის ქრონიკაში“ დაცული ცნობები, რომელიც 1529 წელს ქუთაისის საეპისკოპოსოსაგან გელათისა და ხონის საეპისკოპოსოების გამოყოფას შეეხება, სანდო უნდა იყოს.

1519 წლის საბუთებში იხსენიება გელათის მოძღვართ-მოძღვარი ილარიონი, რომელიც გარდაცვლილა ამავე წლის 6 მაისს (ჟორდანია 1897: 341). არ არის გამორიცხული, რომ მემატიანეები, მათ შორის ვახუშტი ბატონიშვილიც, გელათის მოძღვართ-მოძღვარ ილარიონს, რომელიც ამავე დროს გელათის აკადემიის რექტორი იყო, უკანასკნელ მოძღვართ-მოძღვრად მიიჩნევდნენ და 1519 წელს მისი

გარდაცვალების ფაქტს უკავშირებდნენ იმავე წელს გელათის საეპისკოპოსოს შექმნას და გენათელ ეპისკოპოსად მელქისედეკ საყვარელიძის ხელდასხმას.

ილარიონი გელათის უკანასკნელი მოძღვართ მოძღვარი რომ არ ყოფილა ამას 1527 წლის გელათის სიგელი ცხადყოფს, სადაც აფხაზეთის კათალიკოს მალაქიასა და ქართლის კათალიკოს ბასილიოსთან ერთად მოხსენიებულია გელათის მოძღვართ-მოძღვარი მანასე და წინამძღვარი მაკარე (ჟორდანია 1897: 370). ამ სიგელის შესახებ ქვემოთ შევჩერდებით.

ილარიონი, გელათის უკანასკნელ მოძღვართ–მოძღვრად მიაჩნია ზოგიერთ თანამედროვე მკვლევარსაც, ხოლო 1527 წლის საბუთში მოხსენიებული მოძღვართ–მოძღვარი მანასე, 1505 წელს გარდაცვლილად (ტყეშელაშვილი 2007: 72), რაც სიზუსტეს მოკლებულია. 1505 წელს გარდაცვლილი მანასე, ისტორიულ წყაროში მოხსენიებულია როგორც „დიდისა მონასტრისა გენათისა წინამძღვარი“ და არა „მოძღვართ მოძღვარი:“ „ქორონიკონსა :რ ჟ გ: (1505) დიდისა მონასტრისა გენათისა წინამძღვარი მანასე მიიცვალა“ (ყაუხჩიშვილი1959: 487. პარიზის ქრონიკა 1980: 41). ამგვარად 1505 წელს გარდაცლილი გელათის მონასტრის წინამძღვარი მანასე და 1527 წლის საბუთში მოხსენიებული მოძღვართ მოძღვარი მანასე, სხვადასხვა პიროვნებაა.

ირკვევა, რომ მოძღვართ მოძღვარი ილარიონის შემდეგ გელათში კვლავ მოძღვართ-მოძღვარი მოღვაწეობდა და ეს პატივი მანასეს ჰქონდა. 1527 წლის სიგელში საუბარია მეფე ბაგრატის მიერ მურვან ყრუსაგან დაქცეული მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის აღდგენაზე. სიგელს მეფე ამტკიცებს: „...ჩუენ მეფეთმეფეთც დაგვიმტკიცებია და თქვენ წმიდანო და ღთ (ღვთივ) შემოსილო აფხაზეთის ქათალიკოზო მალაქია და ქართლის ქათალიკოზო ვასილიოზ და დიდისა საყდრისა მოძღვართ მოძღვარო მანასე და წინამძღვარო მაკარე.....თქუენც ასრეთ დაუმტკიცეთ. დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ივადიკიონს (ინდიკტიონს) მეფობის ჩუენის ქ˜კას (ქორონიკონსა) :ს ი ე: (1527) თვესა აპარილსა ოცდაშვიდსა ხელისა ჩუენისა მდივან მწიგნობარისა თავაქარაშვილის ზურაბისათა“ (ხ.ე.ც. ფონდი SD – 2894.ჟორდანია 1897: 370. კაკაბაძე 1921ა: 9–10). ამ ცნობაზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1527 წელს ჯერ კიდევ არ იყო გელათში საეპიკოპოსო კათედრა დაარსებული, წინააღმდეგ შემთხვევაში გენათელი ეპისკოპოსი მოხსენიებული იქნებოდა აღნიშნულ დოკუმენტში.[5]

გელათის საეპისკოპოსოს დაარსების აღსანიშნავად აფხაზეთის კათალიკოს მალაქიას შეუდგენია: „ზესთ არსისა და ზე აღმატებულისა დიდისა საყდრისა ჩუენისა

[5]ამ საკითხთან დაკავშირებით ანალოგიური აზრი გამოთქვეს გ. მჭედლიძემ და პ. გაბისონიამ (იხ. მჭედლიძე... 2008: 159, გაბისონია 2008: 127)

ახლისა იერუსალიმისა გენათისა გუჯარი,“ რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. დოკუმენტს თარიღი არ გააჩნია. ს. კაკაბაძემ ის 1529 წელს შედგენილად მიიჩნია:

„ჩ ნ (ჩვენ) ქ ს (ქრისტეს) ღთისა მ რ (მიერ) კურთხეულმან დიდმან მამამთავართ მთ ვარმნ (მამამთავარმან) აღმოსავალისა და ყოსა (ყოვლისა) ჩრდილოს და აფხაზეთისა კათალიკოს პატრიარქმან მალაქიონ ესე გუჯარი და სიგელი მოგახსენეთ თ ქ ნ (თქვენ) წ ა (წმინდა) საყდარსა გელათისასა თლით (თვალთ) შეუდგამსა და განუცდელსა: ყდ (ყოვლად) ბრწყინვალესა ხატსა დედოფლისა ხახულისა ღთისმშობელსა და წ ა (წმინდა) და ღ თ (ღვთივ) შემოსილსა ანგელოზთა მოზაძავსა, მიტროპოლიტსა: და მღდელთ მთავარსა გენათელ ეპისკოპოს წ ა (წმინდა) მეუფესა მელქისედეკს: მ ს (მას) ჟამსა ოდეს დიდად აღმატებულმან, ძლიერმან და უძლეველმან სვიანმან და მორჭმულმან თვით მპყრობელმან აღმოსავლით დასავლადმდე მფლობელ მპყრობელმან, მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდად სახელოვანმან და სახელ განთქმულმან ღთის მსახურმან და ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან ბაგრატ, მოგუახსენა და დაგუაჯერა რამცა გენათი, საყდრად და საეპისკოპოზოდ შეგუექმნა. ვისმინეთ მოხსენება მათი. რ (რადგან) ღთისა მ რ (მიერ) აღძრულ იყო... ვაკურთხეთ და დავსვით გეენათს კაცი უაღრესი ანგელოზთა: და გაუჩინეთ პატივი და საჯდომი: ვ რ (ვითარ) პატრიარქთა და მეფეთაგან განაჩენს ძეგლსა შ ა (შინა) წერილ არს. და განუჩინეთ სამწყსონი და საკურთხი რიონსა: და ქუთათის ქალაქსა ზედათ. ყვირილას გამოღმა და ვიდრე კაცხის ზღუარამდის: და ხრეითს აქეთ რაჭის მთამდის და ოკრიბა. ს დ (სადა) ქუთათის ქალაქ: შ˜ აგან: გაღმა და გამოღმა: და ანუ დაბანი და სოფელნი იყვნენ მიმოდათესულნი გლეხნი არცა წინათ კადრებულ იყო სხვისა ეპისკოპოსისაგან: მწყსა: (სამწყსოსა) ვ ა: ძუელი და ნუცა: აწე ეკადრების: ყოველნივე შეუცვალებლად აქუნდეს მღდელთმთავარეპისკოპოსისა გენათისასა: პირველდცა: სხუათა ეპისკოპოსთაგან უმეტესი იყო და აწცა ისივე პირველი: საწირავი განუჩინეთ. ასი თეთრი მიერთმეოდეს სამარადისოდ“ (ხ.ე.ც. ფონდი S D – 2895. კაკაბაძე 1921ა: 10–11).

ამ დოკუმენტში ხაზი გასმული აქვს გენათელი ეპისკოპოსის უფლებრივ მდგომარეობას„სხვა ეპისკოპოსთაგან უმეტესობას“. გენათელები მომდევნო ხანებშიც გავლენიანი სასულიერო პირები იყვნენ იმერეთის სამეფოში.

გელათის საეპისკოპოსოსთვის იმერეთის ვრცელი ტერიტორიები დაუთმიათ. მათ შორის: რიონის პირი და თვით ქალაქი ქუთაისის ნაწილი, აგრეთვე ოკრიბა. სახელწოდება „ოკრიბა“ ანუ „ოო, კრება,“ როგორც ვახუშტი ბატონიშვილი განმარტავს: „კეთილშუენიერ ადგილ არს“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 774)! ოკრიბას, ვაუშტი ბატონიშვილის ცნობით აღმოსავლეთიდან რაჭის მთა საზღვრავდა ვიდრე ჩხარამდე, სამხრეთით ჩხარიდან დასავლეთად წასული მთა კვახჭირამდე და კახნიაურის ხაზით რიონამდე, ჩრდილოეთით ნაქერალას ვიდრე დღნორამდე და დასავლეთით ხომლის

კლდიდან წასული ზღვარი ვიდრე გვასტიბამდე (იქვე, 775). გელათის საეპისკოპოსო აგრეთვე მოიცავდა ზემო იმერეთის ნაწილს, „ყვირილას გამოღმა კაცხის ზღვარამდე და ხრეითს აქეთ რაჭის მთებამდე.“ როგორც ჩანს „კაცხის ზღვარს“ იქით, ყვირილას ხეობის ზემო წელი (ჭიათურა–საჩხერის რაიონები) ქუთაისის საეპისკოპოსოს დარჩა.[6]

კაცხი, ისევე როგორც არგვეთის ნაწილი, IX-XI საუკუნეებში უძლიერესი ფეოდალების-ბაღვაშების მამული იყო. უკანასკნელი ბაღვაში რატი ლიპარიტის ძე 1103 წელს გარდაიცვალა. მეფე დავით IV–მ (1089–1125) „მამული ლიპარიტეთი უმკვიდროდ დაშთომილი..... უსარჩლელ–მიუხუეჭელთა სოფელთა თანა მისცნა“ გელათის მონასტერს (ქართლის ცხოვრება 2008: 313). შეწირულ სოფლებს შორის იყო კაცხიც. იმ ხანად დასავლეთ საქართველოს ეკლესია–მონასტრები მცხეთის (ქართლის) საკათალიკოსო ტახტს ემორჩილებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილში, კერძოდ ვაკე იმერეთში, არგვეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, უკვე VII-IX საუკუნეებიდან ვრცელდებოდა (მუსხელიშვილი 1980:152). აფხაზეთის საკათალიკოსოს ერთიანი ქართული ეკლესიიდან გამოყოფის შემდეგ (XV ს–ის 70-იანი წლები) ლიხთ-იმერეთის ეპარქიები და ეკლესია-მონასტრები აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსს დაექვემდებარა.

გელათს რომ მთელი არგვეთი არ ხვდა წილად, ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს. მეფე ბაგრატ III-მ: „მისცა სამწყსოდ (გელათს ბ.გ.) არგუეთის ნახევარი და ოკრიბა, ქუთათლის სამწყსონი“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 754). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გელათის საყდარს სხვა საეპისკოპოსოებშიც ჰქონდა „დაბანი და სოფელნი“ სადაც „მიმოდათესულნი გლეხნი“ ჰყავდა (კაკაბაძე 1921ა: 10-11).

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით გელათი: „პირველად იყო მონასტერი, შემდგომად ჰყო ბაგრატ საეპისკოპოსოდ“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 754). თუმცა არსებობს ვარაუდები, რომ გელათში XVI საუკუნემდეც მოქმედებდა საეპისკოპოსო კათედრა. ე. თაყაიშვილის მტკიცებით: „მცდარია აზრი იმის შესახებ თითქოს გელათი საეპისკოპოსოდ პირველად იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ბრძანებით დაეარსებინოს მალაქია კათალიკოზ–პატრიარქს“ (თაყაიშვილი 1920: 32). დიდი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ მოძღვართ-მოძღვარი, რომელიც გელათის აკადემიას ხელმძღვანელობდა, ამავე დროს გელათის ეპისკოპოსი იყო (იქვე, 29). მოძღვართ-მოძღვრის ხელში გელათის

[6]არგვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე ქუთათლის სამწყსო იყო XIX ს – ის დასაწყისშიც. 1808 წელს ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა, ჯრუჭულასა და ჭიათურას შორის ადგილები, მღვიმევის მონასტერს შესწირა (იხ. ტყეშელაშვილი 2005: 17)

ეპისკოპოსის ფუნქციის შეთავსება ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან მოძღვართ-მოძღვარს გენათელის პატივი რომ ჰქონოდა შეთავსებული, ეს იმ ხანის დოკუმენტებში აისახებოდა. ჩვენს ხელთ არსებულ არც ერთ საბუთში არ ჩანს, რომ მოძღვართ-მოძღვარი ამავე დროს გენათელი ეპისკოპოსია.

1529 წლამდე გელათის საეპისკოპოსოს არსებობას ვარაუდობდა ს. კაკაბაძეც.მისი აზრით, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს მალაქიას მიერ შედგენილი დოკუმენტი, სადაც საუბარია გელათის საეპისკოპოსოს შექმნაზე და გენათელ ეპისკოპოსად მელქისედეკ საყვარელიძის ხელდასხმაზე, წარმოადგენდა გენათელთა საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის საბუთს (კაკაბაძე 1921ა: 10). დოკუმენტში ნათქვამია, რომ გენათელი ეპისკოპოსი: „პირელადცა (პირველადცა) სხუათა ეპისკისკოპოსთაგან უმეტესი იყო და აწცა ისივე პირველი საწირავი განუჩინეთ. ასი თეთრი მიერთმეოდეს სამარადისოდ“ (იქვე, 10). ეს სიტყვები დასტური უნდა იყოს 1529 წლამდე გელათში საეპისკოპოსო კათედრისარსებობის.

ყურადღებას იპყრობს ლიხთ-იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ს (1484–1510) სიგელში გენათელის მოხსენიებაც: „ჩუენ მეფეთ მეფემან ალექსანდრე... შემოგწირეთ (გელათს) ბანოჟას ხუთი კუამლი კაცი ხუცესი ბერაძე... მათის ცოლ-შვილითა, სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, მიწა-ადგილითა... ორ შამახურს და ერთს ჩარექს საკმელს დიდ მარხვაშიდ ხახულის ღთისმშობლის წინ მიიტანდეს და ათს მენახევრეს ღვინოს გენათელს მიართმევდეს.... ყოველს დიდ მარხვაშიდ მეფის მწირველი იყოს...“ (ჟორდანია 1897: 323). სიგელი უთარიღოა. თ. ჟორდანიამ ის 1504 წლით დაათარიღა (იქვე). ფაქტია, რომ აღნიშნული სიგელი 1510 წლამდე დაიწერა, რადგან 1510 წელს მეფე ალექსანდრე გარდაიცვალა. სიგელში გენათელის მოხსენიება ეჭვს ბადებსXVI ს-ის დასაწყისში გელათში საეპისკოპოსო კათედრის არსებობის შესახებ. მაგრამ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ ცნობებში, რომლებიც XVI ს-ის 20-იან წლებში მეფე ბაგრატ III-ის თაოსნობით გელათის საეპისკოპოსოს დაარსებას შეეხება, არსად არის ნახსნები ძველი გელათის საეპისკოპოსო.მათში საუბარია მეფე ბაგრატის მიერ გელათში საეპისკოპოსოს შექმნაზე და არა მის აღდგენაზე. აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია აბაშიძე გელათისადმი დაწერილ სიგელში აცხადებს: „ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან ბაგრატ მოგუახსენა და დაგუაჯერაროთ გენათი საყდრად და საეპისკოპოსოდ შეგვექმნა“ (ხ.ე.ც. ფონდი SD – 2895).XVI ს-ის დასაწყისში გელათში საეპისკოპოსო კათედრას რომ ეარსება,ეჭვგარეშეაეს აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს მალაქია აბაშიძესეცოდინებოდა დააღნიშნულიც ექნებოდა1529 წელს გელათის საეპისკოპოსოს დაარსებისადმი სპეციალურად შედგენილ სიგელში.

წყაროთა სიმცირის გამო ძნელია გადაჭრით მტკიცება არსებობდა თუ არა XVI ს-ის 20-იან წლებამდე გელათის საეპისკოპოსო და თუ არსებობდა, როდის შეწყვიტა მან

მოქმედება. ფაქტია, რომ 1529 წელს, მეფე ბაგრატ III-ის თაოსნობით, გელათში ახალი საეპისკოპოსო შეიქმნა, დადგინდა მისი საზღვრები და გენათელ ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქნა მელქისედეკ საყვარელიძე.

გენათელი ეპისკოპოსის საყდრად გელათის ღვთისმშობლის ეკლესია გამოუყვიათ, რომელიც უძველესია გელათის არქიტექტურული ანსამბლის ნაგებობათა შორის. ტაძრის მშენებლობა მეფე დავით IV–ის (1089–1125) თაოსნობით დაწყებულა. თუმცა არსებობს ვარაუდები, რომ გელათში დავით აღმაშენებლამდეც იყო ეკლესია (გოგსაძე 1948: 14).

„მოიგონა აღშენებაი მონასტრისაი და დაამტკიცა, რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან, ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაი გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა დედისა ღმრთისაი... დასხნა მუნვე დიდთა და ხუასროვანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი, სასანთლები და საკიდელნი ფერად–ფერადნი, იავარად მოხუმულნი თვისნი“ (ქართლის ცხოვრება 2008: 313); მოგვითხრობს დავით მეფის ისტორიკოსი. იგი თავის თხზულებაში მონასტრის სახელს არ ახსენებს. ს. ყაუხჩიშვილის აზრით დავით აღმაშენებლის თანამედროვეთათვის იმდენად ცნობილი იყო დავითის მიერ გელათში მონასტრის აშენების ამბავი, რომ ისტორიკოსს ძეგლის აგების ისტორიის გადმოცემის დროს, ადგილის სახელის მოხსენიება გამორჩენია (ყაუხჩიშვილი1948: 12). თუმცა შემდგომ ხანებში დავითის ისტორიის მკითხველები, როგორც ჩანს, გრძნობდნენ ამ უხერხულობას. ამის ანარეკლი უნდა იყოს ის, რომ ქართლის ცხოვრების ერაჯ ჭალაშვილისეულ ნუსხაში (XVI–XVII) დავითის მიერ აგებული მონასტრი უკვე სახელით მოხსენიება: „...ხოლო სახელი მისი გელათი“ (ყაუხჩიშვილი 1948: 13). გელათის მონასტერს სახელით იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილიც: „....წყალწითელას აღმოსავლით, გორის კალთას, არს ეკლესია ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, დიდ შუენიერი, დიდნაგები და ქმნული შიგნით სოფიის კენჭითა, გუმბათიანი, კეთილ-შუენიერის ადგილსა. აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს გენაათი, და აწ უწოდებენ გელათს (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 753).

ტოპონიმ „გელათის“ გარშემო ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრება გამოითქვა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „გენათელია“ ბერძნული სიტყვაა და „შობისად გამოითარგმანება“(სულხან-საბა 1991: 156). დავით ღამბაშიძის მტკიცებით, მონასტრის ნამდვილი სახელი იყო „გაენათი, ანუ „გენათი,“ რომელიც წარმომდგარა ბერძნული სიტყვის „გენაფლიაკონ“ - ისაგან რაც დაბადებას ნიშნავს (ღამბაშიძე 1888: 3). არის სხვა მოსაზრებაც, რომ „გელათი,“ ქართული გვარსახელური ტოპონიმია და ის მონასტრის დაარსებამდეც არსებობდა. მისი

თავდაპირველი ფორმიდან - „გელათი,“ განვითარდა გენათი, გეენათი და გაენათი (მელიქიშვილი 2007: 10).

„გენათი“ ამავდროულათ ებრაულ ენაზე ნიშნავს ბაღის კარს, ანუ ძველი ქართულით - „სამოთხის კარს“ და იგი ეწოდებოდა იერუსალიმის ერთ-ერთ კარიბჭეს, რომელიც დავით წინასწარმეტყველის სასახლეში შედიოდა (იქვე, 10).

კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად „გელათი“ ამოსულს, მზის ამოსვლის სადარს“ უნდა ნიშნავდეს (კაკულია 1997: 97).

მარტვილის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოში ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით დავით მეფის მიერ აგებული ტაძრისათვის სახელწოდება გელათი, ანუ გაენათი (გენაათი), დავითის გამზრდელს-გიორგი ჭყონდიდელს შეურჩევია (ქ. ი. მ. შრომები 2006: 79).

მეფე დავით IV-ს თანამედროვე ისტორიკოსი გელათის მონასტერს „მეორედ იერუსალემად და სხუად ათინად“ იხსენიებს (ქართლის ცხოვრება 2008: 313-314), აქიდან გამომდინარე მონასტრის სახელი „გელათი“ თუ „გაენათი,“ შესაბამისად ახლის დაბადებას, ახლის ამობრწყინებას უნდა ნიშნავდეს.

გელათის გულანის მინაწერი გვამცნობს: „ქ˜ს სა (ქორონიკონსა) :ს ჟ დ: (1606) ამა ქორონიკონსამდის გელათი რომ დაწყებულა: ფ (500) წელიწადი გარდასულიყო“ (ჟორდანია 1897: 437). ამ ცნობის საფუძველზე დგინდება, რომ გელათის მშენებლობა 1106 წელს დაწყებულა.

„დადიანთა ქრონიკის“ ცნობით: „წელს :ჩ რ ლ: (1130) დავით აღმაშენებელმა გელათი აღაშენა.“ მეფე დავითი გარდაიცვალა 1125 წელს. მართალია მექრონიკე დავითის გარდაცვალების თარიღში ცდება, მაგრამ ის კი საყურადღებოა უეჭველად, რომ გელათის დამთავრებას 1130 წლით ათარიღებს (გოგსაძე 1948: 15). 1130 წელს დავითის უფროსი ვაჟი დემეტრე I (1125–1156) მეფობდა.

გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი მართლაც დემეტრე I-ის ზეობისას, 1130 წელს დასრულდა. მაგრამ გელათის მონასტრის აშენება რომ დავით აღმაშენებლის სახელს დაუკავშირდა, ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან იგი იყო ამ საქმის თაოსანი, დამწყები და სამუშაოთა დიდი ნაწილის შემსრულებელი (მეტრეველი 2006: 7).

მეფე დავითმა მონასტრის მშენებლობის პარალელურად გელათში დააარსა სასწავლო ცენტრი - გელათის აკადემია. სასწავლებელში სამოღვაწეოდ მოიწვია ცნობილი სწავლული ადამიანები: „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკობილნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი,

არამედ ქუეყანისა კიდეთა, სადაითცა ესმის ვიეთიმე სიკეთე, სისრულე და სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობაი; იძივნა და კეთილად გამოიძივნა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“ (ქართლის ცხოვრება 2008: 313).

გელათის აკადემია დაარსებული უნდა იყოს 1106-1110 წლებს შორის. წყაროებით ამ წლებისათვის საქართველოში სხვა აკადემიის არსებობა არ დასტურდება, ამდენად შეგვიძლია მივიჩნიოთ რომ გელათის აკადემია განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ხანის საქართველოს პირველი აკადემიაა (ჩაკვეტაძე1958: 17). აკადემიისთვის მონასტრის ტერიტორიაზე საერო სტილის ნაგებობა აუშენებიათ, რომლის კედლებმა ჩვენამდე მოაღწია. (უკანასკნელ ხანებში ნაგებობას რესტავრაცია ჩაუტარდა).

გელათის უმაღლესი სკოლა–აკადემია იმდროინდელი უნივერსიტეტის ბადალი სასწავლო დაწესებულება იყო, რომელიც მაშინდელ სტანდარტებს შეესაბამებოდა, როგორც სავალდებულო საგნების სწავლებით, ისე ლექტორთა (მოძღვართა) მაღალი დონით. აქ ჩვენ იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელთან ერთად ვხედავთ ეფრემ მცირეს, იოანე ტარიჭისძეს, თეოფილე ხუცესმონაზონს, იეზიკელსა და სხვ“ (მეტრეველი 2006: 34). გელათის აკადემიაში ისწავლებოდა შვიდი დისციპლინა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია და ასტრონომია (ყაუხჩიშვილი 1948: 15). აქ არსებობდა ობსერვატორიაც, საიდანაც დაკვირვებებს აწარმოებდნენ ციურ მნათობებზე (ნიკოლეიშვილი 1982: 12).

გელათის აკადემიას მოძღვართ-მოძღვარი ხელმძღვანელობდა, რომელიც დიდი პატივით სარგებლობდა ისევე როგორც სასულიერო, აგრეთვე სახელისუფლებო წრეებში. სამეფო კარზე მოძღვართ-მოძღვარს მეტი პატივი ჰქონდა ვიდრე ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსებს. მისი პატივი სწორი იყო ჭყონდიდელის პატივისა, მაგრამ ზოგჯერ ამასაც მეტობდა (თაყაიშვილი 1929: 29). „მოძღვართ-მოძღვარი დარბაზს აწვიონ, და შინაური დარბაზის ერი უნდა, და ერთი ჯორი და სამი ცხენი მოძღვართ-მოძღვრისათვის და ორნი მისთა მოწაფეთათვის,“ აღნიშნულია „ხელმწიფის კარის გარიგებაში" (იქვე, 13).

გელათის უკანასკნელი მოძღვართ-მოძღვარი როგორც თავში აღვნიშნეთ გახლდათ მანასე. იგი იხსენიება 1527 წლის საბუთში, წინამძღვარ მაკარესთან ერთად. შემდგომი ხანის წყაროებში მოძღვართ-მოძღვარი აღარ ჩანს. 1529 წლიდან გელათში უკვე გენათელი ეპისკოპოსი მოღვაწეობს. ამ დროისათვის არსებობა შეწყვიტა გელათის აკადემიამაც.

მონასტრის გალავანში გარდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრისა და აკადემიის შენობისა, აიგო წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის შედარებით მცირე ზომის

ეკლესიები, აგრეთვე სამრეკლო და სხვა დანიშნულების ნაგებობები. სავარაუდოდ მეფე დავით IV-მ გელათში ააგო ქსენონიც. ქსენონის გელათში არსებობა იძლეოდა საფუძველს გელათის აკადემიაში მედიცინის სწავლების არსებობის ვარაუდისათვის (მეტრეველი 2006: 34).

1650 – 1652 წლებში იმერეთის სამეფოში რუსი ელჩები ა. იევლევი და ნ. ტოლოჩანოვი იმყოფებოდნენ, რომლებმაც 1651 წლის 13 ივლისს გელათის სამონასტრო კომპლექსი მოინახულეს. იევლევის ცნობით გელათის მონასტერს ციხე გალავანი და კოშკები ერტყა. გალავნის შიგნით თერთმეტი სხვადასხვა ზომის პალატი (ნაგებობა) იდგა, მათ შორის ერთ-ერთი გამოირჩეოდა თავისი სიდიდით რომლის სიგრძე ოცი საჟენი და სიგანე რვა საჟენი იყო (იევლევი 1969: 135). იევლევის მიერ აღწერილი პალატი გახლდათ გელათის აკადემიის შენობა რომელსაც 1651 წლისათვის თავისი ფუნქცია უკვე დაკარგული ჰქონდა და სატრაპეზოდ იყო გადაკეთებული. იევლევის თქმით ამ ნაგებობაში გამოყოფილი იყო სპეციალური ადგილი სადაც მეფე ჯდებოდა სადილობის დროს (იქვე).

გელათის მონასტერი ქართული მეცნიერებისა და კულტურის კერა იყო. აქ დიდი მთარგმნელობითი სამუშაოები ტარდებოდა. გელათის აკადემიაში ითარგმნა ბერძნული ენიდან ქართულ ენაზე იოანე პეტრიწის მიერ არისტოტელეს, იოსებ ფლავიოსის, პროკლე დიადოხოსის, ნემესიოს ემესელის თხზულებანი. არსენ იყალთოელის მიერ ითარგმნა დიდი სჯულის კანონი და სხვა (ნიკოლაიშვილი 1982: 12). გელათში უმდიდრესი წიგნთსაცავი უნახავთ რუს ელჩებს, იევლევსა და ტოლოჩანოვს. იევლევის თქმით ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველში, აღსავლის კარების მარჯვენა მხარეს იყო წიგნების საცავი. გენათელ მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანს რუსი ელჩებისთვის უთქვამს, რომ იმ წიგნთსაცავში ინახებოდა: „ძველი აღთქმის, დაბადების წიგნები, აგრეთვე წმინდა მამათა ცხოვრებისა და ბერძენთა და იმერთა კეთილმსახურ მეფეთა გამარჯვებების აღწერილობანი“ (იევლევი 1969: 133).

ე. თაყაიშვილის ვარაუდით გელათში უნდა შექმნილიყო სამართლის წიგნი თავისი ქრონოლოგიური ცნობებით, რომელიც დედნის პირის სახით ხელში ჰქონია ვახუშტი ბატონიშვილს და ვრცლად შეუტანია თავის ისტორიაში (თაყაიშვილი 1920: 12). გელათში უნდა დაწერილიყო ცნობილი „ხელმწიფის კარის გარიგებაც“ (იქვე, 10).

როგორც ირკვევა, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე გელათის მონასტერში ცალკე საისტორიო თხზულების სახით ინახებოდა დავით აღმაშენებლის ცხოვრება, რომელიც ამავე დროს შესულია ქართლის ცხოვრების კრებულში. აღნიშნული თხზულების ავტორად დ. ღამბაშიძე მეფე დავითის სწავლულ მოძღვარს - არსენს ასახელებს (ღამბაშიძე 1888: 14). ეს ხელნაწერი გელათის მონასტრიდან წაუღია მიტროპოლიტ

დავით წერეთელს და გადაუცია თავისი ძმის გრიგორისათვის, ამ უკანასკნელს კი თავის ძმისწულისათვის, რომლის ხელშიდაც ხელნაწერი დაკარგულა (იქვე).

ძლიერების ხანაში საქართველოში ოქროჭედური ხელოვნების რამდენიმე სკოლა არსებობდა. მათგან ოპიზის შემდეგ ერთ-ერთი ძლიერი სკოლა გელათში იყო, რომელიც წმინდა დეკორაციულ ამოცანებს ამუშავებდა (ჩაკვეტაძე 1958: 37).

გელათში როგორც შედარებით დაცულ ადგილას მრავალი განძი და სიწმინდე იყრიდა თავს. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო XII ს-ში სამხრეთ საქართველოდან აქ გადმობრძანებული ხახულის ღვთისმშობლის ხატი, ასევე XVI ს-ის II ნახევარში გადმობრძანებული აწყურისა და ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატები“ (გელათური ხელნაწერები 2011: 52-53).

იევლევის ცნობით გელათის ღვთისმშობლის ტაძარში ინახებოდა ჯვრებითა და ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს გვირგვინები, რომლებიც ქართველ მეფეთა კუთვნილება იყო (იევლევი 1969: 133). აქ აგრეთვე ინახებოდა სხვა აუარებელი ძვირფასეულობა.

გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი გარდა არქიტექტურული ღირსებისა, თავისი მოხატულობითაც გამოირჩევა. სამწუხაროდ ტაძრის ცენტრალურ ნაწილში არსებულმა ფრესკებმა პირვანდელი სახით ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. როგორც სამხრეთ გუმბათქვეშა ბურჯზე დაცული წარწერა იუწყება, შენობა ხელახლა მოუხატავთ XVI საუკუნის პირველ ნახევარში (მემფისაშვილი 1965: 10). განსხვავებით ფრესკებისა პირვანდელი სახით არის შემორჩენილი ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის ნახევარსფეროზე ბრწყინვალედ შესრულებული XII საუკუნის განთქმული მოზაიკა: ოქროსფერ ფონზე ფერადი კენჭებით გამოსახულია ღვთისმშობელი ორი ანგელოზით. შესრულების მაღალი ოსტატობა და მეტყველი გამომსახველობა გელათის მოზაიკას მსოფლიო მნიშვნელობის განთქმულ მხატვრულ ძეგლთა გვერდით აყენებს (იქვე). იგი თავისი ზოგადი მხატვრული პრინციპებით მიეკუთვნება ბიზანტიურ ხელოვნებას, მაგრამ ამავე დროს, მთელი რიგი სტილისტიკური ნიშან-თვისებებით, განსხვავდება საკუთრივ კონსტანტინოპოლის სკოლის ქმნილებათაგან და მჭიდროდ უკავშირდება ქართული ხელოვნების ძეგლებს (მემფისაშვილი... 1982:10).

არსებობს გადმოცემა, რომ როდესაც გასული საუკუნის 80 - იან წლებში ამ მოზაიკას რესტავრაცია ჩაუტარდა, სარესტავრაციო ჯგუფის ხელმძღვანელს კარლო ბაკურაძეს, სათითაოდ დაუთვლია კენჭები და აღმოჩნდა, რომ გელათის მოზაიკა დაახლოებით მილიონ რვაასი ათასი კენჭისაგან არის შემდგარი.

გელათის მონასტერი აშენებისთანავე საქართველოს მეფეთა საძვალედ გამოცხადდა. აქ იკრძალებოდნენ ერთიანი საქართველოს მეფეები. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ გელათი იმერეთის მეფეთა საძვალედ იქცა.

1510 წელს ოსმალების მიერ გელათის დარბევის შემდეგ, აქ აღმშენებლობითი სამუშაოები იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ ჩაატარა. მის მიერ გაცემული ერთ–ერთი სიგელის მიხედვით, ბაგრატი გელათს წყალწითელასა და რიონს შორის არსებულ მიწებს სწირავს და დასძენს რომ: „მოძღვართ-მოძღვრის მეტი სხვათა ხელი არავის შევიდოდესო“ (კაკაბაძე: 1921ა: 7). ბაგრატი სოფელ თხილებს მცხოვრებ გელათის მონასტრის გლეხებს სამეფო გადასახადებისგანაც ანთავისუფლებს (იქვე).

1527 წლის საბუთში, მეფე ბაგრატი საუბრობს მურვან ყრუსაგან საფუძვლამდე დაქცეული მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის აღდგენაზე, რომელიც მონასტრის ახლოს უნდა მდგარიყო (იქვე, 8). ბაგრატ III-ს აღუდგენია მონასტრის გალავნის შიგნით მდგარი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაც და ის თავის საძვალედ გაუხდია (კაკაბაძე 1921ა: 51). მეფე ბაგრატთან ერთად გელათში აღმშენებლბითი სამუშაოები ჩაუტარებიათ აფხაზეთის კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძეს და პირველ გენათელ ეპისკოპოს მელქისედეკ საყვარელიძეს.

§ 3

ხონის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები

როგორც აღვნიშნეთ 1529 წელს გელათის პარალელურად, საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა ხონშიც დაპირველ ხონელ ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქნა მანოელ ჩხეტიძე. „...ამასავე დროსა იმავე პატრონმან (ბაგრატ III - მ ბ. გ.) გააჩინა ხონელ ეპისკოპოზად მჩეტის–ძე (ჩხეტიძე) მანოელ მისვე აფხაზეთისა კათალიკოზისა ხელითა საყდართა შიგან ბიჭვინტისათა, ქორონიკონი იყო :ს ი ზ: (218) – 1529 წ. წარვედით აფხაზეთს საკურთხევლად ივნისსა კ, (20) და მოვედით ივლისსა კ. (20)“ (ყაუხჩიშვილი 1959: 493).

ხონელ ეპისკოპოსს ვაკე იმერეთის მწყემსს უწოდებს ვახუშტი ბატონიშვილი: „არს ხონს ეკლესია დიდი, გუმბათიანი, შუენიერ ნაგები. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ვაკისა. ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარეპისკოპოზისა. შემდგომად განყოფისა დასუეს აქა ეპისკოპოზი“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 751). ამ ცნობის მიხედვით ხონის საეპისკოპოსო ვაკე იმერეთს მოიცავდა. მასში გაერთიანდა სათავადოებიდან: სალორთქიფანიძეო, საღოღობერიძეო, სამიქელაო, საჩიჯავაძო (ნაწილობრივ),

წულუკიძეთა და ჩხეიძეთა სათავადოების ხონის შორიახლო მდებარე მამულები (ფაილოძე 1997: 164).

XVII ს-ში მოღვაწე თეათინელი მისიონერიკრისტოფორო კასტელი, რომელიც 1632-1656 წლებში საქართველოში იმყოფებოდა, ახსენებს ქუთაისის საზღვარზე არსებულ „კონოლის“ ანუ ხონის საეპისკოპოსოს: „კონოლის საეპისკოპოსო ქუთაისსა და სამეგრელოს საზღვარზეა. აქ ცხოვრობს მეფის მიერ არჩეული ეპისკოპოსი რომელსაც პისტორე ეწოდება“ (კასტელი 1976: 175).

ხონის საეპისკოპოსოს საზღვრების შესახებ საუბრობს XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტიც. მისი თქმით ხონელი მთავარეპისკოპოსის სამწყსო: „რიონსა და ცხენისწყალს შორის მდებარე იმერეთის ნაწილია“ (გიულდენშტედტი 1962: 29).

გიულდენშტედტი 1772 წლის აგვისტოს თვეში ხონში იმყოფებოდა. იგი ცნობებს გვაწვდის იმ პერიოდის ხონის შესახებ. აღწერს ხონის წმინდა გიორგის ეკლესიას და მის მახლობლად მდებარე მოედანზე გამართულ ბაზრობას: „ხონი არის დიდი სოფელი, დაახლოებით 2000 ოჯახით; იგი აქაური ჩვეულების საწინააღმდეგოდ წრეებად და ქუჩებადაა დაყოფილი, მაგრამ ხალხი შორიშორს ცხოვრობს, რადგან ყოველ ოჯახს თავისი ბაღები და ნათესები თავის სახლებთან აქვთ.....აქ არის იმერეთის მთავარეპისკოპოსის საჯდომი. ქვიტკირის უგუმბათო ეკლესია, სოფლის შუაში, არის მხოლოდ 15 ნაბიჯი სიგრძისა და 10 ნაბიჯი სიგანისა. პატარა სამრეკლო კოშკი დგას სასაფლაოს კედელზე..... ხონში ეკლესიის გვერდით არის დიდი მოედანი ცაცხვით და აღმოსავლური ჭადრით, ეს მოედანი 2 ვერსის ფართობს მოიცავს, როგორც ყოველ პარასკევს, დღესაც ამ ხეების ჩრდილში შეკრებილიყვნენ ორივე სქესის მყიდველ – გამყიდველნი და გაეჩაღებინათ ბაზრობა...“ (გიულდენშტედტი 1962: 155).

სულხან-საბას განმარტებით „ხონი“ დიდ ტაბაკს ნიშნავს, ხოლო „ხონჩა, სხუათა ენაა, ქართულად სიფლი და ტაბაკი ჰქვიან“ (სულხან-საბა 1993: 427).

სახელწოდება „ხონი“ – „ხონჩიდან“ უნდა დამკვიდრებულიყო და ფართო გადატანითი მნიშვნელობით დიდ დასახლებას აღნიშნავს (ფაილოძე 2003: 26).

ქუთაისის საეპისკოპოსოსგან გელათის და ხონის საეპისკოპოსოსების გამოყოფის შემდეგ, ქუთათელის სამწყსო საგრძნობლად შემცირდა. საქუთათლოს სამხრეთით მესხეთის ქედი საზღვრავდა, რიონის სამხრეთით მდებარე ტერიტორია მდ. სულორიდან ლიხის ქედამდე და ჩრდილო აღმოსავლეთით მდ. ჩოლობურიდან ვიდრე ლიხის ქედამდე ქუთათელის სამწყსოდ დარჩა (გაბისონია 2006: 13). დასავლეთით

საქუთათლოს ხონის საეპისკოპოსო დაუმეზობლდა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით გელათის საეპისკოპოსო.

ხონელი ეპისკოპოსის რეზიდენცია ხონის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში განთავსდა, რომელიც ბაზილიკური ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. წყაროთა სიმცირის გამო ზუსტად ვერ დგინდება მისი აგების თარიღი. ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ ხონის ეკლესიის მშენებლობა მეფე თამარის (1184–1213) სახელს დაუკავშირა. ექვთიმე თაყაიშვილმა ამ ეკლესიის კედელზე შესრულებულ ერთ-ერთ ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული გიორგი კურაპალატი, ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი I –ად მიიჩნია და ტაძრის აშენების თარიღად 1014–1027 წლები დაასახელა (თაყაიშვილი1913–14: 272). დიდი მეცნიერის ვარაუდით ხონის ეკლესია XII საუკუნეში განახლებულა თამარ მეფის დროს, შემდეგ მისი აღდგენა XIV ს-ში მომხდარა, ვინაიდან ერთი გადმოცემა ხონის წმ. გიორგის ეკლესიის აშენებას მიაწერს ვამეყ დადიანს – 1396 წ. (თაყაიშვილი 1913-14: 272).

არსებობს კიდევ ერთი ვარაუდი, რომ ხონის წმ. გიორგის ტაძარი აგებულია ერისმთავარ მირის ძმის, ერისმთავარ არჩილის შვილების: ჯუანშერის და იოანეს დროს, VIII საუკუნის მეორე ნახევარში (ფაილოძე 1997: 34).

ხონის ეკლესიაში შემორჩენილია ძველი ფრესკების ფრაგმენტები. როგორც ჩანს ჟამთა სიავის გამო მათი სრული სახით შენარჩუნება ვერ მოხერხდა. ტაძრის მოხატულობას XVI-XVII საუკუნეებით ათარიღებენ. საკურთხევლის თაღზე არსებული ბერძნული წარწერის მიხედვით, ხონის ტაძარი 1677 წელს არის მოხატული (მესხი 2011: 427). ფრესკებზე შემორჩენილ ქართულ და ბერძნულ წარწერებთან ერთად არაბული წარწერებიც გვხვდება, რაც სინელი ბერების საქართველოში მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული (მესხი 2011: 427).

ხონის ეკლესია მრავალ განძსა და სიწმინდეს ინახავდა. აქ დაცული იყო ვერცხლით ნაჭედი წმინდა გიორგის სამი ხატი, აგრეთვე მაცხოვრის ხატი – „ანჩისხატის“ სახელით ცნობილი, რომელიც ანჩის საკათედრო ტაძრიდან იმერეთის მეფის ბაგრატ III – ის (1510 – 15650) მიერ უნდა იყოს გადმოტანილი (ფაილოძე 2003: 36). აგრეთვე ვერცხლის საწინამძღვრო ჯვარი ოქროთი დაფერილი, ჯვარი ათონური ვერცხლის არშიით და ძვირფასი თვლებით შემკობილი, საეკლესიო დროშა და სხვა (თაყაიშვილი 1913-14: 279).

ხონის ეკლესიაში ინახებოდა სხვადასხვა დროს შემოწირული ძვირფასი ნივთებიც. მათ შორის სოლომონ I-ის მეუღლის – გულქანის მიერ შეწირული ვერცხლის თასი წარწერით: „ვარ სირმა ხასი ბრწყინვალე, გულქანის პირი მცინარე.“ ფეხიანი ჭიქა

ვერცხლისა, მისგანვე შეწირული. სოლომონ I-ის შეწირული ვერცხლის სურა და სხვა (ბოჭორიძე1995: 26).

მდიდარი იყო ხონის ეკლესიის წიგნთსაცავი. აქ უძვირფასეს ხელნაწერ წიგნებს შორის დაცული იყო „წიგნი ამმონიოს ერმისისაი,“ „ანტონი დიდის ცხოვრება,“ „კლემაქსი ანუ კიბე იოანე სინელისა,“ „ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრიასი,“ „სახარების თარგმანი“ და სხვა (თაყაიშვილი 1913–14: 290-291).

ხონის წმ. გიორგის ეკლესიას კარგად ორგანიზებული სკოლა ჰქონდა, რომლის მწიგნობრული საქმიანობა კიდევ უფრო გაცხოველდა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, ხონელი მთავარეპისკოპოსი ანტონი ჩიჯავაძის დროს. მისი თანამედროვეა ამ სკოლის ერთ-ერთი მოღვაწემიტროფანე გრიგოლაშვილი, რომელსაც შეუდგენია სასულიერო–მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელო „სწავლა თუ ვითარ მმართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა, კითხვა მიგებით წარმოდგენილი“ (ვაჭრიძე 1999: 55).

ხონელი ეპისკოპოსები მსგავსად გენათლებისა და ქუთათლებისა, აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყნის სასულიერო და საერო ცხოვრებაში.

§ 4

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები

იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ გელათის და ხონის საეპისკოპოსოების დაარსების და იმერეთში პოზიციების განმტკიცების შემდეგ, ყურადღება რაჭაზე გადაიტანა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით 1534 წელს: „ბაგრატ მეფემან დასუა ერისთავად რაჭას ჩხეიძე შოშიტა და მისცნა რომელნიმე სახასო დაბანი და ციხე მინდა, რამეთუ აქამომდე იყო რაჭა სამეფო და კუალად ჰყო საერისთოდ“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 811).

ძველი რაჭის საერისთავო გ. ბოჭორიძის ვარაუდით X-XI საუკუნეების ზღვარზე უნდა დაეარსებინა ერთიანი საქართველოს პირველ მეფეს ბაგრატ III-ს (978–1014), რომელმაც რაჭის ერისთავობა ბაღვაშთა სახლის წარმომადგენელსრატი ლიპარიტის ძეს უბოძა. მანამ კი რაჭა შესაძლებელია შორაპნის (არგვეთის) საერისთავოს ნაწილი იყო (ბოჭორიძე 1994: 46). მეფე ბაგრატ III-ის სახელს უკავშირდება XI საუკუნის დასაწყისში რაჭაში ნიკორწმინდის ტაძრის აგებაც, (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით). არ არის

გამორიცხული, რომ საერისთავოს შექმნა-განმტკიცებაში ამ არქიტექტურულმა ძეგლმაც გარკვეული როლი შეასრულა (მეტრეველი 2013: 70).

კაცხის მონასტერში XX ს–ის 20–იან წლებამდე ინახებოდა ერთი ჯვარი, რომლის წარწერაში „რატი რაჭისა ერისთავი ძითურთ“ ღმერთს შეწყალებასა და დახმარებას თხოვს. ეს ჯვარი და მისი წარწერა გ. ჩუბინაშვილმა X ს–ის დასასრულითა და XI ს–ის დასაწყისით დაათარიღა. ეს არის რაჭის საერისთავოსი და თვით რაჭის უძველესი წერილობითი მოხსენიება. თვით რატი კი რაჭის პირველი ერისთავი რატი ლიპარიტის ძეა (ბერაძე 2004: 77).

1021 წელს ბიზანტია-საქართველოს ომში სოფელ შირიმთან, რაჭის პირველი ერისთავის რატი ლიპარიტის ძის დაღუპვის შემდეგ, საქართველოს მეფემ გიორგი I-მა (1014 – 1027) რაჭის ერისთავობა მის ძეს კახაბერს უბოძა, რომელიც 10 წლის შემდეგ ბერად აღიკვეცა კირილეს სახელით. გიორგი I-ის მემკვიდრემ, საქართველოს მეფე ბაგრატ IV – მ (1027 – 1072) რაჭის საერისთავო კახაბერის ვაჟსრატი კახაბერის ძეს გადასცა. აქიდან მოკიდებული კახაბერისძე მამის სახელიდან გვარსახელად გადაიქცა, რომელსაც ბაღვაშთა სახლის ის შტო ატარებდა, რომელიც რაჭაში იყო დამკვიდრებული (ბერაძე 2004: 77).

XI ს –ის ბოლო პერიოდით დათარიღებულ ნიკორწმინდის მაცხოვრის ხატის წარწერაში ვკითხულობთ: „მე კახაბერ ყოფილმა კირილე... მოვჭედე ხატი ესე სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა ერისთავთ-ერისთავისა რაჭის ერისთავისა რატისად“ (ბოჭორიძე1994: 46). წარწერაში მოხსენიებული რატი, რაჭის ერისთავი რატი კახაბერისძეა.

კახაბერისძეები რაჭის საერისთავოს XI საუკუნიდან მოყოლებული XIII საუკუნის 70 –იან წლებამდე განაგებდნენ. ძველი რაჭის საერისთავოს უკანასკნელმა ერისთავმა კახაბერ კახაბერისძემ, რამდენჯერმე უღალატა ლიხთ–იმერეთის მეფე დავით ნარინს(1246–1259 წწ. ერთიანი საქართველოს მეფე დავით ულუსთან ერთად, 1259–1293 წწ. ლიხთ–იმერეთის მეფე). გამოუსწორებელი შინაგამცემი კახაბერ კახაბერის ძე გახეიბრებით დაისაჯა, მისი მემკვიდრეები კი საქართველოდან კონსტანტინოპოლში გადაასახლეს (ნარკვევები1979: 602). ამის შემდეგ კახაბერ კახაბერისძეს დიდხანს აღარ უცოცხლია, რაჭის საერისთავო კი გაუქმდა.

როგორც თავში აღვნიშნეთ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1534 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ რაჭის საერისთავო აღადგინა და ერისთავობა შოშიტა ჩხეიძეს უბოძა. თუმცა არსებობს ცნობები რომ რაჭის საერისთავოXIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე უკვე აღდგენილი იყო და ერისთავადაც აქ ვინმე აღბუღა იჯდა (სოსელია 1973: 73).

ე. თაყაიშვილის მიერ XIV საუკუნით დათარიღებულ მინაწერებში იხსენიებიან რაჭის ერისთავები ბედანი და ლომინა (თაყაიშვილი 1963: 36).

XV ს-ის პირველ ნახევარში რაჭის ერისთავობა ჭარელიძეთა გვარს ეჭირა. 1432 წლის სიგელში, რაჭის ერისთავად მოხსენიებულია ციცი ჭარელიძე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ძმებს კოტრიძეებს ერისთავმა ჭარელიძემ ციციმ, ძმააბესალომი მოუკლა და ამის გამო კოტრიძეებს ჭარელიძესათვის სამი სოფელი ონჭევი, სორღითი და ჭურისთავი დაურბევიათ (კაკაბაძე 1912ბ: 9).

ციცი ჭარელიძის შემდეგ რაჭის ერისთავი იყო ქველი ჭარელიძე, რომელსაც გადმოცემის მიხედვით აუშენებია და მოუხატავს სოფელ სორის ჯვარცმის სახელობის ეკლესია. მისი ფრესკული გამოსახულება დღესაც ეკლესიის ჩრდილო კედელზეა შემორჩენილი (გუგუშვილი 2003: 52). ქველი ჭარელიძის ფრესკას ახლავს წარწერა: „წმიდაო: გ˜ი: მრავალძალისაო: მეუხ და მფარველ: ექმენ: წ˜ე ღუ˜თისა: ჭრელისძესა: (ჭარელისძესა ბ. გ.) ქველსა“ (თაყაიშვილი 1963: 25).

ისტორიულ დოკუმენტებში რაჭის ერისთავად კიდევ ერთი ჭარელიძე ფიქსირდება. ეს გახლავთ მირიან ჭარელიძე, რომელმაც გიორგი და აღსართან შერმაზანაშვილებს ათი კომლი გლეხი უბოძა. შერმაზანაშვილებს ერისთავი ერთგულად დაუცავთ, როდესაც მას შაორში გიორგი კახაბერისძე დასხმია თავს. შემდეგ კახაბერიძეს ნიკორწმინდის საყდრისთვის შეუფარებია თავი, საიდანაც ჭარელიძეს გამოუყვანია და ტყვედ ჩაუგდია. გიორგი კახაბერისძე რაჭის ერისთავთა შთამომავალი უნდა ყოფილიყო (ბერაძე 2004: 82). ამ ცნობიდან ჩანს რომ კახაბერისძეთა საგვარეულოს წევრები ვერ ურიგდებოდნენ რაჭაში ჭარელიძეთა გაერისთავებას.

მირიან ჭარელიძე მოხსენიებულია სორის ეკლესიის ჯვარცმის ხატზე შესრულებულ წაწერაშიც: „...ქრისტე ღმერთო ჩვენო მეოხ მეყავ ჭრელის ძესა (ჭარელის ძესაბ. გ.) მირიანს და ცოლსა ჩემსა“ (თაყაიშვილი 1963: 30).

XV საუკუნის ბოლოდან რაჭაში ჩხეტიძეების (ჩხეიძეების) გვარი გაძლიერდა და ერისთავობაც მათ გადაეცათ. 1488 წელს რაჭის ერისთავად ივანე ჩხეტიძეს ვხედავთ. 1497 წელს კი, მის ძმას კახაბერს, რომელიც რაჭის ერისთავად ჩანს 1503 წელსაც. ამიერიდან ეს საერისთავო ჩხეტიძეთა საგვარეულოს ხელშია (სოსელია1973: 74).

მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომელიც 1534 წელს მეფე ბაგრატ III-ის მიერ რაჭის საერისთავოს აღდგენას შეეხება, სინამდვილეს არ შეესაბამება. რაჭის საერისთავო არა უგვიანეს XIV საუკუნის მეორე ნახევარში უკვე აღდგენილი იყო.

1534 წელს მეფე ბაგრატ III-მ რაჭის ერისთავობა შოშიტა ჩხეიძეს უბოძა (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 811). უნდა აღინიშნოს, რომ ჩხეტიძეთა საგვარეულო XVI ს–ის პირველ ნახევარში მეფისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა. ამით იყო განპირობებული იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ ჩხეტიძეების დაწინაურება და მათი წარმომადგენლების მაღალ საერო თუ საეკლესიო თანამდებობებზე ხელდასხმა. ამ პერიოდში (XVI ს-ის I ნახ.) დასავლეთ საქართველოს რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრაზე, დაახლოებით ხუთზე, ერთ დროულად ერთი და იგივე გვარის წარმომადგენლები - ჩხეტიძეები ისხდნენ (ლომინაძე 1966: 206).

რაჭის ერისთავად შოშიტა ჩხეიძის დანიშვნის პარალელურად, ბაგრატ III-მ ამ მხარეში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა დააარსა. არსებობს ვარაუდი, რომ გელათის მსგავსად, უწინ ნიკორწმინდაშიც იყო საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც გარკვეული პერიოდი გაუქმდა და აღდგენილ იქნა 1544 წელს (კაკაბაძე 1922: 29). ზოგიერთი მოსაზრებით კი რაჭის მხარე ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსებამდე, ქუთაისის საეპისკოპოსოს საზღვრებში შედიოდა (გაბისონია 2006: 11).

საფიქრებელია, რომ რაჭაში ქრისტიანობა ქართლიდან შევიდა, რასაც მოწმობს სოფელ ჯოისუბანში არსებული VIII-IX საუკუნეებით დათარიღებული ეკლესიის სახელწოდება – მცხეთის წმინდა გიორგის ეკლესია. სოფელი მცხეთა არსებობდა ლეჩხუმშიც. ორივე ეს გარემოება, ე. ი. „მცხეთის“ არსებობა რაჭაში და ლეჩხუმში ცხადყოფს, რომ ქრისტოანობა ამ კუთხეებში აღმოსავლეთიდან, მცხეთიდან შესულა (ბოჭორიძე 1994: 53). XVI საუკუნის 30-იან წლებში ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსებისა თუ აღდგენის შემდეგ, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსს დაემორჩილა.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ ცნობები შემონახულია ჩვენს ხელთ არსებულ ორ დოკუმენტში. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ნიკორწმინდის სიგელი, რომელიც წარმოადგენს ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვრის ანგარიშს, ნიკორწმინდისთვის შეძენილი ქონებისა და გაღებული შეწირულებების შესახებ. მ. ბერძნიშვილის ვარაუდით აღნიშნული სიგელი უნდა დაეწერათ 1071–1080 წლებს შორის (ბერძნიშვილი 1979: 32). სიგელი ტყავის ეტრატზეა შესრულებული, რომლის მეორე გვერდზე XVI ს-ის ნუსხურით მანოელ ნიკორწმინდელის დავალებით, დეკანოზ მღვდელ – მონაზონ მარკოზს დაუწერია ცნობა, ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი თ. ჟორდანიამ შემოკლებული სახით შეიტანა „ქრონიკების“ II ტომში. ხოლო ს. კაკაბაძემ სრულად გამოაქვეყნა. მოვიყვანთ ს. კაკაბაძისეულ ვარიანტს: „ღვთით გვირგვინოსანმან მეფემან ბაგრატ განაახლა და კ დ (კიდით) აღაშენა ეკლესია წმიდის მღდელთ მოძღვრის ნკზის (ნიკოლოზის) მისდა სადღეგრძელოთ და გასამარჯვებლად.... იგულისმოდგინა თვით მპყრობელმან მეფემან...

მონასტერი ესე ეკლესიად და დამადგინა მე განმგედ და ეფისკოპოსად უღირსი და ცოდვილი მღვდელ მთავარი მანოელ და განუჩინეს რაჭის შესავალი და სასჯლო და საკურთხი ადგილნი დაბანი მათის სამართლიანის მზღვრითა რომელიც ამ ეკლესიის შემავალი არის საყანე და სანადირო და სათევზე საწისკვილო საჯოგე სათიბი ტყითა და ველითა მთითა და ბარითა არას კაცის ძალით წანაღები და ნაუსამართლოველი არა არის მეფის იყო და მან დაიკლო წ ის (წმინდის) ნიკოლოსის საყდარს შემოსწირა სარაჭოს.... დაიწერა ქორონიკონსა :ს ლ ვ: - 236 (1548) ხელითა ფრიად ცოდვილისა... დეკანოზისა მღვდელ მონაზვნისა მარკოზისათა... ამის ყოველთა კიდეთა ქვეყნისათა პყრობელსა მეფისა ჩვენისა კურაპალატისა და მღდელთ მთავარ ეფისკოპოზისა ჩვენისა მანოელ ნიკოლოზწმიდელისათა“ (კაკაბაძე 1912ა: 6). ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ თარიღის აღმნიშვნელი ს და ლ (230) ცუდად იკითხება, ხოლო ვ (6) გარკვევით ჩანს. აქიდან გამომდინარე მან აღნიშნული ქორონიკონი საეჭვოდ მიიჩნია.

მეორე დოკუმენტი გახლავთ ბაგრატ III-ის მიერ ნიკორწმინდისთვის ბოძებული სიგელი, რომელიც აგრეთვე ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსებას ეხება. დოკუმენტში გრძელი ღვთისმეტყველური წინასიტყვაობის შემდეგ ვკითხულობთ: „...ჩვენ ნებითა ღთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა და შანშე და შარვანშა მეფეთ მეფემან... ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ელენე ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და ხელვჰყავით აღშენებადა დაკნინებულისა მონასტრისა ნიკოლწმიდისა და შევქმენ საყდრადა და საეპიზკოპოზოდა. დავადგინე და წმიდა და ღმერთ შემოსილი მანოელ და.... განუჩინეთ სამწყსონი და საკურთხნი თოთენდაურს მთას აქადა, ოკრიბის მთას აქადა, ნაკალოებსა აქადა, მუხურის მთას აქადა, კვეშელვას ერწოს საჯვარეს აქადა, მთა დვალეთისა, ღები, გლოლა, ყისონ გამომდინარე რიონი და სრულადა რაჭა ასკისწყალსა გამოღმა... რაც ამა სოფელსა და დაბასა გამოსავალი და ბეგარა გამოვიდოდეს ესენი სრულად წმიდასა მღდელთმთავარ ეპისკოპაზასა ნიკოლწმიდელსა მიებარებოდეს და არას კაცის ხელი არა მიხვდებოდეს... ვინცა მშელად და მაქცეველად გამოჩნდეს... კრულ.. (იყოს, ბ. გ.) აფხაზეთის კ – ზ პარიაქთა მადლითა და ქართლის კ–ზპ – ქთა მადლითა და მათთა მიმდგომთა მიტროპოლიტთა მთ–ეპისკოპოზთა და სხვათა ეპისკოპოზთა მადლითა... დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისა მეოთხესა ქკ ~ ს (ქორონიკონსა) :ს კ ი ბ: (1544) თვესა აგვისტოსა თ (9), ხელითა გიგი აბაშიძისათა ნებითა ღთისათა“ (კაკაბაძე 1912ა: 8).

ს. კაკაბაძემ ამ ორი დოკუმენტის შეჯერებით დაასკვნა, რომ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დამაარსებელი ბაგრატ მეფე, კურაპალატად წოდებული, არ არის იმერეთის მეფე ბაგრატ III, რომელიც მეფობდა 1510–1565 წლებში. მას მიაჩნდა, რომ ბაგრატ III-ის პარალელურად, იმერეთში მოღვაწეობდა სხვა ბაგრატი, კურაპალატად

წოდებული,რომელიც გამეფებულა 1541 წელს[7] და იმოღვაწა 1548 წლის ჩათვლით. ს. კაკაბაძემ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომელიც 1548 წელს იმერთა მეფის ბაგრატ III-ის გარდაცვალებას ეხება, შეცდომად ჩათვალა, რადგან 1565 წლამდე არსებულ საბუთებში ბაგრატ III ცოცხალი ჩანს. მისი აზრით, ვახუშტი ბატონიშვილს უპოვნია 1548 წლის ცნობა, რომელიც ბაგრატ მეფის, კურაპალატად წოდებულის გარდაცვალებას ეხება და შეცდომით მიუჩნევია ბაგრატ III-ის გარდაცვალების თარიღად. ს. კაკაბაძის ვარაუდით ბაგრატ მეფე, კურაპალატად წოდებული უნდა ყოფილიყო რაჭა–არგვეთის მფლობელი, რომელსაც ქართლის დასავლეთი ნაწილიც ემორჩილებოდა 1541 – 1548 წლებში და რომლის მიერაც იქნა დაარსებული ნიკორწმინდის საეპისკოპოსო (კაკაბაძე 1912ა: 12– 13).

ს. კაკაბაძის ვარაუდი სამეცნიერო წრეებში არ იქნა გაზიარებული. ძნელი დასაჯერებელია იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს, რომლის გავლენა იმ პერიოდის დასავლეთ საქართველოსა და სამცხე–საათაბაგოზე ვრცელდებოდა, დაეშვა ვინმეს გაბატონება რაჭა–არგვეთში. გარდა ამისა ახალი საეპისკოპოსო კათედრების დაარსება სწორედ ბაგრატ III-ის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო, რაც მისთვის პოლიტიკური დასაყრდენის გაჩენას ისახავდა მიზნად. ამიტომ მოყვანილ დოკუმენტებში მოხსენიებული ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დამაარსებელი მეფე ბაგრატი, იგივე კურაპალატად წოდებული, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ა და არა ვინმე რაჭა-არგვეთის მფლობელი ბაგრატ კურაპალატი.

მეფე ბაგრატის მიერ ნიკორწმინდისათვის ბოძებული სიგელი, თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ ვერსიაში 1534 წლით თარიღდება. დოკუმენტში, სადაც საუბარია „ინდიკტიონსა მეფობისა ჩ˜ნისა მეოთხესა,“ თ. ჟორდანიას ვარაუდით უნდა იგულისხმებოდეს „ოცდამეოთხესა“ (ჟორდანია 1897: 379). ბაგრატ III-ის გამეფებიდან თუ მივუმატებთ 24 წელს, მივიღებთ 1534 წელს (1510 + 24 = 1534). „....ჩ˜ნ მეფეთ მეფემან ბაგრატ და თ˜ა მეცხედრემან ჩ˜ნმან დედოფალთ დედოფალმან ელენე... ხელვყავით აღშენებად დაკნინებულისა მონასტრისა ნიკოლოზ წ˜ისა და შევქმენ საყდრად და საეპისკოპოსოდ და დავადგინე... მეუფე მანოელ... და შემოგწირეთ... შევამკე... და შევსწირე დაბანი და სოფელნი... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩ˜ნისა მეოთხესა(ოცდამეოთხესა ?) ქ˜კს : ს კ ბ : (1534) თ˜ა აგვისტოსა ცხრასა, ხელითა გ˜ი აბაშიძისათა“ (ჟორდანია 1897: 380). ჩვენი ვარაუდით აღნიშნულ საკითხთან

[7]1544 წლის სიგელში, მეფე ბაგრატი აღნიშნავს: „დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა მეოთხესა ქკს :ს კ ი ბ: (1544). იმერთა მეფე ბაგრატ III 1510 წელს გამეფდა. შესაბამისად მისი მეფობის მეოთხე ინდიკტიონი იქნებოდა 1513 წელი და არა 1544. აქიდან გამომდინარე ს. კაკაბაძემ მიიჩნია, რომ ზემოთ მოყვანილი სიგელის გამცემი იყო არა იმერთა მეფე ბაგრატ III, არამედ რაჭა - არგვეთის მფლობელი ბაგრატ კურაპალატი, რომელიც გამეფებულა 1541 წელს და 1544 წელი მისი მეფობის მეოთხე ინდიკტიონი იყო. (იხ. ს. კაკაბაძე „სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი“ ტფ. 1912 გვ. 12)

დაკავშირებით თ. ჟორდანიას მოსაზრება უფრო მისაღებია. ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს გამეფებიდან ოცდამეოთხე წელს – „ქ˜კსა : ს კ ბ: ანუ 1534 წელს უნდა დაეარსებინა.

თ. ჟორდანიას ვარაუდს იზიარებენ და ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრას 1534 წელს დაარსებულად თვლიან ე. თაყაიშვილი, მ. ბერძნიშვილი გ. გუგუშვილი და სხვ. ხოლო ს. კაკაბაძის მსგავსად თ. ბერაძე და მ. მურუსიძე მიიჩნევენ, რომ ნიკორწმინდაში, საეპისკოპოსო კათედრა 1544 წელს შეიქმნა.

თ. ჟორდანიას აზრით პირველი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი მანუელი, შეიძლება იგივე მანუელ ჩხეტიძე იყოს, რომელიც 1529 წელს ხონელად დასვეს (იქვე, 379). მანუელ ჩხეტიძე მეფე ბაგრატის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. გარკვეული პერიოდი მას მაწყვერელი ეპისკოპოსის პატივიც ჰქონდა. არ არის გამორიცხული, რომ მეფე ბაგრატს, თავისი ერთგული ეპისკოპოსი მანუელ ჩხეტიძე, ხონიდან ახლადდაარსებულ ნიკორწმინდის კათედრაზე გადაეყვანა. ამგვარად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად 1534 წელს ყოფილი ხონელი მანოელ ჩხეტიძე იქნა ხელდასხმული.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსომ მთელი ისტორიული რაჭა მოიცვა. მისი სამხრეთ დასავლეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი საზღვარი: „ოკრიბის მთას აქათ ნაკალოებსა და მუხურის მთას გადმოღმა“ გავიდა. ჩრდილო და ჩრდილო აღმოსავლეთით „კვეშელვას ერწოს საჯვარეს, დვალეთის მთის გადმოღმა, ასევე ღებსა და გლოლას“ საზვრებში შემოიფარგლა. დასავლეთიდან ასკისწყალს გამოღმა სრულიად რაჭა მოიცვა. როგორც მანოელ ნიკორწმინდელის შედგენილი დოკუმენტიდან ჩანს ნიკორწმინდას: „ადგილნი და დაბანი მათის სამართლიანის მზღვრითა რომელიც ამ ეკლესიის შემავალი არის საყანე და სანადირო და სათევზე საწისკვილო საჯოგე სათიბი ტყითა და ველითა მთითა და ბარითა... მეფის იყო და მან დაიკლო წ˜ის ნიკოლოსის საყდარს შემოსწირა“ (კაკაბაძე 1912ა: 4). ამ დოკუმენტის მიხედვით ბაგრატ III-ს თავისი კუთვნილი მამული შეუწირავს ნიკორწმინდის საეპისკოპოსოსთვის.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს საზღვრები უცვლელი ყოფილა XVIII საუკუნეშიც. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „ხოტევს ზეით, ამის წყალსვე, ერთვის აგარის ხევი. ამ ხევზედ არს ნიკოლაწმიდა, ეკლესია გუმბათიანი, კეთილ–დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი გლოლას ქუეითის რაჭისა“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 764).

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს, თავისი სამწყსოს საზღვრებს გარეთაც ჰქონდა კუთვნილი სოფლები. ერთ–ერთი მათგანი იყო მეფე ბაგრატ III-ის მიერ შეწირული სოფელი რცხილათი არგვეთში, სამი მოსახლე გვარით: გაბისაძეებით, ჩაფიძეებით და გამეზარდაშვილებით (კაკაბაძე 1912ა: 10).

ნიკორწმინდა როგორც ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდან ირკვევა, საეპისკოპოსოს დაარსებამდე მონასტერი იყო. „მეფეთ მეფემან ბაგრატ და .... დედოფალთ დედოფალმან ელენე ვიგულისმოდგინეთ და ხელვყავით აღშენებადა დაკნინებულისა მონასტრისა ნიკოლწმიდისა და შევქმენ საყდრად და საეპისკოპოზოდ (იქვე, 6). თუმცა როგორც თავში აღვნიშნეთ არსებობს ვარაუდები, რომ ნიკორწმინდაში XVI საუკუნემდეც იყო საეპისკოპოსო კათედრა. ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვარი, რომლის მიერაც დაიწერა ზემოთ მოყვანილი XI საუკუნის ნიკორწმინდის სიგელი, ამავე დროს ნიკორწმინდელი (ნიკორწმინდის ეპისკოპოსი) უნდა ყოფილიყო (მეტრეველი2013: 63).

ნიკორწმინდის ტაძარი ექვსაფსიდიანი ცენტრალურ გუმბათოვანი ნაგებობაა. (ბერიძე1959: 8). ეს ძეგლი სკულპტურის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპის დამახასიათებელი ნიმუშია, იგი მძლავრი შემოქმედებითი ძიების ხანას – XI საუკუნეს ეკუთვნის (ალადაშვილი 1957: 3). ტაძარი IV საუკუნეში მოღვაწე ცნობილი წმინდა მამის - ნიკოლოზის სახელზე აიგო და ძველ ისტორიულ დოკუმენტებში „ნიკოლაოსწმიდა“-დ ან „ნიკოლწმიდა“-დ იხსენიებოდა, ხოლო იქ მოღვაწე ეპისკოპოსები ნიკოლწმიდელად იწოდებოდნენ. მოგვიანებით სახელწოდება „ნიკოლაოსწმიდა“ შეიცვალა „ნიკორწმინდა“-დ, ამ საყდრის მღვდელმთავრებს კი „ნიკორწმინდელი“ ეწოდათ.

ნიკორწმინდის ტაძრის აგება ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის (978–1014) სახელთან არის დაკავშირებული. ეკლესიის დასავლეთი კარის ტიმპანზე მოთავსებულია წარწერა: „ქ. ძეო ღთისაო ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი ნებასა შენსა მეოხებითა წმიდისა მღდელთმოძღვრისა ნიკოლაოზისათა“ (ბერძნიშვილი 1979: 21-22).

გ. ბოჭორიძის ვარაუდით ნიკორწმინდის ტაძარი ბაგრატ III-ის მეფობის ბოლო წლებში უნდა იყოს აგებული. ამავე აზრს იზიარებს მ. ბერძნიშვილი და დასძენს: „რადგან ზემოდ მოყვანილ წარწერაში ბაგრატი მოხსენიებულია აფხაზთა და რანთა მეფედ, ხოლო როგორც წყაროებიდან ვიცით ბაგრატმა რანი 1010 წელს შემოიერთა, ნიკორწმინდის ტაძარი 1010–1014 წლებში უნდა აგებულიყო“ (იქვე).

ნიკორწმინდის საეპისკოპოსო დიდი ყმა–მამულის მფლობელი იყო, რაც დასტურდება XI საუკუნეში ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვრის მიერ შედგენილი სიგელით. ნიკორწმინდაში მრავალი ძვირფასი საეკლესიო ნივთები და ხელნაწერები ინახებოდა. XIX ს–ის 20–იან წლებში აქ ჯერ კიდევ იყო ქართული ჭედური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები და ხელნაწერები, რომელთა უმეტესობა დღეს მუზეუმებს აქვთ ჩაბარებული“ (ბერაძე 2004: 14).

იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს შექმნით და მის კათედრაზე თავისი ერთგული სასულიერო პირის დასმით, რაჭაში მდგომარეობა განიმტკიცა. მან გელათში, ხონსა და ნიკორწმინდაში საეპისკოპოსო კათედრების დაარსებით, ეკლესია გააძლიერა და მისი სახით ერთგული მოკავშირე გაიჩინა.

თავი III

საეპისკოპოსოების მართვა – გამგეობა XVI – XVIII საუკუნეების დასავლეთსაქართველოში და ეპისკოპოსების უფლება – ვალდებულებანი

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების მმართველობითი სისტემა, ანალოგიური იყო იმ ხანად (XVI–XVIII სს) საქართველოში არსებული სხვა საეპისკოპოსო კათედრების მართვის სისტემებისა. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საეპისკოპოსო, საკათალიკოსოში შემავალ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა და მისი მართვა-გამგეობა საკათალიკოსოს მართვის მსგავსად ხდებოდა, რაც კრებითობას, არჩევითობასა და დემოკრატიულობას ემყარებოდა (კელენჯერიძე 1918: 137).

ეპისკოპოსი ბერძნული სიტყვაა და ზედამხედველს ნიშნავს. ეპისკოპოსნი იყვნენ „პატივსა მღვდელმთავრობისასა“ და ამის გამო მათ მღვდლები და ეკლესიის ყველა მსახურნი ხელქვეით ჰყავდათ. ამავე დროს ეპისკოპოსი იყო სულიერი მთავარი ერისა და შეეძლო როგორც „განხსნაი ყოვლის კრულებისაი“ ისევე დაკრულვა (ჯავახიშვილი 1984: 16).

თავიდან ეპისკოპოსები ცოლოსნები იყვნენ. VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ (680–681) აკრძალა ეპისკოპოსების ცოლოსნობა და მას შემდეგ, ამ პატივის მიღება მხოლოდ შავი სამღვდელოების წარმომადგენლებისთვის, (ბერ–მონაზვნებისთვის) გახდა შესაძლებელი.

ეპისკოპოსი შეიძლებოდა გამხდარიყო საზოგადოების ნებისმიერი სოციალური წრიდან გამოსული და საეკლესიო იერარქია გავლილი შავი სამღვდელოების წარმომადგენელი,მისი პიროვნული ღირსებებისა და სათანადო განსწავლულობის შესაბამისად. ეპისკოპოსს კათალიკოსი ადგენდა. VIII–X სს- ში ქართულ ეკლესიაში ეპისკოპოსის პატივის მისაღებად სასულიერო პირის არჩევაში, სამღვდელოებასთან ერთად ერისკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას. არქიჰიერატიკონის მიხედვით: „მღდელად გინა თუ ებისკოპოზად რომელი დადგებოდის წამებულცა (არჩეული ბ. გ.) არს ყოველისა ერისაგან“ (იქვე, 19). ირკვევა, რომ საეკლესიო მართვა-გამგეობის საქმეში ქართველ ერს თავისი უფლება ჰქონდა და მონაწილეობაც მიუღია. ამგვარ მონაწილეობას ხელთ-დასხმადთა არჩევანში „წამება და თანადგომა“ ეწოდებოდა (ჯავახიშვილი 1984: 19). თუმცა ეს უფლება დროთა განმავლობაში ერს ჩამოერთვა და ეპისკოპოსებად ის სასულიერო პირები ინიშნებოდნენ, რომლებიც მეფეების სასურველი კანდიდატები იყვნენ. ერთიანი საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027–1072) დროს, ადგილი ჰქონდა საეპისკოპოსოების გაყიდვასაც. ამ უწესობის წყალობით უპირატესობა იმ საეპისკოპოსო კანდიდატს ეძლეოდა რომელსაც მეტი ქრთამის გაღება შეეძლო საეპისკოპოსო პატივის მისაღებად. ყოველივე ამას წინ აღუდგაათონელიმამა გიორგი მთაწმინდელი და მეფე ბაგრატ IV-ის მხილება დაიწყო (იქვე,27).

მომდევნოსაუკუნეებში დამკვიდრებული წესის თანახმად,ეპისკოპოსისპატივს მხოლოდ ფეოდალური წრიდან გამოსული სასულიერო პირებიიღებდნენ. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსი და არქიმანდრიტი, თავადთა წოდებასთან არის გათანაბრებული და მათი სისხლის ფასი ისეთივეა, როგორც თავადებისა (ნარკვევები 1973ბ: 214).

ეპისკოპოსი იყო მწყემსმთავარი თავის საეპისკოპოსოს საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობის. ამ მოსახლეობაში თავადების, აზნაურებისა და გლეხების სოციალური ფენები ერთიანდებოდა. ეპისკოპოსს საეპისკოპოსოს მართვაში მოხელეებისაგან შემდგარი კოლეგია ეხმარებოდა (კელენჯერიძე 1918: 140), რომელიც „სამღვდელო და საერო“ პირებისგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: ქორეპისკოპოსი, დეკანოზი, მოხელე - კანდელაკი, მეღვინეთუხუცესი, მოურავი და სხვა. თანაშემწეებში პირველი ადგილი ქორეპისკოპოსს ეკავა. ქორეპისკოპოსობა იყო „პატივი უმეტესი მღდელობისაი“ და „წმიდათა ეკლესიათა... განმგებელ“- ად ითვლებოდა, განსაკუთრებით სოფლის ეკლესიათა. ქორეპისკოპოსს სოფლების მღვდელ-დიაკონნი ექვემდებარებოდნენ (ჯავახიშვილი1984: 16). ქორეპისკოპოსად გარდა ეპისკოპოსისა, შეიძლებოდა დანიშნულიყო დეკანოზი, მონასტრის წინამძღვარი, მღვდელი ან დიაკვანი. ქორეპისკოპოსის მოვალეობა იყო „სოფლის სოფლამდის და ეკლესიის ეკლესიამდის“ სიარული და საქმეების მოწესრიგება (კაკაბაძე 1913ა: 5). ამ შრომისათვის მას საეპისკოპოსოს შემოსავლიდან ეძლეოდა მეათედი ნაწილი (კელენჯერიძე 1918: 140).

საეპისკოპოსოს მართვაში სამღვდელოებასთან ერთად ჩართული იყვნენ საერო პირებიც, რომლებსაც გადასახადების აკრეფვა, აგრეთვე სამეურნეო, სამშენებლო და სხვა საქმიანობების ზედამხედველობა ევალებოდათ.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1004) გადაწყვეტილებით, ეპისკოპოსად ხელდასხმული ბერ-მონაზონი, უნდა ყოფილიყო არა უმცირეს 35 წლისა (ქ. ს. ძ. 1970: 115), თუმცა ეს დადგენილი წესი ყოველთვის ზედმიწევნით არ სრულდებოდა.მაგალითად, 1740 წელს 20 წლის ასაკში ქუთათელ ეპისკოპოსად აკურთხეს თეიმურაზ ბაგრატიონი, შემდგომში ქართლის კათალიკოსი ანტონ I (ჟორდანია 1967: 166).

ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას, ქართლის (საქართველოს) საკათალიკოსოსგან აფხაზეთის(დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს გამოყოფა მოჰყვა (XV ს-ის 70-იანი წწ.), რამაც ეკლესიის დასუსტება გამოიწვია. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსს დასავლეთ საქართველოში არსებული საეპისკოპოსოები დაექვემდებარნენ. თუმცადასავლეთ საქართველოს ეპარქიებზეაფხაზეთის კათალიკოსის გავლენა იმდენად სუსტი იყო,

რომხშირ შემთხვევაში ეპისკოპოსებს მეფე - მთავრები კათალიკოსთან შეუთანხმებლად ნიშნავდნენთავიანთი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.ასეთი ფაქტები მრავლად გვხვდება ისტორიულ დოკუმენტებში. მაგალითად, ერთ – ერთ საბუთში იმერეთის მეფე გიორგი II (1565–1583) აღნიშნავს, რომ გენათელ ეპისკოპოსად აბაშიძე დასვა (ბურჯანაძე 1958: 17). თავისი ნება-სურვილისამებრ ნიშნავდნენ ეპისკოპოსებს გაძლიერებული ფეოდალებიც.მათ შორის იყო XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე რაჭის ფეოდალი მერაბ წულუკიძე, რომელმაც ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად თავისი ძმა სვიმონ წულუკიძე დასვა (თაყაიშვილი 1963: 42). აღნიშნული ფაქტები რათქმაუნდა საეკლესიო კანონებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, მაგრამ იმ ხანად (XVI–XVIII სს) ქვეყანაში არსებული ვითარება (ეკლესიის დასუსტება, პოლიტიკური ანარქია და სხვა.) ყველაფერს დასაშვებს ხდიდა.

მეფეები კათალიკოსთან შეუთანხმებლად ეპისკოპოსების გადაყენებასაც არ ერიდებოდნენ. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა (1752–1784), რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1769), ნიკორწმინდელობიდან გადააყენა გერმანე წულუკიძე და მის ნაცვლად სილიბისტრო ღოღობერიძე დასვა(ბატონიშვილი დავითი 1905: 19). გერმანე წულუკიძე ერთგული იყო მეფე სოლომონის მოწინააღმდეგე რაჭის ერისთავის როსტომ ჩხეიძისა და ეს ჩანაცვლებაც ამით იყო განპირობებული. სოლომონ I-მა პიროვნული უთანხმოების საფუძველზე ხონის საეპისკოპოსო კათედრას ჩამოაცილა ხონელი ანტონ ჩიჯავაძეც. ეს უკანასკნელი, სოლომონის გარდაცვალების (1784) შემდეგ დაბრუნდა ხონში. ერთმანეთში უთანხმოება ჰქონდათ იმერეთის უკანასკნელ მეფე სოლომონ II – ს (1790–1810) და გელათის უკანასკნელ ეპისკოპოსს ეფთვიმე შერვაშიძესაც. გარკვეული პერიოდი სოლომონ II-მ ეფთვიმე, გენათლობიდან გადააყენა, მაგრამ მალევე უკან დააბრუნა.

იყო შემთხვევები როდესაც ეპისკოპოსების პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სხვადასხვა ძალებს შორის სამეფო ტახტის დასაკავებლად გამართულ ბრძოლაში. მაღალი სამღვდელოების, კერძოდ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს სვიმონ ჩხეტიძისა (1660–1666) და გენათელი ეპისკოპოსის – გედეონ ლორთქიფანიძის (1662–1682) აქტიურობის შედეგად, 1663 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე დაბრუნებულ იქნა მეფე ალექსანდრე III-ის (1639–1660) ვაჟი ბაგრატ IV, რომელსაც 1660 წელს დედინაცვალმა დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა, თვალები დათხარა და მეფობიდან გადააყენა (ჟორდანია 1897: 477).

XVI საუკუნის 50-იან წლებში იმ ხანად ეკლესიაში არსებული უწესობების ალაგმვის მიზნით, დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510–1565) ინიციატივით, საეკლესიო კრება გაიმართა. ამ კრების დადგენილების მიხედვით, რომელიც „სამართალი კათალიკოზისას“ სახელით არის ცნობილი, სხვა საკითხებთან

ერთად, დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ეპისკოპოსების უფლება-ვალდებულებებიც განისაზღვრა. ეპისკოპოსს აეკრძალა 20 დღეზე მეტი ხნით საეპისკოპოსოს დატოვების უფლება, თუკი რაიმე საპატიო მიზეზი არ იყო (კაკაბაძე 1913ა: 4).

ეპისკოპოსს თავისი სამწყსოს სულიერ ცხოვრებაზე ზრუნვის გარდა, საეპისკოპოსოს შიგნით აღმშენებლობითი სამუშაოების წარმოება, საეკლესიო ყმა – მამულის გაზრდა და მწარმოებელი კლასისათვის სამეურნეო პირობების შექმნა ევალებოდა.

ეპისკოპოსს ეკრძალებოდა უღირსი მღვდლის ან დიაკვნის კურთხევა. აგრეთვე არ უნდა ეკურთხებინა ისეთი პირი მღვდლად ან დიაკვნად, რომელსაც მოძღვარი არ ჰყავდა და არ შეეძლო დავითნის კითხვა. ეპისკოპოსს არ უნდა შეენდო სხვა ეპისკოპოსისაგან შეუნდობელი მღვდლის ან დიაკვნისათვის. ჩამოთვლილი წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ეპისკოპოსი საეკლესიო კრებისაგან შეჩვენებული იქნებოდა (იქვე, 4-6).

ეპისკოპოსი რომელიც „საღმრთოსა და სასჯულოსა საქმეზედა“ რამეს დააშავებდა და ამის გამო კათალიკოსი დანაშაულის გამოსწორებას მიუთითებდა, ხოლო ეპისკოპოსი კათალიკოსის მითითებას არ შეასრულებდა, მას მეფე „წირვისაგან განკვეთდა“ და თავის საეპისკოპოსოს ჩამოაცილებდა (იქვე, 5). მეფისაგან ისჯებოდა ყველა ის პირიც, თავადი, აზნაური თუ გელეხი, ვინც ეპისკოპოსს უსამართლოდ წინ აღუდგებოდა და არ დაემორჩილებოდა. ისჯებოდა კათალიკოზისა და ეპისკოპოსის მაგინებელნიც (იქვე, 5-6).

ეპისკოპოსებს საჭიროების შემთხვევაში ევალებოდათ თავიანთ სამწყსოში მოეხდინათ სმხედრო მობილიზაცია. საეპისკოპოსოებიდან გამოყვანილი ჯარი თავად – აზნაურებისაგან შედგებოდა. რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოებში მოღვაწე ეპისკოპოსები, კერძოდ გენათლები, ციხე-სიმაგრეების მფლობელნიც იყვნენ. იყო შემთხვევები როცა გენათელების ციხეები იმერეთის მეფის მოწინააღმდეგე მთავრების დარტყმის ობიექტი ხდებოდა. XVII ს-ის 50-იანი წლების ახლოს, სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა (1612–1657), იმერეთის სამეფოზე მორიგი თავდასხმის დროს, ალყა შემოარტყა გენათელი ზაქარია ქვარიანის ციხეს და ერთკვირიანი საარტილერიო ბრძოლის შედეგად მიწასთან გაასწორა მისი ზღუდეები (ნარკვევები 1973ბ: 339). ზოგჯერ გენათელი ეპისკოპოსების ციხე-სიმაგრეებიში, მეფის მოწინააღმდეგე ბანაკის წევრები პოულობდნენ თავშესაფარს. ასეთი გახლდათ ოკრიბაში მდგარი ჯვარის ციხე, რომელსაც ფლობდა გენათელი გედეონ ჩხეტიძე (1720–1733). გედეონი თავდაპირველად იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ს (1720 ხანგამოშვებით 1752) მოწინააღმდეგე იყო. ამის გამო 1724 წელს მეფე ალექსანდრემ სამეგრელოს მთავარ ბეჟან დადიანთან ერთად,

იერიში მიიტანა გედეონ გენათელის ციხეზე. შეშინებული მეციხოვნეები დანებნენ და ციხე მეფეს გადასცეს (ბატონიშვილი ვახუშტი1973: 883).[8]

ეპისკოპოსებს თავიანთ სამწყსოში რამდენიმე რეზიდენცია ჰქონდათ. გენათელი ეპისკოპოსების ძირითადი რეზიდენცია იყო ქუთაისში მწვანეყვავილაზე,რომელიც ააშენა გენათელმა ზაქარია ქვარიანმა 1637–1639 წლებში (მეტრეველი 2010: 139). გენათელ გედეონ ლორთქიფანიძეს საზაფხულო რეზიდენცია ჰქონდა სოფელ ჩხარშიც.

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს მალაქია გურიელს, რომელიც ამავ დროულად ცაიშლობას, ჯუმათლობას და ხონელობას ითავსებდა,18 რეზიდენციიდან ერთ-ერთი ხონის სამწყსოში, კერძოდ სოფელ მათხოჯში ჰქონდა(ქ. ს. ძ. 1970: 503). უკანასკნელი ხონელი ეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე შედარებით მოკრძალებულად ცხოვრობდა. მისი საცხოვრისი ხონის ეკლესიის მახლობლად იდგა.

ნიკორწმინდის ტაძრის სიახლოვეს ჰქონდათ თავიანთი ძირითადი რეზიდენცია ნიკორწმინდელ ეპისკოპოსებსაც. გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის ცნობით, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის საცხოვრებელი ხისგან იყო აშენებული, მაგრამ ის, უდიდესი და ყველაზე წესიერად აგებული შენობა ყოფილა იმერეთში (გიულდენშტედტი 1962: 131).

ეპისკოპოპსები როგორც მომრიგებელნი და შუამავალნი მონაწილეობას იღებდნენ სასამართლო დავებშიც. ხშირად მათ თავადაც უხდებოდათ ბრძოლა სამართლის ძალით თავიანთი სამწყსო მიწების დასაცავად. 1785 წლის ახლო ხანებში, ეფთვიმე გენათელი გელათის კუთვნილ მიწას კათალიკოს მაქსიმეს, მოძღვარ ქრისტეფორეს,სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს დამდივანბეგდავითსედავებოდა (ჟორდანია 1967: 392). გენათელეფთვიმესგელათისმიწებისთვისსასამართლოდავაჰქონდაივანედაქაიხოსროაგი აშვილებთანაც. ამსასამართლოდავაშიმეფესოლომონ II-ციღებდამონაწილეობას (ქ.ს.ძ. 1974: 282 – 284).

უნდა აღინიშნოს, რომ გელათის საეპისკოპოსო, განსხვავებით სხვა საეპისკოპოსოებისაგან, თავისი ყმების გასამართლების უფლებით იყო აღჭურვილი. სავარაუდოდ გელათის მონასტერმა სასამართლო შეუვალობა პირველად XII საუკუნეში მეფე დავით IV-ისაგან მიიღო და XVIII საუკუნის დასასრულამდე შეინარჩუნა.გელათის სასამართლოს მსაჯულებს გელათელი ბერები წარმოადგენდნენ. აქ ყველა სახის დანაშაულებრივი საქმე ირჩეოდა, მათ შორის: მკვლელობის, ქურდობის, ზნეობრივ–სარწმუნოებრივი დანაშაულობანი და სხვა (ლომინაძე 1955: 66).

[8]იხ. გენათელი ეპისკოპოსები...

გელათის მონასტრის სამრეკლოს შუა სართულში მოთავსებულია ოთახი, რომელიც სავარაუდოდ საპატიმრო იყო (გოგსაძე 1948: 63).როგორც ჩანს ამ ოთახში ჰყავდა დაპატიმრებული იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს, სამეგრელოს მთავარი ლევან I დადიანი, რომელმაც 1545 წელს, მეფე ბაგრატ III-ს ოსმალების წინააღმდეგ სოხოისტას ველზე გამართულ ბრძოლაში დახმარება არ გაუწია. ბაგრატმა ლევანის დასჯა განიზრახა: „მოიწვია დადიანი ლეონ ჭალასა ხონისასა, და ღალატად შეიპყრა იგი ბაგრატ მპყრობელმან იმერეთისამან და პატიმარ ჰყო.....გელათს სამრეკლოსა შინა (ყაუხჩიშვილი 1959: 501). ლევან დადიანმა გელათის სამრეკლოს საპატიმროდან გაქცევა ხოფილანდრე ჩხეიძის დახმარებით შეძლო (იქვე).

საეკლესიო ყმები, რომლებიც თვითნებურად მიატოვებდნენ თავიანთ ალაგს, ეპისკოპოსებს უფლება ჰქონდათ სამართლის ძალით უკანვე დაებრუნებინათ. XIX საუკუნის დასაწყისში, მწირი მოსავლიანობის გამო, ხონის საეპისკოპოსოში გლეხების მხრიდან ადგილი ჰქონდა თავიანთი ალაგების თვითნებურად დატოვებას და სხვა ეპარქიებში გადასვლას. ხონელმა ეპისკოპოსმა ანტონ ჩიჯავაძემ, დახმარებისთვის იმერეთის მეფე სოლომონ II-ს მიმართა, რომელმაც აიძულა ხონის სამწყსოს გლეხები თავიანთ ადგილებს დაბრუნებოდნენ.[9]

ეპისკოპოსებს მოღვაწეობა უწევდათ დიპლომატიურ სარბიელზეც. 1766 წელს იმერეთის მეფე სოლომონ I-მა სტამბულში, ოსმალეთის იმპერიასა და იმერეთის სამეფოს შორის საზავო მოლაპარაკების გასამართად, თავისი ძმა გენათელი ეპისკოპოსი იოსები გაგზავნა.[10]სხვადასხვა დროს პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად იყვნენ ჩართული გენათელი ეპისკოპოსები: ზაქარია ქვარიანი და ეფთვიმე შერვაშიძე, ქუთათელები მაქსიმე აბაშიძე და დოსითეოს წერეთელი, ნიკორწმინდელი სოფრონიოს წულუკიძე და სხვანი.

ეპისკოპოსები საგანმანათლებლო საქმიანობითაც იყვნენ დაკავებული. როდესაც გელათის აკადემიამ არსებობა შეწყვიტა, საგანმანათლებლო ფუნქცია გელათის საეპისკოპოსო კათედრამ შეითავსა. ამ მხრივ დიდი იყო გენათელი ეპისკოპოსების ღვაწლი.

სამრევლო სკოლა არსებობდა ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მახლობლადაც, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ხონელი ეპისკოპოსის ანტონ ჩიჯავაძის (1771–1820) მოღვაწეობის დროს. ამ სკოლაში არაერთმა მწიგნობარმა მიიღო განათლება.

ცნობილი იყო ნიკორწმინდის ტაძრის მახლობლად არსებული სასწავლებელიც. ამ სასწავლებლის განვითარებაზე ზრუნავდა ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სოფრონიოს

[9]იხ. ხონელი ეპისკოპოსები...
[10]იხ. გენათელი ეპისკოპოსები...

წულუკიძე. მის სახელს უკავშირდებანიკორწმინდის სამწყსოში შემავალ სოფელ წესში სტამბის დაარსებაც(კეზევაძე 2000: 2).

თავი IV

რაჭა – იმერეთის საეპისკოპოსოების სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობა

(გელათი, ხონი, ნიკორწმინდა)

რაჭა–იმერეთის საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) სამეურნეო მექანიზმი, მსგავსი იყო იმ ხანის ფეოდალური სენიორიების სამეურნეო წარმოებისა. ზოგადად საეპისკოპოსოს მიწათმფლობელობა ახლოს იდგა XVI–XVIII საუკუნეების სათავადო მფლობელობასთან, მაგრამ ამავე დროს საეპისკოპოს, როგორც საეკლესიო ადმინისტრაციულ ერთეულს, მიწათმფლობელობის თავისებური ფორმებიც ახასიათებდა (ლომინაძე 1955: 60). საეკლესიო მიწათმფლობელობა ძირითადად

შეწირული ქონებისაგან შედგებოდა. შეწირული ქონების გვერდით არსებობდა ნასყიდი ქონებაც, მაგრამ ნასყიდის ხვედრითი წონა, XVI–XVIII საუკუნეებში მეტად მცირე იყო (ნარკვევები 1973ბ: 214).

რაჭა–იმერეთის საეპისკოპოსოების მეურნეობაში წამყვანი ადგილი მიწადმოქმედებას ეჭირა. აქ მოჰყავდათ ღომი, პური, ქერი და სხვა მარცვლეულის სახეობები. განვითარებული იყო მევენახეობა და მეფუტკრეობა. ცნობილია, რომ გელათის მონასტერს ჰქონდა ღვინის დიდი შემოსავალი. მეღვინეობის საქმის მომწესრიგებლად დადგენილი იყო საგანგებო მოხელე მეღვინეთუხუცესის სახით (ლომინაძე 1955: 64). მეღვინეობა გელათში საეპისკოპოსოს დაარსების (1529) შემდეგაც წამყვან დარგად რჩებოდა, ხოლო მეღვინეთუხუცესი, გელათის საეპისკოპოსოს მმართველი ორგანოს საპატიო წევრი იყო, რასაც ადასტურებს 1790 წლის საბუთში „საგენათლოს კრებულ სამღვდელო და საერო“ პირთა შორის, მეღვინეთუხუცესისა და მეღვინეს მოხსენიება (ხ.ე.ც. ფონდი H D – 1621). ხონის საეპისკოპოსოში განვითარებული იყო მეაბრეშუმეობაც. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, ხონის სამწყსოში შემავალი სოფელ მათხოჯის მცოვრებლებს, სხვა სახის გადასახადებთან ერთად, ეკისრებოდათ „საყაჭობო“ გადასახადის გადახდაც (ფაილოძე 2003: 155). აბრეშუმის ჭიას დასავლეთ საქართველოში ყაჭს უწოდებდნენ. სიტყვა „საყაჭობო,“ მეაბრეშუმეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. „საყაჭობო“ გადასახადი გვხვდება 1578 წელს შედგენილ ქუთაისის საყდრის გამოსავლის დავთარშიც (ქ. ს. ძ. 1970: III 298).

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოებს შორის ეკონომიკური სიძლიერით, გელათის საეპისკოპოსო გამოირჩეოდა. გელათის მონასტრის დაქვემდებარებაში იყო მოქცეული მრავალი სოფელი, ასეულობით კომლი გლეხი, ვენახები, ზვრები, ტყეები, წისქვილები, სავაჭრო დუქნები და სხვა (მეტრეველი 2006: 44). გელათში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების შემდეგ (1529 წ.), გელათის მონასტრის უძრავ-მოძრავი ქონება გენათელი ეპისკოპოსის სამწყსოში გაერთიანდა. გენათელი ეპისკოპოსები „სხუათა ეპისკოპოსთაგან უმეტესნი იყვნენ“ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ იმერეთის სამეფო კარზე. მათ სხვა შემოსავლების გარდა, დადგენილი წესის მიხედვით „ასი თეთრი მიერთმეოდათ სამარადისოდ“ (კაკაბაძე 1921ა: 10-11).

გენათელები იმერეთის სამეფოში მდიდარი და გავლენიანი სასულიერო პირები რომ იყვნენ, ეს უცხოელი მოგზაურების ცნობებითაც დასტურდება. ფრანგი იუველირი და მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც საქართველოში 1672-73 წლებში იმყოფებოდა, გენათელი ეპისკოპოსის შესახებ საუბრის დროს აღნიშნავს, რომ: „იგი (საუბარია გენათელ გედეონ ლორთქიფანიძეზე ბ. გ.) იმერეთში მდიდარი და მეტად ღირშესანიშნავი პიროვნებაა“ (შარდენი 1975: 243).

XVII საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფოსა და მთელს დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ანარქია არ ცხრებოდა. გაუთავებელმა შინააშლილობებმა და ძარცვა–რბევებმა, ქვეყანა ეკონომიკურად დასცა და განადგურების პირას მიიყვანა. ყოველივე ამას ოსმალური აგრესია ემატებოდა. 1672 წელს იმერეთის სამეფოში ახალციხის ფაშა შემოიჭრა. უთანასწორო ბრძოლაში იმერეთის ლაშქარი დამარცხდა და უსინათლო მეფე ბაგრატ IV (1660- ხანგამოშვებით-1681) ტყვედ ჩავარდა. ოსმალებმა იმერეთის რბევა დაიწყეს. შარდენის ცნობით (შარდენი იმ ხანად იმერეთში იმყოფებოდა), გენათელმა ეპისკოპოსმა (საუბარია გედეონ ლორთქიფანიძეზე ბ. გ.) ფაშას თხუთმეტი ათასი ეკიუ გადაუხადა, რათა თავისუფლება მოეპოვებინა და მისი მიწებიც ხელუხლებლად შეენარჩუნებინა (იქვე, 247). ფაშამ ქრთამი აიღო და გენათელის სამწყსო აღარ დაარბია. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ოსმალთაგან დატყვევებული მეფე ბაგრატი, შეევედრა ახალციხის ფაშა - ასლანს, რომ მისთვის მეფობა შეენარჩუნებინა და სანაცვლოდ ქრთამის მიცემა აღუთქვა. თუმცა იმხანად სამეფო ხაზინა დაცარიელებული იყო, ამიტომ ბაგრატმა ფაშას ქრთამის ნაცვლად „წინდად“ მისცა თავისი ძე – ალექსანდრე (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 841). ამ ორი ცნობიდან ირკვევა, რომ იმ უმძიმეს ვითარებაშიც კი, რომელიც იმერეთის სამეფოში სუფევდა, გელათის საეპისკოპოსო ეკონომიკურ სიძლიერეს ინარჩუნებდა და გენათელი ეპისკოპოსის ფინანსური მდგომარეობა, გაცილებით უკეთესი იყო ვიდრე იმერეთის მეფისა. მაშინ როდესაც სამეფო ხაზინა დაცარიელებულია და მეფე ბაგრატ IV ტყვეობიდან თავდასახსნელად ახალციხის ფაშას ქრთამის ნაცვლად მძევლად თავის ვაჟს აძლევს, გენათელ ეპისკოპოსს შეუძლია თხუთმეტი ათასი ეკიუს გადახდა პირადი თავისუფლებისა და მისი მიწების ხელშეუხებლობის პირობით. შარდენის ცნობით იმ ხანად დასავლეთ საქართველოში ტყვის მსყიდველები ოცდახუთიდან ორმოც წლამდე მამაკაცებს 15 ეკიუდ ყიდდნენ. ორმოცზე მეტი ხნისას 8-დან 10 ეკიუმდე. ქალწულებს ცამეტიდან თვრამეტ წლამდე 20 ეკიუდ, ხოლო ბავშვებს 3 ან 4 ეკიუდ (შარდენი 1975: 212). იმ ფონზე, როდესაც დატყვევებული ადამიანის ფასი 15-20 ეკიუს არ აღემატებოდა, თხუთმეტი ათასი ეკიუ საკმაოდ სოლიდური თანხა, გენათელი ეპისკოპოსი გედეონ ლორთქიფანიძე კი მთელს იმერეთში ყველაზე მდიდარი ადამიანი იქნებოდა.

სიმდიდრით გამოირჩეოდა აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია გურიელიც (1616–1639), რომელსაც პარალელურად ცაიშლობა, ჯუმათლობა და ხონელობა ჰქონდა შეთავსებული. იგი ოცდაოთხი საკათალიკოსო მსხვილი მამულის მფლობელი იყო, აქიდან თვრამეტში სამეურნეო-საგამგეო ცენტრი ჰქონდა განთავსებული (მეტრეველი 2010: 136). მალაქია გურიელის, როგორც გავლენიანი მღვდელმთავრის შესახებ, ქართული წყაროების გარდა ცნობებს გვაწვდიან კათოლიკე მისიონერებიც (არქანჯელო ლამბერტი, ქრისტოფორო კასტელი და სხვ.), რომლებიც XVII საუკუნის შუა ხანებში დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდნენ.

ფინანსურად ძლიერი იყო გენათელი ეპისკოპოსი ზაქარია ქვარიანიც (1637–1660). მან 1637-39 წლებში ქუთაისში მწვანეყვავილაზე ააშენა მთავარანგელოზის ეკლესია, ციხე–სიმაგრე და სახლ-კარი (მეტრეველი 2010: 139). ზაქარია ქვარიანი აღმშენებლობით სამუშაოებს აწარმოებდა მთელი გელათის საეპისკოპოსოს მაშტაბით. ჟამთა ვითარებისაგან გაპარტახებულ სოფლებში ასახლებდა გლეხებს და ცდილობდა მეურნეობის აღორძინებას.

ჩიჯავაძეთა ფეოდალური სახლის მემკვიდრე იყო უკანასკნელი ხონელი მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე (1771–1820). მის საკუთრებაში შედიოდა საჩინოსა და ვანის სანახებში არსებული ათობით სოფელი 1000-მდე კომლით და აზნაურის 12 საგვარეულოთი (ფაილოძე 1997: 173). თუმცა მძიმე ეკონომიკური კრიზისის დროს ანტონს თათრის ვალი დასდებია და იძულებული გამხდარა მამული გაეყიდა (ვაჭრიძეპ. 1977: 17).

ფინანსურ სიდუხჭირეს არ უჩიოდნენ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსებიც. მათ მფლობელობაში მრავალი სოფელი და ყმა–მამული იყო. გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის ცნობით, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების რეზიდენცია უდიდესი და ყველაზე წესიერად აგებული შენობა იყო მთელს იმერეთში (გიულდენშტედტი 1962: 131). ნიკორწმინდელთაგან ფინანსური შესაძლებლობებით გამოირჩეოდნენ წულუკიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები, გერმანე და სოფრონიოს წულუკიძეები. ამ უკანსაკნელსდიდი წვლილი მიუძღვის ნიკორწმინდის საეპისკოპოსოში განხორციელებული აღმშენებლობის პროცესში.

საეპისკოპოსოს საზღვრებში მცხოვრები ყველა სოციალურიფენის წარმომადგენელი თავადი, აზნაური, თუ გლეხი, ამ საეპისკოპოსოს სამწყსოს წევრად ითვლებოდა და ვალდებული იყო გადაეხადა სამწყსო გადასახადი. თითოეულ საეპისკოპოსო კათედრას თავისი აზნაურები და გლეხები ჰყავდა, რომლებსაც ეკლესიის მხრიდან გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა.

საეკლესიო აზნაურების ვალდებულება ძირითადად სტუმრის მიღება-გამასპინძლებით, ლაშქრობებში მონაწილეობითა და სხვა საპატიო სამსახურით შემოიფარგლებოდა. საცაიშლოს გამოსავლის დავთარში აღნიშნულია, რომ: „ათმან აზნაურიშვილმან ზროხიანი კარგი საჭმელი თავის თავით გვაჭამოს, რა რიგადცა თავი ესახელებოდეს“ (საისტორიო კრებული1928: 10). ანალოგიური ვალდებულება აქვთ დაკისრებული ქუთაისის სამწყსოს აზნაურებს 1578 წელს შედგენილი ქუთაისის საყდრის დავთრის მიხედვით: „7 კომლს აზნაურთ მართებთ თითოს პურის ჭამა, ლაშქრობა და თითო თეთრის ყავრის მიტანა ქუთაისს“ (იქვე, 13). აღნიშნული

ვალდებულებები გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საყდრის აზნაურებზეც ვრცელდებოდა.

გაცილებით უფრო მეტი ვალდებულებები ეკისრებოდა საეკლესიო გლეხებს. გლეხი, რომელიც ეკლესიის მიწაზე იჯდა, თავისი შემოსავლის ნაწილი, ეკლესიისათვის უნდა გაეღო. საეკლესიო გლეხების მდგომარეობა სამეფო და საბატონო გლეხების ფონზე, შედარებით მსუბუქი იყო, რადგან საეკლესიო გლეხები განთავისუფლებული იყვნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან.

საეკლესიო გლეხები, ისევე როგორც სამეფო და საბატონო გლეხები, რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ. მათ შორის იყვნენ აზატები და მებეგრეები. მებეგრეები თავის მხრივ იყოფოდნენ მსახურებად და მოინალეებად. აზატები მებეგრეებზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ. ზოგიერთ მათგანს თავისი გლეხიც კი ჰყავდა (იქვე, 13). აზატებს ევალებოდათ სტუმრის გამასპინძლება, ცხენით სამსახური, მცირე რაოდენობის ნატურალური გადასახადი და სხვა. ძირითადი ვალდებულებები და გადასახადები მებეგრე გლეხებს ეკისრებოდათ. თოფურიძეთა სასისხლო სიგელში ნახსენებია „მეხადილე გლეხებიც“ (ივერია 1891:ნომ. 213). ხადილს იმერეთში სახელდახელოდ მომზადებულ სადილს უწოდებდნენ. ეს ტერმინი დღემდე შემორჩენილია. იყვნენ მეაღაპე გლეხებიც, რომლებსაცყოველწლიურად მხოლოდ ეკლესიისათვის შემომწირველის სულის მოსახსენიებელი აღაპი უნდა ეხადათ. აღაპის ბეგარაში შედიოდა სანთელი, პური, ღვინო, ხორცი, თევზი, ყველი და სხვა საჭმელი. მარხვის პერიოდში სამარხვო საკვები.

ხონის საყდრის დავთარს ახლავს ერთ–ერთი მინაწერი, სადაც აღნიშნულია: „ ქ. ჩვენ ბატონმა ჯვრის მამამ და მისმა მოძღვარმა ზებედემ დავსხედით და გიორგი ჩხეიძის შეწირული გლეხის სააღაპო საქმე გავარიგეთ, ბეგრისაგან გავარიგეთ; უნდა მოიტანოს დათვიამ ჩხიკელემ მისის ბეგრისაგან: ერთი ცხვარი, ხუთი კოდი ღომი, ოთხი კოკა ღვინო, ერთი შაურის სანთელი და ერთი შაურის საკმეველი გიორგობისთვის აღების შაბათს, დეკანოზს და მთავარს ჟამს აწირვინებდეს. გლახებსა და იმ მღდელსა და მთავარს გაუმასპინძლდებოდეს და შენდობას ათქმევინებდეს, მღდელს ორს შაურსა და ცხვრის ტყავს მისცემდეს, მთავარს ერთს შაურს“ (ქ. ს. ძ. 1970: 370).

ნიკორწმინდის საბუთებში არსებულ ერთ-ერთ შეწირულების წიგნში, მონაზონი იოსებ წულუკიძე თავისი მამის გიორგი წულუკიძის სულის მოსახსენებლად, ხახუასა და დათუა ჯმუხაძეების ოჯახს აღაპის გადასხდას აკისრებს: „...დავდევით აღაპი ხახუას ჯმუხაძეს, დათუას, მის ძმას, მათთა შვილთა და მომავალთა, სამისდღეშიოდ მოუშლელად ყოველს ხორციელის შაბათს, სულთაობას (?) უნდა მოიტანოს ერთი კაი ცხუარი, სამი კასრი ღვინო, ორი სვერული დამცხუარი პური, ნახევარი ჩარექი სამთელი

(სანთელი), სამთელი ხატს მიართუან, კანდელაკმან ჟამი უნდა უწიროს გიორგი წულუკიძეს შესანდობელად და ჩუენდა სადღეგრძელოდ და სულის საოხად...“ (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 1531).

ამ ცნობების მიხედვით, ზოგადი წარმოდგენა გვექმნება, დაახლოებით რა სახის იყო აღაპის ბეგარა. მეაღაპე გლეხებს საგანგებოდ მფარველობდნენ შემომწირველები, რათა ისინი არ შევიწროებულიყვნენ და ამას შემომწირველთა სულის სამსახურის მოსპობა არ გამოეწვია (ლომინაძე 1955: 74). მეაღაპე გლეხების რიცხვი მებეგრეებისაგან განსხვავებით მცირე იყო. მათი უმრავლესობა შეწირულები იყვნენ. საეკლესიო დოკუმენტებში გვხვედება მღვდელმთავრების მიერ მებეგრე გლეხის მეაღაპედ გადაქცევის ფაქტები. ეს რასაკვირველია მებეგრე გლეხისათვის დიდ პრივილეგიად ითვლებოდა, რადგან მეაღაპე გლეხის მდგომარეობა მებეგრე გლეხისაგან განსხვავებით, გაცილებით მსუბუქი იყო. ასეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა გლეხი ხოჟონო კეთილაძე მისი შთამომავლობით, რომელსაც ხონელმა მთავარეპისკოპოსმა ბასილი ჩხეიძემ (დაახლოებით 1580–1600) ბეგარა აღუკვეთა და მთავარეპისკოპოსის სულის საოხად აღაპის გადახდა დააკისრა: „...მე მთავარეპისკოპოსს ჩხეიძეს ბასილს ამმკვეთია ბეგარა ხოჟონო კეთილაძისათვის და მისს შვილისა და მომავლისათვის და აწე ბეგრის მაგიერ და დამიც და დღეთა ჩემთა სადღეგრძელოდ მერმედ სულისა ჩემისა საოხად და აღაპი მცხრით გარდაიხადოს სულისა ჩემისათვის ყოველს შობის მეორე დღეს დეკანოზს ჟამს აწირვინებდეს. სასებისკვრეთ იმ დღეს მიაბარებდეს ათს კოდს (კოდი დაახლოებით 32 კილოგრამი) პურს.....“ (კაკაბაძე 1913ბ: 19).

პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დროს, იყო შემთხვევები, როდესაც სამეფო ხელისუფლება საეკლესიო გლეხებსაც აკისრებდა სახელმწიფო გადასახადებს. საეკლესიო გლეხები ხშირ შემთხვევაში იხდიდნენ საურის („საური“ თურქული სიტყვაა და ნიშნავს სამსახურს, ხარკს) გადასახადსაც. იმერეთის მეფე სოლომონ I ერთ–ერთ საბუთში ბოდიშს უხდის სამტრედიაში მცხოვრებ გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის გლეხებს, რომ მათ იმერეთის სამეფოში ფინანსური კრიზისის გამო, დამატებითი გადასახადები დააკისრა და პირობას დებს, რომ ამიერიდან არც თვითონ და არც მისი შემდგომი მეფეები ამ გლეხებს: გელეიშვილებს, ვახანიასა და რევიშვილ გიორგის, საურის გადასახადს აღარ გადაახდევინებდნენ (ხ.ე.ც. H D – 10143. ბერძენიშვილი1953:278).

1755 წელს სოლომონ I-მა გელათის საყდრის გლეხები მთლიანად გაანთავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან (კაკაბძე 1921ბ: 6). მანვე პირობა მისცა ხონის საყდრის გლეხებს, რომ საურის გადასახადს, თითო მარჩილის მეტს არ გადაახდევინებდა: „მეფე სოლომონ გიბრძანებ სულ ერთობით ხონელებო, ღმერთი მომიცემია თქვენთვის თავდებათ. თუ დიდი თათრის ძალი და გარდასახადი არ

მომდგეს, წრეულს იქით ჩემთვის საური თითო მარჩილის მეტი არ გადაგახდევიოთ “ (იქვე, 36). 1764 წელსშედგენილისაბუთისმიხედვით ხონის ეკლესიის გლეხები მეფე სოლომონ I-მა საუდიერო გადასახადებისაგან გაათავისუფლა:„ამოგვიკვეთიასაუდიეროსაძალოდსათხოვარიხონისწმინდისგიორგისყმ ათათვის, რომჩვენგანარაეთხოებოდესრა...“ (ს. ც. ს. ა. ფონდი 1448, საქმე - 2170. კაკაბაძე 1913გ: 11).1778 წელს მანსაურის გადასახადისაგან გაათავისუფლა ნიკორწმინდის საყდრის ყმებიც: „.....ესე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ მეფეთ მეფემან სოლომონ ... თქვენ ნიკოლოზის ეკლესიის ყმას ერთობით ძმუელებს და წყნორელებს, ასე რომე დაგვეაჯენით და შემოგვეხვეწეთ, ამოგიწერეთ საური, არასოდეს ჩვენგან და შემდგომთა ჩვენთა მეფეთაგან თქვენ საური არ გეთხოვებოდესთ ამისა ნაცვლად თქვენი ჩემი წირვა დაიდევით, მანამ ცოცხალი ვიყვნეთ, ჩვენის მეფობის წარსამართებელად და ძეთა და ასულთა ჩვენთა სანდღეგრძელოდ...“ (კაკაბაძე 1921ბ: 67).

იყო შემთხვევები, როდესაც საეპისკოპოსო საყდრის გლეხებს ზოგიერთი კათალიკოსი თვითნებურად უდგენდა დამატებითი სახის გადასახადებს. მაგალითად, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსბესარიონს (1742 – 1769),გარკვეულიპერიოდიმეფესოლომონ I– ისშეჭირვებულიმდგომარეობითუსარგებლიადახონისეკლესიისგლეხებისათვისხორცზე, მარილზე, თევზსადამატყლზედამატებითიგადასახადები(ბაჟი)დაუწესებია. ამისგამოგლეხებმადედოფალმარიამს (სოლომონ I-ისმეუღლე) შესჩივლეს. დედოფალმახონისეკლესიისგლეხებისსაჩივარიდააკმაყოფილადამათდამატებითიგადას ახადებიმოუხსნა. ესფაქტიდედოფალმარიამისმიერ ხონისეკლესიისგლეხებისადმიმიცემულიპირობისწიგნშიააღნიშნული: „.....ამ (ხონისბ. გ.) ეკლესიისყმას, მარილის, ხორცის, თევზისდამატყლისბაჟიარეთხოვებოდეს, ვერცჩვენმამაგიერმანკაცმანდავერცვინციყოსმთავარეპისკობოზმან, ვერცარავინსხვამავერგთხოვოსყე.....“ (კაკაბაძე 1921ბ:39).

პოლიტიკური ანარქიისა და შინა აშლილობების დროს, რაც XVI–XVIII სს-ში დასავლეთ საქართველოს მუდამ თან სდევდა, ერისკაცების მხრიდან ადგილი ჰქონდა საეკლესიო ყმა–მამულის მითვისების ფაქტებსაც. ერთ–ერთი ასეთი შემთხვევა იყო ნიკორწმინდის საეპისკოპოსოსათვის იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ XVI ს-ში შეწირული სოფლისრცხილათის ერისკაცთაგან მითვისება. XVIII ს-ის მეორე ნახევარში მეფე სოლომონ I–მა აღნიშნული სოფელი კვლავ ნიკორწმინდის საყდარს დაუბრუნა: „....მეფეთ მეფემან პატრონმან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან ბატონმან მარიამ..... ვიგულისმოდგინეთ და ვინებეთ, ასე რომე რცხილათი სოფელი პირველ ჩვენთა მამა პაპათაგან თქვენთვის (ნიკორწმინდის საყდრისათვის ბ. გ.) შემოეწირათ. მერმე ჟამთა ვითარებისაგან და სოფლის შფოთთა მიმქცევისაგან ის ჩვენთა ძველთაგან შემოწირული სოფელი

საერისკაცოდ გამხდარიყო. მერმეთ როდესაც შეწევნითა შენითა..... კვალად განგიახლეთ გუჯარი ესე და თქვენდავე შემოგვიწირავს, როგორც პირველ შეწირულ ყოფილა, ისე მისის სამართლიანის ზღვრითა და სამართლით....“ (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 2164. კაკაბაძე: 1921ბ: 50). მეფე სოლომონმა 1782 წელს ხონის საყდარს დაუბრუნა „ერისკაცთაგან სამკვიდრებელად თვისად განსაკუთრებული“ გლეხებიც (ხ.ე.ც. H D – 8452).

ფეოდალთაგან ეკლესიის ყმა–მამულის მისაკუთრების ფაქტები როგორც აღვნიშნეთ, მრავლად იყო XVII–XVIII საუკუნეებში. მღვდელმთავრები საეკლესიო ქონებისა და თავისი სამწყსოს ყმების დაცვას ცდილობდნენ.ხონელი მთავარეპისკოპოსის იოსებ მაჩაბელის (XVIII ს-ის 50-იანი წწ.–1763) შუამდგომლობით,ხონისწმ. გიორგისეკლესიას კაცია წულუკიძემ ჭანტურიშვილებისოჯახი დაუბრუნა(კაკაბაძე 1921ბ: 12-13). 1816 წელს გენათელმა ეფთვიმე შარვაშიძემ ღვანკითს მცხოვრები ბერიკა არაბიძის ოჯახი ყიფიანისაგან დაიხსნა და გელათის საყდარს დაუბრუნა (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე 6833).[11]მსგავსი შემთხვევები მრავლად გვხვდება იმ დროის საეკლესიო საბუთებში.

თითოეული საეპისკოპოსოს მწყემსმთავრი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი სამწყსოს გლეხებზე ზრუნვას, რადგან გლეხები იყვნენ „მოქმედნი ამა ქვეყნისანი“ და საეპისკოპოსოს ეკონომიკური სიძლიერეც, ძირითადად, მათი შრომის ნაყოფიერებაზე აისახებოდა. საეკლესიო გლეხი, როგორც აღვნიშნეთ, ვალდებული იყო თავისი შემოსავლის ნაწილი ეკლესიისთვის მიეცა. გლეხი ბეგარას ძირითადად ნატურით იხდიდა, თუმცა არსებობდა ფულადი გადასახადებიც. გადასახადებში შედიოდა: საკლავი (უნდა იგულისხმებოდეს ძროხა ან ხარი. ხონის საყდრის დავთარში საკლავი ცალკე აღინიშნება და ღორი ცალკე. საცაიშლოს დავთარში კი ძროხა ცალკეა აღნიშნული და საკლავი - ცალკე, ამ შემთხვევაში საკლავის სახით ღორი უნდა იგულისხმებოდეს), ღორი, ქათამი, თევზი, კვერცხი, ღვინო, პური, ქერი, ღომი, სანთელი და სხვა. როგორც აღვნიშნეთ იყო ფულადი გადასახადიც.

საეკლესიო გლეხზე დაკისრებული გადასახადის ოდენობა, მისი მთლიანი შემოსავლიდან გამომდინარეობდა. მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ რამდენად ნაყოფიერ მიწას ამუშავებდა გლეხი. ხშირად მღვდელმთავრები გლეხებს გადასახადებზე შეღავათებს აძლევდნენ და მხოლოდ ღვინის ან ღომის ბეგარას აკისრებდნენ. მაგალითად, 1782 წელს ხონელმა მთავარეპისკოპოსმა იოანემ, მათხოჯელ გლეხებს მათივე თხოვნის საფუძველზე შეღავათები მისცა და ყოველ მესამე წელიწადს, მხოლოდ თითო კეხი ღომის გადახდა დაუდგინა: „...მობრძანდით ჩვენს ქვეყანას დასამწყსელად (საუბარია ხონელ მთავარეპისკოპოს იოანეზე ბ. გ.) და სასჯულოთ და რომელიც თქვენის ეკლესიის მახლობელს სოფლებს საწულუკიძოს, ნახახულევერს და კონტოეთს ემართა

[11]იხ. გენათელი ეპისკოპოსები...

ჩამომწყისა, ისე იმ გვარათ ჩამომწყსას შემოგეხვეწეთ ერთობი თემი და წყალობის თვალით მოგვხედეთ და შეგვიხვეწიეთ და რაგვარათაც იმ სოფლებს ემართა, ისე თითო კეხი ღომი დაგვადევი მესამეს წელიწადს“ (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 2259. კაკაბაძე 1921ბ: 77), აღნიშნულია ხონელი მთავარეპისკოპოსი იოანესადმი მათხოვჯელი გლეხების მიერ მიცემულ პირობის წიგნში.

იყო შემთხვევები, როდესაც ეკლესიის ყმას ვალი ედებოდა და მის დასაფარად ეკლესია ეხმარებოდა, სანაცვლოდ კი ყმას გარკვეული სახის ვალდებულებას აკისრებდა. 1791 წელს სოფელ სიმონეთში მცხოვრებ გელათის საყდრის ყმას აზნაურისშვილს ბასილა კლდიაშვილს, ვალი დასდებია და დახმარებისათვის ეფთვიმე გენათელისთვის მიუმართავს: „რომელიცა ვალი დასდებოდა ჩვენ გარდავიხადეთ...“ - აღნიშნავს ეფთვიმე გენათელი 1791 წლის დოკუმენტში. – „და ამისდა ნაცვლად თვითან თავს ნებითაც ინება და ჩვენც განუწესეთ და დავსდევით: ყოველს წელიწადს....ბატონისშვილის კათალიკოზის იოსების მიცვალების დღეს ცამეტს მაისს ხუთის რუბის ცხვარს გელათს მიიყვანდეს და გელათის დეკანოზს მიგვრიდეს და გელათის დეკანოზი თვითან იმ დღეს.... ბატონისშვილის კათალიკოზის იოსებისათვის სწირვიდეს და პანაშვიდს გარდუხდიდეს....და კიდე ისივ კლდიაშვილი..... პურის მოსავლის დროზედ ორს კოდ პურს გელათს სასებისკვერეთ მიიტანდეს და გენათელს მიერთმეოდეს...“ (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 3222).

გლეხებს, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმს არ აღემატებოდა, ეკლესია გადასახადებს არ აკისრებდა. მაგალითად, სოფელ მუხაყრუაში მცხოვრები გელათის სამწყსოს 17 კომლი გლეხი სიღარიბის გამო 12 წლის განმავლობაში განთავისუფლებული იყო გადასახადებისაგან (საისტორიო კრებული 1928: 94). ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოებშიც.

საეკლესიო გლეხი იხდიდა სამწყსო (საეპისკოპოსო), სამაჭრობო (შემოდგომის გადასახადი), საყველიერო (გადასახადი დიდი მარხვის დასაწყისში), საპურობო (სამასპინძლო), საბატკობო (გადასახადი აღდგომის შემდეგ იხ. ა. ფაილოძე 2003: 160. ბატკი სულხან - საბას განმარტებით ჩვილ თიკანს ნიშნავს), საყაჭობო და სხვა სახის გადასახადებს. აღნიშნული გადასახადების გადახდა ძირითადად ნატურით ხდებოდა. „ხონის საყდრის დავთარში“ (ხონის საყდრის დავთარი სავარაუდოდ XVI საუკუნის ბოლოს არის შედგენილი) დაცული ცნობების მიხედვით, ერთი კომლი გლეხის გადასახადი დაახლოებით ამგვარი სახის იყო: „მართებს გიორგა ხურციძეს 1 საკლავი, 1 ქათამი, 1 თეთრის ყველი, საპურობო 1 ქათამი, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო, 2 თეთრი, 3 თეთრის საბატკობო, 1 ქათამი, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო (კოკა დაახლოებით 8 – 10 ლიტრი, ზოგიერთ შემთხვევაში 16 – 20 ლიტრი), 2 თეთრის სამაჭრობო, 4 ქათამი, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო, 2 თეთრი, 1 თეთრის საყველიერო, ერთი ურემი ღომი, 10

კოდი ცეხვილი, 24 კოკა მრთელი ღვინო, 1 ურემი თივა სამეჯინიბო ან ურიში და ან ფეტვი, 1 ურემი შეშა და მუშაობა“ (კაკაბაძე 1913ბ: 6. ქ. ს. ძ. 1970: 359). ერთი კომლის გადასახადი ჯამში შეადგენდა 1 საკლავს, 7 ქათამს, 10 თეთრს, ერთი თეთრის ყველს, 6 კოდსა და ერთ ურემ ღომს, 10 კოდ ცეხვილს, 30 კოკა ღვინოს, 1 ურემ თივასა და 1 ურემ შეშას. ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ, თუ დროის რა ინტერვალით იხდიდა გლეხი აღნიშნულ გადასახადებს. არსებული საბუთების მიხედვით, ხონის საყდრის გლეხს,ეკლესიისთვის საკლავი, ყოველ მესამე წელს უნდა გაეღო. რაც შეეხება სხვა გადასახადების ჩამონათვალს, სავარაუდოდ, მათი გადახდა გლეხს წლის განმავლობაში უწევდა. ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული „ხონის საყდრის დავთარში“ არსებული ნუსხის მიხედვით, 61 გლეხის კომლის საეკლესიო გამოსაღებმა, ჯამში შეადგინა 248 თეთრი, 58 საკლავი (ძროხას ან ხარს), 21 ღორი, 241 ქათამი, 43 თეთრის ყველი, 107 თეთრის თევზი, დაახლოებით 234 კოდი ღომი (ღომზე, ყველზე, კვერცხსა და ღვინოზე, ზუსტი რაოდენობის დადგენა ჭირს, რადგან ნუსხის გარკვეულ ნაწილში არ ფიქსირდება აღნიშნული ჩამონათვალის ოდენობა), დაახლოებით 788 კოკა ღვინო, 171 კოდი ცეხვილი, 23 ურემი თივა და 19 ურემი შეშა.

„აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთრის“ მიხედვით კი, რომელიც დაიწერა არა უგვიანეს 1621 წლისა, ხონის წმინდა გიორგის ეკლესიის გამოსავლის „ჯუმალი,“ (ჯამი) მთლიანად შეადგენდა 840 კოკა ღვინოს, 501 კოდ ცეხვილ ღომს, 98 საკლავს, 273 ქათამს, ყველის, კვერცხის, თევზის, აგრეთვე საყველიეროსა და საბატკობოს „ჯუმალს“ 429 თეთრს; 25 ურემ ღომს, 42 ურემ თივასა და შეშას, 25 კალათ სამეჯინიბოს ან ურიშს ან მჭადს (ქ. ს. ძ. 1970: 480).

ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებს გიორგი აბაშიძე ხელმძღვანელობდა. თურქები ყველგან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. თუმცა მტრის სიმრავლემ და ფეოდალურმა განკერძოებულობამ თავისი გაიტანა. გურია - სამეგრელოს დაკავების შემდეგ თუექები იმერეთში შეიჭრნენ. თითქოს ქართველთა მარცხი გარდაუვალი იყო, მაგრამ 1703 წლის ივნისში ოსმალეთის იმპერიაში აჯანყებამ იფეთქა, რასაც ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა, ტახტზე ახალი სულთანი აჰმედ III ავიდა (ნარკვევები 1973ბ: 459).

ახალმა სულთანმა დასავლეთ საქართველოში მყოფი ჯარების სარასკირი უკან გამოიწვია, ხოლო სარასკირის მოადგილემ სარდალმა ქეჰამ, აბაშიძესთან მოლაპარაკება დაიწყო. ქეჰა დაუზავდა აბაშიძეს და იმერეთში მეფედ სვიმონის ძმაგიორგი დატოვა. უკან გაბრუნებულ თურქთა ჯარს აბაშიძემ გზები შეუკრა და სასტიკად დაამარცხა. ამ ბრძოლაში იმერელებმა მოკლეს კოლის ფაშა და დაჭრეს ახალციხის ფაშაისაყი (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 867).

მეფე გიორგი ქუთაისის ციხეში შეიკეტა. თავადი მიქელაძის რჩევით ის ქართლის მეფეგიორგი XI-ის ქალიშვილზე დაქორწინდა. იმერეთს კვლავ გიორგი აბაშიძე მართავდა. მას ემორჩილებოდნენ გურიელი და ლიპარტიანიც.

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით: „არამედ დაამშვიდა აბაშიძემ იმერეთი ხდომა _ ოხრებათაგან ფრიად, რამეთუ ვერვინ იკადრებდა პარვად რისამედ, კუალად ვერცაღავინ იკადრებდა განყიდვად ტყვისა, თვინიერ მისსა (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 867).

გაძლიერებულ აბაშიძეს ქართლის გამგებელმა ვახტანგიმ (შემდგომში ქართლის მეფე ვახტანგ VI), დამძახლება შესთავაზა. თუ აბაშიძის ვაჟი ლევანი ვახტანგის ქალიშვილზე დაქორწინდებოდა, მაშინ ვახტანგი ლევანს ქართლის სააბაშიძეოს მისცემდა. გიორგი აბაშიძე ვახტანგის წინადადებით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ მისმა გარემოცვამ დაარწმუნა, რომ თუკი გიორგი თავის ვაჟს ვახტანგთან გაუშვებდა, ეს უკანასკნელი, ლევანს ყაენს გაუგზავნიდა. ამიტომ გიორგიმ უარი უთხრა ვახტანგს დამძახლებაზე. ამის გამო ქართლის გამგებელი განაწყენდა და აბაშიძის საწინააღმდეგოდ, ქუთაისში შეკეტილი სვიმონ მეფის ძმისგიორგის, იმერეთში გამეფება გადაწყვიტა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ვახტანგიმ გადაიბირა აფხაზეთის

კათალიკოსი გრიგოლი, გენათელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი და რაჭის ერისთავი შოშიტა, რომლებმაც 1708 წელს გამოიყვანეს გიორგი ქუთაისიდან და უწოდეს მეფე (იქვე).

„ხოლო დაჯდა გიორგი მეფედ, ძე ალექსანდრე მეფისა; მიუვლინა აბაშიძეს, რათა დაუტეოს სამეფო ყოველი და დაიპყრას მამული თვისი. მაშინ აბაშიძემ წარუვლინა კათალიკოზი და გენათელი, რათა ჰყონ ზავი და მშვიდობა. არამედ კათალიკოზისა და გენათელის განზრახვითა არღარა გამოუტევა მეფემან იგინი, რამეთუ ეტყოდენ: - უკეთუ არა განგვიტეოთ მოგერთნენ ყოველნი იმერენი. - მაშინ დაუტევებდნენ აბაშიძეს და მიერთოდენ გიორგი მეფესა“ (იქვე).

როგორც ჩანს აფხაზეთის კათალიკოსმა გრიგოლმა და გენათელმა ნიკოლოზმა გაძლიერებულ ფეოდალთან ყოფნას, მეფის გვერდით დგომა არჩიეს. გიორგი აბაშიძეს მხარს უჭერდნენ ლიპარტიანი, გურიელი და რაჭის ერისთავი. დასავლეთ საქართველოში ანარქია გრძელდებოდა. 1709 წელს მეფე გიორგიმ ფარცხანაყანევთან დაამარცხა მოკავშირეები. აბაშიძე სვერის ციხეში გამაგრდა. მეფე რაჭას შეესია და სასტიკად დაარბია. ამის შემდეგ ის ოდიშში გადავიდა და იქ ლიპარტიანის ვაჟი კაცია გაამთავრა. იმის გამო, რომ გურიელი აბაშიძის მხარეს იდგა, მეფე გიორგიმ არც გურია დაინდო, ის იქ შეიჭრა და მოარბია. სვერის ციხეში გამაგრებულ აბაშიძეს ქართლის გამგებელმა „კაცნი მიუვლინა“ და ქართლში გადაიყვანა. კაცია დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშში კვლავ ლიპარტიანი გამთავრდა, რომელიც მეფე გიორგიმ შემოირიგა და 1711 წელს ისევ რაჭას შეესია. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით: „ვინაითგან იყო გიორგი მეფე ცუნდრუკი, მომხუეჭელი, ანგაარი, ვერცხლის მოყუარე, შეიზრახნენ გურიელისა თანა ლიპარიტიანი, ერისთავი და ბეჟან ლეჩხუმის ბატონიცა მოვიდა მამისა თანა. ამას მოჰყვა ზურაბ აბაშიძე, მოიყვანეს და ყვეს მეფედ გურიელი ქორონიკონსა ჩ ღ ი ა (1711)“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 870).

ქართლში გაქცეული მეფე გიორგი პოზიციებს არ თმობდა და დროდადრო იმერეთის სამეფო ტახტს იბრუნებდა. მან 1719 წელს ოსმალთა ჯარის დახმარებით შეძლო ტახტზე დაბრუნება. მთავრები მეფის წინააღმდეგ შეიკვრნენ და 1720 წლის თევდორობის შაბათს მეფე გიორგი სვიმონ აბაშიძეს მოაკვლევინეს (იქვე, 882).

ასეთი არეულობის ჟამს ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისთვის გზების ძიებაზე ეკლესია ზრუნავდა. გენათელი ნიკოლოზი აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლთან და სხვა მღვდელმთავრებთან ერთად, ცდილობდა ზნეობრივი ზემოქმედებით თავის სამწყსოს სულიერ გაძლიერებას. ნიკოლოზ გენათელი აგრძელებდა ბრძოლას ტყვის სყიდვის წინააღმდეგ. 1717 წლის საფიცრის წიგნში, ბეჟან დადიანი და შოშიტა რაჭის ერისთავი, პირობას დებენ გრიგოლ კათალიკოსის წინაშე, რომ აღარასოდეს გაყიდიან ტყვეებს და არც თავიანთ ხელქვეითებს მისცემენ ტყვეებით ვაჭრობის უფლებას.

დოკუმენტს ამოწმებს ორი გენათელი; ნიკოლოზი და ერისთავის ძმა გენათელი გედევანი: „არის მოწამე და შუამავალი გენათელი ლიტრაპოლიტი (მიტროპოლიტი) ნიკოლაოზ და ჯვარის მამა ზაბილონ, ერისთავის ძმა გენათელი გედევან, ღოღაბერიძე წინამძღვარი ევდემოზ... დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და ჩვიდმეტსა თვესა ნოემბერსა ოცდახუთსა...“ (კაკაბაძე 1921ბ: 174).

გ. მჭედლიძე არ გამორიცხავს, რომ 1717 წელს, მისი ვარაუდით მსგავსად 1678 წლისა, გელათში ორი გენათელი მოღვაწეობდა - ნიკოლოზი და რაჭის ერისთავის ძმა გედეონი. თუმცა იქვე დასძენს: „ეს ყველაფერი იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ დამოწმებულ დოკუმენტებში მათ გადამწერთა და გამომცემელთაგან ჩადენილ შეცდომებთან არა გვაქვს საქმე და ტექსტში პირუთვნელი ჭეშმარიტებებია გადმოცემული“ (მჭედლიძე... 2008: 189).

1717 წლის საფიცრის წიგნში, რომელსაც ორი გენათელი ნიკოლოზი და გედეონი ამოწმებს, არ არის გამორიცხული, რომ მართლაც გადამწერის შეცდომასთან გვქონდეს საქმე. თუმცა იმის გათვალისწინებით, თუ რა ვითარება იყო იმ ჟამად იმერეთის სამეფოში და როგორი კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდნენ მეფეები სამეფო ტახტზე, არ იქნება გასაკვირი არსებული ანარქია ეკლესიასაც მოსდებოდა და გარკვეული პერიოდი გელათის საეპისკოპოსო კათედრა ორ გენათელს ერთდროულად დაეჭირა.

XVIII ს-ის 20-იან წლებში როგორც თავში აღვნიშნეთ, გელათის ეპისკოპოსი გახდა გაბრიელ ბეჟანის ძე დადიანი. იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის (1720–1741, 1746–1752) მიერ გაცემულ დოკუმენტში ნათქვამია: „ქ. დავსხედით ჩვენ, ბრჭენი და მოსამართლენი თავად ბატონი მეფე ალექსანდრე, დადიანი ბატონი ბეჟან, აბაშიძე ზურაბ, გენათელი გაბრიელი, სახვანი დარბაისელნი და საბატიოს–შვილნი სარჩიელსა პაპუნა წერეთლისასა და ზალისასა“ (ბერძენიშვილი 1940: 447). ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით ეს საბუთი დაწერილი უნდა იყოს ბეჟან დადიანის იმერეთის მეფისადმი კეთილგანწყობილების ხანაში, რომელიც ვახუშტით იყო 1721 - 1732 წლებში (იქვე).

1724 წელს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით გელათის საეპისკოპოსო კათედრა რაჭის ერისთავის ძმასგედეონ ჩხეტიძეს ეჭირა (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 883), რომელიც გენათლ ეპისკოპოსად ჩანს 1733 წელსაც. ამიტომ საბუთი, სადაც გენათელი გაბრიელი იხსენიება 1720-1723 წლებს შორის უნდა დაწერილიყო. ამავე წლებით უნდა განისაზღვროს გაბრიელ ბჟანის ძე დადიანის გენათლობა.

გაბრიელის შემდეგ გენათელის პატივი გედეონ ჩხეტიძემ მიიღო. ამრიგად XVIII ს–ის პირველ მეოთხედში მოღვაწე გენათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი ასე დალაგდება: XVII-XVIII სს-თა მიჯნა (დაახლოებით 1698-1701წწ.) - გაბრიელ გიორგის ძე

ჭყონდიდელ–გენათელ-ჯუმათელი, 1701–1717/20 წლებში - ნიკოლოზი, 1717/20 -1723 წლებში გაბრიელ ბეჟანის ძე დადიანი, 1723-1733 წლებში - გედეონ ჩხეტიძე. რაც შეეხება 1717 წლით დათარიღებულ საბუთში ორი გენათელის - ნიკოლოზისა და გედეონის ერთდროულად მოხსენიებას, ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

გედეონ გენათელი როგორც თავმდები და მოწმე, გვხვდება შოშიტა რაჭის ერისთავის მიერ პაპუნა წერეთლისადმი მიცემულ საფიცრისა და წყალობის წიგნში (ბურჯანაძე 1958: 60). გედეონი ამოწმებს მეფე ალექსანდრე V-ს მიერ პაპუნა წერეთლისათვის ბოძებულ სიგელსაც. აღნიშნული სიგელით, მეფე, პაპუნა წერეთელსა და მის შთამომავლობას უბრუნებს მამუკა ბატონიშვილისაგან მიტაცებულ წერეთლების სამკვიდრო მამულს - რწმანს: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ასევე თქვენი სამკვიდრო მეცა და ჩემმა ძმამ მამუკამა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან....არს ამისი გამრიგე და მოწამე გენათელი გედევან, ლივკორწმინდელი (ნიკორწმინდელი ბ. გ.) სვიმონ, სახლითუხუცესი ჯაფარიძე ლომკაცი, აგიაშვილი სვიმონ, კიკიანი ასან. მე მდივანს ლევანს, დამიწერია და მოწამეც ვარ“ (ხ.ე.ც. HD – 2171. ბურჯანაძე 1959: 67). ამ ორ საბუთს სამწუხაროდ თარიღი არ გააჩნია. სავარაუდოთ ისინი XVIII ს-ის 20-იან წლებში უნდა დაწერილიყო.

გედეონ ჩხეტიძემ გენათელ ეპისკოპოსად მოღვაწეობის პირველ ხანებში, თავის ძმასთან შოშიტა რაჭის ერისთავთან ერთად, გელათს ჩხარის საწინამძღვრო საყდარი შესწირა, რომელიც „უბატონობისაგან... საერისკაცოდ გამხდარიყო“ (კაკაბაძე 1921ა: 127). ამ პერიოდში იმერეთში გიორგი VI-ის ძე ალექსანდრე V მეფობდა. თავდაპირველად ალექსანდრე V-ს მოკავშირე, სამეგრელოს მთავარი ბეჟან დადიანი იყო, ხოლო მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკს რაჭის ერისთავი შოშიტა და მისი ძმა - გენათელი გედეონი წარმოადგენდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით 1724 წელს: „მოადგა მეფე ალექსანდრე და ბეჟან დადიანი ჯუარის ციხეს ოკრიბას, რომელი ეპყრა ერისთავის ძმას გედევან გენათელს; შეუთხარეს რა, იწყო რღუევად ზღუდემან, შეშინდნენ მეციხოვნენი და მოსცეს მეფეს ციხე“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 883).

შოშიტა ერისთავი ალექსანდრე V-ის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა. ხოლო მისი ძმა გედეონ გენათელი, მეფის მხარეს გადავიდა. მეფე ალექსანდრემ გედეონ გენათელისათვის იმერეთში ბარის საერისთავო შექმნა და მას ბარის ერისთავი უწოდა. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ფაქტს ასე განგვიმარტავს: „რამეთუ ესე ბარის ერისთავი იყო გენათელი და ძმა შოშიტა რაჭის ერისთავისა. ამან წარგუარა ცოლი ძმისწულსა თვისსა პაპუნას, ასული ვახტანგ მეფისა, შეირთო თვით და მოვიდა მეფესა თანა. ამან შეიწყნარა შურითა ერისთავისათა და მისცა საერისთო მამული იმერეთს – შინანი და უწოდეს ბარის ერისთავად“ (იქვე). საერისთავოში შედიოდა სოფლები: ამაღლება, ბულუხი,

სიმონეთი და ნაწილობრივ ბზვანი, რომელთაც ბარის ერისთავები ფლობდნენ XIX საუკუნეშიც (რეხვიაშვილი 1989: 163).

რაჭის ერისთავების საპირისპიროდ, ალექსანდრე V–ს ბარის საერისთავო 1732 წლამდე უნდა შეექმნა, რადგან 1732 წელს მის წინააღმდეგ ოტია დადიანისა და რაჭის ერისთავის გრიგოლის მიერ მოწყობილი შეთქმულების დროს, მეფის გვერდით დგას ბარის ერისთავი გედეონ გენათელი (გაფრინდაშვილი 2008: 85).

გედეონ გენათელის ქმედებები ყოველგვარ ზნეობრივ საზღვრებს სცილდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის გარკვეული პერიოდი ბარის ერისთავობასთან ერთად გენათლობასაც ინარჩუნებდა. 1733 წლის საბუთში, მეფე ალექსანდრე, ღვთისმსახურ ბერს - კოპალიან გრიგოლს, გელათის სასაფლაოს ეკვდერის წინამძღვრად ადგენს და საწინამძღვრო მამულს უბოძებს. საბუთს სხვა პირებთან ერთად ამტკიცებს გენათელი გედეონი: „ქ: ჩვენ ბატონი გენათელი გედეონ ამ ბატონის ჩუენის ბრძანებას უმტკიცებთ... დაიწერა... თვესა ივნისსა ი ზ (17) ქორონიკონსა ქ კ ს (1733) (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, 3304. კაკაბაძე 1921ა: 130 – 131).

გედეონი ბოლომდე ალექსანდრე V-ის ერთგული დარჩა. იგი 1741 წელს იმერეთიდან დევნილ მეფეს თან გაჰყვა ქართლში. ქართლის ხანმა მეფე ალექსანდრე, დიდი პატივისცემით მიიღო, ისე, როგორც მეფეს ეკადრებოდა, მაგრამ შემდეგ დაატყვევა. ამის მხილველი ბარის ერისთავი ეახლა დარუბანდში მყოფ ირანის მბრძანებელს ნადირ–შაჰს და მეფის თხოვნა მიართვა. ნადირ–შაჰმა იმერეთის მეფის თხოვნა შეიწყნარა და ახალციხის ფაშა იუსუფის დახმარებით ალექსანდრე V იმერეთის სამეფო ტახტზე დააბრუნა (რეხვიაშვილი 1989: 167). ამის შემდეგ ბარის ერისთავი გედეონის შესახებ ცნობები აღარ მოგვეპოვება.

გედეონის შემდეგ გენათელის პატივი ეფთვიმე I-მა შარვაშიძემ მიიღო. იგი გახლდათ ძმისწული ჯუმათელი მაქსიმე შარვაშიძისა (ქართველიშვილი 2006: 37). ეფთვიმე გენათელი მოხსენიებულია გიორგი გურიელის მიერ უდაბნოს წინამძღვარ იოსებისადმი ნაბოძებ სიგელში, სადაც ნათქვამია: „ჯერ კიდევ ჩემმა ძმამ გიბოძა ეს მოწყალება, ჩვენც ჩვენდა თავად გაგიახლეთ ჯუმათელ მაქსიმეს და შემდგომ გენათელ ექვთიმეს დამტკიცებული სიგელი“ (ბაქრაძე 1987: 259).

1736 წლის საბუთში ეფთვიმე მხოლოდ ჯუმათელად იხსენიება (ბერძენიშვილი 1940: 467), 1738 წელს ის უკვე გენათელი ეპისკოპოსია, რომელმაც ბერად აღკვეცილი თეიმურაზ-ანტონი (შემდგომში ქართლის კათალიკოსი ანტონ I), დიაკვნად აკურთხა გელათში.

„დაიბადა თეიმურაზ – ანტონი ... ჩ ღ კ წელსა (1720), თვესა ოკდომბერსა: ი ზ, (17) დღესა კირიაკესა, ჟამსა ღამისასა მესამესა. ათვრამეტისა წლისა (1738) მონაზონ იქმნა და აღიკვეცა... გაენათს, თებერვალსა ორსა; სამსა თებერვალსა დიაკონად ხელდასხმულ იქმნა დღესა შაბათსა ხელითა გაენათელ მიტროპოლიტისა ეფთვიმისითა“ (ჟორდანია 1967: 74).

ეფთვიმე I-ს გენათლობა 1736-38 წლებს შორის უნდა მიეღო. არსებობს ვარაუდი, რომ ეფთვიმეს ჯუმათლობასთან ერთად გენათლობაც შეუთავსებია და ერთ დროს გენათელ-ჯუმათელი ყოფილა (ქართველიშვილი 2006: 37).

ეფთვიმე I გენათელად ჩანს 1744 წლის სიგელშიც. იგი მამია IV გურიელის კარის წინამძღვარს იოსებ ტუსკიას, „საჯუმათლოს“ ქორეპისკოპოსობას უბოძებს და ავალებს, რომ ყოველთვის ახლდეს მღვდელმთავარს რათა: „უთქვენოდ ეპარქია არ უნდა მოიმწყსოდეს“ – ო (ბაქრაძე 1987: 252).

1745 წლიდან გელათის საეპისკოპოსო კათედრაზე ჩანს ალექსანდრე V-ს ძე და მომავალი იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის (175 –1784) ძმაიოსებ (ერისკაცობაში იესე) ბაგრატიონი. იგი მოხსენიებულია თავისი გამზრდელის გუნცაძის ასულის - ელენეს შეწირულობის წიგნში: „ქ. ნებითა ღთისათა და ჯერჩინებითა პატრონის ჩემის უფლისწულის გენათელის იოსებისათა ვიგულისმოდგინე მე ფრიად ცოდვილმან იმ ჩემის ხელმწიფის შვილის გენათელის გამდელმან გუნცაძის ასულმან ელენემ..... (დაიწერა) ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩ ღ მ ე (1745) თვესა დეკემბერსა ი თ (19)“ (კაკაბაძე 1921ა: 157).

ისტორიული გადმოცემის თანახმად იოსები (იესე) ალექსანდრე V-ის უფროსი ვაჟი იყო და სამეფო ტახტი მას ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდან იგი ხედავდა, რომ მისი უმცროსი ძმა სოლომონი, უფრო სამეფო კაცი იყო, როგორც თვალ-ტანადობით, აგრეთვე ძლიერებით და სიმარჯვით, მეფობა მას დაუთმო და თვითონ ბერად შედგა (სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი 1936: 17). ისტორიულ გადმოცემას ეწინააღმდეგება ერთ-ერთ საბუთში დაცული ცნობა, სადაც მეფე სოლომონ I იოსებ გენათელს „უმრწემეს (უმცროსს) ძმას“ უწოდებს (კაკაბაძე1921ბ: 6), თუმცა ჭეშმარიტებასთან ახლოს ისტორიული გადმოცემაუნდა იდგას, რასაც შემდეგი გარემოებები ცხადყოფს. რუის–ურბნისის საეკლესიო კრების (1104) დადგენილების მიხედვით, იკრძალებოდა ბერ–მონაზონის ეპისკოპოსად კურთხევა 35 წლის ასაკამდე (ქ. ს. ძ. 1970: 115), მაგრამ აღნიშნული წესი ყოველთვის ზედმიწევნით არ სრულდებოდა. მაგალითად, 1740 წელს 20 წლის ასაკში ქუთათელ ეპისკოპოსად აკურთხეს თეიმურაზ ბაგრატიონი, შემდგომში ქართლის კათალიკოსი ანტონ I (ჟორდანია 1967: 166). არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი გამონაკლისი იოსებ ბატონიშვილის შემთხვევაშიც მომხდარიყო და ის გენათელ

ეპისკოპოსად თეიმურაზ ბაგრატიონის მსგავსად, 35 წელზე გაცილებით ახალგაზრდა ასაკში, არა უმცირეს 20 წლის ეკურთხებინათ, რადგან 20 წლის ქვემოთ ბერ-მონაზონის ეპისკოპოსად ხელდასხმა, ნაკლებად სავარაუდებელია. ამგვარად, 1745 წელს სრულიად ახალგაზრდა 20 წლის იოსები გელათის ეპისკოპოსი რომ გამხდარიყო, ამ შემთხვევაშიც ის თავის ძმა სოლომონზე უფროსი იქნებოდა, რადგან ვიცით, რომ სოლომონ I 1752 წელს 17 წლის ასაკში გამეფდა (ნარკვევები 1973ბ: 636), ამ დროისათვის კი ჩვენი ვარაუდით, იოსებ გენათელი სულ მცირე 25-27 წლის უნდა ყოფილიყო.

სადავო საკითხია სოლომონ I-ის გამეფების თარიღიც. ვახუშტი ბატონიშვილის ქრონოლოგიური ცხრილის მიხედვით: ქორონიკონსა :უ მ: (1752) ამ დიდმარხვას მარტში მოკუდა ალექსანდრე მეფე. დაჯდა ძე მისი სოლომონ მეფედ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 914). ამ ცნობაზე დაყრდნობით სამეცნიერო წრეებში სოლომონ I-ის გამეფების თარიღად 1752 წელია მიჩნეული. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. ს. კაკაბაძის მტკიცებით, სოლომონი იმერეთის სამეფო ტახტზე 1752 წლამდე ავიდა, სავარაუდოდ 1749 წელს. ამის დამადასტურებლად მას მოჰყავს 1750 წლით დათარიღებული ორი დოკუმენტი, სადაც სოლომონი მეფედ არის მოხსენიებული. პირველი მათგანი გახლავთ გელათის სიგელი, მეორე კი იოსებ მროველის შეწირულობის წიგნი (კაკაბაძე 1914ბ: 95– 97. Пурцеладзе 1881: 141). ამას გარდა არსებობს 1751 წლით დათარიღებული დოკუმენტი, სადაც მეფე სოლომონ I გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის გლეხებს საურის გადასახადებისგან ათავისუფლებს (ხ.ე.ც. ფონდი HD–10143. ბერძენიშვილი 1953: 278). ეს დოკუმენტები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია სოლომონ I-ს 1752 წლამდე დაეკავებინა იმერეთის სამეფო ტახტი, მაგრამ თუნდაც 17 წლის სოლომონი 1752 წლამდე გამეფებულიყო, დაახლოებით 1749–1750 წლებში, ის მაინც უმცროსი იქნებოდა თავის ძმა იოსებ გენათელზე, რადგან როგორც აღვნიშნეთ, 1745 წლისათვის იოსები სულ მცირე 20 წლის იყო. ამგვარად, ისტორიულ გადმოცემაში დაცული ცნობა, რომელიც იოსებისა და სოლომონის უმცროს-უფროსობის საკითხს ეხება, სწორი უნდა იყოს.

იოსებ ბაგრატიონი თავისი აქტიური მოღვაწეობით გამოირჩეოდა გენათელ ეპისკოპოსთა შორის. იოსებ გენათელისა და მეფე სოლომონ I-ის თაოსნობით, დასავლეთ საქართველოში მთელი რიგი საეკლესიო და სახელმწიფო რეფორმების გატარება დაიწყო. XVIII საუკუნის II ნახევრიდან იმერეთი სულიერი და ფიზიკური გაძლიერების გზას დაადგა.

იოსებ გენათელი ეპისკოპოსობის პირველივე წლებიდან ფეოდალთაგან უკანონოდ მიტაცებული გელათის სამწყოსო მიწების დაბრუნებას შეუდგა. XVII–XVIII საუკუნეთა მიჯნაზე პოლიტიკური ანარქიის დროს, საეკლესიო მიწები საერო პირებმა დაიტაცეს. ამ პერიოდში დაემცრნენ და შემდეგ არსებობა შეწყვიტეს ქუთაისის, ხონისა

და ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრებმა. გელათის საეპისკოპოსო შედარებით ძლიერი აღმოჩნდა. მრავალი სირთულის მიუხედავად მან თავის გადარჩენა შეძლო.

XVIII ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში, მძიმე ეკონომიკური კრიზისი იყო მთელს დასავლეთ საქართველოში. სოლომონ I-ს გამეფების დროს ოსმალთაგან შევიწროებული და შინა ფეოდალური ბრძოლებისგან მრავალჯერ გაძარცვულ-აოხრებული ქვეყანა დახვდა. დაცარიელებული იყო სამეფო ხაზინა. ამის გამო მეფე იძულებული გახდა საეკლესიო ქონების და მათ შრის გელათის საეპისკოპოსოს შემოსავლის ნაწილი მოეხმარა, რისთვისაც იგი ზემოთ ნახსენებ დოკუმენტში ბოდიშს უხდის გელათის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის შეწირულ სამტრედიელ გლეხებს, გელეიშვლებს, ვახანიას და რევიშვილ გიორგის: „..ურჯულოთაგან გაგვიჭირდა. ჩვენის სასაფლაოს გელათის ღთის მშობლის შეწირული იყავით. ნამეტნავად რამ გაგვიჭირდა, მოგიხედით, შეგესიეთ, ბევრი ავი დაგემართათ ჩვენგან. ჩვენცა ამისა ნუქბად ეს წყალობა გიყავით თქვენ: არცა ჩვენგან, არცა სხვათა ჩვენ შემდეგთა მეფეთაგან, არცა დიდთა და არცა მცირეთაგან არასოდეს საური (ხარკი) არ გეთხოვოთ... არს ამისი მოწამე გენათელ მიტრაპოლიტი ბატონიშვილი ბატონი იოსებ. მხეიძე გიორგი, წულუკიძე ბერი.....დაიწერა მაისის ზ (7) ქორონიკონს ჩ ღ ნ ა (1751)“ (ხ. ე. ც. ფონდი HD – 101 43. ბერეძენიშვილი: 1953: 278).

როგორც კი მეფემ პოზიციები გაიმყარა, თავისი ძმის იოსებ გენათელის თხოვნით, გელათის საეპისკოპოსოს ეკონომიკური გაძლიერებისათვის ზრუნვა დაიწყო. სოლომონ I –მა გელათის საეპისკოპოსოს გლეხებს გადასახადების მხრივ სახელმწიფოს მხრიდან სრული შეუვალობა მიანიჭა. 1755 წლის საბუთში სოლომონი ამბობს: „ყოველთავე ვიგულისმოდგინეთ ტაძრისა ამის განთავისუფლება და მას ჟამსა ძმა ჩემი უმრწემესი... იოსებ გენათლად იჯდა, გვევედრა კრებულით თვისით.... მრავალთა განსაცდელთაგან ოხერ ქმნილისა ამას ჩვენცა ხელ ვყავით განთავისუფლებად დიდისა იწროებათაგან მოცულისა ტაძრისა ამის შემავალთათვის, და თვით პატიოსანისა ამის ეკლესიისა სამსახურად მოვაცალეთ შემავალთა ამისა, რათა ამათ მიერ იმკობოდეს უკუნისამდე.... გელათის შემავალ არც აზნაურისშვილის ყმას და არც გლეხს მისი საკუთარი სახასო ყმა, სადაც იყოს არსად ჩვენგან და ჩვენის მორჩილისა და ბრძანების ნება მყოფლის კაცისაგან არასოდეს საურის გადასახადი ხარაჯა არ ეთხოვებოდეს. დაიწერა ქორონიკონსა ჩ ღ ნ ე (1755)“ (კაკაბაძე 1921ბ: 6).

სოლომონ I–მა ოსმალთა ბატონობისაგან იმერეთის განთავისუფლება დაისახა მიზნად. ქვეყნის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში მას თავისი ძმაიოსებ გენათელი ედგა გვერდში. ოსმალებს იმერეთში მყარად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. ქუთაისის, ცუცხვათის, ბაღდადისა და შორაპნის ციხეებში მათი გარნიზონები იდგნენ. თურქები

ტყვის სყიდვას ეწეოდნენ, ავრცელებდნენ მაჰმადიანობას, ანგრევდნენ ქრისტიანულ ეკლესიებს და მათ ნაცვლად აშენებდნენ მეჩეთებს.

სოლომონ I-მა ენერგიულად შეუტია დამპყრობლებს და 1757 წლის დეკემბრის დასაწყისში, ხრესილის ველზე სასტიკად დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი. თურქებმა საპასუხოდ 1758 წელს ახალციხის ფაშას თაოსნობით ორი დამსჯელი ექსპედიცია მოაწყეს იმერეთში. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ახალციხიდან შემოჭრილი ხუნძახელი ლეკები თავს დაესხნენ გელათს, ააოხრეს და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ უკან. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სოლომონმა ჯარის შეყრა ვერც კი მოასწრო (ნარკვევები1973ბ: 639).

იმერეთში ლეკთა ჯარის შემოჭრისა და გელათის დარბევის შესახებ ცნობას გვაწვდის პაპუნა ორბელიანი: „ესე ხუნძახის ბატონი ლეკის ჯარით გაუსივა ფაშამ იმერეთის ქვეყანასა და დაპირდა ჯამაგირსაც. ჩავიდა ქუთაისს, ქვევით და ზევით სულ დაატყვევეს. გააოხრეს იმერეთი, მრავალი იშოვეს, მეფე სოლომონმა შებმა ვერ გაბედა, არც ქართველთ თხოვა ჯარი. გელათის ეკლესია მაშინ წახდა. ეს ნაშოვარი მოიტანეს ახალციხის ქვეყანას, მისცა ფაშამ ბევრი ლეკთა და გაისტუმრა დაღისტანს შინა“ (ორბელიანი პაპუნა 1981: 246).

ლეკთაგან გელათის დარბევის შესახებ ცნობა შემონახულია შემოქმედის გულანშიც: „ქორონიკონსა უ მ ვ (1758), ამავე ქორონიკონსა იმერეთს ლეკის ლაშქარი მოვიდა; მრავალი სული ქრისტიანი იშოვეს; გელათი და სოჯუნის საყდარი დაწვეს თვესა აგვისტოსა“ (ჟორდანია 1967: 260). ზოგიერთი ცნობით ლეკთაგან გელათის დარბევა 1759 წლის 10 აგვისტოს მოხდა (ლომინაძე 1955: 26).

ლეკებმა გელათის დარბევის დროს დაამტვრიეს და გაიტაცეს მარმარილოს საკათალიკოსო ტახტი. 1760 წელს იოსებ გენათელმა ახალი ტახტი ააგო, რომელზედაც წერია: „მოიხსენე უფალო ტახტისა ამის აღმაშენებელი მეფის ალექსანდრეს ძე გენათელი მიტროპოლიტი იოსებ მის წელსა იყო ქრისტეს აქეთ ქორონიკონი ჩ ღ ჲ (1760).“

მძიმე სანახავი ყოფილა დარბეული გელათი. ხალხი შეძლებისდაგვარად შესაწირავს უძღვნიდა მტრისგან „წახდენილ“ ეკლესიას: “...გელათი რომ ლეკმა დასწვა... ეკლესია გაოხრებული იყო, ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანე ვინც იყო და გელათი ენახათ იმ ჟამად სტიროდენ და კიდეც ეწეოდენ“ (ჟორდანია 1967: 261), აღნიშნულია ერთ-ერთ ქრონიკაში.მაგრამ როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი გელათის აღდგენისთვის ზრუნავდა, მეორე ნაწილს მის გაძარცვაზე ეჭირა თვალი. მათ შორის იყვნენჟორჟოლაძის კაცები: „მოვიდენ ჟორჟოლაძის კაცები და გელათი გატეხეს და

ტყვია მოიპარეს... დაიჭირეს... გაიბჭვენ კათალიკოზი იოსებ[16]და ბერუკა ჟორჟოლაძე და ის ქურდები კათალიკოზს იოსებს ხელათ მქმნელათ გაუჩნდა, სანამ არ მოკვდა (იოსები ბ. გ.) ხელში ყავდა... (იქვე, 261). როგორც ამ ცნობიდან ირკვევა იოსებ გენათელის შთაგონებით მძარცველებს არა მარტო ნაძარცვი დაუბრუნებიათ, არამედ სიკვდილამდე იოსების მსახურნი გამხდარან.

სოლომონ I-ს ბრძოლა არ შეუწყვეტია. მან იმერეთში ახალციხის ფაშას მიერ გამოგზავნილი სამი ათასიანი ლაშქარი პირწმინდად გაანადგურა და ციხეებში მდგარი თურქული გარნიზონები ისე შეავიწროვა, რომ ისინი ციხიდან გამოსვლას ვეღარ ბედავდნენ.

სოლომონ I-მა თავისი დიდი წინაპრის იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მსგავსად, ეკლესიის გაძლიერება გადაწყვიტა, რომელიც მუდმივად მხარში ედგა სამეფო ხელისუფლებას ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში. იმ ხანად იმერეთის სამეფოში ეკლესია დასუსტებული იყო, აღარ ფუნქციონირებდა ქუთაისის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრები. ფეხს იკიდებდა ისლამი. საჭირო იყო ქმედითი ღონისძიებების გატარება ქართული ეკლესიისთვის გავლენისა და ავტორიტეტის დასაბრუნებლად.

სოლომონ I-მა 1759 წლის 4 დეკემბერს საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრა აღადგინა. იოსებ გენათელი აქტიურად იყო ჩართული კრების მუშაობაში.

„ქუთაისის ეკლესია ყოვლად წმინდის ტაძარი ხელთ ეგდო მძვინვარეს აგარიანს და მიზეზითა ამით საქუთათლო მამული და სამრევლო მიმობნეულიყო და ქუთათელი აღარ იჯდა, ახლა ჩვენ ვინებეთ განახლება და წმინდასა ამას კრებასა მოგახსენეთ და თქვენც კეთილად აღგიჩნდათ და ვითარც შვენოდა სიწმინდესა თქვენსა, ეგრეთ შემწე გვექმნენით და ინებეთ საქუთათლოს მოუშლელობა..... და დავაჯდინეთ ქუთათელი ესე და გაკურთხებინეთ ქუთათლად აბაშიძე მაქსიმე და აწ გაწესებთ, რათა ამიერიდგან უკუნისამდე შეუცვალებლად ეგოს, ვითარცა წმინდამან ამან კრებამ განაწესეთ და დაამტკიცეთ. ასე რომ საქუთათლო სახასო მამული სადაც იყოს და ვისაც ქონდეს ყველა უკლისად საქუთათლოდ ეგოს ამიერ უკუნისმდე..... დაიწერა სიგელი ესე ქრისტეს აქეთ ჩ ღ ნ თ (1759), თვესა დეკემბერსა დ (4)“ (კაკაბაძე 1913გ: 4), აღნიშნავს მეფე სოლომონ I ქუთაისის საეპისკოპოსოს აღდგენის საბუთში. დოკუმენტს სხავა სასულიერო და საერო პირებთან ერთად ამტკიცებს გენათელი ეპისკოპოსი იოსები (იქვე, 6).

[16]აღნიშნული ცნობა გვიანი ხანისაა, რადგან იმ დროს (1758 წელს) როდესაც ლეკთაგან გელათის დარბევა მოხდა, იოსებ ბატონიშვილი კათალიკოსი არ იყო, მას მხოლოდ გენათელის პატივი ჰქონდა

კრების მეორე სხდომა 5 დეკემბერს დასავლეთ საქართველოს დიდ ფეოდალთა თანდასწრებით ჩატარდა. ამ სხდომაზე იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ფეოდალებმა აფხაზეთის კათალიკოსის ბესარიონის, ჭყონდიდელი გაბრიელის, გენათელი იოსების, შემოქმედელი ნიკოლოზის.... ხონელი იოსების, ნიკორწმინდელი გერმანესი და სხვა ეპისკოპოსთა წინაშე, იმერეთის მეფის მორჩილებისა და „ტყვის სყიდვის“ აკრძალვის პირობა დადეს: „ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი..... სიტყვა შემოგვითვალა..... ტყვეს თუ არ გაყიდით არ იქნებაო. ეხლა ამაზედ ასე ერთპირობით დაგვიმტკიცებია ღთის შუამდგომლობით, რომ სანამდის სული გვიდგას ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ ვიდრეც ერთმანეთს მიუდგეთ კიდეც, მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნეთ“ (ხ.ე.ც. ფონდი SD - 2976). საეკლესიო კრებამ ტყვის მყიდველნი შეაჩვენა, საერო ხელისუფლება კი მათ სიკვდილით დასჯით დაემუქრა (ნარკვევები 1973ბ: 641).

ქუთაისის საეპისკოპოსოს აღდგენის პარალელურად სოლომონ I-მა საეპისკოპოსო კათედრები აღადგინა ხონსა და ნიკორწმინდაშიც. ხონელ ეპისკოპოსად ყოფილი მროველი იოსებ მაჩაბელი, ნიკორწმინდელად კი გერმანე წულუკიძე იქნა დადგენილი. ამ პროცესში სხვა მაღალ სამღვდელო პირებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული იოსებ გენათელი.

იოსებ გენათელი სასამართლო დავებშიც მონაწილეობდა. მათ შორის იყო ქაიხოსრო წერეთლისა და გოგია ჯაფარიძის დავა. ამ დავაში იოსებს, მეფე სოლომონსა და რაჭის ერისთავ როსტომ ჩხეიძესთან ერთად, მომრიგებლის ფუნქცია ჰქონდა შეთავსებული (ქ. ს. ძ. 1974: 272).

იოსებ გენათელს დიპლომატიური მოღვაწეობაც უწევდა. 1766 წელს თურქეთთან საზავო მოლაპარაკებების გასამართად, გენათელი ეპისკოპოსი სოლომონ I-მა სტამბულში ელჩად გაგზავნა. მეფემ თავის ძმას საკმაოდ საპასუხისმგებლო და მძიმე მისია დააკისრა. ოსმალეთში გამგზავრებამდე იოსებმა მეფე სოლომონს ანდერძი დაუტოვა: „ქ. ჩემო ძმავო ბატონო საყვარელო მეფე სოლომონ, შენი ძმა გენათელ მიტროპოლიტი იოსებ ამ ანდერძს მოგახსენებ. ჩემი სიტყვა და ანდერძი ზეპირადაც მომიხსენებია და წიგნითაც მოგახსენებ. ჩემი რაც არის წიგნი ან შესამოსელი ყველა თქვენ გაბარია. მე რათგან თქვენის ერთგულებისა და ქვეყნისათვის ამ უსჯულოებში შევალ ვინ იცის რა ამიტყდება. ან მათი ხელით რამ მოხვდეს ჩემი სიკვდილი და ან ჩემი თავის დღით და სნეულობით რომ მოვკვდე...“ (კაკაბაძე 1914ბ: 54). იოსები გარდაცვალების შემთხვევაში მეფეს უანდერძებდა რომ მისი (იოსების) ქონება გელათისათვის შეეწირა, ხოლო გენათელ ეპისკოპოსად იოსების მიერ შერჩეული პირი დაესვა: „გენათლადაც რომელიც ჩვენი მოგახსენეთ თუ თქვენმა ბუნებამაც ქნას მისი ყაბული ის დასვით ამისთვის რომ ჩემს სულსაც უფრო შეიბრალებს და მოიხსენებს და

თქვენი ერთგული იქნება“ (კაკაბაძე 1914ბ: 55). ანდერძში არ კონკრეტდება ის პირი, რომელიც იოსების გარდაცვალების შემთხვევაში გენათელი ეპისკოპოსი უნდა გამხდარიყო. იოსები, მეფეს გელათის ყმა-მამულის მოევლასაც ავალებდა: „....ყველა გებრალებოდეს და როგორც ჩემი ნამსახური ისე გიყვარდესთ ჩემო ბატონო მამათ ბატონათ ძმათ სულის და ხორცის მომვლელათ შენ დამიტოვებიხარ და შენ იცი ჩემო ბატონო.“ სიგელი 1766 წლის 23 აგვისტოს არის დაწერილი (იქვე, 57).

მოლაპარაკება ოსმელეთის იმპერიასა და იმერეთის სამეფოს შორის ქართლ – კახეთის მეფის ერეკლე II-ის (1745–1762 კახეთის მეფე, 1762 –1798 ქართლ-კახეთის მეფე) შუამავლობით შედგა. ოსმალეთსა და იმერეთს შორის ხელშეკრულება 1767 წელს დაიდო. ოსმალეთმა იმერეთი ცნო არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ. იმერეთს ოსმალეთისათვის ერთგულების ნიშნად ყოველწლიურად უნდა გაეგზავნა 60 ქალი, ოღონდ, წინანდელისაგან განსხვავებით, სავალდებულო არ იყო ეს ქალები ქართველები ყოფილიყვნენ. ზავის ეს პირობები იმერეთის ელჩის მიერ იყო შეთავაზებული. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ტყვის ყიდვის აღდგენის შესახებ, სოლომონ I-ის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. რუსი დიპლომატების ცნობით, ოსმალეთი ამ პირობებზე დათანხმდა, რათა ბოლო მოეღო მისთვის სირცხვილის მომტანი ხანგრძლივი ომისათვის (ნარკვევები 1973ბ: 646).

ამრიგად 1766 წელს იოსებ გენათელის დიპლომატიური გამოსვლა, იმერეთისათვის წარმატებული აღმოჩნდა. მალე გაირკვა, რომ ეს მოლაპარაკება იმერეთის მეფის დიპლომატიური მანევრით იყო გამოწვეული და სოლომონს არცკი უფიქრია თურქებისათვის ხარკის ადამიანებით გადახდა (იქვე). იმერეთის მეფე ასეთი მოლაპარაკებებით დროს აჭიანურებდა თავის სასარგებლოდ, ზავით დაკისრებულ პირობებს კი არ ასრულებდა. გაჭიანურებული დრო სოლომონს ქვეყნის შიდა საკითხების მოსაგვარებლად სჭირდებოდა.

1768 წელს სოლომონმა ჩხარის მახლობლად ცხრაწყაროსთან დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგეთა ბანაკი, თეიმურაზ მამუკას ძე ბატონიშვილის თაოსნობით. (თეიმურაზი სოლომონ I-ის ბიძაშვილი იყო) ეს უკანასკნელი მოგვიანებით დაატყვევეს და ტყვეობაშივე გარდაიცვალა.

მეფის ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგეებად რაჭის ერისთავი როსტომი და მისი ძმა, აფხაზეთის კათალიკოსი ბესარიონი რჩებოდნენ. სოლომონს გართულებული ჰქონდა ურთიერთობა სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანთანაც. სოლომონმა რამდენჯერმე სცადა როსტომ ერისთავის დამორჩილება, ერთ შემთხვევაში ლეკებიც კი დაიხმარა როსტომის შესაპყრობად, მაგრამ რაჭის ერისთავი დადიანთან გაიქცა და ოდიშს შეაფარა თავი. ამ პერიოდში კათალიკოსი ბესარიონი ახალციხეში იმყოფებოდა

და ფაშას სოლომონის წინააღმდეგ იმერეთში ოსმალთა ჯარის გაგზავნას თხოვდა. ამავე დროს ახალციხეში ფარულად ჩავიდა იოსებ გენათელი. იგი მეფე სოლომონისგან იყო გაგზავნილი ფაშასთან დასაზავებლად, მხოლოდ იმ პირობით, თუკი ფაშა კათალიკოს ბესარიონს დაპატიმრებულს გააგზავნიდა იმერეთში. ფაშამ მეფესთან დაზავება არჩია და კათალიკოსი ბესარიონი დააპატიმრა. კათალიკოსმა ბუხრის კედელი გაარღვია და თავი დააღწია პატიმრობას. მას იმერეთში მისასვლელი პირი აღარ ჰქონდა და თავის დისშვილთან კაცია დადიანთან გადავიდა ოდიშში (რეხვიაშვილი 1989: 88).

ამ ამბების შემდეგ სოლომონ I-მა ბესარიონი კათალიკოსობიდან გადააყენა და 1769 წლის 10 მაისს მის ნაცვლად კათალიკოსად თავისი ძმა იოსებ გენათელი დაადგინა (ქორიძე 2000: 166). იოსებმა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსობასთან ერთად გენათლობაც შეითავსა. კაცია დადიანმა კი ბესარიონი „სამეგრელოს კათალიკოსად“ გამოაცხადა (რეხვიაშვილი 1989: 215). ამრიგად დასავლეთ საქართველოში „ორ კათალიკოსოსბა“ დამყარდა.

1769 წელს აწ უკვე აფხაზეთის კათალიკოსი იოსები, სოლომონ I-მა კიდევ ერთ მოლაპარაკებაზე გაგზავნა. იოსები რაჭაში გაემგზავრა როსტომ ერისთავსა და მეფე სოლომონს შორის საბოლოოდ მშვიდობის დასამყარებლად.

რაჭაში ჩასული იოსები დიდი პატივით მიიღეს. მან ერისთავს მეფესთან შერიგება აღუთქვა და შუამავლობა იკისრა. როსტომ ერისთავმა თანხმობა განაცხადა მეფესთან შერიგებაზე მხოლოდ იმ პირობით, თუ კათალიკოსი იოსები, ეკლესიაში ბარძიმზე დაიფიცებდა სოლომონის უღალატობაზე. იოსები დათანხმდა ამ პირობის შესრულებას და მეფე სოლომონთან შესათანხმებლად ქუთაისში დაბრუნდა. კათალიკოსმა მეფე სოლომონს ყველაფერი დაწვრილებით უამბო და მას პირობა დაადებინა, რომ არც როსტომს და არც მისი ოჯახის წევრებს სოლომონი ზიანს არ მიაყენებდა. მეფემ კათალიკოსს განუცხადა: „გაძლევ სიტყვას და ვფიცავ შენ ხახულის ღვთისმშობელს, არც ის (როსტომ ერისთავი ბ. გ.) და არც მისი შვილები არ მოვკლა და ისეთი პატივისცემითაც მივიღო, რომ საარაკო დარჩესო“ (სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი 1936: 75). ამ სიტყვების შემდეგ იოსები მეორედ გაეშურა რაჭაში და ბარძიმზე ხელის დადებით დაარწმუნა ერისთავი, რომ მეფე არაფერს ავნებდა (იქვე).

მეფის უღალატობაში დარწმუნებული როსტომ ერისთავი თავისი შვიდი ვაჟიშვილით, ვარციხეში მყოფ სოლომონთან გაემგზავრა შესარიგებლად. მეფემ მოჩვენებით კარგად მიიღო ერისთავი, მაგრამ ოცდღიანი ლხინის შემდეგ შეიპყრო შვილებითურთ და თვალები დათხარა. 17 წლიანი ომი რაჭის საერისთავოსთან ამით დასრულდა. საერისთავო გაუქმებულ იქნა (რეხვიაშვილი 1989: 88).

ცხადია იოსებმა არ იცოდა სოლომონის ფარული ზრახვების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ასეთ მზაკვრულ გარიგებაზე არ წავიდოდა და არც ბარძიმზე დაიფიცებდა სიცრუეს. მან როდესაც შეიტყო ერისთავებს თვალები დათხარესო: „შეიცხადა, გადმოვარდა ტახტიდან, დაეცა მიწაზე, თავპირში ხელები წაიშინა და წვერ – ულვაშს იგლეჯდა“ (სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი 1936: 104). იოსებმა სოლომონის ჩადენილი საქციელი დაგმო და მას უთხრა: „მეფეო, შეჩვენებული იყოს შენი მეფობა, უკეთუ მეც არ გამასწორო ერისთავთან და თვალები არ დამთხარო. კარის – კაცები შეშფოთდნენ, მეფემ ზურგი მიაქცია კათალიკოსს და გაბრუნდა. კათალიკოსი კი თითქმის გონებადაკარგული გავარდა გარეთ და გელათისკენ წავიდა“ (იქვე 106).

ამ ამბის გამო კათალიკოსი იოსები დიდ სინანულში ჩავარდა და იმ დღიდან აღარ უწირავს (იქვე, 108).

უშედეგოდ დასრულდა იოსებ კათალიკოსის მოლაპარაკება კაცია დადიანთან ზავის შესახებ 1771-73 წლებში. როგორც ჩანს იოსებ კათალიკოსი ცდილობდა კაცია დადიანთან შეთანხმების მიღწევას ბესარიონ ჩხეიძის თაობაზე. ეს უკანასკნელი, როგორც აღვნიშნეთ კაცია დადიანმა „სამეგრელოს კათალიკოსად“ გამოაცხადა. დასავლეთ საქართველოში ორი კათოლიკოსის არსებობა დიდ დაბრკოლებებს და უხერხულობებს ქმნიდა. იოსები აგრეთვე იბრძოდა სახელმწიფოსგან ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, მაგრამ ვერც ამ შემთხვევაში მიაღწია შედეგს. მას კონფესიონალურ ნიადაგზე უთანხმოება ჰქონდა იმერეთში მყოფ იტალიელ კათოლიკე მისიონერებთანაც (მეტრეველი 2010: 145).

კათოლიკე მისიონერი ლეონი, რომელიც 1742–1773 წლებში საქართველოში მოღვაწეობდა, იოსებ კათალიკოსს უარყოფითად ახასიათებს. მისი თქმით იოსები იყო: „კაცი ბოროტი, უსამართლო, ბარბაროსი, ცრუ, ძუნწი, არაადამიანური, სასტიკი და უდიდესი მტერი კათოლიკებისა“ (ქ. ი. მ. შრომები 2008: 65).

მისიონერი ლეონი როსტომ რაჭის ერისთავთან მეგობრობდა. მ. თამარაშვილის მტკიცებით, როსტომმა, მისმა ძმამ ბესარიონ კათალიკოსმა და შვილმა გიორგიმ, კათოლიკობა მიიღეს და ამ სარწმუნოებაზე დარჩნენ ბოლომდე (თამარაშვილი 1902: 366). ამ ფაქტს ადასტურებს კაპუცინი მისიონერის იერონიმე მარია ნურსაიაელის წერილი, სადაც საუბარია რაჭის ერისთავის როსტომისა და მისი ძმის კათალიკოს ბესარიონის კათოლიკობის აღიარების შესახებ. ეს წერილი 1751 წლის 29 მაისს დაიწერა (იქვე, 367).

ძნელი სათქმელია რამდენად შეესაბამება სინამდვილეს მ. თამარაშვილის ცნობა როსტომისა და ბესარიონ კათალიკოსის გაკათოლიკების შესახებ, თუმცა გამორიცხული არაფერია, რადგან იმ ხანად ქართული ფეოდალური საზოგადოების გარკვეული ნაწილი, თავიანთი რწმენისადმი არამყარი პოზიციისა თუ პოლიტიკური ინტერესების

გამო, ხშირად იცვლიდა სარწმუნოებას, თუმცა კათალიკოსისაგან მსგავსი საქციელი უჩვეულო იყო.

იოსებ ბაგრატიონი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე მართლმადიდებლობას იცავდა და ცდილობდა, თავისი ხალხისთვის რწმენა შეენარჩუნებინა. იგი ხელს უშლიდა იმერეთის სამეფოში ისლამისა და კათოლიკობის გავრცელებას. რა თქმა უნდა იოსები თავისი მტკიცე პოზიციის გამო მიუღებელი იქნებოდა კათოლიკე მისიონერებისთვის და მათ შორის კაპუცინი ლეონისათვის, რომელიც ესეთ მძიმე შეფასებას აკეთებს იოსების მიმართ და მას ყველაფერთან ერთად კათოლიკების მტრად იხსენიებს.

იოსები დიდ ყურადღებას უთმობდა სასულიერო საგანმანათლებლო საქმიანობას. 1772 წლის 12 დეკემბერს მისი დაკვეთით ხუცეს-მონაზონმა ზაქარია გაბაშვილმა (გაბაონმა) დაასრულა იოანე ოქროპირის „საღმრთო ჟამის წირვის“ გადაწერა (ჟორდანია 1967: 344). მისი ტექსტის გამართვაში, რაც მდგომარეობდა ბერძნულ და რუსულ ლიტურგიკულ ტექსტებთან შედარებაში, გადამწერებთან ერთად თვით იოსებიც მონაწილეობდა. ამ გზით გასწორებული იოანე ოქროპირისეული „ჟამის წირვა“ კათოლიკოსმა იოსებმა გელათის მონასტერს შესწირა (მეტრეველი 2010: 145).

თხზულებას წინ უძღვის დიდი მრგვლოვანი ასომთავრული ასოებით გაკეთებული წარწერა: „პონტო: ჩრდილოისა: და: აფხაზ: იმერთა: ყოვლისა: კ-ზ: მამად: მთავრმან: ძემან: ალექსანდრე: დიდისა: მეფეთ: მეფისამან: წყალობითა: ღ-თისათა: / იოსიფ: აღვაწერინენ: წ-ნი: ესე სამნი: ლიტურღიანი: ბერძენ: როსთა საპატრიარხოთა: ლიტურღიისთა: თ-ა: შემოწმებითა: სავსებითა: სკ-ნდ: მოსახსენებელად: ჩემდა: ქრისტეს: აქათ: ჩ ღ ო ბ (1772) დკ – ნბერი: ი ბ (12)“ (ჟორდანია 1967: 343).

1761 წელს იოსებ კათალიკოსის დავალებით თბილისის ჯვრის მონასტრის დეკანოზ იოანეს, დაუწერია სჯულის კანონის წიგნი, სადაც შეუტანია „ძეგლის წერა,“ დავით მეფის (დავით IV აღმაშენებელი) ბრძანებით მომხდარის რუის – ურბნისის კრებისა (იქვე, 346). წიგნს ახლავს 1776 წლის 23 მარტს იოსებ კათალიკოსის ხელით გაკეთებული წარწერა: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ აბხაზ–იმერ–გურია–სამეგრელოისა, ესე იგი სრულიად ქვემოისა ივერიისა კათალიკოზ – მამათმთავარმან იოსიფ დავითიან თვით საფასითა ჩემითა აღვაწერინე წმინდა ესე სჯულის კანონი, და ვინათგან თანა მაქვნდა ეპარხიაცა გაენათისა, თანამდებცა ვიყავ მსახურებად შენდა; ამისთვის გიძღვენ წიგნი ესე სჯულთა შენ სოლომონებრსა ტაძარსა ხახულისა ღვთისმშობელსა, რათა ოდეს აღმოიკითხვიდენ ძენი შენისა ეკლესიისანი ოხას მაგებდენ შენდობა ყოფისასა და კურთხეულ იყვნენ აწ და მერმესაცა; რამეთუ სენისა ამის მიერ მივალ მოუვალსა გზასა ჟამსა ყვავილოვნებისასა, და მიწა თქმის ხმასა და უმანავნ კარსა კელიაისა ჩემისა

დროშანი შავნი.... დაიწერა მარტსა: ი გ: (23) ქრისტესითგან ჩ ღ ო ვ (1776)“ (ჟორდანია 1967: 346).

ამ წარწერიდან ჩანს, რომ მძიმე სენით შეპყრობილი იოსებ კათალიკოსი დღე - დღეზე სიკვდილს ელოდა. მას მთელი თავისი მოღვაწეობა ეკლესიისა და სახელმწიფოს გაძლიერებისაკენ ჰქონდა მიმართული. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ყოველთვის გელათს ანიჭებდა. აი რას ამბობს იოსები სიკვდილამდე რამდენიმედღით ადრე დაწერილ ანდერძში: „ჩემი ღწვა დღე და ღამე ეს იყო, რომ, რადგან გელათს დიაკვნად ვეკურთხე, მღვდლად ვეკურთხე და მღვდელმთავრად, რაც რაიმე მიღვაწია, ყოველივე გელათისათვის მინდოდა და კიდეც შემიწირავს, როგორც გალავანი შემოვავლე, ისე დახურვა მინდოდა.....“ (ხ.ე.ც. ფონდი AD – 652. ქ. ს. ძ: 1970: 906). ანდერძში ჩამოთვლილია თუ რამდენი გლეხი დაიხსნა იოსებმა თავისი ფულით და რამდენი დაკარგული მოიძია. მათ შორის თხილწყაროს მცხოვრები ლიბრაძეები, ოკრიბას გვენეტაძეები, ასევე ჭუმბურიძეები, რაჭას კვაშხიეთის გლეხები, რიონს სულაქველიძენი და მრავალი სხვა: „...საცა იყო დაბნეული ან გლეხი ან მამული, ზოგი თეთრით და ზოგი ცდითა და სარჯლით...“ გამოისყიდა და გელათს შესწირა. საბუთი 1776 წლის 9 მაისს დაიწერა: „დაიწერა ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამოცდა თექვსმეტს. და თვესა მაისსა ცხრას“ (იქვე).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება იოსებ კათალიკოსის პირადი ნივთების ნუსხა, რომელიც მან გელათს შესწირა. მათ შორის იყო: „...ენქერი სირმით ნაკერი, ომფორი თეთრის სტროფის სამის ოქროს ღილით და სირმის არშიით გაწყობილი, ღაფარნა და ორი პერექელი სირმით ნაკერი, ოქროთ დაფერილი ბარძიმ ფეშხუმი, ერთი სეფისკვერის ვერცხლის თეფში, ჯვარის სასანთლეები ვერცხლისა და ერთი კარგი სამღვდელმთავრო კონდაკი, სამღვდელმთავრო მიტრა პირველითგანვე გელათის და აწ კვალად განახლებული, ერთი ვერცხლის საცეცხლური, ერთი სჯულის კანონი და ვნების კვირის სახარება, ერთი ვერცხლის სააიაზმე თავსახურავიანი და სხვა” (ხ.ე.ც. ფონდი HD–14514. ჟორადნია 1967: 344). ნუსხას ერთვის გენათელი ეპისკოპოსის ეფთვიმეს მინაწერი: „ესენი ყოველივე მე მისი დიაკონი ეფთვიმე მისი ძმა, ნებით გენათლად მაკურთხეს და მომაბარეს უკლისათ. ქორონიკონს ქ˜ეს აქათ ათას შვიდას სამოცდა თექვსმეტს და თვესა მაისსა ათცამეტსა: გენათელი ეფთვიმე“ (ხ.ე.ც. ფონდი HD - 14514).

იოსებ კათალიკოსი 1776 წლის 13 მაისს გარდაიცვალა, რაც სხვადასხვა ისტორიული წყაროებით დასტურდება. ერთ-ერთი ქრონიკის ცნობით: „ქკ ს :უ ჲ დ: (1776) ამა ქორონიკონსა მიიცვალა ყოვლად სანატრელი კათალიკოზი გენათელი და მეფის ძე იოსებ თვესა მაისსა :ი გ: (13) დღესა პარასკევსა, ჟამსა მეოთხესა, იყო წლისა ოც – და – ჩვიდმეტისა და ექვსის თვის“ (ჟორდანია 1967: 345). აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით ნაწილი სამეცნიერო წრეებისა მიიჩნევს, რომ გარდაცვალების ჟამს იოსებ

კათალიკოსი 37 წლის იყო. ამ ცნობას ამყარებს 1766 წელს ოსმალეთში გამგზავრების წინ, იოსებ გენათელის მიერ დაწერილი ანდერძიც, სადაც ის აღნიშნავს, რომ ანდერძის დაწერის დროს იყო 27 წლისა და ცხრა თვის (კაკაბაძე 1914ბ: 57). თუკი 1766 წელს იოსები 27 წლის იყო, ბუნებრივია 1776 წელს ის 37 წლის იქნებოდა. აქიდან გამომდინარე მისი დაბადების თარიღი 1739 წელი (1776 – 37 = 1739) გამოდის, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ჩვენ ვიცით, რომ 1745 წლიდან იოსები უკვე გენათელ ეპისკოპოსად იხსენიება. ზემოთ მოყვანილი ცნობების მიხედვით კი 1745 წელს იოსები 6 წლის უნდა ყოფილიყო (1739 + 6 = 1745). 6 წლის ასაკში ცხადია იოსებს გენათელ ეპისკოპოსად არავინ აკურთხებდა. ამრიგად ცნობა, რომელიც ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში იოსებ კათალიკოსის გარდაცვალებას ეხება, სიზუსტეს მოკლებულია. ჩვენი ვარაუდით 1745 წელს იოსების გელათის ეპისკოპოსად ხელდასხმა მინიმუმ 20 წლის ასაკში უნდა მომხდარიყო, რადგან 20 წელზე ახალგაზრდა ადამიანის ეპისკოპოსად კურთხევა წარმოუდგენლად მიგვაჩნია, თანაც იმ ფონზე, როცა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, ეპისკოპოსად ეკურთხებოდა ბერ-მონაზონი არა უმცირეს 35 წლისა. აქიდან გამომდინარე 1776 წლისათვის იოსები სულ მცირე 50 წელს გადაცილებული იქნებოდა. მაგრამ ისმის კითხვა, რატომ აცხადებს იოსები 1766 წლის ანდერძში რომ ის 27 წლისა და ცხრა თვის არის? აქ იოსები ბერად აღკვეციდან გასულ წლებს ხომ არ გულისხმობს და იმიტომ აკონკრეტებს თვეებსაც კი? როგორც უკვე ვთქვით 1745 წელს იოსები გენათელი ეპისკოპოსია. შესაძლოა მისი ბერად აღკვეცა ერთი წლით ადრე 1744 წელს მოხდა. ამ შემთხვევაში იოსების ბერად აღკვეციდან 1766 წელს 27 წელი იქნებოდა გასული, ხოლო 1776 წელს 37 წელი. შესაძლებელია ამას გულისხმობდა ქრონიკის ავტორიც რომელიც აღნიშნავდა, რომ იოსები გარდაცვალების ჟამს (ბერად აღკვეციდან ბ. გ.) იყო: „წლისა ოც - და - ჩვიდმეტისა და ექვსის თვის.“ თუმცა ეს მხოლოდ ჩვენი სავარაუდო მოსაზრებაა. ფაქტი ერთია, რომ იოსები გარდაცვალების დროს 37 წლის ასაკს საკმაოდ გადაცილებული იყო.

იოვანე ხუცესის დღიურ–წერილებში დაცული ცნობის მიხედვით 1776 წლის 11 მაისს მომაკვდავი იოსებ კათალიკოსი „სანავარდოთგან“ ქუთაისში, მწვანეყვავილას რეზიდენციაში მიუყვანიათ. 13 მაისს იოსები გარდაცვლილა. 17-ში მისი ცხედარი გელათში გადაუსვენებიათ და 18 მაისს იქვე დაუკრძალავთ (ლომსაძე 1979: 150 – 151).

იოსებ გენათელმა მთელი ცხოვრება საქართველოს ეკლესიის და ქვეყნის გაძლიერებას შეალია. იგი დაუღალავად ზრუნავდა ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისთვის. მან არაერთი გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე აღზარდა, მათ შორის იყო უკანასკნელი გენათელი ეპისკოპოსი ეფთვიმე შერვაშიძე (1776–1820). იოსებმა თავისი მოღვაწეობით, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოსთვის მოამაგე ქართველ მღვდელმთავართა შორის.

იოსების შემდეგ გენათელი ეპისკოპოსი გახდა ეფთვიმე II შარვაშიძე. იგი იყო უკანასკნელი გენათელი ეპისკოპოსი, რადგან მისი ეპისკოპოსობის პერიოდში გაუქმდა გელათის საეპისკოპოსო.

ეფთვიმე II შარვაშიძე გურიის ერისთავის ძე, მეფე სოლომონ I-ისა და იოსებ გენათელის გაზრდილი იყო. ის 12 წლის ყოფილა, როცა სოლომონსა და იოსებს გურიიდან იმერეთში მიუყვანიათ. 1819 წლის 2 ნოემბრის საბუთში, ეფთვიმე თავად იხსენებს ამ ფაქტს: „ქ. მე გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი, ვსწერ: დიდმა მეფე სოლომონ და მისმა ძმამ კათალიკოსმა იოსებ გურიიდგან მომიყვანეს და გამზარდეს, სამოცდა ერთი წელიწადი არის იმერეთს ვარ, ორმოცდა ერთი წელიწადი არის გენათლათ ვარ, ოცს წელიწადს მეფეს და კათალიკოზს ვახლდი და მათი ბძანება და დაწესება სრულებით ვიცი“ (ხ.ე.ც. ფონდი HD – 3166. Акты... 1874: 396).

ეფთვიმეს მამა ქრისტეფორე შარვაშიძე ყოფილა. 1790 წლის საბუთში ეფთვიმე გენათელი აღნიშნავს, რომ მისი მამა ქრისტეფორე: „გამოჩინებულის წმინდის გიორგის ეკლესიის შენებაზედ ნამსახური იყო“ და იმავე ეკლესიაზედ დაუმარხავთ (ქ. ს. ძ. 1970: 995).

ეფთვიმე II გენათელი, თავიდანვე აქტიურად შეუდგა მოღვაწეობას. მოიძია გელათის ყველა ძველი საეკლესიო საბუთი, თავისი თვალით გადაამოწმა და თუ რაიმე დარღვევა შენიშნა, მის გამოსწორებას შეეცადა. გელათის დოკუმენტების ნაწილს, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გენათელი ეპისკოპოსის მიერ არის დამოწმებული, ბოლოში ეფთვიმეს ბეჭედიც ახლავს, რაც იმის ნიშანია, რომ ეს საბუთები ეფთვიმეს მიერ იქნა გადამოწმებული.

ეფთვიმეს ბრძოლა უწევდა გელათის სამწყსო მიწების შესანარჩუნებლად. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ერთი უთარიღო საბუთის ფრაგმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ: „არხიმანდრიტი მოძღვარი ქრისტეფორე, სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, მდივანბეგი დავით, კათალიკოსი მაქსიმე და გენათელი ეფთვიმი, გელათის.... მიწას დაობდენ. მაცხოვრის კარსა და კათალიკოსის პალატს შუა რომ ადგილი არის, კათალიკოსმა ბძანა წმინდის გიორგის საყდრის არისო და საკათალიკოზო(აო). გენათელმა თქვა ჩემის საყდრის მიწა არისო. მადამდის გენათელის წინამძღვარი ყოფილა და დღესაც გენათლის წინამძღვარი დგას. გავშინჯეთ დავისაც ადგილი. უჭირავს, სამართალი მისი არის. თუ მცოდნე ვინმე გამოჩნდეს და იმ ადგილის ამბავი იცოდეს, ორი კაცი წამოდგეს და კათალიკოსს ხელი ჩამოართვას. რაც საგენათლო არ იყოს, ის მიწა საკათალიკოსო არ ყოფილიყოს. თუ ეს არ იქნეს გენათელმა ოთხი მსახური შეაფიცოს ზემოთ რომ დაგვიწერია. თუ ვერ შეაფიცოს გენათელმა ადგილი დაუტეოს კათალიკოსს ” (ხ.ე.ც. ფონდი HD – 8041. ჟორდანია 1967: 392). აღნიშნული დავა 1785

წლის ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო. გენათელ ეფთვიმეს გელათის მიწებისთვის სასამართლო დავა ჰქონდა ივანე და ქაიხოსრო აგიაშვილებთანაც. ამ სასამართლო დავაში მეფე სოლომონ II იღებდა მონაწილეობას (ქ. ს. ძ. 1974: 282–284).

ეფთვიმე მკაცრი იყო სასულიერო პირების მიმართაც, მათი მხრიდან საეკლესიო წესების დარღვევის შემთხვევაში. 1784 წლის ახლო ხანებში გენათელი ეფთვიმე თავისი ეკლესიის წინამძღვარ ამბერკი ავალიანს გასწყრომია „უჯერო საქმეთა გამო.“ მეფემ მათი შერიგება ქუთათელ დოსითეოსს, ხონელ ანტონს და ჯუმათელ მაქსიმეს დაავალა: „..... ჩვენ, ყოვლად სამღვდელოთა, ამისი გასინჯვა მათმა უმაღლესობამ (იმ ხანად იმერეთში მეფობდა დავით გიორგის ძე 1784–1789) გვიბრძანა და რაოდენ ჩვენგან შესაძლო იყო, სამართლიანის მსჯავრით ასე დავინახეთ და ასე განვაგეთ..... (წინამძღვარ ამბერკის ბ. გ.) რაც მიზეზები ყოვლად სამღვდელო გენათელმა დაუდვა, ამისთვის თუ ინებებს და გენათელი შეირიგებს შენდობის მიცემით, სწავლით და კანონით, ისევ თავის ადგილას იდგეს და შეძლებისაებრ მოუაროს განუშორებლად. ამისათვის, რომ დიდი ქონება არა ჰქონია რა...“ (ქ. ს. ძ. 1974: 286).

ეფთვიმე, გენათლობის პირველივე წლებიდან ზრუნავდა თავის სამწყსოს გლეხებზე და ცდილობდა მათთვის სამეურნეო პირობები შეექმნა. 1777 წელს მან იანვარა კაპჭელაშვილს, მისი „უმემკვიდროდ გარდაშენებული“ ძმის - კაცია კაპჭელაშვილის ადგილ-მამული უბოძა: „....ესე წყალობის წიგნი მტკიცე და უტყუარი გიბოძეთ....ჩვენ გენათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმი, შენ ჩვენი ეკლესიის ძირს მოსახლე კაცს იანვარა კაპჭელაშვილს, ამა პირსა რომ შენი ძმა კაციელა უმკვიდროდ გარდაშენდა, და შენ შეგვეხვეწეთ და.... რაც შეგეძლო მოსართმევითაც გვემსახურეთ. უშვილო კაცისეული სამართლით ჩვენი იყო, მაგრამ რათგან შეგვეხვეწეთ და გვევედრეთ, გვიბოძებია კაცია კაპჭელაშვილისეული მიწა ადგილი.....მოგცეს და მოგახმაროს ღმერთმა ჩვენი ეკლესიის და ჩვენს ერთგულად სამსახურში....დაიწერა ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩ ღ ო ზ (1777)“ (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 4042).

ეფთვიმე II გენათელი, ისე როგორც მისი წინამორბედი გენათელი ეპისკოპოსები, აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. XVIII ს-ის ბოლოს რუსეთის იმპერიის ინტერესები გაძლიერდა საქართველოს მიმართ. ქართველი მეფე-მთავრებიც ცდილობდნენ რუსეთის ძალით თავი დაეღწიათ ოსმალური და ირანული აგრესიისაგან. ეფთვიმე გენათელი რუსული ორიენტაციის მომხრე პოლიტიკურ გუნდს უჭერდა მხარს. ამას მოწმობს 1784 წლის 1 მაისს იმერეთის თავად-აზნაურების მიერ პავლე პოტიომკინისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც ისინი რუსეთისადმი ერთგულებას ამტკიცებენ. წერილს სხვა საერო და სასულიერო პირებთან ერთად ხელს აწერენ: დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი (რეხვიაშვილი 1989: 284).

1784 წლის 23 აპრილს 49 წლის ასაკში გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ I. სოლომონს ტახტის მემკვიდრე არ დარჩენია. მისი ერთადერთი ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი, 1780 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა.

ალექსანდრეს პირადი ცხოვრება არეული ჰქონდა. იგი დაპირისპირებული იყო მამასთან, მეფე სოლომონთან. ნებსით თუ უნებლიეთ ალექსანდრემ სამჯერ იქორწინა. „უჯეროისა ქორწინებისათვის“ ბატონიშვილი ეკლესიამ შეაჩვენა. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ სოლომონს სურდა შვილი შესაფერისი პატივით დაეკრძალა ეკლესიის შიგნით, მაგრამ სამღვდელოებამ მეფეს ამის უფლება არ მისცა. მხოლოდ „ერთისა მღვდლისა წინ გაძღოლითა დაფლეს იგი გარეგან ეკლესიისა“ გელათს (სოსელია 1990: 38 – 40).

შეჩვენებული უფლისწულის ეკლესიის შიგნით დაკრძალვას, სხვა სამღვდელო პირებთან ერთად როგორც ჩანს წინ აღუდგა ეფთვიმე გენათელიც.

სოლოონ I-მა იმერეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ თავისი ძმიშვილი, ერეკლე II-ს შვილიშვილი დავით არჩილის ძე გამოაცხადა. 1784 წელს სოლომონის გარდაცვალების დროს დავით არჩილის ძე მცირეწლოვანი იყო და იმერეთის სამეფო ტახტი სოლომონის ბიძაშვილმა, დავით გიორგის ძემ „მიიმძლავარა.“ დავით მეფესა და ერეკლეს შორის მოხდა შეთანხმება რომლის საფუძველზე, დავით არჩილის ძე როგორც კი სრულწლოვანებას მიაღწევდა, დავით გიორგის ძეს მისთვის ტახტი უნდა დაეთმო. 1789 წელს დავით არჩილის ძე უკვე 17 წლის იყო, მაგრამ დავით გიორგის ძე ნებით ტახტის დათმობას არ აპირებდა (ნარკვევები1973ბ: 726). ამის გამო იმერეთში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა.

მეფე დავით გიორგის ძეს უთანხმოება ჰქონია ეფთვიმე გენათელთანაც. მეფეს ეფთვიმეს გენათლობიდან გადაყენებაც კი უცდია. ამას მოწმობს 1791 წლის 13 მარტით დათარიღებული განჩინება ეფთვიმე გენათელისა და ბუჭუა აკოფაშვილის საქმეზე. ეფთვიმემ აკოფაშვილს უჩივლა რომ: „შენ გურიელის კაცები დაიჭირე, გურიელის პირობაზე გაგეპარა ის კაცები და მეფე სოლომონის საფლავს შეეხვეწა გელათს; მე მთხოვე, მაგრამ შენით წამოყვანა არ მომიშლია და ჩემით ვერ მოგეცი. ამაზედ დამასმინე მეფე დავითს; გამიწყრა მე, გენათლობისაგან მაგდებდნენ; გოგია კანდელაკი ამიყარეს, სამს წელიწადს გლეხები წართმეული ყავდა; ვეცადე, მე ამაშიდ ერთი უცხო ნაწილიანი ხატი და ოთხი კვამლი კაცი ქრთამათ ელისბარმა გამომართვა და ასი მარჩილი ჩემს ურიებს გარდაახდევინეს. ესეები შენის დასმენილობით დამემართა“ (ქ. ს. ძ. 1974: 520).

1789 წლის 11 ივლისს ხონის მახლობლად დავით არჩილის ძემ დაამარცხა დავით გიორგის ძე და მცირე ხნით იმერეთში გამეფება შეძლო, მაგრამ დავით გიორგის ძე 1790

წელს იმერეთში ოსმალთა და ლეკთა ჯარით შემოიჭრა და ტახტი დაიბრუნა (რეხვიაშვილი 1989: 303).

იმერეთი მღელვარებამ მოიცვა. „მოზეზრებული არევ დარევისა გამო იმერეთის წარჩინებულნი შეიკრიბნენ და გამოგზავნეს დესპანი ერეკლე მეფესთან მარტში; (1790 წ. ბ. გ.) დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გენათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე, ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვა...“ (ჟორდანია 1967:404).

იმერეთიდან ჩასულმა დელეგაციამ მეფე ერეკლეს თხოვა რომ: „რადგანაც არა სურს მეფესა ირაკლის მეფე დავით, (საუბარია დავით გიორგის ძეზე. ბ. გ.), მიმტაცებელი ტახტისა, ინებოს და შეიერთოს თვისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა“ (იოსელიანი 1936: 15). „იმერთა დესპანნი“ არწმუნებდნენ მეფე ერეკლეს რომ იმერეთში ერი და ბერი სიხარულით მოელოდა ამ საქმის დასასრულს და რომ თვით გურიელსა და დადიანსაც სურდა ქვეყნის გაერთიანება. მეფე ერეკლემ ამ საკითხის განსახილველად დარბაზი მოიწვია. საქართველოს გაერთიანების მომხრენი იყვნენ: ჭაბუა ორბელიანი, ანტონ კათალიკოსი, სარდალი დავით ყაფლანიშვილი, სოლომონ ლიონიძე, ზაქარია მოურავი ქიზიყისა და სხვანი. გაერთიანების წინააღმდეგ გამოვიდა იოანე მუხრანბატონი. მისი თქმით: „დაკავშირება იმერეთისა დიახ ძნელია. ჩვენ ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოუაროთ იმერეთსა“ (იოსელიანი 1936: 16)?! მუხრანბატონის გამოსვლას სარდალი დავით ყაფლანიშვილი და კრების სხვა წევრები გაუღიზიანებია, რამაც არეულობა გამოიწვია. მეფე ერეკლემ საკითხის განხილვა გადადო.

იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთების წინააღმდეგ გამოდიოდა მეფე ერეკლეს მეუღლედედოფალი დარეჯანიც. დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ დედოფალი, რომ ქვეყნის გაერთიანება აუცილებელი იყო: „მოუთხრობდნენ დედოფალსა იმერეთის მდგომარეობასა და სრულიად დაღუპვასა, უკეთუ არ მოხდება ერთობა ქართველთა თანა. დედოფალი ბრძანებდა უარსა და იტყოდა ვერ გამოწირვასა იმერეთისა გვირგვინისა შვილიშვილისა ხელთაგან“ (იოსელიანი 1936: 17).

მესამე დღეს დარბაზის სხდომა განახლდა. ჭაბუა ორბელიანი და ანტონ კათალიკოსი კვლავ მოუწოდებდნენ მეფე ერეკლეს მიეღო იმერეთის დელეგაციის შემოთავაზება. ერეკლემ ბრძანა: „თხოვასა ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალ მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილისშვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული. - დესპანნო! წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ

იმერეთისა ტახტზედ შვილისშვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თავით – თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა“ (იქვე 18).

ამრიგად დიდი ცდების მიუხედავად საქართველოს გაერთიანება ვერ მოხერხდა. 1790 წელს მეფე ერეკლეს დახმარებით იმერეთში კვლავ მისი შვილიშვილი დავით არჩილის ძე გამეფდა, რომელმაც მეფე სოლომონ I-ის საპატივცემულოდ სოლომონი დაირქვა და სოლომონ II-დ იწოდა.

1790 წლის ივნისში სოლომონ ლიონიძის ინიციატივით თბილისში გაფორმდა ტრაქტატი, რომლის ძალითაც დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ და მეფე ერეკლეს უპირატესობას აღიარებდნენ (ნარკვევები 1973ბ: 730). აღნიშნული ხელშეკრულება იმედს უსახავდა საქართველოს გაერთიანების მოსურნეთ, რომელთა შორის ეფთვიმე II გენათელიც იყო.

სოლომონ II–მ, თავისი ბიძისსოლომონ I–ის მსგავსად დასავლეთ საქართველოს სამთავროებზე, სამეფო ხელისუფლების გავლენის აღდგენა დაისახა მიზნად. ამ ბრძოლაში მას ჰყავდა მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც.

სოლომონ II–ს მეფობას კვლავ ეცილებოდადავით გიორგის ძე, რომელსაც მხარს უჭერდა სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი. 1792 წელს სოლომონ II–მ მოახერხა გრიგოლ დადიანის გადაყენება და სამეგრელოს მთავრად მისი ძმამანუჩარი დასვა. მეფე დასჯას უპირებდა დავით გიორგის ძეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ახალციხეში გაქცევა მოასწრო. 1794 წელს დავით გიორგის ძემ, სამურზაყანოში მყოფი გრიგოლ დადიანის დახმარებით უკანასკნელად და წარუმატებლად სცადა იმერეთში გამეფება. 1795 წლის 11 იანვარს დავით გიორგის ძე ახალციხეში გარდაიცვალა (ნარკვევები 1973ბ: 752).

იმერეთში არეულობა გრძელდებოდა. სოლომონ II–ს სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში ახალი პრეტენდენტი გამოუჩნდა. ეს გახლდათ სოლომონ I–ის ძისალექსანდრეს უკანონო შვილი გიორგი, რომელსაც ცოლად ჰყავდა გურიის ერისთავის ასული, ეფთვიმე გენათელის ძმისწულიდარეჯანი. გენათელმა და რამდენიმე იმერელმა თავადმა, გიორგი ალექსანდრეს ძის გამეფება გადაწყვიტეს. შეთქმულები ახალციხეში გადასულ გრიგოლ დადიანს დაუკავშირდნენ, რომელიც მათ დასახმარებლად ჯარით გამოეშურა, მაგრამ მეფემ შეთქმულებს დაასწრო და მისი წევრები დააპატიმრა. გრიგოლ დადიანის ცოლ-შვილი მეფეს ქუთაისში ჰყავდა, ამის გამო გრიგოლი იძულებული გახდა მეფეს ხლებოდა. სოლომონ II–მ იგი ქუთაისიდან აღარ გაუშვა, მაგრამ გრიგოლმა გაპარვა მოახერხა და სამეგრელოში გაბატონდა. სოლომონ II–მ რამდენჯერმე სცადა მისი გადაყენება, თუმცა უშედეგოდ (ნარკვევები 1973ბ: 752).

ნიკო დადიანის ცნობით, მეფე სოლომონ II–ს ვერაგული გადაწყვეტილება მიუღია. მან გრიგოლ დადიანი და მისი ბიძა გიორგი, ქუთაისში მოსალაპარაკებლად დაიბარა, სინამდვილეში მეფეს გრიგოლის მოკვლა და გიორგის შეპყრობა ჰქონდა განზრახული. გრიგოლმა მეფესთან მოსალაპარაკებლად შუამავლობა დოსითეოს ქუთათელსა და ეფთვიმე გენათელს თხოვა: „თუმცაღა იცოდნენ გრიგოლმან და ბიძამან მისმან, რომელ ცბიერებს მეფე და მიყავს ღალატისათვის, გარნა იმამაცეს გული და შემდგომად რამოდენისამე დღისა წარვიდენ ესენიცა და მივიდენ ბანძას, მუნითგან წარგზევნეს კაცი და ითხოვეს მომგებლად მიტრაპალიტნი ორნი: ქუთათელი დოსითეოზ წერეთელი, გენათელი ეფთვიმი გურიის ერისთავის ძე, ამასთან სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ და წულუკიძე გიორგი. მოვიდნენ ესენი ბანძას, წარუძღვენ დადიანსა და მივიდენ ქუთათისს სასახლესა შინა ქუთათლისასა. და ვინათგან გრძნობილ იყო მათგან ღალატი მეფისა, გრიგოლ დადიანი აღარ შთავიდა სასახლესა მეფისასა და ბიძამისი გიორგი შთავიდა, მეფისა თანა სასაუბროდ და სცნა ჭეშმარიტებით, რომელ გამზადებულ არს მეფე ღალატად და ნახა დამდგარნი კაცნი, მაშინ წარმოვიდა და მოვიდა გრიგოლისა თანა, უთხრა ცხადად მეფისაგან ღალატი. მაშინ მსწრაფლ აღმხედრდა და წარმოვიდენ და წარმოჰყვენ ზემოთქმულნი მიტროპოლიტები და თავადნი იმერელთანი. და მეფემან ვერღა შემართა ღალატსა და დაუტევეს განბასრებული. და დადიანი მოვიდა ხუნწს, და იმერთა მღვდელ-მთავარნი და თავადნი განუტევნა დიდითა მადლობითა და წარვიდენ“ (დადიანი 1962: 189).

მეფე სოლომონ II–მ 1797 წელს ეფთვიმე II გენათელი, როგორც შეთქმულების მონაწილე, იმერეთიდან გააძევა. ეფთვიმემ ოდიშს შეაფარა თავი (რეხვიაშვილი 1989: 90). მან ოდიშიდან დედოფალ დარეჯანს, მეფე სოლომონ II-ის ბებიას, წერილი მისწერა და თავისი მდგომარეობის შესახებ აუწყა: „...ეგებ ვინმეს სწადოდა და კიდეც ცდილობდნენ ჩემის ეკლესიისაგან ჩემს გაგდებას, მაგრამ მისის უმაღლესობისა და თქვენის მორიდებით ვერ ქმნეს. თორემ დიდის ხნით მესმოდა ბატონს თქვენს შვილთან რომ ..... მასმენდნენ. მაგრამ იცოდათ (იცოდნენ ? ბ. გ.) რომ მისი უმაღლესობისა და თქვენი იმედი მქონდა და გაეგოთ თქვენი ჩემზედ მოწყალება და აღთქმა და აქამომდე ვერ იკადნიერეს ახალთა თან განმზრახთა ჩემი გამოგდება. და ახლა კი ხელი მკრეს და ისევ შენმა სამშობლომ რომელსაც ნიადაგ გაჭირვებული შეუწყნარებიათ თუმც შეწყნარებას არ მემართლებოდენ დიდათ შემიწყნარეს. და აქ გახლავარ ორივე ბიძა-ძმისწულ ჭყონდიდელებთან. შენ მზეს ვფიცავ თუ თქვენსადმე გხლებოდე თორემ ამისთანა პატივ და ნუგეში არსად მიმეღოს და არც მენახოს. ახლა აქ გახლავარ თქვენის ძმისწულის და დადიანის ბრძანებით და შეწყნარებით....(ხ.ე.ც. ფონდი HD – 298). ეფთვიმე დედოფალ დარეჯანს მისადმი და მეფე სოლომონისადმი ერთგულებას უმტკიცებდა და იმერეთის სამეფოზე ზრუნვას თხოვდა: „თუმც დევნილ ვარ მაგრამ ეს ჩემი დევნა მისი (მეფე სოლომონის ბ. გ.) ბრალი არ არის, ყმაწვილი არის და ახალმა ყმაწვილებმა შემოიტანეს ამ

გვარი მოქმედება. და მე მაშინაც მის თავს ვლოცავ რომ დამბადებელმან ღმერთმან განაძლიეროს ღვთის მსახურებაშიდ და ამაღლდეს. მე სულ რომ ამ დევნაშიდ ვიყო მაშინაც მისი სიცოცხლე და განძლიერება ღვთის მსახურებასა და ღვთის მოყვარებაშიდ მისცეს. ბევრი მოხსენება ახლა თქვენთან სამართალი არ არის. ამისთვის რომ ჩვენის უბედურობით თქვენი გონება შეწუხებული იქნება. მაგრამ შენი ანთებული სანთელი არის, შენი შვილი არის და ეს სამეფოც შენი მომზირალი და ნაიმედევი არის და იღვაწე, ნუ დააგდებ და რიგიანს საქმეზედ შემოიყვანეთ საქმე რომ ღმერთთან და სამართალთან სჯობდეს თორემ მე კი სადაც ვარ შენი და ამ შენის შვილის მლოცველი ვარ უღირსითა ბაგითა“ (იქვე).

გარკვეული პერიოდის შემდეგ ოდიშში დევნილი ეფთვიმე შარვაშიძე, მეფე სოლომონმა ისევ მიიწვია გელათის ეპისკოპოსად (რეხვიაშვილი 1989: 90). მიუხედავად მეფის შეწყალებისა, ეფთვიმეს გული არ გამთბარა მის მიმართ. გენათელი ეპისკოპოსი შემდგომშიც სოლომონ II–ის წინააღმდეგ გამოდიოდა.

ეფთვიმე II გენათელი, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის პარალელურად თავის სამწყსოს ზრუნვას არ აკლებდა. იგი მისი წინამორბედი გენათლების მსგავსად, ცდილობდა გელათისათვის შეწირულ მიწებზე გლეხები დაესახლებინა და მეურნეობა გამოეცოცხლებინა. 1787 წელს მან ოკრიბას მხარის სოფელ საწირეში გლეხების ოთხი ოჯახი დაასახლა, მათ შორის ქარქაშაძეები და ხოსიკაშვილები. ამას გარდა გელათთან ახლოს დაასახლა ბაკურაძეები, ნაგარევში კაცია ერაძე მისი შვილებით და გოდოგანში ობოლი ძმები ლევიძეები (ქ. ს. ძ. 1970: 968). 1790 წელს ეფთვიმე გენათელმა ოდიშიდან მოიყვანა „საერისთო კაცი“ გიორგი დევაძე თავისი ოჯახით და „გარდაშენებული“ გურგენიძისეულ ადგილ-მამულში დაასახლა (იქვე, 995). 1799 წელს გიორგი ბერძნიშვილსა და მის ოჯახს, მწვანეყვავილას გალავნის ქვეშ, რიონის პირას გოგიბელოურის მიდამოები უბოძა სამოსახლოდ (ხ.ე.ც. ფონდი AD - 793). 1801 წელს ქველობანს მცხოვრებ ხელოსანს აბესაძე ივანიკასა და მის ოჯახს, იდემალაზე მდგარი წისქვილი გადასცა (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 894), 1804 წელს იაშვილისეულ მიწა – წყალზე დაასახლა ჭუმბურიძეები და მიქაბერიძე (კაკაბაძე 1921ბ: 145). ეფთვიმე ამავდროულად ცდილობდა გელათის საყდრისათვის დაებრუნებინა ის ყმები, რომლებიც ფეოდალებს ჰყავდათ მისაკუთრებული. 1816 წელს მან ღვანკითს მცხოვრები ბერიკა არაბიძის ოჯახი ყიფიანისაგან დაიხსნა და კვლავ გელათის საყდარს დაუბრუნა. ეფთვიმეს წყალობით ბერიკა არაბიძეს ადგილიც კი უყიდია თერჯოლაში და იქ დასახლებულა (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 6833).

ეფთვიმე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რაჭა–იმერეთის მღვდელმთავართა შორის. ხონელი ეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე თავის ანდერძში მის კრებულს უბარებს: „წმინდანო მღუდელნო აწ ამას ვთხოულობ წინაშე თქვენსა რომ ქრისტეს გულისათვის

წმინდას და ყოვლად სამღუდელოს გაენათელ მიტროპოლიტს მუხლმოდგმით და ცრემლით შემავედროთ, რომ ჩემს სულს მოუაროს და გამირიგოს ეს ჩემი ნაანდერძევი...“ (ფურცელაძე 1890: 19). ანტონ ჩიჯავაძის ანდერძი დ. ფურცელაძემ შეცდომით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის ანდერძად მიიჩნია და გამოაქვეყნა როგორც „ანდერძი ანტონ II საქართველოს კათალიკოსისა,“ მაგრამ შემდგომ გაირკვა, რომ აღნიშნული ანდერძი რომელიც 1793 წელს დაიწერა, არა ანტონ II-ს, არამედ ხონელ მთავარეპისკოპოს ანტონ ჩიჯავაძეს ეკუთვნოდა. ანტონ ჩიჯავაძეს ანდერძში აღნიშნული აქვს, რომ მისი გარდაცვალების შემთხვევაში, თავისი ნაღვაწი და ნაგროვები რვაასი მარჩილი, დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებას გაუნაწილონ. მათ შორის: „გენათელ მიტროპოლიტ ეფთვიმის მიერთვას საწირავად კრებულიანათ ორმოცი მარჩილი.... თუ ბატონმა გენათელმა ეფთვიმემ ინებოს, და დავით წინამძღუარმა, ესეები სადაც მე დავიმარხო იმ ეკლესიაზედ დაიდუას ჩემის სულის მოსახსენებლად და საოხად, რათამცა მოიხსენებდენ სულსა ჩემსა უბადრუკსა და ცოდვილსა კეთილთაგან ცალიერსა“ (ფურცელაძე 1890: 15-20).

ამ ანდერძის დაწერის დროს ხონელი ეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე ვერ წარმოიდგენდა, რომ 30 წლის შემდეგ რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები გაუქმდებოდა და ამ ფაქტის მომსწრე თავად გახდებოდა, ხოლო გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე, რომელსაც ანდერძით თავის სულზე ზრუნვას უბარებდა, სიცოცხლეს რუსეთის შორეულ მონასტერში დაასრულებდა.

ეფთვიმე გენათელს 1793 წელს მიაბარეს აფხაზეთის კათალიკოსის მაქსიმე აბაშიძის კუთვნილი ძვირფასი ნივთები. მათ შორის იყო: ჯვარის სასანთლე ოქროთი დაფერილი, დიდი ვერცხლის ლამპარი, ვერცხლის სანაწილე ოქროთი დაფერილი, მაცხოვრის ხატი ოქროს ჯაჭვით, საკათალიკოსო საწირავ-სარტყელი, ერთი ომფორი, ორი წიგნი მხედრულით დაწერილი და სხვა. ჩამოთვლილი ნივთების ნუსხას წინ დართული აქვს ეფთვიმეს სიტყვები: „ქ. მათის უწმიდესობის კათალიკოზის მაქსიმის გამოგზავნილი მისის ძმის ქაიხოსროს აბაშიძისაგან: მე გაენათელ მიტროპოლიტს ეფთვიმის მომებარა: ქრისტეს აქეთ ჩ ღ ჟ გ (1793)“ (ხ.ე.ც. ფონდი HD – 14050).

გენათელ და ქუთათელ მიტროპოლიტებს დიდი გავლენა ჰქონდათ იმერეთის ფეოდალურ საზოგადოებაში და სამეფო კარზეც. მათ ავტორიტეტს ანგარიშს უწევდა მეფე სოლომონ II. დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი, მეფესთან დაახლოებულ საერო ფეოდალებთან ერთად, შუამავლის როლს კისრულობდნენ იმერეთის მეფესა და რუსეთის სახელისუფლებო წრეებს შორის წარმოებულ მოლაპარაკებებში.

როგორც აღვნიშნეთ, ეფთვიმე II გენათელი, ხშირ შემთხვევაში მეფე სოლომონ II-ს წინააღმდეგ გამოდიოდა. ძნელი სათქმელია რით იყო გამოწვეული ეფთვიმეს ასეთი რადიკალური პოზიცია მეფის მიმართ, მაგრამ ფაქტია, რომ ის არც მაშინ დადგა სოლომონ II–ის გვერდით, როდესაც იმერეთის სამეფოს ყოფნა არყოფნის საკითხი წყდებოდა.

1802 წელს რუსეთის იმპერიამ ქართლ–კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, თავისი აგრესია დასავლეთ საქართველოსკენ მიმართა. რუსეთის ხელისუფლების მიზანი იყო ამიერკავკასიის სრული გაკონტროლება, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. მათ პირველ ყოვლისა იმერეთის სამეფოს გაუქმება განიზრახეს, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიას დასახული გეგმების განხორციელებაში ეწინააღმდეგებოდა. 1803–1804 წლებში რუსეთის ხელისუფლების იძულებით, სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა და იმერეთის მეფე სოლომონ II–მ, რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულებები დადეს, რომლის ძალითაც სამეგრელოს მთავრისა და იმერეთის მეფის უფლებები საგრძნობლად იზღუდებოდა. მოგვიანებით რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდნენ გურიისა და აფხაზეთის სამთავროებიც.

მეფე სოლომონ II მოძალებული რუსული აგრესიისაგან თავისი სამეფოს გადარჩენას ცდილობდა. 1809 წლისთვის იმერეთის სამეფოში სიტუაცია რადიკალურად დაიძაბა. ქუთაისში რუსეთის ჯარის ნაწილები იდგნენ. მეფე სოლომონ II თავისი ამალით ვარციხეში გადავიდა.

1809 წლის 30 დეკემბერს იმერეთის სამღვდელოებამ და თავად აზნაურობამ, თხოვნით მიმართა საქართველოს მთავარმმართებელს გენერალ ალექსანდრე ტორმასოვს, იმერეთთან ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ იმერეთის საზოგადოებას სურდა შენარჩუნებულიყო იმერეთის მეფის ხელისუფლება, რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშ. მიმართვას საერო პირებთან ერთად ხელს აწერდნენ რაჭა–იმერეთის ოთხივე ეპისკოპოსი: ქუთათელი დოსითეოს წერეთელი, გენათელი ეფთვიმე შარვაშიძე, ხონელი ანტონ ჩიჯავაძე და ნიკორწმინდელი სოფრონიოს წულუკიძე (კაკაბაძე 1956: 416).

მეფე სოლომონ II–სა და რუსეთის ხელისუფლებას შორის წარმოებულმა მოლაპარაკებებმა უშედეგოდ ჩაიარა. გენერალი ტორმასოვის ბრძანებით, 1810 წლის თებერვლის დასაწყისში რუსეთის ძალებმა მეფის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყეს. 21 თებერვალს პოლკოვნიკმა თევდორე სიმიონოვიჩმა გენერალ ტორმასოვს პატაკი გაუგზავნა მეფე სოლომონ II–ის სამეფო ტახტიდან გადაყენების შესახებ (იქვე, 446). ტორმასოვმა, პოლკოვნიკ თევდორე სიმიონოვიჩს სოლომონ II–ის დაპატიმრება დაავალა. მთავარმმართებელმა სიმიონოვიჩის დასახმარებლად მოუწოდა სამეგრელოსა

და გურიის მთავრებსაც, ლევან დადიანსა და მამია გურიელს, რომლებიც დაუყოვნებლივ წარმოემართნენ თავიანთი ჯარებით სიმიონოვიჩთან.

ნიკო დადიანის ცნობით: „შეიკრიბა სპანი მენგრელთანი ლევან დადიანმა, გავედით ცხენის წყალსა და დავებანაკეთ ჯიჰაიშს. გავიდა იქ ღენერალი (ნიკო დადიანი სიმონოვიჩს გენერლად მოიხსენიებს) სვიმონოვიჩი მხედრობითა და შევერთდით. ხოლო მეფე იდგა იმერელ სპითა ვარდციხეს. ხოლო ხელმწიფე იმპერატორსა უერთგულეს იმერელთა ამათ: ყოვლად სამღვდელომ გენათელ მიტროპოლიტმა ეფთვიმი, თავადმა სახლთუხუცესმა ზურაბ ქაიხოსროს ძემ წერეთელმა, თავადმა ოტიამ და სეხნიამ წულუკიძემ, და ესენი იყვნენ ჩვენ თანა. და სხვა იმერელთა მოუკლებელი იდგა მეფე ვარდციხეს“ (დადიანი 1962: 221).

რუსული ჯარით ალყა შემორტყმული მეფე სოლომონ II იძულებული გახდა მტერს დამორჩილებოდა: „შუამდგომლობითა გენათელ მიტროპოლიტის ეფთვიმის გურიის ერისთავის შვილისათა დარწმუნებულ იქმნა და ჩამოვიდა მთიდამ მეფე (სოლომონ II ბ. გ.) და შეეყარა ღენერალს სვიმონოვიჩის ფერსათს სალხინო საყდარზედ მარტში და შეფიცა ღენერალმა მეფეს რათამც ქალაქს წაბრძანდეს მთავარ მართებელს ღენერალ ლეიტენანტ ტორმასოვისთან და იმის ნახვის შემდეგ ისევ დაშთებოდა მეფედ როგორც პირველ, რომლის რწმუნებული მეფე წაბრძანდა თფილისს თავის თავადებით და იახლა გენათელი ეფთვიმი და ნიკოლაოს წმიდელი წულუკიძე სოფრონ, და მეფე დაჭერილ იქმნა თფილისს ყარაულის დაყენებით - და დაშთა იმერეთის მართებელათ ღენერალი სვიმონოვიჩი“ (ჟორდანია 1967: 473).

ძნელი სათქმელია იცოდა თუ არა გენათელმა ეფთვიმემ სიმიონოვიჩისა და ტორმასოვის ფარული გეგმის შესახებ, რომელიც მეფე სოლომონის დაპატიმრებას და რუსეთში გადასახლებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ფაქტია, რომ მეფე მოტყუებული დარჩა.

რუსეთის ხელისუფლებამ სოლომონ II-ის ამალის წევრები 1810 წლის აპრილის თვეში, რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცა. ერთგულების ფიცს საერო პირებთან ერთად ხელი მოაწერეს ეფთვიმე გენათელმა და სოფრონიოს წულუკიძემ (კაკაბაძე 1956: 487).

1810 წლის 10 მაისს მეფე სოლომონ II-მ პატიმრობიდან გაქცევა შეძლო და ახალციხეში გადავიდა. იგი იმერეთში შემოსვლას და სამეფო ტახტის დაბრუნებას გეგმავდა. სოლომონ II-მ იმერეთში თავის ერთგულ თავად- აზნაურობას წერილები გაუგზავნა და დახმარება თხოვა. მან 1810 წლის 17 მაისს დიდი გრძნობით სავსე წერილი მისწერა დოსითეოს ქუთათელსაც. მეფე ქუთათელს წერდა: „იმერეთის საუკუნოდ დატოვების ცეცხლი ჩემს გულს მოეგზნა; ცას ქვეშეთს დიდებას - თქვენთან ყოფნა,

თქვენთან სიხარული, თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი ვირჩიე..... ნუ დაიდებთ საუკუნოდ საძრახის საქმეს და ნუ დაიღუპებით ქართლსავით, რომელიც სულიერად დიდ პარასკევს ხორცს სჭამენ და ხორციელად გატანჯულნი სიკვდილს ნატრულობენ. გაისარჯეთ თქვენებურად, ოჯახი დიდი თუ მცირე თქვენი მოკეთებული და თქვენი სამწყსო იმერეთში ყველანი განამტკიცეთ და თქვენი ჩემზედ მამა-შვილური სიყვარული და შემძლებლობა დღეს გამოაცხადეთ. თუ დამაჯერებთ, მე თვითონ შემოვალ თქვენთან და უცხო ჯარებს აღარ დავეძებ, რომ ღვთისა და თქვენის შესაწუხებელი საქმე არ მოჰხდეს – რა და, როგორც თქვენგან პასუხი მომივა, ამად გული დააჯერეთ თქვენთან და იმერეთში ცხოვრებისათვის ჩემი სიცოცხლე უნდა დავასრულო, იცოდეთ...“ (ხუსკივაძე 1990: 34).

მეფე სოლომონ II 1810 წლის ივნისის თვეში იმერეთში დაბრუნდა. მას თან ახლდნენ ქაიხოსრო და როსტომ წერეთლები, დავით და გრიგოლ ერისთავები და სხვანი (ჟორდანია 1967: 473). ნაწილი იმერეთის თავად-აზნაურებისა მეფეს მიემხრო, ნაწილი სიმონოვიჩთან დარჩა. მეფე სოლომონის გვერდით არც ამჯერად დამდგარა ეფთვიმე გენათელი.

ნიკო დადიანის ცნობით, მეფე სოლომონი: „შთამოვიდა იმერეთს და მივიდა მისა ყოველი იმერეთი თვინიერ გენათლისა, ზურაბ წერეთლისა და ოტია და სეხნია წულუკიძისა, და ესენი ერთგულებდა რუსთა. მაშინ იმერეთის მმართებელმან ფეოდორ ფილიპოვიჩმან სიმონოვმან მიიწვია თვისის სპითა დადიანი. და წარვედით განვედით იმერეთად. და შემოგვეერთა ჩვენ რუსთა მხედრობა და რომელი არა მოვიდოდა ერთგულებასა ზედა ხემწიფე იმპერატორისასა, ვსწვიდით და ვაოხრებდით, გარნა მრავალი მოვიდენ დამორჩილებად“ (დადიანი 1962: 202). ამ სიტყვებიდან ნათელი ხდება როგორი მძიმე ვითარება იყო შექმნილი იმერეთში.

უთანასწორო ბრძოლაში მეფე სოლომონ II დამარცხდა და იძულებული გახდა იმერეთს გასცლოდა. იგი ჯერ ახალციხეში გადავიდა, შემდეგ ტრაპიზონში ჩავიდა. მეფე იმედს არ კარგავდა რომ იმერეთში დაბრუნდებოდა. ამ მოლოდინში გაატარა მან ხუთი წელი ტრაპიზონში და 1815 წლის 15 თებერვალს 41 წლის ასაკში იქვე გარდაიცვალა. მასთან მყოფმა ქართველებმა სოლომონი იქ არსებულ ბერძნულ ეკლესიაში დაკრძალეს.

მეფე სოლომონ II–ის განდევნის შემდეგ იმერეთში რუსული მმართველობა დამყარდა. როგორც ჩანს ეფთვიმე გენათელი, ისე როგორც რუსული ორიენტაციის მქონე სხვა საერო ფეოდალები, დარწმუნებული იყო რომ ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშ, მისი ქვეყანა აირიდებდა მრავალ განსაცდელს და გაძლიერების გზაზე დადგებოდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. მფარველის რანგში მოვლენილი

რუსეთის იმპერიის ხელისუფლება, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმების შემდეგ, მრავალსაუკუნოვან ქართულ სამოციქულო ეკლესიასაც მიადგა.

1810 წელს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ II რუსეთში წაიყვანეს, საიდანაც მას სამშობლოში დაბრუნების ნება აღარ მისცეს. ანტონ II ამ ფაქტს პროტესტით შეხვდა მაგრამ ვერაფერს გახდა. მცხეთის საკათალიკოსო ტახტმა არსებობა შეწყვიტა.

რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის თანამდებობა, საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობით შეცვალა. საქართველოს პირველ ეგზარქოსათ ქსნის ერისთავების შთამომავალი ვარლამ ერისთავი დაადგინეს. საქართველოს საეგზარქოსო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდეს სინოდს დაექვემდებარა.

საქართველოში საეკლესიო საქმეების მართვისათვის შეიქმნა დიკასტერია (სპეციალური ორგანო), რომლის სათავეშიც საქართველოს პირველი ეგზარქოსი ვარლამი ჩადგა. ვარლამის მიერ შემუშავებული საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, მცირეოდენი შესწორებებით, 1811 წლის 30 ივნისს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაამტკიცა.

მცხეთის საკათალიკოსოში არსებული 13 ეპარქია, რუსეთის ხელისუფლებამ ორამდე (ქართლის - მცხეთის და კახეთის - ალავერდის) შეამცირა.

1814 წელს გაუქმებული იქნა აფხაზეთის საკათალიკოსოც. შეიქმნა საქართველო–იმერეთის სინოდალური კანტორა, რომელშიც აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიებთან ერთად, აფხაზეთის საკათალიკოსოში შემავალი ეპარქიებიც გაერთიანდა და საქართველოს ეგზარქოსსვარლამს დაექვემდებარა. ეს უკანასკნელი კი როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის ეკლესიის სინოდს ემორჩილებოდა: „....განკარგვა საეკლესიოთა დაწესებულებათა იმერეთსა შინა, სამეგრელოსა და გურიასა, და ყოველნივე საქმენი სასულიეროისადმი ნაწილის შესახებნი, აწ მდგომარეობდეს თვით უსაშუალოსა ქვეშე დამოკიდებულებასა ტფილისის სინოდის კანტორისასა....“ ნათქვამია საქართველო – იმერეთის უწმინდესი მმართებელი სინოდის ბრძანებულებაში (ხ.ე.ც. ფონდი HD – 5686).

მართალია აფხაზეთის საკათალიკოსო იურიდიულად 1814 წელს გაუქმდა, მაგრამ ფაქტობრივად ის და მასში შემავალი საეპისკოპოსოები, არსებობას განაგრძობდნენ. აფხაზეთის კათალიკოსის თანამდებობა დოსითეოს ქუთათელს ჰქონდა შეთავსებული. აქტიურ მოღვაწეობას აგრძელებდა ეფთვიმე გენათელიც.

აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმებამდე ორი წლით ადრე, იმერეთში მოარული სენი გაჩნდა, რამაც უამრავი ადამიანი შეიწირა. ერთ–ერთი ქრონიკის ცნობით:

„ქორონიკონსა ჩ ყ ი ბ (1812) (იმერეთში ბ. გ.) დიდი შიმშილი იყო და ჟამი გაჩნდა ასთე რომ მრავალი ხალხი დაიხოცა თითქმის აღარ დარჩენილა მეოთხედი“ (ჟორდანია 1967: 492).

XIX ს-ის დასაწყისში გელათის სამწყსო დაახლოებით შვიდასამდე კომლს ითვლიდა, (აზნაურითა და გლეხით) თითო კომლში 8-9 სულის ანგარიშით (კაკაბაძე 1956: 382). მოსახლეობის ეს რაოდენობა იმ პერიოდის იმერეთის სამეფოსთვის მნიშვნელოვანი ძალა იყო. 1819 წელს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით, 1782 წელს იმერეთის სამეფოში 18 980 კომლი ცხოვრობდა. საშუალო გამოანგარიშებით ერთ კომლზე თუ ექვს სულს ვივარაუდებთ, გამოდის რომ იმერეთის სამეფოში XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე 159 930 მცხოვრები ყოფილა. იქვე მითითებულია, რომ ამჟამად (ე. ი. 1819 წელს) იმერეთის მოსახლეობა 12 730 კომლს შეადგენსო (ვაჭრიძე გ: 1999: 34). იმერეთის მოსახლეობის ესეთი მკვეთრი შემცირება 1812 წლის ჟამიანობამ გამოიწვია.

ეფთვიმე ჟამთა ვითარების შედეგად იმერეთში უმემკვიდროდ დარჩენილ ადგილ–მამულებზე ხალხის დასახლებას აგრძელებდა. 1812 წელს მან „გარდაშენებული“ ხოსიკა და ივანიკა ხოხიაშვილების მიწაზე გლეხი ალფაიძე ნასხიტელა და მისი ძმისწულები დაასახლა (ქ. ს. ძ. 1970: 1117). 1817 წელს გოდოგანს მცხოვრებ მარგველაშვილ კიკოლას და მის ძმისწულ გოგიას, უძეოდ გარდაშენებულების მღვდელი იესე კვინიხიძისა და მისი ძმის დავითელას მამული უბოძა (იქვე, 1129). ასეთი ფაქტები მრავლად გვხვდება ეფთვიმეს მიერ გაცემულ შეწირულობის წიგნებში. უპატრონოდ დარჩენილ მიწა-წყალზე გლეხების დასახლებით, ეფთვიმე გენათელი სოფლის მეურნეობის აღორძინებას ცდილობდა. მისმა ესეთმა ენერგიულმა მოქმედებამ მრავალი ადამიანი იხსნა განსაცდელისგან და მათ მომავლის იმედი ჩაუსახა.

ირკვევა, რომ ეფთვიმე ცდილობდა საქართველოს მთავარმმართებელთან დაახლოებას, მაგრამ ამ საკითხში მას გარკვეული ძალები ხელს უშლიდნენ. ამას მოწმობს ეფთვიმეს მიერ 1816 წელს უცნობი ადრესატისადმი გაგზავნილი წერილი: „...ჩემო ხელმწიფე, ვინც იქიდამ მოსულნი არიან საიდუმლოთ მითხრეს, რომ თურმე მიმელოდა მთავარმართებელი და წყალობას თურმე მიპირებდა და კიდეც თურმე სჯობდა ჩემი ჩასვლა. და მეგობრობით დამაბრალეს დაბრუნება მარა ახლა რაღა გაეწყობა სანამ არ გარდასწყდება მანამდის ვერაფერს ვეწევი და რა მიზეზზე დამაბრუნეს ისეც მოგხსენდება და ან ვინ დამაბრუნა. სულ მდივანბეგებმა მოიხელოვნეს ჩემი კაცის შემოჩენა და დაბრუნება. მარა ღმერთს და ჩემს ეკლესიას ვევედრები და სამართალს ვსთხოვ ბატონს მდივანბეგებზედ. ეკლესია და ჩემი მოხუცებულობა აღაშფოთეს და ქთამშიდ გამყიდეს ბატონო. აპრილის ვ (6) წელი ჩ ყ ი ვ (1816) ბეჭედი „გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი“ (ხ.ე.ც. ფონდი HD – 14741). სამწუხაროდ ჩვენთვის

უცნობია რა რეაგირება მოჰყვა უცნობი ადრესატის მხრიდან ეფთვიმე გენათელის წერილს.

1817 წელს ვარლამ ერისთავი ეგზარქოსობიდან გადააყენეს და მის ნაცვლად დაადგინეს თეოფილაქტე რუსანოვი. ეგზარქოს თეოფილაქტეს იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარება დაევალა და ისიც აქტიურად შეუდგა ამ საქმეს.

„(1819 წლის) ივნისის თვეშიდ მოვიდა საქართველოს ეგზარხი მიტროპოლიტი თეოფილაკტე ბრძანებითა მისის იმპერატორებისის დიდებულების რუსეთის ხელმწიფისათა სასულიეროს შტატის დასაწყობად, რათა ქმნილ იყო ერთ ეპარხიად და იმ ერთს ეპარხიის ზემდგომს მღვდელთა-მთავარს ხელ ქვეშ უნდა შესულიყო ყოველივე სასულიერო საქმე და ეგრეთვე ეკლესიის ყმათა, თუმც სამრევლოთა შემოსავალი წლათ, წლათ ანგარიშიდ გარდაწყვეტილ ყოველივე დებულება ყმათადმი თეთრათ ანგარიშით უნდა მირთმეოდა იმ დანიშნულს მღვდელთ მთავარს ვინც იქმნებოდა და მისგან უნდა მისცემოდა კანტორას ანგარიში და მღვდელ მთავარს უნდა ქონებოდა და განწესებული რიცხვით თეთრი ფულით როდენიმე ნების მებრ მლოცველი ბერი და ეგრევე შინაყმა და მსახური და რომელთაც იმერეთის მცხოვრებთ თავადმან ეკლესია თავის ყმით მემკვიდრეობით სჭერიათ ის უნდა აღწერილიყო მსგავსად საეპარხიოთა, რომლისა ამის მსმენელნი იმერეთის საზოგადოება მიეცათ არა მცირედს მწუხარებასა“ (ჟორდანია 1967: 597).

ამ რეფორმის ძალით იმერეთის საეპისკოპოსოები ერთ ეპარქიად ერთიანდებოდა, რომლის სათავეში მდგომი მღვდელმთავარი, საქართველოს ეგზარქოსს უნდა დამორჩილებოდა. უნდა შემცირებულიყო იმერეთში არსებული მოქმედი ეკლესიები და დათხოვნილიყვნენ ღვთისმსახურები. ეპარქიის გლეხებს, რომლებიც სამწყსო გადასახადებს აქამდე ნატურით (სასოფლო პროდუქტებით) იხდიდნენ, ამიერიდან ფულით უნდა გადაეხადათ, რაც მანამდე არსებულ გადასახადებს ორჯერ აღემატებოდა. ყოველივე ამან ხალხის აღშფოთება გამოიწვია, (ამ საკითხებზე ჩვენ წინა თავშიც გვქონდა საუბარი. იხ. რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა).

1819 წელს მდინარე რიონთან შეიკრიბნენ აჯანყებული თავადები, სამღვდელოება და გლეხობასულ რამდენიმე ათასი ადამიანი. ამ შეკრებაზე გადაწყვიტეს აერჩიათ თავიანთი მეფე (ტყეშელაშვილი 2005: 23).

კრებას ესწრებოდა ეფთვიმე გენათელიც. შეკრებილთა ნაწილი იმერეთის მეფობის კანდიდატად ქაიხოსრო აბაშიძის შვილს ივანეს ასახელებდა. ეფთვიმე გენათელსა და ზურაბ წერეთელს კი სურდათ, მეფე სოლომონ I-ის შვილიშვილის, გიორგი ალექსანდრეს ძის ვაჟიალექსანდრე გაემეფებინათ. ეს უკანასკნელი იყო ეფთვიმე

გენათელის ძმისწულის შვილი. კრებამ საბოლოოდ ივანე აბაშიძის კანდიდატურა მიიღო (ბატონიშვილი დავითი 1905: 149).

იმერეთში საზოგადოების მღელვარება არ ცხრებოდა. ყველა ადგილობრივ ეკლესიაში ბუკების დაკვრით იკრიბებოდა ხალხი და ხატებზე ერთობის ფიცს ღებულობდა. დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი ხალხს ეკლესიის უფლებების დასაცავად მოუწოდებდნენ. ქუთაისში ჩასული თეოფილაქტე იძულებული შეიქმნა უკან დაბრუნებულიყო, მან თავისი განზრახვა შეცვალა და გამოაცხადა, რომ საეკლესიო რეფორმა იმერეთში არ ჩატარდებოდა (ტყეშელაშვილი 2005: 25).

იმერეთიდან მომავალი ეგზარქოსი თეოფილაქტე, 1819 წლის ივლისის თვეში სურამთან შეხვდა იერუსალიმში მიმავალ გიორგი ავალიშვილს. გიორგი ავალიშვილის თქმით ეგზარქოსის თანმხლებნი მას ურჩევდნენ: „იმერეთისადმი წარუსუელელობისათვის, ვინაითგან საზოგადოებაი იმერთა, თქვმულთა ძლით მათთა, აღძრვულ იყუნენ ანუ ლამობდნენ პირისპირ მმართებელობისა“ (ავალიშვილი 1967: 14). ქუთაისში ჩასულ გიორგი ავალიშვილს გენათელი ეფთვიმე მოუნახულებია: „მოხუცი სპეტაკითა თმითა და წვერითა განბრწყინებული....“ ასე აღწერს იგი გენათელ ეპისკოპოსს, რომელიც იმ დროისათვის 80 წლამდე მიღწეული მაგრამ „მხნე და მკვირცხლად მქცეველი“ ყოფილა. ეფთვიმეს გიორგისათვის უამბნია: „თუ ვითარ მოჰპყრობიყო ამათ საქართუელოისა ეკზარხოსი თეოფილაკტე დროსა თვისისა ქუთათისს ყოფნისა და სრულითა გულშემუსრვილებითა და ცრემლითა თხევითა ჩივოდა ქცევასა ზედა მისსა“ (იქვე).

1820 წლის 9 თებერვლის წერილში, საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი გენერალ ველიამინოვს წერდა: „Главнокомандующий вь Грузии ген. Ермоловь, изь кр. Дербента извещая меня о решимости своей удалить из Имеретии тамошнихь митрополитовъ: Кутаисского Доситеия и Гаенатского Евеимия, изволить требовать, чтобы я сообшиль в пр. мнение свое какь объ удалении означенныхъ преосвященныхъ, такъ и о томъ, имею ли я тамъ людей благонамеренныхъ, кои могли бы затенить ихъ немедленно.

Во исполнение сего честь имею уведомить, в пр. что по трем окригамъ Кутаисскому, Вакинскому и Рачинскому, до будущего усмотрения, управление духовными делами можно поручить Рачинскому преосвященному архиепископу Софронию а по Шорапанскому – митрополиту Давиду Церетели“ (Акты... 1874: 575).

გენერალმა ველიამინოვმა 1820 წლის 12 თებერვალს საიდუმლო წერილი გაუგზავნა იმერეთში მყოფ პოლკოვნიკ პუზირევსკის. წერილში ჩამოთვლილი იყო დასაკავებელ პირთა სია, რომლებიც რუსულმა ხელისუფლებამ ბუნტის მოთავეებად შერაცხა. ესენი იყვნენ: სოლომონ I-ის ასული დარეჯან ბატონიშვილი და მისი ვაჟი ივანე

აბაშიძე, მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი, ტაბაკინის მონასტრის არქიმანდრიტი გრიგოლი, მღვდელი იოსებ გუნცაძე, აგრეთვე ბეჟან წერეთელი (დოსითეოს ქუთათელის ძმიშვილი), ნიკოლოზ აბაშიძე, სეხნია წულუკიძე, დავით მიქელაძე და გრიგოლ ჩხეიძე. დასაკავებელ პირთა ასაყვანად პუზირევსკის უნდა გამოეყენებინა კაზაკების რაზმი. აღნიშნული პირების დაკავება უნდა მომხდარიყო ერთდროულად და გაუხმაურებლად, რათა ამ ამბავს ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება არ გამოეწვია (Акты... 1874: 576).

1820 წლის 15 თებერვლის წერილში მთავარმმართებელი ალექსი ერმოლოვი გენერალ ველიამინოვს წერდა, რომ მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი, დაკავებისთანავე გაეგზავნათ რუსეთში (ნოვგოროდში). ნაბრძანები იყო მგზავრობის დროს მათთვის მიეჩინათ ქართული ენის მცოდნე სანდო პირი. მიტროპოლიტები მოზდოკამდე გამოცდილ ოფიცერს უნდა ჩაეყვანა, რათა თავი აერიდებინათ გზაში მოსალოდნელი სირთულეებისაგან (იქვე). თავის მხრივ გენერალი ველიამინოვი 1820 წლის 23 თებერვლის წერილში აფრთხილებდა პუზირევსკის, რომ მიტროპოლიტების დაკავების დროს კაზაკებს სიფრთხილე გემოეჩინათ, რათა წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, მხცოვანი ეპისკოპოსები არ შემოკვდომოდათ და ამით ხალხის აბუნტება არ გამოეწვიათ. ხოლო თუკი დოსითეოს ქუთათელი ან ეფთვიმე გენათელი დაპატიმრების დროს შემოაკვდებოდათ, მათი ცხედრები ადგილზე არ დაეტოვებინათ და არც მდინარეში გადაეყარათ, რადგან შესაძლოა მდინარეს ისინი გამოერიყა. მიტროპოლიტები ცოცხალი თუ მკვდარი მოზდოკამდე უნდა ჩაეყვანათ (იქვე, 582). ეს წერილები ნათელს ფენს თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა რუსულ ხელისუფლებას ჩვენი სასულიერო პირებისა და ზოგადად ქართველი ხალხის მიმართ.

მიტროპოლიტების დაკავება 1820 წლის 3 მარტს (ზოგიერთი წყაროებით 4 მარტს) განხორციელდა. დავით ბატონიშვილის ცნობით: „გარდავიდა რა (იმერეთს ბ. გ.) ველიამინოვი, ამან ღამესა ერთსა, მარტის 3, დიდმარხუაში შეიპყრნა ესენი ტიტველნი ღამე; ქუთათელს და გენათელს და არქიმანდრიტს ცქიტიშვილს გრიგოლს თავს ჩამოაცვეს წელამდინ ტომრები და შეუკრეს ზევიდამ ხელნი და ჰგვემეს ფრიად ქუთათელს, და თავისის სახლიდამ თრევით ძირს ჩამოიტანეს, დასტანჯეს ესე ბერები უწყალოდ თვინიერ ყოვლისა მიზეზისა, ვინაითგან სურდათ რუსთა, რათა აღეხოცათ საქართველოით და იმერეთით მღვდელთ მთავარნიცა, ვითარცა სამეფოი სახლი საქართველოს და იმერეთისა...” (ბატონიშვილი დავითი 1905: 149).

ასეთი არაადამიანური მოპყრობის შედეგად მხცოვანი მეუფე დოსითეოს ქუთათელი გზაში, სურამთან გარდაიცვალა. იგი ანანურში დაასაფლავეს. ეფთვიმე გენათელმა და არქიმანდრიტმა გრიგოლ ცქიტიშვილმა ნოვგოროდში ჩააღწიეს. იმპერატორ ალექსანდრე I–ს მეუფე ეფთვიმესთან შეხვედრა მოუნდომებია და

დატყვევებული გენათელი ეპისკოპოსი: „მუნით ნებითა ხელმწიფისათა მიუწოდეს პეტერბურხს, და ნახა თვით ხელმწიფემან, და ჰსცა პატივი შემზგავსებული“ (ბატონიშვილი დავითი 1905: 150). არსებობს გადმოცემა, რომ ეფთვიმე გენათელი არ მოერიდა მის იმპერატორობით უდიდებულესობას და საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების წართმევისათვის, სამშობლოს დამცველების წამებისათვის, მას ახალი ნერონი უწოდა (ტყეშელაშვილი 2005: 51).

რუსულმა მმართველობამ ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტების დოსითეოსისა და ეფთვიმეს მიერ სხვადასხვა დროს გაცემული დოკუმენტების შემოწმება გადაწყვიტა. 1821 წლის სექტემბრის თვეში, რუსული მმართველობის წარმომადგენელი პეტრე გორჩაკოვი, იმერეთის არხიერ სოფრონიოს წულუკიძეს წერდა: „თქვენო ყოვლად სამღვდელოებავ.....გამგემ საქართველოისა..... წარმოგზავნა იმერეთის არხიერის მმართებლობაში ორის ნუსხით ჩამორთმეული ყოვლად სამღვდელოთ მიტროპოლიტებთ ქუთათისის დოსითეოზისაგან და გაენათის ეფთვიმისაგან წერილნი და საბუთები განსახილველათ მათის სამართლისა სამღვდელოს მხრის დეპუტატთან.

გაუწყებ ამას თქუენს ყოვლად სამღვდელოებას და უმორჩილესად გთხოვ თქვენ, განსარჩეველათ და განსახილველათ აღნიშნულის წერილებისა = დანიშნოთ..... სამღვდელოსა დეპუტატი და უბძანეთ მას ამ საქმისათვის გამოცხადება იმერეთის არხიერის მმართებლობაში, და ვინცა იქმნების დანიშნული მეცა პატივ მეცით უწყებითა თქვენითა...თქუენის ყოვლად საღუდელოების მოწყალის მწყემსმთავრის უმორჩილესი მოსამსახურე თავადი პეტრე გარჩაკოვი..... სეკდემბერსა ჩ ყ კ ა (1821) ქუთაისით მის ყოვლად სამღვდელოებას არხიერს სოფრონიოს....“ (ქ. ც. ა: ფონდი - 21, საქმე - 5).

რუსეთში გადასახლების შემდეგ ეფთვიმე გენათელს დიდხანს აღარ უცოცხლია. ის სვირის მონასტერში გადაიყვანეს, რომელიც პეტერბურგიდან 200 ვერსის დაშორებით მდებარეობდა. სამშობლოსაგან მოწყვეტილი და ტანჯული გელათის უკანასკნელი ეპისკოპოსი ეფთვიმე შარვაშიძე, 1822 წლის 21 აპრილს 76 წლის ასაკში ალექსანდრე სვირელის სახელობის მონასტერში აღესრულა. არსებობს გადმოცემა რომ წესის აგების ჟამს გარდაცვლილი ეფთვიმე: „კუბოდან წამოჯდა ზეზედ და დასწერა ჯუარი (კრებულთა ბ. გ.) ვითარცა ცოცხალმან და კუალად მიწვა კუბოსავე და მიიძინა. დაეცათ შიში დიდი მუნ მყოფთა ყოველთავე, და აქებდეს ღმერთსა ამის წმიდისასა და დაიდუმეს ესე შიშითა რუსთათა“ (ბატონიშვილი დავითი 1905: 150).

ეფთვიმე II გენათელი სვირელის სახელობის მონასტრის საკურთხეველში დაკრძალეს (ტყეშელაშვილი 2005: 55). 2005 წლის 1 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II–ს ლოცვა-კურთხევით, ეფთვიმე გენათელის ნეშტი

საქართველოში ჩამოასვენეს და 9 აპრილს გელათის მიწას მიაბარეს. ქართველი ერისა და ქართული ეკლესიისათვის თავდადებული გენათელი ეპისკოპოსი ეფთვიმე შარვაშიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

1820 წელს გენათელი ეფთვიმეს რუსეთში გადასახლების შემდეგ, გელათის საეპისკოპოსომ ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა. 1821წლის ნოემბრის თვეშიკი რაჭა–იმერეთის საეპისკოპოსოები ოფიციალურად გაუქმდა და ახლად შექმნილ იმერეთის ეპარქიაში გაერთიანდა, რომელსაც ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სოფრონიოს წულუკიძე ჩაუდგა სათავეში.

გენათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

მელქისედეკ საყვარელიძე 1529 – 1550 – იანი წლები.

ანტონი (ყოფილი მაწყვერელი) XVI ს - ის 50 – იანი წლები - 1567-68 წწ.

აბაშიძე (სახელი უცნობია) 1567-68 - 1570 – იანი წლები.

დომენტი ჩხეტიძე XVI 80-იანი წწ-დან – XVI–90-იან წწ-დე?

სვიმონ ბატონიშვილი1595-96 - 1637?

ზაქარია ქვარიანი1637 - 1659-60 წწ.

აბრაამი 1660 - 1662?

გედეონ ლორთქიფანიძე1662 - 1673 წწ.

დავით ნემსაძე 1673 წ.

გრიგოლი 1673 - 1678 წწ.

გედეონ ლორთქიფანიძე1678 - 1682 წწ.

ნიკოლოზ ლორთქიფანიძე1682 - 1690-91 წწ.

მარკოზ ლაშხიშვილი1690-91 - 1697-98 წწ. ?

გაბრიელ I გიორგის ძე დადიანი1697-98 - 1701 წწ.

ნიკოლოზი 1701 - 1717-20 წწ. ?

გაბრიელ II ბეჟანის ძე დადიანი1720-21 -1723 წწ.

გედეონ ჩხეტიძე (ბარის ერისთავი) 1723 - 1733 წწ. ?

ეფთვიმე I შარვაშიძე1736-37 - 1745 წწ.

იოსებ ბაგრატიონი1745 - 1776 წწ.

ეფთვიმე II შერვაშიძე1776 - 1820 წწ.

თავი VI

ხონელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი (1529-1820)

„ახალი ქართლის ცხოვრებაში“დაცულიცნობისმიხედვით, 1529 წელსიმერეთისმეფისბაგრატ III-ის (1510–1565) ინიციატივით ქუთაისისსაეპისკოპოსოსგელათისადახონისსაეპისკოპოსოკათედრებიგამოეყო. გენათელეპისკოპოსადმელქისედეკსაყვარელიძე, ხონელეპისკოპოსადკიმანოელჩხეტიძეიქნადადგენილი. მათაფხაზეთის (დასავლეთსაქართველოს) კათალიკოსმამალაქიააბაშიძემდაასხახელი. „.....ამასვედროსაიმავეპატრონმან (მეფებაგრატ III – ემბ. გ.) გააჩინახონელეპისკოპოზადმჩხეტის – ძემანოელმისვეკათალიკოზისა (მალაქიააბაშიძისბ. გ.) ხელითასაყდართაშიგანბიჭვინტისათა, ქორონიკონიიყო ⁘ხიზ⁘ (1529).წარვედითაფხაზეთსსაკურთხეველადივნისსაკ (20), დამოვედითივლისსაკ (20)“ (ყაუხჩიშვილი 1959: 493). ანალოგიურიცნობაადაცული „პარიზისქრონიკაში“ (პარიზისქრონიკა 1980: 41). ამრიგად პირველი ხონელი ეპისკოპოსის პატივი 1529 წელს მანოელ ჩხეტიძეს ხვდა წილად.

თ. ჟორდანიასვარაუდით, თოფურიძეთასასისხლოსიგელშიმოხსენიებულიქუთათელიმანოელი, შეიძლება 1529 წელსხონელადხელდასხმულიდაშემდგომშინიკორწმინდელიმანოელჩხეტიძეიყოს

(ჟორდანია 1897: 233). აღნიშნულისიგელიგაცემულიამეფეალექსანდრესმიერ. მასშიმოხსენიებულიარიან: სვიმონმაწყვერელი, მანუელქუთათელი, დავითცხეთელი, ელიაჭყონდიდელი, ბართლომეცაიშელიდასხვანი (იქვე, 235). თოფურიძეთასასისხლოსიგელითავდაპირველადექვთიმეთაყაიშვილმაგამოაქვეყნაგაზეთ „ივერიაში“ 1891 წელს. მისიაზრით, სიგელიგაცემულიაერთიანისაქართველოსმეფისალექსანდრედიდის (1412–1442) მიერ, რადგანსიგელშიმოხსენიებულიივანეათაბაგი, ალექსანდრედიდისმეფობისდროსცხოვრობდა. ე. თაყაიშვილმაესდოკუმენტი 1413–1442 წლებითდაათარიღა (ივერია 1891: 213). თ. ჟორდანიასვარაუდით, თოფურიძეთასიგელიგაცემულიუნდაიყოსარამეფეალექსანდრედიდის, არამედიმერეთისმეფისალექსანდრე II-ის (1484–1510) მიერ, რადგანსიგელშიმოხსენიებულისვიმონმაწყვერელიმოღვაწეობდაალექსანდრე II-ისმეფობისპერიოდში, ყვარყვარეათაბაგისძისმზეჭაბუკისდროს, XV საუკუნისმეორენახევარში (ჟორდანია 1897: 233).

აღნიშნული სიგელი ს. კაკაბაძემ 1490 წლით დაათარიღა (სასტორიო მოამბე 1924: 65). ბოლო პერიოდში თოფურიძეთა სასისხლო სიგელის შესახებ გამოკვლევა ჩაატარა თ. ჯოჯუამ. მისი ვარაუდით სიგელი 1484–1488 წლებს შორის უნდა იყოს გაცემული, იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის მიერ (ჯოჯუა 2002: 119-120). აღნიშნული ცნობების გათვალისწინებით ქუთათელი მანუელის ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობა XV ს – ის II ნახევრის დასაწყისიდან 1488 წლამდე განისაზღვრა (გაბისონია დისერტაცია: D 6249, 54).არ არის გამორიცხული თოფურიძეთა სასისხლო სიგელში მოხსენიებული ქუთათელი მანოელი, 1529 წელს ხონელად ხელდასხმული მანოელ ჩხეტიძეიყოს, რომელიც 1529 წლისათვის,საკმაოდ ხანდაზმული უნდა ყოფილიყო.

ჩანსმანოელ ჩხეტიძე მეფებაგრატ III-ისერთგულიიყო. მანოელისხონელეპისკოპოსადმოღვაწეობას 1529–1558 წლებითსაზღვრავენ (ფაილოძე 1997: 164), რაცსიზუსტესმოკლებულია. 1534 წელსიმერეთისმეფებაგრატ III-მნიკორწმინდისსაეპისკოპოსოსდაარსებისშემდეგ, მანოელჩხეტიძეხონიდანნიკორწმინდაშიგადაიყვანა.[17]მანოელჩხეტიძესხონისსაეპისკოპოსოკათედრაზეხუთიწელიდაუყვია. იგიარცნიკორწმინდისსაეპისკოპოსოკათედრაზეჩანსდიდხანს. მანოელინიკორწმინდელობისშემდეგმაწყვერელიგამხდარა. ერთ-ერთწყაროშიმანოელჩხეტიძემაწყვერელადიხსენიება: „ჩხეტიძესამანოელსამაწყუერელსადღეგრძელობითცოდვანიმათნიშეუნდნესღნ(ღმერთმან)“ (თაყაიშვილი 1939: 5). მანოელჩხეტიძესმაწყვერელისპატივი 1538

[17]იხ. ახალისაეპისკოპოსოებისდაარსება XVI ს–ისპირველნახევარში

წლისშემდეგუნდამიეღო, რადგანმანამდეაწყურისსაეპისკოპოსოკათედრაიოაკიმესეკავა (გურგენიძე: ხელნაწერისუფლებით).

მანოელჩხეტიძისშემდეგხონელეპისკოპოსადზაქარიაჩხეტიძეჩანს. ვახუშტიბატონიშვილისცნობით,ხონელმაზაქარიამმონაწილეობამიიღობაგრატ III-ისინიციატივითმოწვეულსაეკლესიოკრებაში, რომელიც XVI ს-ის 50-იანწლებშიგაიმართა.[18] ,,....შეიკრბნენქართლისაკათალიკოზიმალაქია, აფხაზთაკათალიკოზიევდემონდაყოველნიეპისკოპოზნიიმერეთ-ოდიშისანი. ხოლოეპისკოპოსნიესენიიყვნენ: ქუთათელისვიმონ, გენათელიანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელიფილიპე, ცაგერელიკოზმან, ხონელიზაქარია, ნიკორწმინდელიიოაკიმ, ჩაისელიკირილე. ამათგანაჩინესმოქმედთამათთათვისჯეროვანიშერისხუანი, დაწერნესდაშეაჩუენნესმოქმედნიმისნი, ვითარცაგვაუწყებსაღწერილიმათი“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 824). კრებასმიუღიადოკუმენტი,რომელიც ,,სამართალიკათალიკოზისა“ – სსახელითარისცნობილი.

ზაქარიაჩხეტიძესხონისსაყდრისათვისშეუქმნიასაწინამძღვროჯვარი. ამფაქტსაღნიშნულჯვარზეასომთავრულითშესრულებულიწარწერაგვამცნობს: ,,ქ. ძელოცხოვრებისაო, რომელიცასხურებულიქმენუბიწოთამითსისხლითაქრისტესითა, შეიწყალესულიმეფეთმეფისაბაგრატისიდაწარმართედაგანაძლიერემეფეთმეფობაძისამა თისაგიორგისი. დამეცვა-ფარვათაშენთამინდობილმანუღირსმანხონელმთავარეფისკოპოზმანჩხეტიძემანზაქარიაშ ევქმენჯუარიესესახსრადსულისაჩემისა. ნუვინმკადრიქმნებისგამოხმადსაყდრისაამისხონისა, ამინ“ (თაყაიშვილი1913–14: 278). წარწერაშესრულებულიაბაგრატ III-ს გარდაცვალებისშემდეგ, მისიძისგიორგი II-ისმეფობისდროს. ე. თაყაიშვილმააღნიშნულიწარწერისშესრულებისთარიღად 1548–1585 წლებიმიიჩნია. დიდიმეცნიერიეყრდნობოდავახუშტიბატონიშვილისცნობას, სადაცბაგრატ III-ისგარდაცვალებისთარიღად 1548 წელიაღინიშნება. თანამედროვესამეცნიეროწრეებშიბაგრატ III-ისგარდაცვალებისთარიღად 1565 წელიამიჩნეული. აქედანგამომდინარე,ხონისსაწინამძღვროჯვრისწარწერისშექმნისპერიოდი 1565–1583 წლებითგანისაზღვრა (საყვარელიძე 1987: 72). ამწარწერიდანჩანს,რომზაქარიას, ხონელისპატივიგიორგი II-ისმეფობისდროსაცჰქონდა. ა. ფაილოძეს. კაკაბაძისვარაუდზედაყრდნობითმანოელჩხეტიძისშემდეგ, ზაქარიაჩხეტიძისხონისსაეპისკოპოსოკათედრაზემოღვაწეობას 1558–1578 წლებითსაზღვრავს (ფაილოძე 1997: 60). თუმცაროგორცაღვნიშნეთ,

[18]ვრცლად იხ. გენათელიეპისკოპოსები 1529 – 1820 წლებში

მანოელჩხეტიძესხონელისპატივი 1558 წლამდეარსჭერია. ამიტომ შესაძლებელია ზაქარიასხონისსაეპისკოპოსოკათედრა 1558 წელზეადრედაეკავებინა. მანხონელეპისკოპოსადდაახლოებით XVI საუკუნის 30-70-იანწლებშიიმოღვაწა.

XVI-XVII საუკუნეთამიჯნაზეუნდაშეედგინათხონისსაყდრისდავთარი, რომელიცწარმოადგენსხონისსაეპისკოპოსოსგლეხებისსამწყსოგადასახადებისნუსხას. ხონისდავთარი 1621 წლამდეუნდაშედგენილიყო, რადგანისმთლიანადშეტანილიააფხაზეთისსაკათალიკოსომამულებისდავთარში, რომელიც 1621 წელსაფხაზეთისკათალიკოსის, ცაიშელ–ხონელ–ჯუმათელმთავარეპისკოპოსისმალაქიაგურიელისძისბრძანებითშეიქმნა (კაკაბაძე 1913ბ: 3). ნ. ბერძენიშვილისთქმით: „ხონისსაყდრისდავთრისშეტანასაკათალიკოსოგლეხებისდიდდავთარშითავისთავადგულისხმობსიმგარემოებას, რომხონისეკლესიასამდროსცალკეეპისკოპოსიარჰყოლიადახონისმთავარეპისკოპოსადიგივეკათალიკოსი (მალაქიაგურიელისძებ. გ.) ითვლებოდა (ბერძენიშვილი 1971: 123). (მალაქიაგურიელისმიერხონელობისშეთავსებისშესახებქვემოთშევჩერდებით).

ხონისსაყდრისდავთარსახლავსრამდენიმეუთარიღოშეწირულობისწიგნი, სადაცსამიხონელიმთავარეპისკოპოსიამოხსენიებული. ესენიგახლავთ: ბასილიჩხეიძე, სვიმონჩხეიძედასვიმონჩიჯავაძე. ს. კაკაბაძემაღნიშნულიშეწირულობისწიგნებიზოგადად XVII საუკუნითდაათარიღა, თუმცა ნაწილი ამ შეწირულობის წიგნებისა, შესაძლებელია XVI ს-ის ბოლოს იყოს შედგენილი.ხონის საყდრის დავთარში მოხსენიებული ხონელი ეპისკოპოსების შესახებ სხვა ცნობებიც მოგვეპოვება, რომლებიც გვეხმარება მათი ხონელ ეპისკოპოსებად მოღვაწეობის წლების დადგენაში.

ბასილიჩხეტიძე (ჩხეიძე) გარკვეული პერიოდი ქუთათელი ეპისკოპოსიც იყო. მასათონის ივერთა მონასტრის პორტიატის ღვთისმშობლის ხატისათვის ქვიტირელი გლეხები შეუწირავს: „პორტიატისა ღვთისმშობელო.... მე ცოდვილმან.... ქუთათელ მთავარეპისკოპოსმან ბასილიოს... შემოგწირთ ესე ოდენი მცირე შესაწირავი ....ქუტირს გლეხი შეთატმახაშვილი ნასყიდი და უმცროსი და: იქივ გლეხი ბეთლემ ივანიკაშვილი და მისი ძმისწული გიორგაი და მესხეთს გლეხი ღანდურიძე ნასყიდა.... დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა ორას ოთხმოცდა ათსა: (1602) ივნისსა ერთსა“ (ს. ც. ს. ა. ფონდი 1448, საქმე - 3321. Натроев 1909: 305-306). ეს სიგელი თ. ჟორდანიამ „ქრონიკების“ II ტომში გამოაქვეყნა და დაათარიღა 1562 წლით. მან „ქორონიკონსა ორას ოთხმოცდა ათის“ ნაცვლად ამოიკითხა „ორას ორმოცდა ათსა“ (1562) (ჟორდანია 1897: 404), რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. დოკუმენტის დედანში გარკვევით იკითხება „ორას

ოთხმოცდა ათსა.“ აქიდან გამომდინარე აღნიშნული სიგელი დაიწერა 1602 წლის პირველ ივნისს.

ბასილი ქუთათელი იხსენიება პალიასტომის ხატის წარწერაშიც: „...დედაქალაქისა ქუთაისისა ღუთის მშობელო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებასა მეფეთა მეფე გიორგი ძე მათი ალექსანდრე. მე, ცვა ფარვათა თქუენთა მინდობილმან ქუთათელ მთავარეპისკოპოსმან ჩხეტიძემა ბასილი მოვაჭედინეთ ხატი ესე ყოვლად წმიდისა ღ˜ ს მშობლისა, პირველი მოჭედილი დაძველებულიყო და ჩუენ მეორედ განვაახლეთ.... ხელითა რაფიელ მონაზონისათა ქორონიკონ…“ (ნიკოლეიშვილი 1971: 34). წარწერა, სადაც ქორონიკონით დათარიღება უნდა ყოფილიყო აღნიშნული, ჩამოჭრილია. მ. ნიკოლეიშვილის ვარაუდით, ქორონიკონი არ უნდა იყოს დაკარგული. იგი წარწერის ბოლოს ადგილის სიმცირის გამო დამწერს პირველი სტრიქონის ბოლოში გადაუტანია და იქ მიუწერია ასო „ ტ.“ აღნიშნული მკვლევარი ფიქრობს, რომ პალიასტომის ხატის მეორედ განახლება რაფიელ მონაზონის მიერ 1612 (1312 + 300 = 1612) წელს მომხდარა, როცა იმერეთში მეფობდა გიორგი III (1606–1639), რომელსაც ჰყავდა შვილი ალექსანდრე, შემდგომში მეფე ალექსანდრე III (1639–1660) (ნიკოლეიშვილი 1971: 35).

პალიასტომის ხატზე არსებული წარწერის ამგვარი დათარიღება დამაჯერებლად არის მიჩნეული, რადგან ამ პერიოდში ბასილი ქუთათელის მოღვაწეობა დასტურდება 1619 წელს იმერეთის მეფე გიორგი III-ის მიერ გოლგოთის მონასტრისადმი გაცემულ შეწირულობის წიგნშიც, სადაც მოხსენიებულია ქუთათელი ბატონი ვასილიოსიიგივე ბასილი (გაბისონია დისერტაცია D 6249, 63-64). პ. გაბისონია ბასილი ჩხეტიძის ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობას ზოგადად XVI-XVII საუკუნეთა მიჯნიდან XVII საუკუნის 20-იან წლებამდე საზღვრავს (იქვე). გ. მჭედლიძე ბასილიოსის ქუთათლობას 1562–1574 წლებში ვარაუდობს (მჭედლიძე.. 2008: 208-229). მოყვანილი ცნობების გაანალიზებით, ჩვენ ბასილი ჩხეტიძის ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობა XVI–XVII საუკუნეთა მიჯნიდან XVII საუკუნის 20-იან წლებამდეუფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია. შესაბამისადბასილი ჩხეტიძეს ხონის საეპისკოპოსო კათედრა ქუთათლობამდე უნდა სჭეროდა, დაახლოებითXVI ს-ის 80-იანი წლებიდანXVII ს-ის დასაწყისამდე, რადგან, XVI ს-ის პირველ 20 წლეულში ის უკვე ქუთათელი ეპისკოპოსია, ხოლოXVII ს-ის 20-იანი წლებიდან ხონელობა, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსს მალაქიას ჰქონდა შეთავსებული.

მანოელისადაზაქარიასშემდეგ ბასილიმესამეიყოჩხეტიძეთა (ჩხეიძეთა) საგვარეულოდან, ვინცხონელისპატივიმიიღო. მასაღუკვეთავსბეგარახოჟონოკეთილაძისათვისდამისიშთამომავლობისათვის: „...მემთავარებისკობოზსჩხეიძესბასილსამმკვეთიაბეგარახოჟონოკეთილაძისათვისდამის სშვილისადამომავლისათვისდააწებეგრისმაგიერდადამიცდადღეთაჩემთასადღეგრძელო

დმერმეთსულისაჩემისასაოხადდააღაპიმცხრითგარდაიხადოსსულისაჩემისათვისყოველ სშობისმეორედღესდეკანოზსჟამსაწირვინებდეს“ (კაკაბაძე 1913ბ: 19). სხვაცნობებიხონელიეპისკოპოსიბასილიჩხეიძისშესახებარმოგვეპოვება.ჩვენთვის უცნობია, ვინ განაგებდა ხონის საეპისკოპოსოს XVII ს-ის დასაწყისიდან XVII ს-ის 20-იან წლებამდე.

როგორც აღვნიშნეთ XVII საუკუნის 20-იანწლებშიხონელობაშეითავსააფხაზეთისკათალიკოსმამალაქიაგურიელისძემ, რომელსაცამავედროსცაიშელ-ჯუმათელისპატივიცჰქონდა. სამეცნიეროწრეებშიმალაქიაგურიელისძის, აფხაზეთის (დასავლეთსაქართველოს) კათალიკოსადმოღვაწეობისპერიოდი, 1616–1639 წლებითარისგანსაზღვრული. თუმცაარსებობსვარაუდები, რომმალაქიასაფხაზეთის(დასავლეთსაქართველოს) საკათალიკოსოტახტიუკვე 1613–1614 წლებშიეჭირა (კარბელაშვილი 1900: 207.ს. კაკაბაძე: 1922, 91). ამვარაუდებსამყარებსბერიეგნატაშვილისცნობა, რომლისმიხედვით,ირანისშაჰმააბას I-მაკახეთისსამეფოსპირველიდალაშქვრისშემდეგ, რომელიც 1614 წელსმოხდა, (არსებობსამფაქტისსხვადათარიღებებიც – 1613 და 1615 წელი) იმერეთისმეფეგიორგი III-ს, იმერეთშიშეფარებულიქართლ-კახეთისმეფეებისლუარსაბ I-ისადათეიმურაზ I-ისგადაცემამოსთხოვა. იმერეთისმეფემშაჰთანმოლაპარაკებაზეკათალიკოზიმალაქიადალევანაბაშიძეგაგზავნა: „ხოლომპყრობელსაიმერეთისასარაესმასაქმეესე, გაუგზავნაკათალიკოზიაფხაზეთისამალაქიადააბაშიძელევანმოციქულად.... დაშემოუთვალაესრეთ, ვითარმედ: – ამათიმოცემაჩემგანარიქნებისო, დახელმწიფემანამდენიწყალობაგვიყოსოდადაგვდვასპატივი, რომეესენიისევშეირიგოსდათვითონწაბრძანდესდადაანებოსამათამათიმამულიდასაბატონო“ (ყაუხჩიშვილი 1959: 393).

როგორცირკვევა,მალაქიასაფხაზეთის (დასავლეთსაქართველოს) კათოლიკოსობამდე, ცაიშელ-ჯუმათელისპატივიჰქონდამიღებული, ხონელობაკიმოგვიანებითშეითავსა. ცაიშისსაყდრისდიდიზომისჯვარცმისხატზემოთავსებულწარწერაშიმალაქიააღნიშნავს: „...ოდესვპყრობდიცაიშის, ჯუმათისსაყდარსაზედა, ჩვენძემანგურიელისაპატრონისგიორგისამან, პატრონმანმალაქიახელვყავცაიშისტაძრისაშემკობადდადავახატვინეთ, აღვასრულეთგუმბადივიდრესაფუძვლამდედაესრეთშევამკევით, ვითარცაშვენისსახლსაღმრთისასაწმინდათამისთადაგანვისვენეწელერთ..... ამისაშემდგომადწელსამეორესაჯერჩინებითაღმრთისათადამოწმობითაყოვლისასაქართველოისაერისათამყუვესკათალიკოზაფხაზეთისა.“ აღნიშნულიწარწერა 1619 წლითარისდათარიღებული (ზაქარაია 1956: 10). ე. ი. მალაქია 1619

წლამდეხონელისპატივსარატარებდა,
წინააღმდეგშემთხვევაშიისხონელადაციქნებოდამოხსენიებული. 1622 წლისწარწერაშიკათალიკოსიმალაქიაცაიშელ-ჯუმათელთანერთად, ხონელმთავარეპისკოპოსადაციხსენიება:
„ყოვლისაჩრდილოეთისადააფხაზეთისაკათალიკოზი, ცაიშელ-ჯუმათელისახონელიმთავარეპისკოპოზი“ (იქვე, 11). მოყვანილიწარწერებისგაანალიზებით,მალაქიასხონელისპატივი 1619–1622 წლებსშორისმიუღია. აფხაზეთის (დასავლეთსაქართველოს) კათალიკოსიმალაქიაცაიშელ-ჯუმათელ-ხონელადიხსენიებაცაიშისსაყდრისთვისშეწირულღვთისმშობლისხატისწარწერაშიც (იქვე), რომელიც 1619 წლისშემდეგარისშესრულებული.

კათალიკოსმამალაქიამმაღალსამღვდელოთანამდებობებთანერთად 1625 წლიდანგურიელობაც (გურიისმთავრობა) შეითავსა (მეტრეველი 2010: 136).კათალიკოსმალაქიასგურიაშიგამთავრება,სამეგრელოსმთავრისლევან II დადიანისინიციატივითმოხდა.
1817 წელსვარლამისაქართველოსეგზარქოსობიდანგადააყენესდამისნაცვლადთეოფილაქტერუსანოვიდაადგინეს, რომელსაცდასავლეთსაქართველოშისაეკლესიორეფორმისგატარებადაევალა. ამრეფორმისძალითრაჭა-იმერეთისსაეპისკოპოსოებიერთეპარქიადერთიანდებოდა, რომლისსათავეშიმდგომიმღვდელმთავარი, საქართველოსეგზარქოსსუნდადამორჩილებოდა. ქუთაისში ჩასულმა ეგზარქოსმა პირობა მისცა მხცოვან მღვდელმთავრებს დოსითეოს ქუთათელს, ეფთვიმე გენათელსა და ანტონ ხონელს, რომ მათ სიცოცხლეში რაჭა – იმერეთის საეპისკოპოსო კათედრებს არ გააუქმებდა (ფაილოძე 2003: 86), თუმცა რეფორმა მაინც დაიწყო. რეფორმა ითვალისწინებდარაჭა–იმერეთშიარსებულიმოქმედიეკლესიების შემცირებას და სასულიერო პირთა ნაწილის დათხოვნას. უნდა გაზრდილიყოსაეკლესიოგლეხებისგადასახადები. ყოველივეამანხალხისაღშფოთებაგამოიწვია, ერიდაბერითავისიეკლესიისადაერვოვნულითვითმყოფადობისგადასარჩენადგაერთიანდა. აჯანყებისერთ-ერთძირითადკერასხონიწარმოადგენდა. ხონისუკანასკნელიეპისკოპოსიანტონჩიჯავაძე, დოსითეოსქუთათელთანდაეფთვიმეგენათელთანერთად, ამაჯანყებისაქტიურიმონაწილედახელმძღვანელიიყო (ვაჭრიძე პ: 2000: 21). გენერალი სისოევის მიერ 1819 წლის 8 სექტემბრის დაკითხვის ოქმში აღნიშნულია რომ: „არქიეპისკოპოსი ანტონი იყო პირველი მიზეზი ხალხის შეკრებისა ვაკის ოლქში. მან ხონიდან გააგდო ეპარქიის მმართველი არქიმანდრიტი ნიკოლოზი, იმიტომ რომ მან (ნიკოლოზმა ბ. გ.) შეასრულა ეგზარქოსის მინდობილობა ხონის ეპარქიის აღწერის თაობაზე“ (ფაილოძე 2003: 68).აჯანყება ხონიდან დაიწყო და თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. მის დაწყებას კი ბიძგი მისცა ანტონ ხონელის მიერ ეგზარქოსის წარმომადგენლის ხონიდან გაძევებამ.

1820 წლის 3 მარტსსაქართველოსმთავარმმართებლისალექსანდრეერმოლოვისბრძანებით, შეიპყრესაჯანყებისმეთაურებადშერაცხულიმეუფეები: დოსითეოსქუთათელიდაეფთვიმეგენათელი. მთავრობამდაპატიმრებულიმღვდელმთავრებისრუსეთშიგადასახლებაგადაწყვიტა. დოსითეოსქუთათელიშეპყრობისდროსმიღებულიჭრილობებისშედეგადგზაშიგარდაიცვალადაანანურშიდაასაფლავეს. ეფთვიმეგენათელმარუსეთშიჩააღწიადა 1822 წლის 21 აპრილსალექსანდრესვირელისსახელობისმონასტერშიაღესრულა.

იმღამესროდესაცდოსითეოსქუთათელიდაეფთვიმეგენათელიწაიყვანეს, ეგზარქოსმათეოფილაქტერუსანოვმა „საიმედოურიადნიკის“ ხელით, ანტონმთავარეპისკოპოსსშეტყობინებაგაუგზავნა.
ურიადნიკიხონშიგათენებამდემივიდა.
მანმოინდომამაშინვეენახამთავარეპისკოპოსიანტონი,
მაგრამმსახურებმაამისნებაარმისცეს.
ურიადნიკიდაჟინებითითხოვდამთავარეპისკოპოსთანშეხვედრასრათაექზაექოსისშეტყობინებაგადაეცა. ანტონმამსახურებსუბრძანაშეეშვათმასთანურიადნიკი, შეტყობინებისწასაკითხადკიმღვდელიივანეჩხენკელიიხმო.
ჩხენკელმაგახსნაკონვერტიდაბოლომდეწაიკითხაგანკარგულება, რომლისმიხედვითაცხონელიმთავარეპისკოპოსითავისუფლდებოდახონისეპარქიის „საჭედმპყრობლობისაგან“დაგაერთიანებულირაჭა-იმერეთისსაეპისკოპოსოებინიკორწმინდელისოფრონიოსწულუკიძისდაქვემდებარებაში გადადიოდა. ანტონსსახელმწიფოსგანსაზრდოდენიშნებოდაშვიდასიმანეთი. მხცოვანიხონელიეპისკოპოსიამამბავსსევდანარევიირონიითშეხვდა.

როდესაცჩხენკელმაკითხვადაასრულაანტონმათავისფარეშსგადახედადაღიმილი თკითხა: „ბიჭოიესიკა? რაგვიჭირსგვეყოფაამდენითეთრი? იესიკამუპასუხა: კიბატონო, დიაღგვეყოფა. მერმეთყოვლადსამღვდელომდაიძახა, ჩხენკელე! ღვინოდაალევინეთმაგრუსს, ოთხიმარჩილიაჩუქეთდაგაუშვით“-ო.

„ანტონისცხოვრების“ აღმწერიწერასამსიტყვებითამთავრებს: „ამაზედუნდავსთქვათნამდვილად, რომელმას (ანტონს) არასურდაარავითარიდიდება, ვინაიდგანდიდიესესამძიმოდშესანიშნავისაქმეშერაცხამანარარად, დაარცაშესწუხნაიგიმოკლებისათვისქვეყნიერისპატივს“ (ს.ხ.ე.ც. ფონდი H – 2784, ფურ. 16).

რუსეთის ხელისუფლებამ ანტონ ხონელისათვის ხონის საეპისკოპოსოს მმართველობიდან ჩამოცილება, 1819–1820 წლების აჯანყებაში მისი აქტიური მონაწილეობის გამო მიიღო. 1821 წლის 26 ნოემბრისდადგენილებით, საქართველოსსაეგზარქოსომ,ხონისსასულიეროეპარქიაგააუქმადა იმერეთის ეპარქიაში გააერთიანა (ფაილოძე 1997: 175).მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ხონის საეპისკოპოსო გაუქმებულად გამოცხადდა, ანტონმა ხონელის პატივი სიცოხლის ბოლომდე შეინარჩუნა და თავს კვლავაც ხონის საყდრის მწყემსმთავრად აცხადებდა. ამ ფაქტს მოწმობს 1822 წლის 6 თებერვლის საბუთი, სადაც ანტონ ხონელი პირობას დებს ხონის დეკანოზ მიქაელისა და მისი შვილებისთვის სადეკანოზოს ჩამოურთმევლობის შესახებ: „ჩუენ ქუემოთ ხელის მომწერნი ყ˜დ სამღვდელო მთავარეპისკოპოსი ანტონი ესრეთ უტყუელს და ჭეშმარიტის მოწმობის წერილით ვამოწმებ, ორმოცდათუთხმეტი

წელი იქმნება ხონის ეპისკოპოსად ვარ და არავისგან ჩამორთმევია ხონის დეკანოზს მიქაელს და მის შვილებს სადეკანოზო რომელიც დადებული ყოფილა ს˜დ (სრულიად) ხონის, ივანდიდის და ქარჩხაშის და არც ეს გამიგონია ხონს მთავარანგელოზის სადრის შემავალს სხვა დეკანოზი ყოლოდეს და ან ჩემს მღედელთ მთავრობაშიდ მათი სადეკანოზო მათ წართმეოდეს მიქელს დეკანოზს და მის შვილებს ან ჩუენგან და ან სხუა მღვდელთ მთავრისაგან ასე სიმართლით ვმოწმობ და ბეჭედითა ჩემითა ვამტკიცებ ჩემ წერილსა ამას მოწმობასა ჩემის მოძღვრის დავით წინამძღვრის თანდასწრებით და მოწმობით.“ საბუთის ბოლოს დასმულია ხონელი მთავარეპისკოპოსის ბეჭედი (ხ.ე.ც. ფონდი HD – 6733).

როგორც ჩანს იმერეთის ეპარქიის მმართველად დანიშნული სოფრონიოს წულუკიძე, რომლის დაქვემდებარებაში შედიოდა რაჭა-იმერეთის ოთხივე საეპისკოპოსო, ანგარიშს უწევდა უხუცესი ხონელი მთავარეპისკოპოსის ანტონ ჩიჯავაძის ავტორიტეტს და მას სიცოცხლის ბოლომდე, დე ფაქტო ხონის საეპისკოპოსოს მმართველობა შეუნარჩუნა.

ანტონ ჩიჯავაძე 1822 წლის 17 ივლისს გარდაიცვალა (ჟორდანია 1967:518).უკანასკნელი ხონელი ეპისკოპოსი თავისისურვილისთანახმადდაასაფლავესხონისეკლესიისსამრეკლოსქვეშ.

ხონელეპისკოპოსთაქრონოლოგიურირიგი

მანოელჩხეტიძე1529 – 1534

ზაქარიაჩხეტიძე1534 – XVI ს-ის 70–იანიწწ.

ბასილიჩხეიძეXVI ს-ის 80 – იანი წწ.-დან-XVII ს-ის დასაწყისი

მალაქია(აფ. კათალიკოსი) ცაიშელ–ჯუმათელ–ხონელი 1619-22 – 1639

სვიმონჩხეიძე1639 – 1650

სვიმონჩიჯავაძე1650 – 1673

გედეონლორთქიფანიძე1673 – 1678

სვიმონსაყვარელიძე1678 – XVII ს-ის 90–იანიწწ.

რომანოზიXVII – XVIII საუკუნეთამიჯნა

იოსებმაჩაბელიXVIII ს-ის 50–იანიწწ.-დან – 1763

მაქსიმეიაშვილი1763 – 1771

ანტონჩიჯავაძე1771 – XVIII ს-ის 70 - იანი წლების ბოლო

იოანეXVIII ს-ის 70–იანი წლების ბოლო– 1787

ანტონჩიჯავაძე1787 – 1820

თავი VII

ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათიქრონოლოგიური რიგი

(1534 – 1820)

1534 წელს იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510–1565) ინიციატივით, ახლადდაარსებულ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მანოელი იქნა დადგენილი. მანოელის ნიკორწმინდელად ხელდასხმის თარიღთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა გამოთქმული. ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი 1534 წელს მოხდა (თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი, მ. ბერძნიშვილი გ. გუგუშვილი და სხვ.), მეორე ნაწილს 1544 წელიმიაჩნია სწორად (ს. კაკაბაძე, თ. ბერაძე, მ. მურუსიძე და სხვ.). აღნიშნულ აზრთა სხვადასხვაობას ბაგრატ III–ის მიერ ნიკორწმინდისათვის გაცემული სიგელის განსხვავებული დათარიღებები იწვევს, სადაც ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსებაზეა საუბარი, (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

მანოელ ნიკორწმინდელი მეფე ბაგრატ III–სადმი ერთგულებით გამოირჩეოდა. მეფე ბაგრატი თავის სიგელში მას „წმინდა და ღმერთ შემოსილ“ პიროვნებად იხსენიებს: „მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ელენე ვიგულისმოდგინეთდა ხელვჰყავით აღშენებადა დაკნინებულისა მონასტრისა ნიკოლწმიდისა და შევქმენ საყდრადა და საეპისკოპოზოდა და დავადგინე და წმიდა და ღმერთშემოსილი ანგელოზათა მობაძავი მღდელთ მთავარ ეპისკოპოზი წმიდა და მეუფე მანოელ.....“ (კაკაბაძე 1912ა: 6)

მეფე ბაგრატ III-ის მიერ ნიკორწმინდის ტაძრის განახლების შესახებ საუბრობს თავად მანოელ ნიკორწმინდელიც:„ქ. ღვთივ გვირგვინოსანმან მეფემან ბაგრატ განაახლა და კიდით აღაშენა ეკლესია წმიდის მღვდელთ მოძღვრის ნიკოლოზის მისდა სადღეგრძელოთ და გასამარჯვებლად..... იგულისმოდგინა თვით მპყრობელმან მეფემან და უძლეველმან ხელმწიფემან მონასტერი ესე ეკლესიად და დამადგინა მე განმგედ და ეფისკოპოსად უღირსი და ცოდვილი მღვდელ მთავარი მანოელ...“ (იქვე, 4).

ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებში მოხსენიებული მანოელ ნიკორწმინდელი, თ. ჟორდანიას ვარაუდით შეიძლება იგივე მანოელ ჩხეტიძე იყოს, რომელიც 1529 წელს ხონელად დასვეს (ჟორდანია 1897: 379). არსებობს ვარაუდი რომ მანოელი ხონელობამდე ქუთათელი ყოფილა (იქვე, 233).[22] თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული ბაგრატ III–ის სიგელი, სადაც მანოელის ნიკორწმინდელად ხელდასხმაზეა საუბარი, დათარიღებულია 1534 წლით: „დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისა მეოთხესა ქ ~ კს :ს კ ბ: (1534) თ~ა აგვისტოსა ცხრასა“ (იქვე, 380). აღნიშნული დოკუმენტი ს. კაკაბაძის მიერაც იქნა

[22]იხ. ხონელი ეპისკოპოსები...

გამოქვეყნებული სადაც“ ქორონიკონსა :ს კ ბ:“– ს (1534) დამატებული აქვს ათის აღმნიშვნელი ი. ასეთ შემთხვევაში ვღებულობთ არა 1534 არამედ 1544 წელს. „დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა მეოთხესა ქ˜სა : ს კ ი ბ:“ (1544) (კაკაბაძე 1912ა: 8).

ბაგრატ III იმერეთის სამეფო ტახტზე 1510 წელს ავიდა, აქიდან გამომდინარე მისი მეფობის მეოთხე ინდიკტიონი 1513 წელი გამოდის და შეუსაბამობაში მოდის აღნიშნული საბუთის 1534 და 1544 წლებით დათარიღებასთან. თ. ჟორდანიას ვარაუდით დოკუმენტში აღნიშნული„მეფობისა ჩ˜ნისა მეოთხესა“–ს ნაცვლად, უნდა იგულისხმებოდეს „ოცდამეოთხესა“ (ჟორდანია 1897: 379). ასეთ შემთხვევაში მანოელის ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ხელდასხმის თარიღი 1534 წელი იქნება (1510 + 24 = 1534). ეს ვარაუდი უფრო მისაღები ჩანს. მანოელ ჩხეტიძეს ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის პატივი ბაგრატ III–ის გამეფებიდან ოცდამეოთხე წელს, ანუ 1534 წელს უნდა მიეღო.[23]

მანოელ ნიკორწმინდელი, ყოფილ ხონელ ეპისკოპოს მანოელ ჩხეტიძედ მიიჩნიეს გ. გუგუშვილმა და მ. მურუსიძემაც. ამ უკანასკნელსმიაჩნია, რომ მანოელის ხონიდან ნიკორწმინდაში გადაყვანა 1544 წელსმოხდა (ქ. ი. მ. შრომები 2008: 51).

მანოელ ჩხეტიძე არც ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დარჩენილა დიდხანს. როგორც ირკვევა ის ნიკორწმინდიდან აწყურში გადასულა. ერთ-ერთმინაწერში აღნიშნულია: „ჩხეტიძესა მანოელსა მაწყუერელსა დღეგრძელობით ცოდვანი მათნი შეუნდნეს ღ˜ნ (ღმერთმან)“ (თაყაიშვილი 1939: 5). ე. თაყაიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს მინაწერი იმერეთის მეფის გიორგი II-ის მეფობის დროს შესრულდა 1548–1585 წლებში (იქვე). დიდი მეცნიერი ეყრდნობოდა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას, რომლის მიხედვით ბაგრატ III 1548 წელს გარდაიცვალა და იმავე წელს ტახტზე მისი ძე გიორგი II ავიდა. თანამედროვე სამეცნიერო წრეებში ბაგრატ III-ის გარდაცვალების თარიღად 1565 წელია მიჩნეული. ზემოთ მოყვანილი მინაწერი არა გიორგი II-ის (1565–1584) არამედ მისი მამისბაგრატ III-ის მეფობის პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. საფიქრებელია, რომ მანოელ ჩხეტიძის ნიკორწმინდიდან აწყურში გადაყვანა ბაგრატ III-ის ინიციატივით მოხდა.

1535 წელს მურჯახეთთან ბრძოლაში ბაგრატ III-მ დაამარცხა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე ჯაყელი და სამცხე იმერეთს შემოუერთა. ბაგრატმა სამცხეზე გავლენა ათი წელი შეინარჩუნა. ამ ხნის განმავლობაში ის ცდილობდა სამცხეში თავისი პოზიციების განმტკიცებას. დასახული მიზნების განსახორციელებლად ბაგრატისათვის მნიშვნელოვანი იყო ეკლესიის მხარდაჭერა. აწყურის საეპისკოპოსო უპირატესი იყო სამცხის ეპარქიათა შორის, ამიტომ მაწყვერელის კათედრაზე მეფე ბაგრატის ნდობით აღჭურვილი პირის ყოფნა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სამცხეში იმერეთის მეფის

[23]ვრცლად იხ. ახალი საეპისკოპოსოების დაარსება....

პოზიციების განმტკიცებისთვის. სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს მეფე ბაგრატ III-ის მიერ მანოელ ჩხეტიძის ნიკორწმინდიდან აწყურში გადაყვანა, რაც ქართლის კათალიკოსთან შეთანხმების შემდეგ უნდა მომხდარიყო, რადგან აწყურის საეპისკოპოსო მცხეთის (ქართლის) საკათალიკოსო ტახტს ემორჩილებოდა.

სავარაუდოდ მანოელ ჩხეტიძის ნიკორწმინდიდან აწყურში გადაყვანა 1538–1545 წლებს შორის მოხდა, რადგან 1538 წლამდე აწყურის საეპისკოპოსო კათედრა იოაკიმეს ეკავა (გურგენიძე: ხელნაწერის უფლებით), 1545 წელს კი სოხოისტას ბრძოლაში ბაგრატ III-მ მარცხი განიცადა ოსმალებთან და დაკარგა სამცხე. აქიდან გამომდინარე ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ ბაგრატს მოეხერხებინა სამცხის ყველაზე გავლენიან საეპისკოპოსო კათედრაზე თავისი ერთგული სასულიერო პირი დაესვა. სამწუხაროდ მანოელ ჩხეტიძის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. მან ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დაახლოებით 1534 წლიდანXVI ს-ის 40–იანი წლების პირველ ნახევარში იმოღვაწა.

მანოელის შემდეგ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსიიოაკიმე გახდა. მან მონაწილეობა მიიღო ბაგრატ III-ის თაოსნობით გამართულ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებაში, რომელიც იმ ხანად ერსა და ეკლესიაში გავრცელებული მანკიერებების აღსაკვეთად იქნა მოწვეული. აღნიშნული კრება XVI ს-ის 50-იან წლებში ჩატარდა.[24]

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „...შეიკრბნენ ქართლისა კათალიკოზი მალაქია, აფხაზთა კათალიკოზი ევდემონ და ყოველნი ეპისკოპოზნი იმერეთ-ოდიშისანი. ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყვნენ: ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე, ცაგერელი კოზმან, ხონელი ზაქარია, ნიკორწმინდელი იოაკიმ, ჩაისელი კირილე. ამათ განაჩინეს მოქმედთა მათთათვის ჯეროვანი შერისხუანი, დაწერნეს და შეაჩუენნეს მოქმედნი მისნი, ვითარცა გვაუწყებს აღწეილი მათი“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 824).

კრებას მიუღია დადგენილება რომელიც „სამართალი კათალიკოზისა“-ს სახელით არის ცნობილი. კრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იოაკიმე, რომელმაც სხვა მღვდელმთავრებთან ერთად, ერსა და ეკლესიაში გავრცელებული მანკიერებების აღსაკვეთად, ხელი მოაწერა აღნიშნული კრების განჩინებას. სხვა ცნობები ნიკორწმინდელი იოაკიმეს შესახებ არ მოგვეპოვება. მან ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დაახლოებითXVI ს-ის40-იანი წლების მეორე ნახევრიდანXVI ს-ის 50-იანი წლების ჩათვლით იმოღვაწა.

[24]ვრცლად იხ. გენათელი ეპისკოპოსები...

1559 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებულ დოკუმენტში, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად დავით საყვარელიძე იხსენიება. იგი ნიკორწმინდის ეკლესიას სწირავს სოფელ ხივშში მცხოვრებ გლეხსლაზარე დონაძეს: „...ჩვენ ფრიად ცოდვილმან მღდელთ მთავარებისკოპო-სმან ნიკორწმიდელმან დავით საყვარელიძემან, შემოგწირეთ.... ხვიშს ერთი გლეხი დონაძე ლაზარე, მისის ცოლშვილითა..... საძებრითა და უძებრითა, დღეს ამას იქით რისიც მქონებელი იყოს, მართლის სამართლიანის საქმითა შემოგვიწირავს ყოვლის კაცის უსადევოთ.... აღიწერა თვესა ოკდომბრის კ დ, (24) ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩ ფ ნ თ (1559)“ (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 3320. ქ. ს. ძ. 1970: 263).

ს. კაკაბაძემ მიიჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტი ხელის მიხედვით არა XVI, არამედ XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს და ის 1559 წლის ნაცვლად, 1659 წლით დაათარიღა. დოკუმენტში მოხსენიებული ნიკორწმინდელი დავით საყვარელიძე კი, გააიგივა მეფე ბაგრატ IV-ის მიერ 1669 წელს რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში მოხსენიებულ ნიკორწმინდელ დავითთან (კაკაბაძე 1921ა: 63).

ს. კაკაბაძის ვარაუდი გაიზიარა გ. გუგუშვილმა და მ. მურუსიძემ. ამ უკანასკნელმა მიიჩნია რომ დავით საყვარელიძე უნდა იყოს რუსი ელჩების იევლევისა და ტოლოჩანოვის აღწერილობაში მოხსენიებული დავით მიტროპოლიტი (ქ. ი. მ. შრომები 2008: 54). იევლევი და ტოლოჩანოვი რაჭასა და იმერეთში 1650–1652 წლებში იმყოფებოდნენ, (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდაბით).

1559 წლის საბუთში მოხსენიებული ნიკორწმინდელი დავით საყვარელიძის XVI ს– ის 50-70–იან წლებში მოღვაწე ნიკორწმინდელ დავითთან გაიგივება, კითხვებს ბადებს და დაზუსტებას მოითხოვს. წყაროთა სიმწირის გამო ძნელია ზუსტი დასკვნის გაკეთება. აქიდან გამომდინარე ამ საკითხს ჯერჯერობით ღიად დავტოვებთ.

XVI ს-ის 60–იანი წლების დასაწყისში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა ამბროსის უჭირავს. იგი მეფე ბაგრატ III-ის შეწირულების წიგნშია დაფიქსირებული. აღნიშნულ სიგელში მოხსენიებული ამბროსი, ნიკორწმინდელი ამბროსი ბაქრაძე უნდა იყოს, რომელიც აგრეთვე მოხსენიებულია 1591 წლით დათარიღებულ ლევან იმერთა მეფის სიგელში, (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის შეწირულების წიგნში ნათქვამია: „ქ. ჩვენ ღთისაგან ამაღლებულმან პატრონმან მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ელენე ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოვიკითხეთ წმინდის ნიკოლაოზს შეწირული სოფელნი და ვითაცა პირველ პაპა მამათა ჩვენთაგან განჩინებული და შეწირული ყოფილიყო, ისე ჩვენ დაგიმტკიცეთ და განგიახლეთ შენ მღდელ მთავარ ეფისკოფოზს ამბროსეს რცხილათი ბუჯას აქეთ სრულად სამნი გვარნი მოსახლენი გაბისაძენი, ჩაფიძენი, გამეზარდაშვილნი..... აწ ვინც ეს ჩვენგან დაწერილი

სცვალოს ჩვენის ცოდვის გვარად და მუქაფად განიკითხოს ამინ“ (კაკაბაძე 1912ა: 10). საბუთს თარიღი არ გააჩნია. იგიXVI ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში უნდა იყოს შედგენილი.

ამბროსის ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა როგორც ჩანს ბაგრატ III-ის მეფობის ბოლო ხანს ეკავა, (1565 წლის ახლო ხანები). მეფე ბაგრატ III ნიკორწმინდის საეპისკოპოსოზე ზრუნვას განაგრძობდა. მან ზემოთ მოყვანილი საბუთის მიხედვით, ამბროსი ნიკორწმინდელის თხოვნა დააკმაყოფილა და ნიკორწმინდის სამწყსოს შესწირა არგვეთის მხარის სოფელი რცხილათი სამი მოსახლე გლეხის ოჯახით.

დაახლოებით 1565 წლიდან ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე გახდა. ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში ქვაზე კუთხოვანი ასომთავრულით წერია: „წმინდაო ნიკოლოზ: მეოხ ეყავ მეფეს გიორგის: მისი მოწყალებით ჭელიში ავაშენე: ნიკოლოზწმიდელმან საყვარელიძემან მელქიზედეკ: ამინ“ (ბოჭორიძე1994: 99). გ. ბოჭორიძის მტკიცებით წარწერა XVI საუკუნეს ეკუთვნის. მასში მოხსენიებული გიორგი, იმერეთის მეფე გიორგი II (1565–1583) უნდა იყოს, რომელიც იკითხება ამავე ეკლესიის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში თავისი ძით ლეონით. მელქისედეკ საყვარელიძის ვინაობას გ. ბოჭორიძე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და დასძენს: „ვინ არის ნიკოლაოზწმიდელი მელქისედეკ საყვარელიძე, საისტორიო წყაროებიდან არ ჩანს. ამავე სახელისა და გვარის პირი არის გაენათის მთავარეპისკოპოსი გიორგის მამის, ბაგრატ III-ის დროს“ (ბოჭორიძე 1994: 99).

მოყვანილ წარწერაში მოხსენიებული ნიკორწმინდელი მელქისედეკ საყვარელიძე, პირველი გენათელი ეპისკოპოსი მელქისედეკი უნდა იყოს, რომელმაც გიორგი II-ის გამეფების შემდეგ ნიკორწმინდელის პატივი მიიღო. ნიკორწმინდელ მელქისედეკ საყვარელიძეს, პირველ გენათელ მელქისედეკთან აიგივებს მ. მურუსიძეც და მის ნიკორწმინდელად მოღვაწეობის პერიოდს 1565–1573 წლებს შორის ვარაუდობს (ქ. ი. მ. შრომები 2008: 53).

1573 წლის საბუთში იმერეთის მეფე გიორგი II, გენათელი საყვარელიძის კარ–მიდამოს სწირავს გელათს. დოკუმენტში ნათქვამია რომ:„გელათს სახლი, საყვარელიძე გენათელი რომ მიიცვალა, ის ადგილი და იმას ქვეშით გალავნისა და იმას შუა ბოსტანი.... აწ ესე გლეხები და მამული ყოვლისა კაცისაგან შეუცილებლათ შეგვიწირავს... (გელათისათვის – ბ. გ.). დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა ქ˜კს (ქორონიკონსა) ორას სამოცდაერთსა (1573), ხელითა კარისა ჩვენის დივანმწიგნობრისა თავაქალაშვილის აღასითა“ (კაკაბაძე 1921ა: 31). სავარაუდოა, რომ საბუთის შედგენის დროს მელქისედეკ საყვარელიძე ახალი გარდაცვლილი იყო. მიუხედევად იმისა, რომ მას გარდაცვალების

ჟამს გენათელის პატივი აღარ ეჭირა, მეფე გიორგი II მაინც გენათელად იხსენიებს როგორც გელათის პირველ ეპისკოპოსს და მის საცხოვრისს გელათს სწირავს.

ჩანს, მელქისედეკს გენათლობიდან პირდაპირ ნიკორწმინდელობა არ მიუღია. დოკუმენტში „სამართალი კათალიკოზისა“ რომელიც სავარაუდოდ XVI ს–ის 50–იან წლებშია შედგენილი, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად იოაკიმე იხსენიება, ხოლო გენათელად ყოფილი მაწყვერელი ანტონი. ცხადია ამ დროს მელქისედეკს აღარ ეკავა გელათის საეპისკოპოსო კათედრა, ხოლო ნიკორწმინდელობა ჯერ არ ჰქონდა მიღებული. წყაროთა სიმწირის გამო ჩვენთვის უცნობია რა პატივს ატარებდა მელქისედეკ საყვარელიძე გენათლობიდან ნიკორწმინდელობამდე.

მელქისედეკ საყვარელიძის შემდეგ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე ამბროსი ბაქრაძე ბრუნდება. ჩვენთვის აგრეთვე უცნობია თუ რით იყო განპირობებული ამბროსის ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრიდან ჩამოცილება გიორგი II–ის მეფობის დასაწყისში.

ამბროსი ბაქრაძე როგორც თავში აღვნიშნეთ იხსენიება იმერეთის მეფის ლევანის (1583–1590) შეწირულების წიგნში: „...ჩვენ ღთივ გვირგუინოსანმა მეფეთმეფემან პატრონმან ლეონ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ნიკოლწმინდელსა ბაქრაძესა ამბროსეს, მას ჟამსა ოდეს თქვენისა ერთგულობისათვის დაგვიჯენიათ და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ხონჭორი სრულობით და ჭელიში და ნამარნევს მჭედლიძენი, ესენი ხელშეუალათ თქვენთვის გვიბოძებია...“ (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 3323. კაკაბაძე 1921ა: 35). სიგელში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მეფე ლევანი ნიკორწმინდელ ამბროსის უბოძებს კისორეთს მცხოვრებ ლომთაძეებს, ჩხეტიძე ლომინს და ესტატე გარეყანიძის შვილებს თავიანთი მამულებით. ამ სიგელში მეფე ლევანი ამბროსი ბაქრძის მიმართ აღნიშნავს: „რაც სხვა წიგნი და სიგელი ან ბატონის მამის ჩუენისაგან და ან ჩუენგან გქონდეს, არც ის მოგიშალოთ, არც დაგამცროთ და არც გაგიცეთ“ (იქვე). ეს სიტყვები ადასტურებს, რომ ამბროსი ბაქრაძე ნიკორწმნდელი ეპისკოპოსი ყოფილა ლევანის მამის გორგი II–ის მეფობის დროსაც (ქ. ი. მ. შრომები 2008: 52).

აღნიშნული სიგელი 1591 წლით თარიღდება: „დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეორესა ქ˜კნს ს: სამოცდაცხრამეტსა – 279 (1591) თვესა მაისსა ი ე (15)“ (ს. ც. ს. ა. ფონდი 1448, საქმე - 3323. კაკაბაძე 1921ა: 35). ეს თარიღი სწორი არ უნდა იყოს, რადგან ლევანი გამეფდა 1583 წელს. შესაბამისად მისი მეფობის მეორე ინდიკტიონი არა 1591, არამედ 1584 წელია. გარდა ამისა ცნობილია, რომ სამეგრელოს მთავრის მამია დადიანის მიერ დატყვევებული მეფე ლევანი, 1590 წელს შხეფის ციხეში გარდაიცვალა (ნარკვევები1973ბ: 141). აქიდან გამომდინარე ის 1591 წელს

სიგელს ვეღარ გასცემდა. უფრო მისაღები იქნება ვიფიქროთ, რომ ზემოთ მოყვანილი სიგელი, ლევანის მეფობის მეორე „ინდიკტიონს“ – 1584 წელს დაიწერა.

ამბროსი ბაქრაძის ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობაXVI ს-ის 90-იანი წლების დასაწყისამდე უნდა გაგრძელებულიყო. მის შემდეგ ნიკორწმინდელის პატივი ნიკოლოზმა მიიღო. იგი მოხსენიებულია ოთარ იაშვილის სიგელში: „ქ. ესე წიგნი მოგეც მე ოთარმან იაშვილმან და მეუღლემან ჩემმან წერეთლის ქალმან.... თქვენ ნიკოლწმინდელსა მღდელთ მოძღვარსა ნიკოლოზს... ასრედა ამა პირსა ზედან რომე მოგვიხდა ცოდვისა საქმედა დიდად საკანონო ცოლი შევირთეთ ჩვენისა განაყოფისა ცოლყოფილი და დიდისა შეხვეწითა ბატონისა მეფისა გიორგისათა შევეხწენი გაღარიბებულნი სხვას გარეთ შევსწირეთ საოხად სულისა ჩვენისა და სახსრად შევსწირეთ სამისდღეოთ სხვავას კვირიკესშვილი გლეხი 1 მის ყოვლისფერით.... (მოწამე) კაცთაგან მეფე მეფეთ ხელმწიფე გიორგი და თანამეცხედრე მათი ასული დადიანისა დედოფალთა დედოფალი თამარ“ (კაკაბაძე 1912ა: 11). სიგელში ნახსენები მეფე გიორგი გახლავთ იმერეთის მეფე გიორგი III (1604 – 1639), რომლის მეუღლე დადიანის ასული თამარი იყო. სამწუხაროდ სხვა ცნობები ნიკოლოზ ნიკორწმინდელის შესახებ არ მოგვეპოვება. მას ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დაახლოებით XVI ს–ის ბოლოდან XVII ს–ის 20–იანი წლების ჩათვლით უნდა ემოღვაწა.

XVII საუკუნის 30–იან წლებში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე ჩანს სვიმონ ჩხეტიძე. იმერეთის მეფე გიორგი III თავის შეწირულების წიგნში ნიკორწმინდელ სვიმონს უწყალობებს ესფოფოა მღრდელაძეს. სიგელი დათარიღებულია 1637 წლით: „ქ. ჩუენ მეფემან გიორგი და ძემან ჩემმან პირმშომა ალექსანდრე და მამუკამა მოგახსენეთ ესე შესაწირავი თქუენ.... მხნესა მხედარსა (წ˜ასა გიორგის?) და მას შინა დადგინებულსა ნიკოლოზწმიდელსა ჩხეტიძესა პატრონსა სვიმონს, შემოგვიწირავს ჩ˜ნი კერძი ესფოფოა მღრდელაძე... ქ˜კს :ტ კ ე: – 325 (1637)“ (ჟორდანია 1897: 452).

სვიმონ ჩხეტიძე იმერეთის მეფის სახთუხუცესის სეხნია ჩხეიძის ძმა იყო. როგორც აღვნიშნეთ, ის ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზეXVII ს-ის 30–იან წლებში მოღვაწეობდა. 1639 წლიდან ხონელი ეპისკოპოსი გახდა,[25]XVII ს-ის 50–იანი წლების დასაწყისში კი ქუთათელის პატივი მიიღო. მცდარია ბ. ლომინაძის, თ. ქორიძისა და გ. მჭედლიძის ვარაუდი, რომ თითქოსსვიმონ ჩხეტიძე 1637 წელს გახდა ქუთათელი ეპისკოპოსი (ლომინაძე 1954: 133, ქორიძე 2000: 153, მჭედლიძე... 2008: 210). გ. მჭედლიძის აზრით 1637 წლის საბუთში, სადაც იმერეთის მეფე გიორგი III გელათის მონასტერს რაჭაში ჭელიშის საყდარსა და მის სახასო ალაგებს წირავს, არ არის მოხსენიებული ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძე, ალბათ იმიტომ, რომ იგი საბუთის გაცემის დროს ნიკორწმინდელი აღარ იყო (მჭედლიძე... 2008: 210). ეს ვარაუდი ნაკლებ

[25]იხ. ხონელი ეპისკოპოსები...

დამაჯერებელია, რადგან სხვა საბუთში, რომელიც აგრეთვე 1637 წლით თარიღდება, მეფე გიორგი III ნიკორწმინდელ სვიმონ ჩხეტიძეს სწირავს ესფოფოა მღრდელაძეს, (ეს საბუთი ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ).

იმერეთის მეფე ბაგრატ IV (1660 ხანგამოშვებით 1682) 1660 წლის საბუთში ნიკორწმინდელ გედეონ ლორთქიფანიძეს მიმართავს: „ბატონს მამაჩემს ბაჯას გლეხი შე(ე)წირა წმინდის ნიკოლოზისათვის და სვიმონ ნიკორწმინდელს ჰქონდა და ახლა თქუენც შემოგვეხვეწეთ და გიბოძეთ ბაჯას ისივ გლეხი დათუა მგელაძე“ (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 2143. კაკაბაძე 1921ა: 64). ამ ცნობაზე დაყრდნობით მ. მურუსიძემ მიიჩნია, რომ სვიმონ ჩხეტიძეს ბაგრატ IV–ის მამის ალექსანდრე III-ის (1637–1660) მეფობის პერიოდშიც, ანუ 1637 წლის შემდეგაც ეკავა ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა (ალექსანდრე III 1637 წელს გამეფდა) (ქ. ი. მ. შრომები 2008: 54). თუმცა ისმის კითხვა, ამ შემთხვევაში რომელ ნიკორწმინდელ სვიმონზეა საუბარი, სვიმონ ჩხეტიძეზე თუ სვიმონ ჯაფარიძეზე? სვიმონ ჯაფარიძეს ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა სავარაუდოდXVII ს-ის 50-იანი წლების გარკვეულ პერიოდში ეკავა, (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

მეცნიერთა ნაწილი სვიმონ ჩხეტიძის ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაზე გადასვლას დაახლოებით 1651 წლიდან ვარაუდობს (გაბისონია 2006: 15), რაც დამაჯერებლად მიგვაჩნია. მანამდე კი როგორც აღვნიშნეთ,XVII ს-ის 40– იანი წლები სვიმონ ჩხეტიძემ ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე გაატარა.

სვიმონ ჩხეტიძის შემდეგ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს დავითი. დავით მიტროპოლიტს როგორც ნიკორწმინდის საყდრის მფლობელს, იხსენიებენ რუსი ელჩები ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი, რომლებმაც ნიკორწმინდის ტაძარი 1651 წლის 16 ივნისს მოინახულეს (იევლევი 1969: 109). მეფე ალექსანდრე III-სთან შესახვედრად მიმავალი რუსი ელჩები, დავით მიტროპოლიტს ქუთაისამდე გაუცილებია (იქვე). დავით ნიკორწმინდელი მეფე ალექსანდრესა და რუსი ელჩების შეხვედრებსაც დასწრებია. იევლევის ცნობით ალექსანდრე III-სთან შეხვედრის დროს მეფესთან მყოფ სასულიერო პირთა შორის მიტროპოლიტი დავითიც იყო, რომელიც მიტროპოლიტ ზაქარიას (გენათელი) გვერდით იჯდა (იქვე, 113). ტოლოჩანოვს ნიკორწმინდელი დავითი, არქიეპისკოპოსად ჰყავს მოხსენიებული. იგი მეფე ალექსანდრესა და რუსი ელჩების ერეთ –ერთი შეხვედრის დროს, მეფის გვერდით მსხდომ ზაქარია მიტროპოლიტსა (გენათელი) და სიმონ არქიეპისკოპოსს (ხონელი) შორის მჯდარა (ტოლოჩანოვი 1970: 98). დავით არქიეპისკოპოსი მეფე ალექსანდრესთან ერთად იმყოფებოდა 1651 წლის 5 ივლისს ზაქარია გენათელის სახლში გამართულ სადილზეც (იქვე, 107), აგრეთვე იგი დასწრებია 22 ივლისს სკანდის ციხეში მეფე ალექსანდრესა და

რუსი ელჩების შეხვედრას. ამ შეხვედრაზე მეფე თეიმურაზ I-ც იმყოფებოდა შვილიშვილებთან ერთად (იქვე, 119).

დავით ნიკორწმინდელმახელი მოაწერა 1651 წლის 9 ოქტომბერს მეფე ალექსანდრე III-ის მიერ რუსეთის ხელმწიფისადმი დადებულ ფიცის წიგნს. ამ დოკუმენტში დავითი მოხსენიებულია როგორც „არქიეპისკოპოსი დავით ნიკორწმინდელი“ (იევლევი 1969: 175).

თ. ბერაძე მიიჩნევს, რომ იევლევისა და ტოლჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის დროს (1650 – 1652 წწ.), ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იმერეთის მეფის მოლარეთუხუცესის ლომკაც ჯაფარიძის ძმა არქიეპისკოპოსი სვიმონ ჯაფარიძე იყო (ბერაძე 2004: 93), რაც სიზუსტეს მოკლებულია და ამას ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ცნობები ცხადყოფს.

სვიმონ ჯაფარიძეს როგორც არქიეპისკოპოსს იხსენიებს ალექსი იევლევი, მაგრამ არ აკონკრეტებს თუ რომელი ეპარქიის მმართველია იგი. ფაქტია, რომ სვიმონს რუსი ელჩების იმერეთის სამეფოში ყოფნის პერიოდში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა არ ეკავა. იევლევის თქმით არქიეპისკოპოს სიმონ ჯაფარიძის საცხოვრისი მდ. კრიხულას იქეთ, მთებში, მდ. რიონის ნაპირას ყოფილა, სადაც მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ხის ეკლესია მდგარა. რუსი ელჩები ამ ეკლესიაში წირვას დასწრებიან და შემდეგ არქიეპისკოპოს სიმონ ჯაფარიძესთან უსადილიათ (იევლევი 1969: 107).

ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი სიმონ ჯაფარიძეს ისევ შეხვდნენ როდესაც იმერეთიდან რუსეთში რაჭის გავლით ბრუნდებოდნენ. მათ თან ახლდათ მეფე ალექსანდრეს მიერ რუსეთის ხელმწიფესთან მივლინებული ელჩი ლომკაც ჯაფარიძე. იევლევი და ტოლოჩანოვი 1651 წლის 17 ოქტომბერს ლომკაც ჯაფარიძის სოფელში მივიდნენ. მათ ლომკაცის ძმა არქიეპისკოპოსი სიმონი შემოეგებათ მრავალი აზნაურის თანხლებით. სტუმრებმა ლომკაცთან ისადილეს. რუს ელჩებს თან მიჰქონდათ მეფე ალექსანდრეს მიერ დადებული ფიცის წიგნი, რომელზედაც ხელი არქიეპისკოპოსმა სიმონ ჯაფარიძემაც მოაწერა (იქვე, 171).

სვიმონ ჯაფარიძე მოხსენიებულია ამბროლაურის ეკლესიის ხატის წარწერაშიც. ქ. წ ~ო ღმერთო და წმიდაო ამბროლაურისა ღვთისმშობელო დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობი და შემომწირველი თქვენი მთავარეპისკოპოზი ჯაფარიძე სვიმონ“ (ბოჭორიძე 1994: 139–140). სავარაუდოდ სვიმონმა ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დავით მიტროპოლიტიXVII ს-ის 50-იანი წლების მეორე ნახევარში შეცვალა. ჩვენთვის უცნობია რით იყო განპირობებული ეს ჩანაცვლება, თუმცა მსგავსი შემთხვევები იმ ხანის დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოებში ხშირი იყო. 1669

წელს ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად კვლავ დავითია მოხსენიებული, (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

სვიმონ ჯაფარიძეს ნიკორწმინდელად დიდი ხანი არ უმოღვაწია. 1660 წელს გაცემულ მეფე ბაგრატ IV-ის სიგელში, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად გედეონ ლორთქიფანიძე ჩანს: „ესე წიგნი მოგართვი თქვენ ნიკორწმინდელს ლორთქიფანიძეს გადევანს ასრე და ამა პირსა ზედა, რომე კურთხეულს ბატონს მამაჩემს ბაჯას გლეხი შე(ე)წირა წმინდის ნიკოლოზისათვის და სვიმონ ნიკორწმინდელს (უნდა იგულისხმებოდეს სვიმონ ჯაფარიძე – ბ. გ.) ჰქონდა და ახლა თქუენც შემოგვეხვეწეთ და გიბოძეთ ბაჯას ისივ გლეხი დათუა მღდელაძე, რაც მაშინ მამული ჰქონოდა, იმიანად ის გლეხი გვიბოძებია მისის ერთსახლის ძმითა, მათის ცოლშვილითა, სახლკარითა, ჭურმარნითა, ალაგითა, ველითა, ვენახითა.... დაიწერა წიგნი ესე... ქორონიკონსა სამას ორმოცდა რვასა (1660)“ (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 2143. კაკაბაძე 1921ა: 64). მოგვიანებით გედეონ ლორთქიფანიძემ ნიკორწმინდელობასთან ერთად გენათლობაც შეითავსა. 1664 წლით დათარიღებულ საბუთში ის გენათელ-ნიკორწმინდელად იხსენიება (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 5134. კაკაბაძე 1921ა: 69), 1668 წლის დოკუმენტში კი იგი მხოლოდ გენათელად არის დაფიქსირებული (ჟორდანია 1897: 485). ჩანს 1668 წლისათვის გედეონ ლორთქიფანიძეს ნიკორწმინდელის პატივი აღარ ჰქონდა და ის მხოლოდ გელათის საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა.[26]

დაახლოებით 1666-67 წლებში გედეონ ლორთქიფანიძის შემდეგ, ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა კვლავ დავითმა დაიკავა. იგი როგორც „ნიკოლოოზ წმინდელი დავითი,“ მოხსენიებულია მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1669 წლით თარიღდება (Бросее 1861: 82). წყაროთა სიმწირის გამო ვერ დგინდება თუ რამდენ ხანს გასტანა დავითის ნიკორწმინდელობამ 1669 წლის შემდეგ.

დავითის მომდევნო ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ცნობილი ფეოდალის მერაბ წულუკიძის ძმა სვიმონ წულუკიძე ჩანს. მერაბ წულუკიძე სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის გაზრდილი ყოფილა (თაყაიშვილი 1963: 41). იგი XVII ს-ის II ნახევარში დასავლეთ საქართველოში გავლენიან ფეოდალად იქცა. მას აუშენებია ნიკორწმინდის მახლობლად სოფელ აგარაში პატარა ეკლესია და მისთვის მრავალი ნივთი შეუწირავს. შეწირულ ნივთებს შორის არის ვერცხლის ფეშხუმი მხედრული წარწერით: „ქ: წმიდაო გიორგი მხნეო და მხედარო აგარისაო.... მე დამიჭირავს წულუკიძეს მერაბს ჯინჭროლსა და იწროთას შუა გაღმა ჭრებალო და ზოგიში მათს გარდაღმა ოკრიბა და ტყილბური და ძმა ნიკორწმინდელად დამისვამს და მეორე ძმა კიდე ხოფს სოფლათ დამისვამს ნასაუნჯევს ხორგას სასახლე მისი შემავლის კაციანათა და ხონი კიდე სულათა“ (იქვე,

[26]გედეონ ლორთქიფანიძის შესახებ ვრცლად იხ. გენათელი ეპისკოპოსები...

42). მერაბ წულუკიძის მიერ თავისი ძმის ნიკორწმინდელად დასმა XVII ს-ის 70-იანი წლების ბოლოს უნდა მომხდარიყო. შემორჩენილია ამ პერიოდის საბუთი, რომელიც ნიკორწმინდელი სვიმონ წულუკიძის მიერ არის გაცემული. ეს უკანასკნელი, მერაბ წულუკიძის ძმა უნდა იყოს: „...მთის მთავარმოწამეო წმინდაო გ˜ი, ... ჩვენ წულუკიძემან ნიკოლაოზწმინდელმან სვიმონ..... შემოგწირეთ კნინი და მცირე ესე შესაწირავი შავრას გლეხი დვალი ნასხიდა მისის ყოვლისფერით, ასრე და ამა პირსა ზედა რომე ლაშხიშვილის ყოფილიყო, ლაშხიშვილს ლომინ ერისთავისაგან გამორთმეოდა და ერისთავისაგან ჩვენ გვიყიდია და ჩვენ თქვენთვის შემოგვიწირავს...“ (ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 1533. კაკაბაძე 1921ა: 81). საბუთს თარიღი არ გააჩნია. ს. კაკაბაძემ ის დაახლოებით 1680–1685 წლებით დაათარიღა.

სვიმონ წულუკიძის ნიკორწმინდელობის პერიოდში მის სამწყსოში, ისე როგორც იმ ხანის დასავლეთ საქართველოს სხვა საეპისკოპოსო კათედრებზე, ადგილი ჰქონდა საეკლესიო წეს-წყობილების დარღვევებს. მერაბ წულუკიძის ერთ-ერთ შეწირულების წიგნშიაფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსისგრიგოლ ლორთქიფანიძის (1696 – 1742) ნიკორწმინდაში სტუმრობისა და მის მიერ იქ არსებული უწესობის აღკვეთის შესახებ არის მოთხრობილი: „...მას ჟამსა ოდეს დიდი და ყოვლად ქებული ჩრდილოსა და აფხაზეთისა პატრიაქი კათალიკოზი პატრონი გრიგოლი რაჭას მობრძანდა და სასაფლაოს ჩუენსა ნიკორწმინდას აღვიდა და რაოდენნი უწესობანი იხილნა, კეთილად და წესიერებად შესცვალნა, უადრესისაგან უაღრესად სრულ ჰყო, ვითარცა შვენოდა პატიოსნობასა მისსა“ (კაკაბაძე 1921ა: 85). იმ ხანად დასავლეთ საქართველოში, ერსა თუ ეკლესიაში გაბატონებულ უწესობას, შეუპოვრად ებრძოდა კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე. ამის შესახებ ჩვენ წინა თავშიც გვქონდა საუბარი.[27]

სვიმონ წულუკიძეს როგორც ირკვევა ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე საკმაო ხანს უმოღვაწია. იგი ნიკორწმინდელად ჩანს XVIII ს-ის 20-იან წლებშიც. სვიმონ ნიკორწმინდელიგენათელ გედეონ ჩხეტიძესთან ერთად ამოწმებს იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ს მიერ პაპუნა წერეთლისათვის ბოძებულ წყალობის სიგელს: „არს ამისი გამრიგე და მოწამე გენათელი გედევან, ლივკორწმინდელი (ნიკორწმინდელი ბ. გ.) სვიმონ, სახლითუხუცესი ჯაფარიძე ლომკაცი....მდივანს ლევანს დამიწერია და მოწამეცა ვარ...“ (ხ.ე.ც. HD – 2171. ბურჯანაძე 1959: 67). საბუთი უთარიღოა. გენათელი გედეონ ჩხეტიძე გელათის საეპისკოპოსო ტახტზე 1723-24 წლებიდან ჩანს. ზემოთ მოყვანილი საბუთიც ამ პერიოდში უნდა დაწერილიყო. ნიკორწმინდელი სვიმონ წულუკიძე ამ დროისათვის საკმაოდ ხანში შესული იქნებოდა.

[27]იხ. გენათელი ეპისკოპოსები...

სხვა ცნობები სვიმონ წულუკიძის შესახებ არ მოგვეპოვება. იგი ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დაახლოებით XVII ს-ის 80-იან წლებიდან XVIII ს-ის 20-იანიწლების ჩათვლით მოღვაწეობდა.

სვიმონ წულუკიძის შემდეგ XVIII ს-ის პირველი ნახევრის არსებულ დოკუმენტებში, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები არ ჩანან. სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში ნიკორწმინდის საეპისკოპოსომ, მსგავსად ქუთაისის და ხონის საეპისკოპოსოებისა, ჟამთა სიავის გამო მოქმედება შეწყვიტა. მისი აღდგენა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (1752–1784) ინიციატივით უნდა მომხდარიყო, დაახლოებითXVIII ს-ის 50–იან წლებში. ამ პერიოდში ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს გერმანე წულუკიძე.

გერმანე წულუკიძე, რაჭა–ლეჩხუმის სარდლის მერაბ II წულუკიძისა და დარეჯან აბაშიძის ვაჟი იყო (სოსელია1981: 68). ირკვევა, რომ გერმანეს ნიკორწმინდელობამდე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო ტახტი ეკავა, მაგრამ წყაროთა სიმცირის გამო რთულია განსაზღვრა მისი ამ თანამდებობაზე მოღვაწეობის წლებისა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: ქორონიკონსა უ ლ – 430 (1742) მოკუდა კ˜ოზი (კათალიკოზი) აფხაზთა გრიგოლ (ლორთქიფანიძე ბ. გ.), დაჯდა გერმანე (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 913). ბ. ლომინაძე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას საეჭვოდ მიიჩნევს, რადგან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსის ბესარიონ ჩხეიძის ბეჭედზე 1742 წელია ამოტვიფრული, რაც ჩვეულებრივად კათალიკოსობის დასაწყისს უჩვენებს, მისი მტკიცებით 1742 წლიდან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი არა გერმანე წულუკიძე, არამედ ბესარიონ ჩხეიძე გახდა (ლომინაძე 1954: 134). ბ. ლომინაძე გერმანე წულუკიძის კათალიკოსობის პერიოდს ზოგადად XVIII ს-ის შუა წლებით საზღვრავს. რ. მეტრეველის ავტორობით გამოცემულ ნაშრომში „საქართველოს მეფეები და პატრიარქები,“ 1742–1769 წლებში აფხაზეთის(დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად ბესარიონ ჩხეიძეა დაფიქსირებული, ხოლო გერმანე წულუკიძის აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად მოღვაწეობა, აგრეთვე XVIII ს– ის შუა ხანებით არის განსზღვრული (მეტრეველი 2010: 143-144). გ. გუგუშვილი წყაროების მიუთითებლად ამტკიცებს, რომ გერმანე წულუკიძე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი 1742–1751 წლებს შორის იყო (გუგუშვილი 2003: 63).

გერმანე წულუკიძე ნიკორწმინდელობამდე რომ აფხაზეთის კათალიკოსი იყო, ეს იმ ხანის სიგელებით დასტურდება. სვიმონ ნუქიფიშვილის შეწირულების წიგნში გერმანე წულუკიძე მოხსენიებულიაროგორც„პირველ კათალიკოსი გერმან ნიკოლაოზწმიდელი.“ აღნიშნული სიგელი 1769 წლით თარიღდება (კაკაბაძე 1921ბ: 39–40). „პირველ კათალიკოზი არქიერი გერმანე,“ მოხსენიებულია ბერი და გიორგი წულუკიძეების შეწირულების წიგნშიც (კაკაბაძე 1914ბ: 25). ნიკორწმინდის საყდრის

სამხრეთის კედელზე მიშენებულ ეკვდერში არის წარწერა: „გერასიმე კათალიკოსი შეიწყალე...“ ს. კაკაბაძის აზრით გერასიმე იგივე გერმანე უნდა იყოს (იქვე, 25).

გადმოცემის თანახმად, გერმანემ მეფე სოლომონ I–ის თხოვნით, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსობა რაჭის ერისთავის ძეს ბესარიონს დაუთმო, რომლის ღრმა განათლება მაშინდელ საქართველოში ცნობილი იყო (გუგუშვილი 2003: 63), თვითონ კი ნიკორწმინდელის კათედრა დაიკავა. ძნელი სათქმელია რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს ცნობა.

გერმანე წულუკიძე კათალიკოსად არის მოხსენიებული თავისი დედის დარეჯან აბაშიძის 1756 წლის შეწირულობის წიგნშიც, მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ 1756 წელს გერმანე წულუკიძე არა აფხაზეთის (დასაველთ საქართველოს) კათალიკოსი, არამედ უკვე ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იყო (ლომინაძე 1954: 136).

როგორც აღვნიშნეთ XVIII ს-ის 50-იან წლებში იმერეთის მეფის სოლომონ I-ის თაოსნობით დასავლეთ საქართველოში გაუქმებული საეპისკოპოსოების აღდგენის პროცესი დაიწყო. აღდგენილ იქნა ქუთაისისა და ხონის საეპისკოპოსო კათედრები. XVIII ს-ის 50-იანი წლებში უნდა აღმდგარიყო ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაც, რომელსაც გერმანე წულუკიძე ჩაუდგა სათავეში.

ნიკორწმინდელი გერმანე აქტიურად იყო ჩართული ჟამთა სიავის გამო გაუქმებული საეპისკოპოსოების აღდგენის პროცესში. 1759 წლის კრებას, სადაც ქუთაისის საეპისკოპოსოს აღდგენის საკითხი განიხილებოდა, სხვა მღვდელმთავრებთან ერთად გერმანე ნიკორწმინდელიც ესწრებოდა (კაკაბაძე 1913გ: 4).

გერმანე წულუკიძე იბრძოდა იმ ხანად დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტყვის სყიდვის წინააღმდეგ. ამის დამადასტურებელია გუჯარი ტყვეთა გაუსყიდველობის შესახებ, სადაც დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები და გავლენიანი ფეოდალები, პირობას დებენ აფხაზეთის(დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსისა და მღვდელმთავრების, მათ შორის გერმანე ნიკორწმინდელის წინაშე, რომ არასდროს გაყიდიან ტყვეებს და არც სხვას მისცემენ ამ უმსგავსო საქციელის ჩადენის ნებას. აღნიშნული გუჯარი 1759 წლით თარიღდება (ხ.ე.ც.ფონდი SD – 2976. ჟორდანია 1967: 262).

გერმანე წულუკიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რაჭის ერისთავ როსტომ ჩხეიძესთან, რომელიც მეფე სოლომონ I-ის მოწინააღმდეგე იყო. 1769 წელს მეფე სოლომონ I-მა როსტომ ჩხეიძე და მისი ოჯახის წევრები დაატყვევა და რაჭის საერისთავო გააუქმა.[28] ცოტა ხნის შემდეგ მან ნიკორწმინდის ეპისკოპოსობა ჩამოართვა

[28]ვრცლად იხ. გენათელი ეპისკოპოსები...

გერმანე წულუკიძეს და მის ნაცვლად ნიკორწმინდელად სილიბისტრო ღოღობერიძე დასვა: „ამან მეფემან სოლომან გარდააყენა ნიკოლოზ წმინდელი ეპისკოპოსი რაჭისა გერმანე წულუკიძე, ვინაითგან იყო მოყვასი როსტომ ერისთავისა და მოადგილედ მისსა დასო სილიბისტრო ღოღობერიძე (ბატონიშვილი დავითი 1905: 19).

სილიბისტრო ღოღობერიძეXVIII ს-ის 50-იან წლებში იმერეთის სამეფო კარის წინამძღვარი ყოფილა, მას არქიმანდრიტის ხარისხი ჰქონდა. ამავე დროს სილიბისტრო იყო მწერალი და დამმოწმებელი იმ მარავალი დოკუმენტისა, რომელიც იმერეთის სამეფო კარზე დგებოდა. მათ შორის არის ქუთაისის საეპისკოპოსოს აღდგენის საბუთი და განჩინება ხონის საეპისკოპოსოსათვის სახუცო და სამრევლო გამოსაღების შესახებ. ამ დოკუმენტებს ახლავს სილიბისტროს ხელმოწერები: „მე არქიმანდრიტს, ჩემი ხელმწიფის კარის წინამძღვარს მღდელ მონაზონს ღოღაბერიძეს სილიბისტროს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი...“ (კაკაბაძე 1913გ: 5).

სილიბისტრო ღოღობერიძე 1766 წელს სამეგრელოს მთავარს კაცია დადიანს „ლეჩხუმის საირმედ სახელდებულის“ უდაბნოს მამად დაუდგენია: „ვეძიებდი მამასა უდაბნოსასა და ვპოვე სანახებისა ჩვენისა მხრისა ადგილებით იმერელი ღოღაბერიძე არხიმანდრიტი სილივისტრო და ვაწვიე რაი მანცა ჯერ იჩინა მამობა უდაბნოსა ამის ადგილობით ლეჩხუმის საირმედ სახელდებულისა და ჩვენცა კეთილად აღგვიჩნდა მამად დადგინება ამისი და სიგელი ესე დავსდევით და განვაწესეთ შესაწირავი უდაბნოსა ამის“ (კაკაბაძე 1921ბ: 31). სიგელი თარიღდება ქორონიკონით :ჩ ღ ა: რაც 1701 წელს აღნიშნავს. ეს დათარიღება სიზუსტეს მოკლებულია, რადგან სიგელში მოხსენიებული პირები XVIII ს-ის II ნახევრის მოღვაწენი არიან.[29] ამ პერიოდის მოღვაწეა სილიბისტრო ღოღობერიძეც. იგი საირმის უდაბნოს მამად ჩანს 1771 წელსაც (კაკაბაძე 1921ბ: 44). აქედან გამომდინარე, მეფე სოლომონ I-ის მიერ გერმანე წულუკიძის ნიკორწმინდელობიდან გადაყენება და მის ნაცვლად ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე სილიბისტრო ღოღობერიძის დადგენა, 1771–73 წლებს შორის უნდა მომხდარიყო, რადგან 1773 წლით დათარიღებულ საბუთში სილიბისტრო უკვე იხსენიება როგორც ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი. ეს საბუთი გახლავთ მეფე სოლომონ I-ის შეწირულობის სიგელი, რომელსაც ქუთათელ მაქსიმესთან ერთად ამოწმებს ნიკორწმინდელი სილიბისტრო: „ვემოწმები ყ˜დ სამღვდელო ნიკოლოზწმიდელი სილივისტრო... აღიწერა წელთა უფლისათა :ჩ ღ ო გ: (1773) თვესა ოკდონბერსა ა (1)“ (იქვე, 47). ნიკორწმინდელი სილიბისტრო ღოღობერიძე კიდევ ერთ საბუთშია მოხსენიებული, რომელსაც თარიღი არ გააჩნია. ეს გახლავთ განჩინება სოლომონ I-ისა, ქაიხოსრო აგიაშვილისა და ნიჟარაძეთა მამულის საქმეზე. აგიაშვილისა და ნიჟარაძეების

[29]ს. კაკაბაძემ აღნიშნული სიგელი 1766 წლით დაათარიღა (იხ. ს. კაკაბაძე „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“ წ. 2, ტფ. 1921 გვ. 32

სასამართლო დავის პროცესში, ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსი სილიბისტრო ღოღობერიძეც იყო ჩართული (ქ. ს. ძ. 1974: 274).

სილიბისტრო ღოღობერიძის ნიკორწმინდელობის პერიოდში, ნიკორწმინდის ტაძარი გერმანელმა მოგზაურმა გიულდენშტედტმა მოინახულა, რომელიც საქართველოში 1771-1772 წლებში იმყოფებოდა. გიულდენშტედტი ნიკორწმინდელ ეპისკოპოსს არ ახსენებს, ის მხოლოდ ნიკორწმინდის ეკლესიას და ნიკორწმინდელის რეზიდენციას აღწერს: „აგარიდან კიდევ ¾ საათის სავალზე იყო სოფელი და მონასტერი ნიკორწმინდა, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის საჯდომი. ის მდებარეობს კირქვიანი მთის მწვერვალზე, სხარტალიდან პირდაპირი ხაზით დასავლეთისაკენ მხოლოდ 5 ვერსზე. მას აქვს თლილი ქვისგან ნაშენი ჯვარის ტიპის ეკლესია, 20 ნაბიჯი სიგრძისა და 15 სიგანისა. ეპისკოპოსის საცხოვრებელი ხისგანაა აშენებული, მაგრამ ის, ალბათ, უდიდესი და ყველაზე წესიერად აგებული შენობაა იმერეთში. მისი სიგრძე 35 ნაბიჯია და სიგანე 25 ნაბიჯი“ (გიულდენშტედტი 1962: 131). ამ ცნობიდან ჩანს, რომ ნიკორწმინდელები იმ ხანის შესაბამისად შეძლებულად ცხოვრობდნენ.

სილიბისტრო ღოღობერიძემ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობა ტრაგიკულად დაასრულა. ისგლეხი ნადირაძის მსხვერპლი გახდა: „ესე სილიბისტრო მოკლა მუნებურმან გლეხმან ნადირაძემ მიზეზისა ამისთვის: ვინათგან ჟამსა აღრეულებასა რაჭისასა ერთი გლეხის ცოლი შთავარდნილ იყო ტყვედ და ლეკთაგან დაეხსნა ამა ნადირაძეს და შეერთო თვით ცოლად. ესე მიუღო (სილიბისტრო ნიკორწმინდელმა – ბ. გ.) და მისცა (ნადირაძის ცოლი – ბ. გ.) ძველსავე ქმარსა მისსა, და ამისა გამო ჰკრა თოფი (ნადირაძემ – ბ. გ.) ახალს ნაწირავს (სილიბისტროს – ბ. გ.) ეკლესიის კარზედ და მოკლა იგი. და კვალად დასვეს გერმანე“ (ბატონიშვილი დავითი 1905: 19). სამწუხაროდ დავით ბატონიშვილი არ აფიქსირებს თუ რომელ წელს მოხდა აღნიშნული ფაქტი.

სილიბისტრო ღოღობერიძის მკვლელობის შემდეგ, ნიკორწმინდის სეპისკოპოსო კათედრაზე გერმანე წულუკიძე დაბრუნდა. ის ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს 1784 წლის ბერი და გიორგი წულუკიძეების შეწირულობის სიგელში. ეს უკანასკნელნი, გერმანე წულუკიძის ძმები იყვნენ, (ეს სიგელი ჩვენ ზემოთაც დავიმოწმეთ). ბერი და გიორგი წულუკიძეები ნიკორწმინდის საყდარს სწირავენ შავრას მცხოვრებ გვენცაძეებს, რომლებიც იმთავითვე ნიკორწმინდისათვის შეწირულნი იყვნენ. სიგელის ბოლოს აღნიშნულია: „ოდეს შინასა ეკლესიასა ზ˜ა (ზედა) იყოფებოდა ძმა ჩვენი პ ლ (პირველ) კათალიკოზი არქიერი გერმანე ქორონიკონს ქ ს (ქრისტეს) აქეთ ჩ ღ ოთხმოც დ (ოთხმოცდაოთხსა – 1784 ბ. გ.) დაიწერა გუჯარი ესე“ (კაკაბაძე 1914ბ: 25). ერთ-ერთი წყაროს ცნობით, გერმანე წულუკიძეს ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა 1792 წელსაც ეჭირა. ჭელიშის მონასტრის ძმათა 1842 წლის ნამსახურეობის სიაში

მღვდელმონაზონ სვიმონის შესახებ ნათქვამია, რომ იგი უკურთხებია ყოვლად სამღვდელო ნიკორწმინდელ გერმანე არხიეპისკოპოსს ქორონიკონს: „ჩ ღ ჟ ბ“ – (1792) (ქ. ი. მ. შრომები 2008: 55).

1793 წლიდან ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს სოფრონიოს წულუკიძე. წულუკიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი სოფრონიოსი, ახლო ნათესავი იყო გერმანე წულუკიძისა, რომლისგანაც სასულიერო განათლება მიიღო ნიკორწმინდის ტაძარში. 1778 წელს ეფთვიმე გენათელმა სოფრონიოსი გელათში ბერად აღკვეცა (კეზევაძე 2000: 2). მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ სოფრონიოსს ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა უკვე 1775 წელს ეკავა (გუგუშვილი 2003: 63).[30] მეორე ნაწილი კი თვლის, რომ სოფრონიოსის ნიკორწმინდელად აღსაყდრება 1785 წელს მოხდა (კეზევაძე 2000: 2). ეს ვარაუდები სიზუსტეს მოკლებულია, რადგან 1787 და 1792 წლებში ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად კვლავ გერმანე წულუკიძე ჩანს (ქ. ი. მ. შრომები 2008: 56).

სოფრონიოს ნიკორწმინდელი 1793 წლის დოკუმენტში ამტკიცებს მანუჩარ ყიფიანის შეწირულობის წიგნს: „ჩვენ ყ˜დ უსამღვდელოესი ნიკოლაოსწმიდელ არხიერი სოფრონ ვამტკიცებ წიგნსა ამას და დამარღვეველსა ამისსა ვსწყევ და შევაჩვენებ.... აღიწერა წიგნი ესე... ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტს...თვესა იანვარსა ოცდახუთსა...“ (კაკაბაძე 1921ბ: 102).

სოფრონიოსი, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მოღვაწეობის პირველივე წლებიდან შეუდგა ნიკორწმინდის საყდრისათვის კუთვნილი მამულების დაბრუნებას, რომელნიც ჟამთა ვითარების გამო დაკარგული იყო. ამ საქმეში მას დახმარებას უწევდა იმერეთის მეფე სოლომონ II (1790–1810). 1794 წელს მეფე სოლომონ II-მ, სოფრონიოს ნიკორწმინდელის თხოვნით, ნიკორწმინდის საყდარს შესწირა სოფელი ბუგოული თავისი მოსახლეებით: „...ბუგოულს ადგილი, მამული და მოსახლენი კაცნი პირველათაც წმინდის ნიკოლაოზის შეწირული ყოფილიყო და ახლა ყოვლად სამღვდელო ნიკოლაოზ წმინდელი წულუკიძე სოფრომ გვევედრა შეწირულობის განახლებას, განვაახლეთ და შამოგწირეთ ბუგოულს მამული და ადგილი.... აღიწერა...ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ :ჩ ღ ჟ დ: (1794)“ (იქვე, 104).

სოფრონიოს ნიკორწმინდელს დავა ჰქონდა სოლომონ II-ს მეუღლესთანდედოფალ მარიამთან „მთის წმინდა გიორგის სალოცავისა და კაციეთის ადგილების გამო, რომლებიც წინათ ნიკორწმინდის საყდრის საკუთრება იყო: „.....უმაღლესის მეფის მეორის სოლომონის თანამეცხედრემან დედუფალთ

[30]1775 წლით დათარიღებულ სოლომონ I – ის შეწირულების წიგნს „ნიკოლაოსწმინდელი არხიეპისკოპოსი სოფრონიოსის“ ბეჭედი აზის, თუმცა ეს დამოწმება გვიანი ხანის უნდა იყოს, რადგან ამავე დოკუმენტს ამოწმებს ეფთვიმე გენათელიც, რომელმაც გენათლობის პატივი 1776 წლიდან მიიღო – ს.ც.ს.ა. ფონდი 1448, საქმე - 2164. ს. კაკაბაძე: 1921 წ. 2, 50)

დედუფალმან დადიანის ასულმან მეორემან მარიამ დაგიმტკიცეთ და განგიახლეთ დავთარი და გუჯარი მთის წ˜ის გიორგის, ასე და ამა პირსა ზედა რომე რომელსამე შეწირულს ადგილებზედ ჩვენ და ყ˜დ საღვდელოს ნიკოლაოსზწმინდელს ლაპარაკი მოგვიხდა უმეცრის და პირმოთნის კაცის შესმენით, მაგრამ როდესაც ყ˜დ სამღვდელო ნიკოლაოსწმინდელი სოფრომ უმაღლესობის ტახტის წინარე სამართალს მოქენებდა (?) (მოახსენებდა – ბ გ.), ვისმინეთ ჩვენც აჯა და მოხსენება და მთის წმინდის გიორგის დავთარიც მოგვიტანა და განვიხილეთ რა, ჭეშმარიტი სწამა იმ კაციეთის ადგილის შეწირულობა და სარწმუნოთაც ეწერა....და დავთარი ვით აცხადებდა, ჩვენც ისე დაგვიმტკიცებია და შემოგვიწირავს მთას წმინდის გიორგისათვის და წმინდის ნიკოლაოსის მოადგილის და მოურავის ყ˜დ სამღვდელოს ნიკოლაოსწმინდელის სოფრომისათვის დაგვიმტკიცებია...აღიწერა ქრისტეს აქეთ :ჩ ღ ჟ ე:“ – 1795 წ. (კაკაბაძე 1921ბ: 108).

1805 წელს რაჭაში ჟამი გაჩნდა და უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გაპარტახდა სოფლები, რამაც ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ეკონომიკურ მდგომარეობას მძიმე დაღი დაასვა. მოსახლეობის შემცირების გამო სოფრონიოსი რაჭის გარეთ მცხოვრები გლეხების მოზიდვას და სოფლის მეურნეობის აღორძინებას ცდილობდა. მისი თხოვნით 1805 წელს მეფე სოლომონ II-მ ნიკორწმინდის საყდარს შესწირა ქუთაისის მკვიდრი სამეფო ყმა ქორქაშვილი-ზურაბასშვილი დათილა, აგრეთვე ზინზელა თავისი ცოლშვილით და ყველაფრით „რისიცა მქონებელი იყო“ (იქვე, 151). 1816 წელს სოფრონიოსმა სოფელ რცხილათში, გარდაშენებული დავითელა მჭედლიშვილის ადგილი და ქონება საძებრ უძებრით და ყოველის მისის სამართლიანის სამძღვრით,“ ხელოსან ნიკოლოზ ხარებაშვილსა და მის ძმებს უბოძა (ხ.ე.ც. ფონდი HD – 11468, 11469). სოფრონიოსი ეხმარებოდა ნიკორწმინდის სამწყსოს წევრებს ფულით, მამულით ან სხვა რაიმე საჭიროებით. ერთ-ერთ სიგელში სოფრონიოსი აღნიშნავს: „....რაოდენ შესაძლო იყო ვიღვაწე..... უწყის უფალმან წყალობისამან ღ˜თნ მამულით თუ გლეხის შოვნითა თუ ადგილის შემატებითა და სხვითა საეკლესიო სახმარებითა“ (ქ. ი. მ. შრომები 2008: 56).

ნიკორწმინდელი სოფრონიოს წულუკიძე აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებშიც. 1801 წელს რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, თავისი აგრესია დასავლეთ საქართველოზე და კერძოდ იმერეთის სამეფოზე გადაიტანა. რუსეთის ხელისუფლებას იმერეთის სამეფოს გაუქმება ჰქონდა განზრახული. იმერეთის მეფე სოლომონ II სამეფოს გადარჩენას ცდილობდა. 1809 წელს იმერეთში პოლიტიკურმა დაძაბულობამ კულიმინაციას მიაღწია. ქუთაისში რუსეთის საჯარისო ნაწილები იდგნენ. მეფე თავისი ამალით ვარციხეში გადავიდა. მდგომარეობის განმუხტვა იმერეთის სამღვდელოებამ და თავად-აზნაურობამ სცადა. მათ რჩევით მიმართეს საქართველოს მთავარმმართებელს ალექსანდრე ტორმასოვს, რათა იმერეთსა და რუსეთის იმპერიას

შორის ახალი ხელშეკრულება დადებულიყო. მიმართვაში აღნიშნული იყო რომ იმერეთის საზოგადოებას სურდა შენარჩუნებულიყო იმერეთის სამეფო ხელისუფლება რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ. მიმართვას სხვა მღვდელმთავრებთან და საერო ფეოდალებთან ერთად, ხელს აწერდა ნიკორწმინდელი სოფრონიოს წულუკიძეც (კაკაბაძე 1956: 416).

მეფესოლომონ II–სადარუსეთისხელისუფლებასშორისწარმოებულმამოლაპარაკებებმაუშედეგოდჩაიარა. გენერალიტორმასოვისბრძანებით, 1810 წლისთებერვლისდასაწყისშირუსეთისძალებმამეფისწინააღმდეგმოქმედებადაიწყეს. 21 თებერვავლსპოლკოვნიკმათევდორესიმიონოვიჩმაგენერალტორმასოვსპატაკიგაუგზავნა მეფესოლომონ II-ისგადაყენებისშესახებ (იქვე, 446).ტორმასოვმა, პოლკოვნიკთევდორესიმიონოვიჩსსოლომონ II–სდაპატიმრებადაავალა. რუსულიჯარითალყაშემორტყმულიმეფესოლომონ II იძულებულიგახდამტერსდამორჩილებოდა. ერთ-ერთი ქრონიკის ცნობით მეფე, გენათელი ეფთვიმეს რჩევით ჩამოვიდა მთიდან და პოლკოვნიკ სიმიონოვიჩს „ფერსათს სლხინოს საყდარზედ“ შეხვდა. სიმიონოვიჩმა ფიცი დადო მეფის წინაშე, რომ თუკი მეფე მას თბილისში გაჰყვებოდა, მის მეფურ ღირსებას არ შელახავდნენ და გენერალ ტორმასოვთან შეხვედრის შემდეგ, მას თავის სამეფოში დაბრუნების ნებას მისცემდნენ. მეფე დათანხმდა და გენერალ ტორმასოვთან შესახვედრად ეფთვიმე გენათელთან და სოფრონიოს ნიკორწმინდელთან ერთად გაემგზავრა. თუმცა სოლომონ II-ს დანაპირები არ შეუსრულეს, იგი დააპატიმრეს და თბილისში გადაიყვანეს. იმერეთის დროებითი მმართველობა სიმიონოვიჩს დაევალა (ჟორდანია 1967: 473). ძნელი სათქმელია იცოდნენ თუ არა გენათელმა ეფთვიმემ და ნიკორწმინდელმა სოფრონიოსმა რუსეთის ხელისუფლების ფარული ზრახვების შესახებ, მაგრამ ფაქტი ერთია, მეფე სოლომონ II მოტყუებული დარჩა, მისი ამალის წევრები კი იძულებით დააფიცეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ერთგულების ფიცს, რომელიც 1810 წლის აპრილის თვეში დაიდო, ხელი მოაწერეს ეფთვიმე გენათელმა და სოფრონიოს ნიკორწმინდელმაც (კაკაბაძე 1956: 486).

სოლომონ II-მ პატიმრობიდან თავის დაღწევა შესძლო, ის იმერეთში ჩავიდა და სამეფო ტახტის დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ რუსეთის ჯარებთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა და იმერეთს გაეცალა. 1815 წელს იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II 42 წლის ასაკში ტრაპიზონში გარდაიცვალა.

1810 წლიდან მეფე სოლომონ II-ს განდევნის შემდეგ, იმერეთის სამეფოში რუსული მმრთველობა დამყარდა. იმერეთის თვად-აზნაურობისა და სამღვდელოების ერთი ნაწილი ამ ფაქტს დადებითად შეხვდა, მათ შორის იყო სოფრონიოს

ნიკორწმინდელიც. მას რუსეთის ერთგულებისათვის 1811 წელს ჯილდოც გადაეცა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ აღნიშნული ჯილდო არა ნიკორწმინდელი სოფრონიოსის, არამედ ხინოწმინდელი ეპისკოპოსის დავით წერეთლისათვის ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ სოფრონიოსს, გადაცემული ჯილდო აღარ ჩამოართვეს (კაკაბაძე 1956: 494).

რუსეთის მმართველობის დამყარების მეორე წელს (1811), იმერეთში ჟამი გაჩნდა და უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ჟამი 1812 წელსაც მძვინვარებდა, ის ოდიშსა და გურიასაც მოედო (კაკაბაძე 1922: 269). ჟამიანობას ამჯერად რაჭა გადაურჩა. ვისაც შეეძლო იმერეთიდან იხზნებოდა და რაჭას აფარებდა თავს. ჟამიანობის გამო იმერეთი დატოვა ხონელმა მთავარეპისკოპოსმა ანტონ ჩიჯავაძემ და თავისი კრებულით რაჭაში, სოფელ ნააგარევში გადავიდა. 1812 წლის 15 აგვისტოს ანტონ ხონელს კონფლიქტი მოუხდა იღუმენ ვასილ ქუთათელაძესთან. ისინი რამდენიმე დღის შემდეგ სოფრონიოს წულუკიძემ შეარიგა (ხ.ე.ც. ფონდი H - 2784).

სოფრონიოსი დიდ ყურადღებას აქცევდა სასულიერო განათლების საქმეს. მისი თაოსნობით მრავალი ხელნაწერი გადაიწერა. 1808 წელს ვინმე ოსეს მიერ დაწერილ მეტაფრასს ახლავს ბოლოსიტყვაობა, სადაც ნათქვამია: „ყოვლითა სათნოებითა განმშვენებულმან და აღმკობილმან კაცმან ზეცისა (?) ნაწილისამან ყოვლად სამღუდელომან ნიკოლაოს წ˜ისა დიდმან არხიეპისკოპოსმან სოფრონიოს მიბრძანა აღწერა ამა მეტაფრასისა რომელი ესე აღვწერე.... სახელსა ზედა ფრიადითა შრომითა“ (თაყაიშვილი 1963: 103). 1809 წელს სოფრონიოსის ინიციატივით სოფელ წესში დაარსდა სტამბა, სადაც ათამდე ქართული წიგნი დაიბეჭდა (კეზევაძე 2000: 2). ამ სტამბაში 1809 წელს დაბეჭდილ „სავედრებელი ღვთისმშობლისას“ ბოლოსიტყვაობაში აღნიშნულია, რომ: „ყოვლად სამუღვდელო ნიკოლაოს წმიდელ არხი-ეპისკოპოსი სოფრონ შემწე ექმნა სტამბისა ამის საჭიროთა ნივთთა ზედა“ (იქვე).

სოფრონიოს ნიკორწმინდელი იღწვოდა ოსი მოსახლეობის გაქრისტიანებისათვის. მისი თაოსნობით ნიკორწმინდის ეპარქიის მახლობლად, კუდაროს ხეობაში მცხოვრები 912 ოსი გაქრისტიანებულა. ამ ფაქტს მოწმობს 1816 წელს თელავის არხიეპისკოპოსის - დოსითეოსის მიერ გაგზავნილი წერილი სოფრონიოს წულუკიძესთან. არხიეპისკოპოსი დოსითეოსი სოფრონიოსს თხოვს, რომ თავისი სამწყსოდან მღვდელი ამოარჩიოს და ახლადგაქრისტიანებულოსებთანგანაწესოს, ჭეშმარიტი სარწმუნოების განსამტკიცებლად: „თქვენ მოწყალეო მწყემსმთავარო თხოვასაებრ ჩემისა დანიშნულმან და განმაწესებელმან მათ ხსენებულთა ახლად ნათელღებულთა ოვსთა შორის მღუდლისამან, მაუწყეთ სახელი, გვარი და დრო განწესებისა მისისა თანამდებობასა შინა, რა მიერ რიცხვიდგან დამწყებელმან დაუნიშნო მას წელიწადში 150 რუბლი თეთრი, ფული შტატისამებრ განწესებული ჯამაგირი….

თქვენის ყოვლად სამღვდელოების უმორჩილესი არხიეპისკოპოსი თელავისა და სრულიად საქართველოს კავკასიისა დოსითეოს... დაიწერა დეკემბრის 8-ს დღესა 1816-ს წელსა. მათს მაღალ ყოვლად სამღვდელოებას ნიკოლოოსწმინდელს სოფრონს“ (ხ.ე.ც. ფონდი SD – 5237).

1817 წელს საქართველოს ეგზარქოსათ მოვლინებულმა თეოფიაქტე რუსანოვმა, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმირება დაიწყო, რამაც ხალხის აღშფოთება გამოიწვია. ჩვენ ამ საკითხს ვრცლად წინა თავში შევეხეთ და ამიტომ ამის განხილვას დეტალურად აღარ შეუდგებით.[31]ქართული ეკლესიის თავისუფლების გადასარჩენად ერი და ბერი გაერთიანდა, რასაც მოყვა 1819–1820 წლების აჯანყება, რომელსაც რუსეთის სახელისუფლებო წრეებმა „საეკლესიო ბუნტი“ უწოდეს. აჯანყება მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. აჯანყებულებს მხარში ედგნენ დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გენათელი და ანტონ ხონელი. მათგან განსხვავებით სოფრონიოს ნიკორწმინდელმა რუსეთის მთავრობას უერთგულა და ამაგიც დაუფასდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ის „უმაღლესის ბრძანებით დაიდგინა იმერეთის არხიეპისკოპოსათ...“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A) 1954: 390).

1820 წლის 3 მარტს რუსეთის მთავრობის მიერ დაპატიმრებული დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი, რუსეთში გადაასახლეს. დოსითეოს ქუთათელი შეპყრობის დროს მიღებული ჭრილობებისგან გზაში გარდაიცვალა და ანანურში დაასაფლავეს. ეფთვიმე გენათელმა რუსეთში ჩააღწია და 1822 წლის 21 აპრილს ალექსანდრე სვირელის სახელობის მონასტერში აღესრულა. ხონის საეპისკოპოსოს მმართველობას ჩამოცილებულ იქნა უკანასკნელი ხონელი მღვდელმთავარი ანტონ ჩიჯავაძეც. იმერეთში შეიქმნა ერთი ეპარქია, რომელშიც გაერთიანდა ქუთაისის, გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოები. 1821 წლის 19 ნოემბერს ოფიციალურად მოხდა სოფრონიოს წულუკიძის იმერეთის ეპარქიის მმართველად დამტკიცება, თუმცა ფაქტობრივად ის იმერეთის ეპარქიის მართვას 1820 წლის მარტის ბოლოდან შედგომია (კეზევაძე 2000: 2).

სოფრონიოსის მიმართ სიმპატიით იყო განწყობილი საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი. ერთ-ერთ წერილში თეოფილაქტე აცხადებს რომ ის არის სოფრონიოსის: „ჭეშმარიტითა მაღალ პატივისცემითა და ძმებრივითა სიყვარულითა უმორჩილესი მოსამსახურე და მლოცველი...“ (ქ. ც. ა. ფონდი - 21, საქმე - 15).

სოფრონიოსს ნდობას უცხადებდა საქართველოს მომდევნო ეგზარქოსი იონაც. მან სოფრონიოსსიმერეთის ეპარქიის რეფორმირება დაავალა. რეფორმის მიხედვით საეკლესიო გლეხებს ნატურალური გადასახადების ნაცვლად ფულადი გადასახადები

[31]იხ. გენათელი ეპისკოპოსები...

ეკისრებოდათ. ყოველი სასულიერო მოხელე საეკლესიო შემოსავლებიდან მიიღებდა მათთვის დაწესებულ გარკვეულ ჯამაგირს. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში, რომელიც 1814 წელს შეიქმნა, სოფრონიოსს უნდა წარედგინა დაწვრილებითი ცნობები იმერეთის ეკლესია-მონასტრების ქონებისა და შემოსავლის შესახებ. ამავე დროს მასსაქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში უნდა გაეგზავნა ერთი წარმომადგენელი მუდმივ სამუშაოდ (ვაჭრიძე გ. 1999: 251). უნდა შემცირებულიყო სასულიერო პირთა რიცხვი.

სოფრონიოსი იმერეთის ეპარქიის მმართველობის დროს რუსი მოხელეებისაგან მის დაქვემდებარებაში მყოფი სასულიერო პირების უფლებების დაცვას ცდილობდა. 1825 წლის ბრძანებულების მიხედვით, სოფრონიოსმა სასულიერო წოდება დაუბრუნა ჭალატყის დეკანოზებსმერკვილაძეებს. ამ უკანასკნელთათვის, 1824 წლის აპრილის თვეში ქუთაისის მაზრის ნაჩალნიკს ანდრიევსკის, თვითნებურად ჩატარებული აღწერის დროს, სასულიერო წოდება ჩამოურთმევია და სახაზინო ყმებად ჩაუწერია. მერკვილაძეებს ეს ფაქტი გაუპროტესტებიათ და წარუდგენიათ 1762 წელს გაცემული იმერეთის მეფის სოლომონ I-ის საბუთი, სადაც აღნიშნულია, რომ მეფე სოლომონმა: „აღაშენა ჭალატყევს ეკლესია და დაასვენა მუნ ქრისტეს ჯვარცმა, განაწესა დეკანოზათ თომა მერკვილაძე ვითარ უწინარესცა იგი იყო და შესწირა ურიები ყმანი და სხვა...“ (ხ.ე.ც. HD – 8561). ამ საბუთის მიხედვით თომა მერკვილაძის შთამომავლები „იყვნენ მარადის დეკანოზებათ იმ ეკლესიისა (ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის ბ. გ.) და ეკუთვნოდნენ ეკლესიის უწყებას. იყვნენ თავისუფალნი ეკლესიის სამსახურს გარდა... ფლობდნენ ყმებს და ჰქონდათ აზნაურის ღირსება. როგორც აღვნიშნეთ არხიეპისკოპოსმა სოფრონიოსმა დააკმაყოფილა მერკვილაძეების საჩივარი, ისინი ამოწერა სახაზინო ყმების სიიდან და მათ სასულიერო წოდება დაუბრუნა (იქვე).

სოფრონიოსს სინოდისაგან დავალებული ჰქონდა დაბალი სამღვდელოების განთავისუფლება თავად-აზნაურთა ყმობისაგან. მან წლების მანძილზე ახსნა-განმარტებითა და პროპაგანდით დაარწმუნა და დაითანხმა იმერეთის თავად-აზნაურობა, გაენთავისუფლებინა ყმობისაგან მღვდლები, დიაკვნები და სხვა საეკლესიო მსახურნი. იმ ხანად იმერეთსა და რაჭაში დაბალი სამღვდელოება შეადგენდა 414 კომლს. ამ კომლებიდან ეკლესიის მსახური იყო 1282 სული. 1821 წლიდან დაწყებული 1832 წლამდე თავადებისა და აზნაურების ყმობისგან განთავისუფლდა 387 კომლი (გოგოლაძე 1971: 15), რაც როგორც აღვნიშნეთ სოფრონიოს წულუკიძის დამსახურება იყო.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში დიდი დამსახურებისათვის, არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი 1839 წელს წმინდა ანნას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს (ვაჭრიძე გ. 1999: 252).

იმერეთის ეპარქიის მმართველობის ბოლო წლები, სოფრონიოს წულუკიძემ ავადმყოფობაში გაატარა. მძიმედ დასნეულებულს მარჯვენა ხელი „დაუქმებია.“

1841 წლის 18 ნოემბერს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა პირადი თხოვნის საფუძველზე, ავადმყოფობის გამო, არქიეპისკოპოსი სოფრონი გაანთავისუფლა იმერეთის ეპარქიის მმართველობისაგან (კეზევაძე 2000: 2). ამის შემდეგ სოფრონს დიდხანს აღარ უცოცხლია ის 1842 წლის 1 იანვარს გარდაიცვალა (ზოგიერთი ცნობით სოფრონი გარდაიცვალა 1845 წელს. სოსელია 1981: 75-76) და დაკრძალულ იქნა ქუთაისის საკათედრო ტაძარში.

ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

მანოელ ჩხეტიძე 1534 – XVI ს-ის 40-იანი წწ-ის პირველი ნახევარი

იოაკიმე XVI ს-ის 40-იანი წწ-ის II ნახევარი -XVI ს-ის 50 - იანი წწ.

დავით საყვარელიძე 1559 (?)

ამბროსი ბაქრაძე XVI ს-ის 60 - იანი წლების დასაწყისი

მელქისედეკ საყვარელიძე 1565 – 1573

ამბროსი ბაქრაძე 1573 – 1590 - იანი წწ.

ნიკოლოზი XVI ს - ის ბოლო XVII ს - ის 20 - იანი წწ.

სვიმონ ჩხეტიძე XVII ს - ის 30 - იანი წწ - ის დასაწყისი - 1639

დავით მიტროპოლიტი1639 – XVII ს-ის50 - იანი წწ - ის I ნახევარი

სვიმონ ჯაფარიძე XVII ს-ის 50 - იანი წწ - ის II ნახევარი

გედეონ ლორთქიფანიძე 1660 – 1666-67

დავით მიტროპოლიტი1666-67 – XVII ს-ის 70-იანი წწ-ის ბოლო

სვიმონ წულუკიძეXVII ს - ის 80 - იანი წლებიდან - XVIII ს-ის 20-იან წლებამდე

გერმანე წულუკიძე XVIII ს -ის 50 - იანი წწ. – 1771

სილიბისტრო ღოღობერიძე1771 – 1770 - იანი წწ - ის ბოლო (?)

გერმანე წულუკიძე XVIII ს-ის 80-იანი წწ. – 1793

სოფრონიოს წულუკიძე 1793 – 1821 (იმერეთის ეპარქია – 1821 – 1842)

დასკვნა

XVI-ის პირველ ნახევარში შექმნილმა გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრებმა, სამი საუკუნე იარსება.

იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510–1565) ინიციატივით გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების დაარსება, იმ ხანად დასუსტებული ეკლესიის გაძლიერებასა და იმერეთის მეფისათვის პოლიტიკური დასაყრდენის გაჩენას ისახავდა

მიზნად. ამ კათედრებზე მოღვაწე ეპისკოპოსები ძირითადად იმერეთის მეფეების ერთგულნი იყვნენ და მათ მხარში ედგნენ როგორც უცხოელი დამპყრობლების, აგრეთვე სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„ახალი ქართლის ცხოვრებასა“ და „პარიზის ქრონიკაში“ დაცული ცნობებისმიხედვით, ქუთაისის საეპისკოპოსოსგან გელათისა და ხონის საეპისკოპოსოების გამოყოფა 1529 წელს მოხდა. გელათის საეპისკოპოსოს დაარსებასთან დაკავშირებით განსხვავებული ცნობებიც არსებობს, სადაც აღნიშნული ფაქტი 1519 და 1525 წლებით თარიღდება,რაც სიზუსტეს მოკლებული უნდა იყოს.მეფე ბაგრატ III-ის მიერ გელათისათვის ბოძებულ სიგელში, რომელიც 1527 წელს დაიწერა, მოხსენიებულია „დიდისა საყდრისა მოძღვართ-მოძღვარი (გელათის აკადემიის რექტორი) მანასე და წინამძღვარი მაკარე.“ ამ სიგელშიმოძღვართ-მოძღვარი მანასეს მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ 1527 წლისათვის გელათში საეპისკოპოსო კათედრა ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული, წინააღმდეგ შემთხვევაში გენათელი ეპისკოპოსი სიგელში ნახსენები იქნებოდა.ამრიგად „ახალი ქართლის ცხოვრებასა“ და „პარიზის ქრონიკაში“ დაცული ცნობები, რომლებიც 1529 წელს გელათისა და ხონის საეპისკოპოსოების დაარსებას შეეხება სანდო უნდა იყოს.

მეფე ბაგრატ III-მ გელათისა და ხონის შემდეგ საეპისკოპოსო კათედრა შექმნა ნიკორწმინდაშიც. ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ, მსგავსად გელათისსაეპისკოპოსისი, განსხვავებული თარიღები არსებობს, ეს არის 1534 და 1544 წლები. მეფე ბაგრატ III-ის სიგელი, სადაც ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს შექმნაზეა საუბარი (ეს სიგელისავარაუდოდ პეტერბურგის არქივში ინახება), გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას და ს. კაკაბაძეს. თ. ჟორდანიასეულიგამოცემის მიხედვით სიგელი დაიწერა მეფე ბაგრატის მეფობის მეოთხე ინდიკტიონს (წელს) „ქორონიკონსა :ს კ ბ:“ ანუ 1534 წელს. ს. კაკაბაძის გამოცემაში ბაგრატის მეფობის მეოთხე ინდიკტიონი უცვლელი რჩება, ხოლო ქორონიკონით წელთაღრიცხვა განსხვავებულია. „ქორონიკონსა :ს კ ბ:“-ს დამატებული აქვს ათის აღმნიშვნელი ი, ანუ ამ ვერსიით სიგელი დაიწერა არა 1534, არამედ 1544 წელს - „ქორონიკონსა :ს კ ი ბ:“ მეფე ბაგრატ III იმერეთის სამეფო ტახტზე 1510 წელს ავიდა. მისი მეფობის მეოთხე ინდიკტიონი 1513 წელია და არა 1534 ან 1544 წელი. აქიდან გამომდინარე ს. კაკაბაძემ მიიჩნია, რომ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დამაარსებელი არ არის იმერეთის მეფე ბაგრატ III, რომელიც მეფობდა 1510-1565 წლებში. მისი ვარაუდით ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა შექმნარაჭა-არგვეთის მფლობელმაბაგრატმა, რომელიც მეფობდა 1541-1548 წლებში.ეს ვარაუდი სიზუსტეს მოკლებულია. ძნელი დასაჯერებელია იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს, რომლის გავლენა იმ დროისათვის მთელს დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-საათაბაგოზე ვრცელდებოდა, რაჭა-არგვეთში ვინმეს გაბატონება დაეშვა. გარდა ამისა, ახალი საეპისკოპოსო კათედრების დაარსება სწორედ ბაგრატ III-ის პოლიტიკის შემადგენელი

ნაწილი იყო, რაც მისთვის იმერეთის სამეფოში პოლიტიკური დასაყრდენის გაჩენას ისახავდა მიზნად. ჩვენ ამ საკითხის კვლევის დროს თ. ჟორდანიას ვარაუდი გავიზიარეთ, რომლის მიხედვით, ზემოთ დამოწმებულ სიგელში აღნიშნული ბაგრატის მეფობის მეოთხე ინდიკტიონის ნაცვლად,უნდა ყოფილიყო ოცდამეოთხე ინდიკტიონი. ბაგრატ III-ის გამეფებიდან თუ 24 წელს მიუმატებთ მივიღებთ 1534 წელს, (1510+24=1534). ამრიგად გამოდის, რომ იმერეთის მეფე ბაგრატ III-სნიკორწმინდის საეპისკოპოსო 1534 წელს დაუარსებია.

ზოგიერთი ვარაუდით გელათსა და ნიკორწმინდაში XVI საუკუნემდეც არსებობდა საეპისკოპოსო კათედრები, თუმცა ამის დამადასტურებელი ცნობები ძალიან მწირია. ფაქტი ერთია, XVI ს-ის პირველ ნახევარში გელათში, ხონსა და ნიკორწმინდაში იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ინიციატივით ახალი საეპისკოპოსოები შეიქმნა, რომლებსაც სამწყსო საზღვრები დაუდგინდა.გელათის საეპისკოპოსოსათვის ვრცელი ტერიტორიები დაუთმიათ, მათ შორის რიონის პირი, ქალაქი ქუთაისის ნაწილი, ოკრიბა, არგვეთის მხარე კაცხის ზღვარამდე და „ხრეითს აქეთ რაჭის მთებამდე.“ გელათის საეპისკოპოსომ დაახლოებით იმერეთის ერთი მესამედი მოიცვა. ვაკე იმერეთს მოიცავდა ხონის საეპისკოპოსო, რომლის საზღვრები რიონსა და ცხენისწყალს შორის გადიოდა. ისტორიული რაჭა მოიცვა ნიკორწმინდის საეპისკოპოსომ. მისი სამხრეთ დასავლეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი საზღვრები„ოკრიბის, ნაკალოებისა და მუხურის მთას გადმოღმა“ გავიდა. ჩრდილო და ჩრდილო აღმოსავლეთით „კვეშელვას ერწოს საჯვარეს, დვალეთის მთის გადმოღმა, ასევე ღებსა და გლოლას“ საზვრებში შემოიფარგლა. გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების საზღვრები თითქმის უცვლელი იყო 1820-21წლებამდე, ანუ აღნიშნული საეპისკოპოსოების გაუქმებამდე.

ადრექრისტიანული და შუა საუკუნეების ხანის ქართული ეპარქიების მმართველობითი სისტემისგან განსხვავდებოდა XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს და მათ შორის რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების მართვა-გამგეობის წესები. VIII-X ს-ში ქართულ ეკლესიაში დამკვიდრებული წესის თანახმად, ეპისკოპოსად შეიძლებოდა არჩეულიყო ნებისმიერი სოციალური წრიდან გამოსული და საეკლესიო იერარქია გავლილი ბერ-მონაზონი,რომლის არჩევაში სამღვდელოებასთან ერთად ერისკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას, მოგვიანებით ეს წესი შეიცვალა და ეპისკოპოსებად მხოლოდ ფეოდალური წრიდან გამოსული სასულიერო პირები დგინდებოდნენ, რომლებიც მეფე-მთავართა რჩეულნი იყვნენ. XV ს-ის 70-იან წლებში ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ამ პროცესებმა მთელ ქვეყანაში და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში ანარქია გამოიწვია, რომელიც დიდხანს გაგრძელდა და ეკლესიასაც მოედო. ადგილი ჰქონდა საეკლესიო წეს-წყობილების რღვევას. ერსა და ეკლესიაში გავრცელებული მანკიერებების

ასალაგმად, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის თაოსნობით XVI ს-ის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება იქნა მოწვეული. კრებამ სხვა საკითხებთან ერთად იმსჯელა და დაადგინა დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების მართვა-გამგეობის წესები და ეპისკოპოსების უფლება-ვალდებულებანი. კრების გადაწყვეტილებით, რომელიც „სამართალი კათალიკოზისას“ სახელით არის ცნობილი, ეპისკოპოსს აეკრძალა 20 დღეზე მეტი ხნით თავისი სამწყსოს დატოვება, თუკი რაიმე საპატიო მიზეზი არ იყო.ეპისკოპოსს თავისი სამწყსოს სულიერ ცხოვრებაზე ზრუნვის გარდა, საეპისკოპოსოს შიგნით აღმშენებლობითი სამუშაოების წარმოება, საეკლესიო ყმა–მამულის გაზრდა და მწარმოებელი კლასისათვის სამეურნეო პირობების შექმნაც ევალებოდა. ეპისკოპოსები ვალდებულნი იყვნენ საჭიროების შემთხვევაში თავიანთ სამწყსოში მოეხდინათ სმხედრო მობილიზაცია. საეპისკოპოსოებიდან გამოყვანილი ჯარი თავად–აზნაურებისაგან შედგებოდა.

XVI–XVIII სს-ში დასავლეთ საქართველოში საეპისკოპოსოების მართვა-გამგეობა თითქმის უცვლელად წარმოებდა. 1820–21 წლებში დასავლეთ საქართველოში გატარებული საეკლესიო რეფორმის შედეგად, მოიშალა იქ არსებული საეპისკოპოსოების მმართველობითი სისტემა და ქართული ეპარქიები რუსული ეკლესიის ყაიდაზე გადავიდა.

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები არა მარტო სასულიერო ცენტრებს, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართველი ერის ცხოვრებაში. ამ კათედრებზე, როგორც შედარებით დაცულ ადგილებში, თავს იყრიდა უამრავი განძი და სიწმინდე. აღნიშნული საეპისკოპოსოები დიდი ყმა-მამულის მფლობელნიც იყვნენ, რაც მათ ეკონომიკურ სიძლიერეზე აისახებოდა.

რაჭა-იმერეთის (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) საეპისკოპოსოებში კარგად იყო გამართული მმართველობის სამეურნეო მექანიზმი. მეურნეობაში წამყვანი ადგილი მიწადმოქმედებას ეჭირა. განვითარებული იყო მევენახეობა და მეფუტკრეობაც. გელათის საეპისკოპოსოში წამყვანი დარგი იყო მეღვინეობა. საგენათლოს კრებულში მეღვინეთუხუცესსა და მეღვინეს საპატიო ადგილი ეკავა. ხონის საეპისკოპოსოში მეაბრეშუმეობასაც მისდევდნენ, რასაც მოწმობსხონის საყდრის საგადასახადო ნუსხებში დაფიქსირებული „საყაჭობო“ გადასახადი. აბრეშუმის ჭიას იმერეთში ყაჭს უწოდებდნენ. საყაჭობო გადასახადის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ხონის სამწყსოში მეაბრეშუმეობა განვითარებული იყო.

საეკლესიო გლეხი რომელიც ეკლესიის მიწაზე იჯდა, ვალდებული იყო თავისი შემოსავლის ნაწილი ეკლესიისთვის გაეღო. გლეხი ბეგარას ნატურით იხდიდა, თუმცა იყო ფულადი გადასახადებიც.სიღატაკის ზღვარზე მყოფ გლეხებს, ეკლესია გადასახადებისაგან ათავისუფლებდა.ჩვენს ხელთ არსებული ხონისა და გელათის საყდრის საბეგრო ნუსხების მიხედვით, XVI ს-ში ამ საეპისკოპოსოების შემოსავალი ორჯერ აღემატებოდა XVII- XVIII სს-ში არსებულ შემოსავალს, რაც იმ ხანად (XVII- XVIII სს-ში) დასავლეთ საქართველოში ეკონომიკური კრიზისის მაჩვენებელია. წყაროთა სიმწირის გამო ჯერჯერობით ვერაფერს ვამბობთ ნიკორწმინდის სამწყსოს შემოსავლებზე. სავარაუდოდ ნიკორწმინდაშიც ანალოგიური ეკონომიკური სურათი იყო, მსგავსად ხონისა და გელათის საეპისკოპოსოებისა.იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოში შემავალი საეპისკოპოსოების რუსული ეპარქიების ყაიდაზე მოწყობის საკითხი. 1817 წელს საქართველოს ეგზარქოსად მოვლინებულმა თეოფილაქტე რუსანოვმა დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარება დაიწყო. 1821 წლის ნოემბრის თვეში რეფორმის ძალით ოფიციალურად გაუქმდა რაჭა-იმერეთის ოთხივე საეპისკოპოსო კათედრა (ქუთაისი, გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) და იმერეთის ეპარქიაში გაერთიანდა. (თუმცა რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები ფაქტობრივად 1820 წლის 4 მარტის შემდეგ უკვე გაუქმებული იყო). გაუქმდა ამ საეპისკოპოსოებში არსებული ტრადიციული სამეურნეო სისტემაც და საეკლესიო გლეხებზე ნატურით დაკისრებული გადასახადები, ფულადი გადასახადებით შეიცვალა.ყოველივე ამან საერთო ჯამში გადასახადების გაორმაგება გამოიწვია, ეს კი მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფ გლეხობას.

გელათის საეპისკოპოსო კათედრა უპირატესი იყო რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოთა შორის. გენათელი ეპისკოპოსები დიდი გავლენით სარგებლობდნენ იმერეთის სამეფო კარზე. XVI ს-ის 20-იან წლებში არსებობა შეწყვიტა გელათის აკადემიამ და შესაბამისად გაუქმდა მოძღვართ-მოძღვრის (აკადემიის რექტორის) ინსტიტუტი, რაც მძიმედ აისახა იმდროინდელ ქართულ საგანმანათლებლო სისტემაზე. ასეთ რთულ ვითარებაში გელათის აკადემიის მემკვიდრეობაახლადდაარსებულმა გელათის საეპისკოპოსო კათედრამ ითავა, ხოლო მოძღვართ-მოძღვრის ფუნქცია გენათელმა ეპისკოპოსმა შეითავსა. ეს ფუნქცია გენათელ ეპისკოპოსებს შემდგომ ხანებშიც ჰქონდათ შეთავსებული.

გენათელიეპისკოპოსები გარდა საულიერო ცხოვრებისა, ჩართული იყვნენ პოლიტიკურ პროცესებში. მათ მოღვაწეობა უწევდათ დიპლომატიურ სარბიელზეც. ამ მხრივ აღსანიშნავია ზაქარია ქვარიანის, იოსებ ბაგრატიონის ეფთვიმე შერვაშიძის და სხვათა დიპლომატიური საქმიანობანი. ჩვენს ნაშრომში დადგენილია ცხრამეტი

გენათელი ეპისკოპოსის ვინაობა და მათი ქრონოლოგიური რიგი. აგრეთვე გამოკვლეულია გენათელებისმრავალმხრივი მოღვაწეობა.

ქვეყნის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ხონის საეპისკოპოსო კათედრას და იქ მოღვაწე ხონელ ეპისკოპოსებს. არსებული წყაროების მიხედვით ჩვენს მიერ დადგენილია XVI–XVIII საუკუნეებში მოღვაწე ცამეტი ხონელი ეპისკოპოსის ვინაობა და მათი ქრონოლოგიური რიგი. მათ შორის თავიანთი ღვაწლით გამოირჩეოდნენ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი მალაქია, რომელსაც ამავე დროს ცაიშლობა, ჯუმათლობა და ხონელობა ჰქონდა შეთავსებული, ყოფილი მროველი და შემდგომში ხონელი იოსებ მაჩაბელი, აგრეთვე უკანასკნელი ხონელი ეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე, რომელმაც ორმოცდაათ წელზე მეტი დაჰყო ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე და სხვანი. ანტონ ჩიჯავაძის სახელს უკავშირდება ხონში სამრევლო სკოლის ამოქმედება და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებისათვის ას ადგილიანი საავადმყოფოს გახსნა.

რაჭის საერისთავოსა და მთელს იმერეთის სამეფოში დიდი პატივით სარგებლობდნენ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები. გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის გადმოცემით, ნიკორწმინდელების რეზიდენცია ყველაზე კარგად ნაგები შენობა იყო მთელს იმერეთში, რაც ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს. ჩვენდავადგინეთ თოთხმეტი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის ვინაობა და მათი ქრონოლოგიური რიგი. ნიკორწმინდელებს შორის თავიანთი ღვაწლით გამოირჩეოდნენ სვიმონ ჩხეტიძე, (შემდგომში აფხაზეთის კათალიკოსი), გერმანე და სოფრონიოს წულუკიძეები და სხვანი.

როგორც აღვნიშნეთ რუსეთის ეკლესიას დაქვემდებარებულმა საქართველოს საეგზარქოსომ ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვის თაოსნობით, 1819 წელს დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარება დაიწყო.რეფორმის ძალით უქმდებოდა დასავლეთ საქართველოში არსებული საეპისკოპოსოები, მათ შორის რაჭა-იმერეთის კათედრები და მსხვილ ეპარქიებში ერთიანდებოდა. ქართული საეკლესიო წეს-წყობილება რუსული ეკლესიის ყაიდაზე გადადიოდა. ამან სახალხო მღელვარება გამოიწვია, რაც 1819-20 წლების აჯანყებაში გადაიზარდა. რუსეთის ხელისუფლებამ ამ აჯანყებას „საეკლესიო ბუნტი“ უწოდა. აჯანყება იმერეთიდან დაიწყო და თითქმის მთელს დასავლეთ საქართველოს მოედო. აჯანყებას სათავეში ედგნენ დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გენათელი და ანტონ ხონელი. მათგან განსხვავებით ნიკორწმინდელმა სოფრონიოს წულუკიძემ რუსეთის ხელისუფლების მხარე დაიჭირა. 1820 წლის 3 მარტს (ზოგიერთი ცნობით 4 მარტს) საქართველოს მთავარმმართებელის ალექსი ერმოლოვის ბრძანებით, აჯანყების სხვა ორგანიზატორებთან ერთად დააპატიმრეს დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი. მხცოვანი

მღვდელმთავრები რუსეთში გადაასახლეს. დოსითეოს ქუთათელი დაპატიმრების დროს მიყენებული ჭრილობებისგან გზაში გარდაიცვალა და ანანურში დაკრძალეს. ეფთვიმე გენათელმა რუსეთში ჩააღწია და 1822 წლის 21 აპრილს 76 წლის ასაკში ალექსანდრე სვირელის სახელობის მონასტერში აღესრულა. ხონის საეპისკოპოსოს მმართველობას ჩამოაცილეს ანტონ ჩიჯავაძეც. რუსეთის ხელისუფლებამ 1819-20 წლების აჯანყება სისხლში ჩაახშო. საეკლესიო რეფორმა დასავლეთ საქართველოში მაინც გატარდა, რომლის ძალითაც 1821 წლის ნოემბრისთვეში საბოლოოდ გაუქმდა რაჭა-იმერეთის ოთხივე საეპისკოპოსო კათედრა (ქუთაისი, გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) და იმერეთის ეპარქიაში გაერთიანდა.იმერეთის ეპარქიის მმართველობა უკანასკნელ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსს სოფრონიოს წულუკიძეს ანდეს.

გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრებმა და იქ მოღვაწე ეპისკოპოსებმა სამი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართველი ერის ისტორიაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

წყაროები

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი

ფონდი 1448, საქმე - 883, 886, 894, 992, 995, 999, 1531, 1533,1534, 2143, 2149, 2164, 2170, 2259, 2260, 3304, 3320, 3321, 3322, 3323, 3324, 3327, 4042.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ფონდი - A D ხელნაწერი - 652, 793.

ფონდი -H ხელნაწერი - 2784.

ფონდი - HD ხელნაწერი - 298, 1573, 2171, 2257, 3166, 5686, 6733, 7883, 8041, 8452, 10143, 11208, 14514, 14050, 14982.

ფონდი - S D ხელნაწერი - 2895, 2901, 2905, 2976, 5237.

ქუთაისის ცენტრალური არქივი

ფონდი 21, საქმე - 5, 15.

1. ავალიშვილი 1967:ავალიშვილი გ. - „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა თბილისი 1967

2. ბატონიშვილი დავითი 1905: - „მასალები საქართველოს ისტორიისთვის“ - შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა (1744 – 1840) ტფ. 1905
3. ბატონიშვილი ვახუშტი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი - „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“ - ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით ტ. IV, თბილისი 1973
4. ბატონიშვილი იოანე 1948: ბატონიშვილი იოანე - „კალმასობა“ ტ. II, თბილისი 1948
5. ბაქრაძე 1987: ბაქრაძე დ. - „მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ თბილისი 1987
6. ბერძენიშვილი 1940: ბერძენიშვილი ნ. - „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“ ტ. I, თბილისი 1940
7. ბერძენიშვილი 1953: ბერძენიშვილი ნ. - „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“ ტ. II, თბილისი 1953
8. ბოჭორიძე 1994: ბოჭორიძე გ. - „რაჭა - ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები“ თბილისი 1994
9. ბოჭორიძე 1995: ბოჭორიძე გ. - „იმერეთის ისტორიული ძეგლები“ თბილისი 1995
10. ბურჯანაძე 1958: ბურჯანაძე შ. - „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია - ოდიშის სამთავროებისა“ თბილისი 1958
11. გეორგიკა 1952: გეორგიკა - ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ - ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა ტ. IV, ნაკვეთი II, თბილისი 1952
12. გიულდენშტედტი 1962: გიულდენშტედტი „მოგზაურობა საქართველოში“ გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა ტ. I, თბილისი 1962
13. დადიანი 1962: დადიანი ნ. - „ქართველთ ცხოვრება“ წიგნი გამოსცა შ. ბურჯანაძემ თბილისი 1962
14. თაყაიშვილი 1920: თაყაიშვილი ე. - „ხელმწიფის კარის გარიგება“ - ქართული ძეგლები ტფილისი 1920
15. თაყაიშვილი 1913-14: თაყაიშვილი ე. - „ხონის ეკლესია და მისი სიძველენი“ - ძველი საქართველო ტფილისი 1913 – 14
16. თაყაიშვილი 1939: თაყაიშვილი ე. - „მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში“ პარიზი 1939
17. თაყაიშვილი 1920: თაყაიშვილი ე. - „საქართველოს სიძველენი“ ტ. I, ტფილისი 1920
18. თაყაიშვილი 1963: თაყაიშვილი ე. - „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში“ თბილისი 1963

19. იევლევი 1969: იევლევი ა. - „1650 – 1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა“ რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცნცაძემ თბილისი 1969
20. ივერია 1891: გაზეთი „ივერია“ - ე. თაყაიშვილი „სიგელი თოფურიძეთა“ ნომ. 213, ტფილისი 1891
21. იოსელიანი 1936: იოსელიანი პ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ თბილისი 1936
22. კაკაბაძე 1912ა: კაკაბაძე ს. - „სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი“ ტფილისი 1912
23. კაკაბაძე 1912ბ: კაკაბაძე ს. „ვახტანგ უცნობი მე - 15 საუკუნის აფხაზ - იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი“ ტფილისი 1912
24. კაკაბაძე 1913ა: კაკაბაძე ს. - „სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო“ ტფილისი 1913
25. კაკაბაძე 1913ბ: კაკაბაძე ს. - „ხონის საყდრის დავთარი“ ტფილისი 1913
26. კაკაბაძე 1913გ: კაკაბაძე ს. - „საეკლესიო რეფორმებისთვის სოლომონ პირველის დროს“ ტფილისი 1913
27. კაკაბაძე 1913დ: კაკაბაძე ს. - „მცნებაი სარჯულო“ ტფილისი 1913
28. კაკაბაძე 1914ა: კაკაბაძე ს. - „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი“ ტფილისი 1914
29. კაკაბაძე 1914ბ: კაკაბაძე ს. „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისთვის“ წ. 1, ტფილისი 1914
30. კაკაბაძე 1921ა: კაკაბაძე ს. - „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“ წ. 1, ტფილისი 1921
31. კაკაბაძე 1921ბ: კაკაბაძე ს. - „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“ წ. 2, ტფილისი 1921
32. კაკაბაძე 1922: კაკაბაძე ს. - „საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა“ (1500 – 1810) ტფილისი 1922
33. კაკაბაძე 1926: კაკაბაძე ს. - „ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია“ ტფილისი 1926
34. კაკაბაძე 1956: კაკაბაძე ს. - „იმერეთის სამეფოს გაუქმება“ თბილისი 1956
35. კასტელი 1976: კასტელი კრისტოფორო - „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“ ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ თბილისი 1976
36. ლომსაძე 1979: ლომსაძე შ. - „გვიან შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები (იოვანე ხუცესის დღიურ - წერილები) თბილისი 1979
37. ოდიშელი 1968: ოდიშელი ჯ. - „მცირე ქრონიკები“ (კინკლოსების ისტორიული მინაწერები) თბილისი 1968

38. ორბელიანი სულხან-საბა 1991: ორბელიანი სულხან - საბა - „ლექსიკონი ქართული“ ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ ტ. I, თბილისი 1991
39. ორბელიანი სულხან-საბა 1993: ორბელიანი სულხან - საბა - „ლექსიკონი ქართული“ ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის მსაძიებელი დაურთო ი. აბულაძემ ტ. II, თბილისი 1993
40. ორბელიანი პაპუნა 1981: ორბელიანი პაპუნა „ამბავნი ქართლისანი“ - ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა თბილისი 1981
41. ჟორდანია 1897: „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა - შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ“ წ. 2, ტფილისი 1897
42. ჟორდანია 1967: „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწრელობისა - შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ“ - წიგნი გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთიძემ წ. 3, თბილისი 1967
43. საისტორიო კრებული 1928: საისტორიო კრებული - კაკაბაძე ს. „მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ - ეკონომიური ისტორიისათვის“ წ. 1, ტფილისი 1928
44. საისტორიო მოამბე 1924: კაკაბაძე ს. - „სასისხლო სიგელების შესახებ“ - საისტორიო მოამბე წ. II, ტფილისი 1924
45. საისტორიო მოამბე 1925: კაკაბაძე ს. - „იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე - 17 საუკუნეში“ - საისტორიო მოამბე წ. I, ტფილისი 1925
46. სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი 1936: „სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი“ - ისტორიული ნარკვევი თბილისი 1936
47. ტოლოჩანოვი 1970: ტოლოჩანოვი ნ. - „იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650 – 1652 წლებში. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ თბილისი 1970
48. ფურცელაძე 1890: ფურცელაძე დ. - „ანტონ II- ის ანდერძი“ ტფილისი 1890
49. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A) 1954: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია) ტ. IV, თბილისი 1954
50. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A) 1973: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა - შეადგინეს და დასაბეჭდად

მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით ტ. I, განაკვეთი I, თბილისი 1973
51. ქართლის ცხოვრება 2008: „ქართლის ცხოვრება“ - მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი თბილისი 2008
52. ქ.ს.ძ. 1970: „ქართული სამართლის ძეგლები“ - ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ ტ. III, თბილისი 1970
53. ქ.ს.ძ. 1972: „ქართული სამართლის ძეგლები“ - ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ ტ. IV, თბილისი 1972
54. ქ.ს.ძ. 1974: „ქართული სამართლის ძეგლები“ - ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ ტ. V, თბილისი 1974
55. ყაუჩიშვილი 1959: „ქართლის ცხოვრება“ - ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. II, თბილისი 1959
56. შარდენი 1975: ჟან შარდენი - „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (ცნობები საქართველოს შესახებ) ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა თბილისი 1975
57. პარიზის ქრონიკა 1980: „ცხოვრება საქართველოისა“ (პარიზის ქრონიკა) ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ - ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები ტ. II, თბილისი 1980
58. Акты... 1874: „Акты Кавказскою археографическою комиссию“ T. VI, Тф. 1874
59. Броссе 1861: Броссе „переписка Грузинских цареи с Россиискими государями от 1659 г по 1770 гю“ спб 1861
60. Натроев 1909: Натроев А.„Иверский монастырь на афонъвъ турции на одномъ изъ выступовъ Халкидонскаго полуострова“Тф.1909
61. Махарадзе 1942: Махарадзе Н.„Восстание в имеретии – 1819 – 1820 гг.“ - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის ნაკვეთი III, თბილისი 1942
62. Пурцеладзе 1881: Пурцеладзе Д.„Грузинские церковные гуджари „(грамоты) Тф. 1881

ლიტერატურა

63. ალადაშვილი 1957: ალადაშვილი ნ. - „ნიკორწმინდის რელიეფები“ თბილისი 1957
64. ანთელავა 1990: ანთელავა ი. - „ლევან II დადიანი“ თბილისი 1990
65. ასათიანი 1973: ასათიანი ნ. „მასალები XVII ს - ის საქართველოს ისტორიისათვის“ თბილისი 1973

66. ბერიძე 1959: ბერიძე ვ. - „ნიკორწმინდა“ თბილისი 1959
67. ბერძენიშვილი 1966: ბერძენიშვილი ნ. - „საქართველოს ისტორიის საკითხები“ ტ. III, თბილისი 1966
68. ბერძენიშვილი 1971: ბერძენიშვილი ნ. - „საქართველოს ისტორიის საკითხები“ ტ. V, თბილისი 1971
69. ბერძნიშვილი 1979: ბერძნიშვილი მ. - „XI ს - ის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური ისტორიის შესახებ - ნიკორწმინდის დაწერილი“ თბილისი 1979
70. გაბისონია 2006: გაბისონია პ. - „ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია“ დისერტაცია D – 6249 თბილისი 2006
71. გაბისონია 2006: გაბისონია პ. - „ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია“ ავტორეფერატი თბილისი 2006
72. გაბისონია 2008: გაბისონია პ. - „გელათის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღისათვის“ - ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები თბილისი 2008
73. გაფრინდაშვილი 2008: გაფრინდაშვილი ბ. - „გაენათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი“ - ჟურნალი ქართველოლოგია ნომ. 3, თბილისი 2008
74. გელათური ხელნაწერები 2012: გელათური ხელნაწერები თბილისი 2012
75. გოგოლაძე 1971: გოგოლაძე დ. - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა) 1800 – 1864 წწ. თბილისი1971
76. გოგსაძე 1948: გოგსაძე მ. - „ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან“ თბილისი 1948
77. გოილაძე 1991: გოილაძე ვ. - „ქართული ეკლესიის სადავეებთან“ თბილისი1991
78. გუგუშვილი 2003: გუგუშვილი გ. - „ნიკორწმინდის ეპარქია“ - ჟურნალი ორნატი თბილისი 2003
79. გურგენიძე: გურგენიძე ნ. - „მაწყვერელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი“ ხელნაწერის უფლებით
80. დიასამიძე 1999: დიასამიძე ბ. - „ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში I – X სს - ში“ ავტორეფერატი თბილისი 1999
81. ვაჭრიძე პ. 1977: ვაჭრიძე პ. - „ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან“ თბილისი 1977
82. ვაჭრიძე პ. 2000: ვაჭრიძე პ. - „ხონის სამასწავლებლო სემინარია“ თბილისი 2000
83. ვაჭრიძე გ. 1999: ვაჭრიძე გ. - „იმერეთის დროებითი მმართველობა“ ქუთაისი 1999
84. ზაქარაია 1956: ზაქარაია პ. - „ცაიშის ხუროთმოძღვრული ძეგლები“ თბილისი 1956

85. თამარაშვილი 1902: თამარაშვილი მ. - „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ ტფილისი 1902
86. ისტორიული დოკუმენტების კატალოგი 1964: ისტორიული დოკუმენტების კატალოგი - კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი - შეადგინეს: თ. ენუქიძემ, რ. პატარიძემ, ნ. შოშიაშვილმა და გ. ჯანდიერმა ფონდი H D ტ. I, თბილისი 1964
87. კაკულია 1997: კაკულია ჯ. - „საქართველოს ისტორიის ახალი აღქმა“ წ. II, თბილისი 1997
88. კალანდია 2004: კალანდია გ. - „ოდიშის საეპისკოპოსოები“ თბილისი 2004
89. კარბელაშვილი 1900: კარბელაშვილი პ. - „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ (კათალიკოსნი და მღვდელთ - მთავარნი) ტფილისი 1900
90. კარბელაშვილი 1892: კარბელაშვილი პ.(ცხვილოელი) - „გაენათელნი 1529 – 1821“ - ჟურნალი მწყემსი ნომ. 22, 1892
91. კეზევაძე 2000: კეზევაძე მ. - „არქიეპისკოპოსი სოფრონი შემწე სტამბისა“ - გაზეთი მწიგნობარი ქუთაისი 2000
92. კ ლ ი ო 15, 2002: კ ლ ი ო 15 (საისტორიო ალმანახი) - საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, - ქორიძე თ. „XI – XVI საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა ქრონოლოგია“ თბილისი 2002
93. ლომინაძე 1955: ლომინაძე ბ. - „გელათი“ თბილისი 1955
94. ლომინაძე 1959: ლომინაძე ბ. - „გელათი“ - დამატება თბილისი 1959
95. ლომინაძე 1966: ლომინაძე ბ. - „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან“ ტ. I, თბილისი 1966
96. ლომინაძე 1997: ლომინაძე ბ. - „გედეონ გენათელი“ - ენციკლოპედია „საქართველო“ თბილისი 1997
97. ლომინაძე 1954: ლომინაძე ბ. - „მასალები დასავლეთ საქართველოს XVII – XVIII საუკუნეთა ქრონოლოგიისთვის“ - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის თბილისი 1954
98. მამულია 1992: მამულია გ. - „ქართლის ეკლესია V – VI საუკუნეებში“ თბილისი 1992
99. მელიქიშვილი 2007: მელიქიშვილი დ. - „კიდევ ერთხელ სახელწოდება გელათის წარმომავლობის შესახებ“ - გელათი 900 - სამეცნიერო კონფერენციის მასალები თბილისი 2007
100. მემფისაშვილი 1965: მემფისაშვილი რ. - „გელათი“ თბილისი 1965
101. მემფისაშვილი... 1982: მემფისაშვილი რ, ვირსალაძე თ. - „გელათი, არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები“ თბილისი 1982

102. მესხი 2011: მესხი თ. - „ხონისა და სამთავისის ეკლესიათა ფრესკების არაბული წარწერების წარმომავლობისათვის“ - ბიზანტიოლოგია საქართველოში თბილისი 2011
103. მეტრეველი 2006: მეტრეველი რ. - „გელათი, მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა“ თბილისი 2006
104. მეტრეველი 2010: მეტრეველი რ. - „საქართველოს მეფეები და პატრიარქები“ თბილისი 2010
105. მეტრეველი 2012: მეტრეველი რ. - „შტრიხები XVII საუკუნის მე - 2 ნახევრის იმერეთის ისტორიიდან“ - კრებული „მშვენიერების ძიებაში“ თბილისი 2012
106. მეტრეველი 2013: მეტრეველი რ. - „რაჭა“ თბილისი 2013
107. ქ.ი.მ. შრომები 2006: კეკელია ი, სანაია ა. - „...და უწოდა სასუფეველს გენაათი,“ გაფრინდაშვილი ბ., კეკელია ი. – „გენათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი“ - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები კრებული - XVI ქუთაისი 2006

108. ქ.ი.მ. შრომები 2008: მურუსიძე მ. „ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი,“რობაქიძე მ., კუპრაშვილი ს. „იოსებ გენათელი დიპლომატიურ სარბიელზე“ - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები კრებული - XVIIIქუთაისი 2008
109. მუსხელიშვილი 1980: მუსხელიშვილი დ. - „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“ ტ. II, თბილისი 1980
110. მჭედლიძე... 2008: მჭედლიძე გ, კეზევაძე მ. - „ქუთაის - გაენათის ეპარქია“ ქუთაისი 2008
111. ნიკოლაიშვილი 1982: ნიკოლაიშვილი მ. - „გელათი“ თბილისი 1982
112. პაიჭაძე 1970: პაიჭაძე გ. - „მასალები რუსეთ - საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“ (1660 – 1685) - საისტორიო მოამბე ნომ. 23 – 24, თბილისი 1970
113. რეხვიაშვილი 1989: რეხვიაშვილი მ. - „იმერეთის სამეფო“ (1462 – 1810) თბილისი 1989
114. ნარკვევები 1973ა: საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. II, თბილისი 1973
115. ნარკვევები 1979: საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. III, თბილისი 1979
116. ნარკვევები 1973ბ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. IV, თბილისი 1973

117. საყვარელიძე 1987: საყვარელიძე თ. „XIV – XIX სს - ის ქართული ოქრომჭედლობა“ თბილისი 1987
118. სოსელია 1973: სოსელია ო. - „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ - პოლიტიკური ისტორიიდან“ (სათავადოები) ტ. I, თბილისი 1973
119. სოსელია 1980: სოსელია ო. - „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ - პოლიტიკური ისტორიიდან“ (სათავადოები) ტ. II, თბილისი 1980
120. სოსელია 1990: სოსელია ო. - „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ - პოლიტიკური ისტორიიდან“ (სათავადოები) ტ. III, თბილისი 1990
121. ტივაძე 1977: ტივაძე თ. - „საქართველო და რუსეთ - ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში“ თბილისი 1977
122. ტუღუში 1988: ტუღუში ა. - „ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიის გარკვევისათვის“ (XVII – XVIII სს.) - კრებული „ეგრისი“ თბილისი 1988
123. ტყეშელაშვილი 2007: ტყეშელაშვილი ლ. - „გელათი, მეორე იერუსალიმი, სხვა ათინა“ ქუთაისი 2007
124. ტყეშელაშვილი 2005: ტყეშელაშვილი ლ. - „საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი დოსითეოსი და ეფთვიმე - 1820 წ.“ ქუთაისი 2005
125. ფაილოძე 1997: ფაილოძე ა. - „მატიანე ხონისა“ წ. 1, ქუთაისი 1997
126. ფაილოძე 2003: ფაილოძე ა. - „მატიანე ხონისა“ წ. 2, ბათუმი 2003
127. ქავთარია 1965: ქავთარია მ. - „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა“ თბილისი 1965
128. ქართველიშვილი 2006: ქართველიშვილი თ. - „გურიის საეპისკოპოსოები“ თბილისი 2006
129. ქორიძე 2000: ქორიძე თ. - „აფხაზეთის კათოლიკოსები და კათოლიკოს პატრიარქები“ - წიგნში „საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქები“ რედაქტორი რ. მეტრეველი თბილისი 2000
130. ქორიძე 2003: ქორიძე თ. - „აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია“ ავტორეფერატი თბილისი 2003
131. ღამბაშიძე 1888: ღამბაშიძე დ. - „გაენათის მონასტერი“ ქუთაისი 1888
132. ყაუხჩიშვილი 1948: ყაუხჩიშვილი ს. - „გელთის აკადემია“ თბილისი 1948
133. ჩაკვეტაძე 1958: ჩაკვეტაძე ვ. - „გელათის აკადემია“ თბილისი 1958
134. ხუსკივაძე 1990: ხუსკივაძე თ. - „იმერეთის მეფე სოლომონ II“ ქუთაისი 1990
135. ხუციშვილი 2007: ხუციშვილი ნ. - „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში“ თბილისი 2007

136. ჯავახიშვილი 1984: ჯავახიშვილი ივ. „ქართული სამართლის ისტორია“ - თხზულებანი თორმეტ ტომად ტ. VII, თბილისი 1984
137. ჯავახიშვილი 1977: ჯავახიშვილი ივ. - „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ -თხზულებანი თორმეტ ტომად ტ. VIII, თბილისი 1977
138. ჯაფარიძე 1996: ჯაფარიძეა. -„საქართველოსსამოციქულო ეკლესიის ისტორია ტ. I, თბილისი1996
139. ჯოჯუა 2002: ჯოჯუა თ. - „XII საუკუნის გარეჯული კრებულის ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათალიკოსი ბართლომე“ - საქართველოს სიძველენი თბილისი 2002